






საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

წლიური ანგარიში



2013

საქართველოს ეროვნული ბანკი

წლიური ანგარიში
2013

ყოველწლიური პუბლიკაცია

ISSN 1512-1739

სარჩევი

შესავალი.....	8
1. მაკროეკონომიკური გარემო.....	15
1.1 მსოფლიო ეკონომიკა.....	16
1.2 ეკონომიკური ზრდა.....	18
1.3 სამომხმარებლო ფასების ცვლილება.....	21
1.4 სახელმწიფო ფინანსები.....	26
1.5 საგარეო სექტორი და საგადასახდელო ბალანსი.....	29
2. ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა.....	37
2.1 ფულად-საკრედიტო პოლიტიკა.....	38
2.2 ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტები.....	46
2.2.1 რეფინანსირების სესხები.....	47
2.2.2 ერთდღიანი სესხები და ერთდღიანი დეპოზიტები.....	48
2.2.3 ფასიანი ქაღალდები.....	49
2.2.4 მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები.....	52
2.3 სავალუტო პოლიტიკა და საერთაშორისო რეზერვების მართვა.....	53
3. საბანკო სექტორი.....	59
3.1 საზედამხედველო ჩარჩოს განვითარება.....	60
3.2 მფლობელობის სტრუქტურის რისკი.....	61
3.3 საკრედიტო რისკი.....	61
3.4 მომგებიანობის რისკი.....	72
3.5 საბაზრო რისკი.....	74
3.5.1 სავალუტო რისკი.....	74
3.5.2 საპროცენტო რისკი.....	75
3.6 ლიკვიდობის რისკი.....	76
3.6.1 ლიკვიდური აქტივების სტრუქტურა.....	76
3.6.2 ვალდებულებების სტრუქტურა.....	78
3.6.3 საბითუმო დაფინანსება.....	80
3.6.4 ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი – LCR.....	81
3.7 საოპერაციო რისკი.....	82
3.8 კაპიტალის ადეკვატურობა.....	84
3.9 მაკროპრუდენციული რისკები.....	85
3.10 მომხმარებელთა უფლებების დაცვა.....	88
4. არასაბანკო სექტორი.....	92
4.1 ფასიანი ქაღალდების ბაზარი.....	93
4.2 სხვა ფინანსური ინსტიტუტები.....	97
4.2.1 მიკროსაფინანსო ორგანიზაციები.....	97
4.2.2 კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტი.....	99

5. საგადახდო სისტემები.....	102
6. საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება.....	109
7. შიდა აუდიტი და ბუღალტრული აღრიცხვა.....	113
8. საკასო-საემისიო სამუშაოების ორგანიზაცია.....	115
9. საზოგადოებასთან ურთიერთობა და საერთაშორისო თანამშრომლობა.....	120
10. საქართველოს ეროვნული ბანკის ადამიანური რესურსების მართვა.....	124
11. ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის განვითარება.....	127
12. სტატისტიკური საქმიანობა.....	130
13. სტატისტიკური ცხრილები.....	133
14. ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	162

ჩანართები

ჩანართი N 1 საპროცენტო განაკვეთების საერთაშორისო შედარება.....	68
ჩანართი N 2 საერთაშორისო კონფერენცია „საკრედიტო სტანდარტების“ შესახებ.....	69
ჩანართი N 3 საზედამხედველო სტრეს-ტესტების მეთოდოლოგია ბანკებისათვის.....	86

ღიაბრაშები

დიაგრამა N 1.1 მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა მსოფლიოში.....	16
დიაგრამა N 1.2 ინფლაცია მსოფლიოში.....	17
დიაგრამა N 1.3 მშპ-ს ზრდა დანახარჯების მიხედვით.....	20
დიაგრამა N 1.4 დანაზოგების დინამიკა.....	21
დიაგრამა N 1.5 მთლიანი და საბაზო (სურსათისა და ენერგომატარებლების გარეშე) ინფლაციები (2008-2013 წლები).....	22
დიაგრამა N 1.6 იმპორტირებული და ადგილობრივი საქონლის ინფლაცია.....	23
დიაგრამა N 1.7 წლიური ინფლაციის მაჩვენებლების ცვლილება სხვადასხვა ხანგრძლივობის მოხმარების საქონლისა და მომსახურებისათვის.....	25
დიაგრამა N 1.8 ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები და მშპ-სთან თანაფარდობა	26
დიაგრამა N 1.9 ნაერთი ბიუჯეტის ხარჯები და მათი თანაფარდობა მშპ-სთან.....	27
დიაგრამა N 1.10 ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი და მშპ-სთან თანაფარდობა.....	28
დიაგრამა N 1.11 სახელმწიფო ვალი და მშპ-სთან ფარდობა (1998-2013 წწ.).....	29
დიაგრამა N 1.12 მიმდინარე ანგარიშის კომპონენტების ფარდობა მშპ-სთან.....	29
დიაგრამა N 1.13 საქართველოში შემოსული უცხოელი ვიზიტორების რაოდენობა.....	30
დიაგრამა N 1.14 მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების წყაროები.....	31
დიაგრამა N 1.15 უმსხვილესი საექსპორტო სასაქონლო ჯგუფები 2012-2013 წლები.....	34
დიაგრამა N 1.16 ექსპორტის მოცულობა რეგიონების მიხედვით 2008-2013 წლები.....	34
დიაგრამა N 1.17 რეგისტრირებული საქონლის იმპორტი სასაქონლო ჯგუფების მიხედვით.....	35
დიაგრამა N 1.18 უმსხვილესი იმპორტირებული სასაქონლო ჯგუფები 2012-2013.....	36
დიაგრამა N 1.19 იმპორტის მოცულობა ქვეყნების მიხედვით 2012-2013.....	36
დიაგრამა N 2.1 მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი	40
დიაგრამა N 2.2 დეპოზიტების და სესხების ლარიზაცია, 2005-2013 წწ.....	41
დიაგრამა N 2.3 კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხები.....	43
დიაგრამა N 2.4 ფულადი ბაზრის საპროცენტო განაკვეთები.....	45

დიაგრამა N 2.5 სახაზინო ფასიანი ქაღალდების და სადეპოზიტო სერტიფიკატების ნაშთების დინამიკა 1999-2013 წლებში.....	46
დიაგრამა N 2.6 ბანკთაშორისი ფულადი ბაზარი.....	47
დიაგრამა N 2.7 რეფინანსების სესხების მოცულობა 2011 წლის მაისიდან 2013 წლის დეკემბრის ჩათვლით.....	48
დიაგრამა N 2.8 მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთების მერყეობა.....	49
დიაგრამა N 2.9 სადეპოზიტო სერტიფიკატების პორტფელის მოცულობა 2010-2013 წლებში.....	50
დიაგრამა N 2.10 2013 წელს სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების პორტფელი.....	51
დიაგრამა N 2.11 ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზრის დინამიკა 2012-2013 წლებში.....	52
დიაგრამა N 2.12 სარეზერვო ნორმა ნარჩენი ვადიანობის მიხედვით.....	53
დიაგრამა N 2.13 სავალუტო ბაზრის დინამიკა 2003-2013 წლებში.....	54
დიაგრამა N 2.14 აშშ დოლარი/ლარის გაცვლითი კურსის მერყეობა.....	54
დიაგრამა N 2.15 ლარის რეალური და ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსების ინდექსები (დეკ. 2009=100).....	56
დიაგრამა N 2.16 საქართველოს ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვები 1997-2013.....	56
დიაგრამა N 3.1 მთლიანი სასესხო პორტფელის დინამიკა.....	61
დიაგრამა N 3.2 საკრედიტო პორტფელის თვის განმავლობაში გაცემულ სესხებზე არსებული საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთი სემენტების მიხედვით (ბანკთაშორისი სესხების გარდა).....	62
დიაგრამა N 3.3 საცალო პროდუქტების განაწილება.....	64
დიაგრამა N 3.4 პროციკლური სექტორების წილი ჯამურ საკრედიტო პორტფელში.....	65
დიაგრამა N 3.5 სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის მთლიან პორტფელთან თანაფარდობა.....	66
დიაგრამა N 3.6 მთლიანი სასესხო პორტფელის დინამიკა წმინდა ჩამოწერილი სესხების აღდგენის ეფექტით	66
დიაგრამა N 3.7 სესხების ჩამოწერა და ამოღება.....	66
დიაგრამა N 3.8 პრობლემური აქტივები.....	67
დიაგრამა N 3.9 დასაკუთრებული ქონება.....	67
დიაგრამა N 3.10 არაუზრუნველყოფილი სამომხმარებლო კრედიტი ეროვნული ვალუტით.....	68
დიაგრამა N 3.11 პროცენტის მომსახურების კოეფიციენტი ქვეყნების მიხედვით.....	70
დიაგრამა N 3.12 Debt / EBITDA კოეფიციენტი ქვეყნების მიხედვით.....	71
დიაგრამა N 3.13 საქართველო – ფინანსურად ძლიერი კომპანიები.....	71
დიაგრამა N 3.14 სესხის მომსახურების კოეფიციენტების შედარებითი განაწილება.....	71
დიაგრამა N 3.15 უკუგება კაპიტალსა და აქტივებზე.....	72
დიაგრამა N 3.16 მომგებიანობის ზრდის დეკომპოზიცია.....	73
დიაგრამა N 3.17 საპროცენტო სპრედი და მასზე მოქმედი ფაქტორები.....	73
დიაგრამა N 3.18 საბანკო სისტემის წმინდა საოპერაციო მოგება.....	74
დიაგრამა N 3.19 საბალანსო და კრეპსითი სავალუტო პოზიციები საზედამხედველო კაპიტალთან	74
დიაგრამა N 3.20 საპროცენტო ხასიათის აქტივებით ვალდებულებების გადაფარვა.....	76
დიაგრამა N 3.21 ლიკვიდური აქტივების დონე.....	76
დიაგრამა N 3.22 ლიკვიდობის კოეფიციენტები ვალუტების მიხედვით.....	77
დიაგრამა N 3.23 ლიკვიდობის გეპი: 1 თვემდე აქტივების თანაფარდობა 1 თვემდე ვალდებულებებთან.....	77
დიაგრამა N 3.24 ლიკვიდური აქტივების მოცულობა და სტრუქტურა.....	78
დიაგრამა N 3.25 ვალდებულებების სტრუქტურა.....	78
დიაგრამა N 3.26 არასაბანკო დეპოზიტები.....	79
დიაგრამა N 3.27 არარეზიდენტი კლიენტების დეპოზიტების წილი.....	79
დიაგრამა N 3.28 არარეზიდენტების დეპოზიტების სტრუქტურა (2013 წლის დეკემბერი).....	80
დიაგრამა N 3.29 მთლიანი სესხების შეფარდება არასაბანკო დეპოზიტებთან.....	81

დიაგრამა N 3.30 მთლიანი დანაკარგების დინამიკა.....	82
დიაგრამა N 3.31 საშუალო მთლიანი დანაკარგი (მთლიანი დანაკარგი ერთ მოვლენაზე).....	83
დიაგრამა N 3.32 2013 წლის მთლიანი დანაკარგები მოვლენათა კატეგორიების მიხედვით.....	83
დიაგრამა N 3.33 2012 წლის მთლიანი დანაკარგები მოვლენათა კატეგორიების მიხედვით.....	84
დიაგრამა N 3.34 კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები.....	85
დიაგრამა N 3.35 სესხების მშპ-სთან თანაფარდობის გეპი.....	86
დიაგრამა N 3.36 კომერციულ ბანკებში დაფიქსირებული პრეტენზიები, რომელთა განხილვა დასრულებულია (თვეების მიხედვით).....	89
დიაგრამა N 3.37 კომერციულ ბანკებში დაფიქსირებული პრეტენზიები, რომელთა განხილვა დასრულებულია (წლების მიხედვით).....	89
დიაგრამა N 4.1 საბროკერო კომპანიების მთლიანი აქტივების, ვალდებულებების, კაპიტალის მონაცემები და აქტივებში კლიენტის პორტფელის პროცენტული წილის დინამიკა წლების მიხედვით (2009-2013).....	93
დიაგრამა N 4.2 ვაჭრობის ძირითადი მაჩვენებლები (სავაჭრო სესიებზე დადებული და ბირჟაზე დაფიქსირებული გარიგებები) 2007-2013.....	94
დიაგრამა N 4.3 სავაჭრო სესიებზე და ბირჟაზე დაფიქსირებული გარიგებების რაოდენობა წლების მიხედვით.....	95
დიაგრამა N 4.4 ცენტრალურ დეპოზიტარში დეპონირებული ფასიანი ქაღალდები წლების მიხედვით (2008-2013).....	96
დიაგრამა N 4.5 ცენტრალურ დეპოზიტარში დეპონირებული ფულადი სახსრები წლების მიხედვით (2008-2013).....	96
დიაგრამა N 4.6 მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მთლიანი აქტივები, ვალდებულებები, კაპიტალი და მთლიანი ვალდებულებების დინამიკა აქტივებთან მიმართებაში.....	97
დიაგრამა N 4.7 წმინდა სესხების ზრდის დინამიკა აქტივებთან მიმართებაში.....	98
დიაგრამა N 4.8 მთლიანი პორტფელის სტრუქტურა.....	98
დიაგრამა N 4.9 ნასესხები სახსრების სტრუქტურა, არარეზიდენტი ორგანიზაციებიდან და ფიზიკური პირებიდან მოზიდული რესურსების დინამიკა.....	99
დიაგრამა N 4.10 მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მომგებიანობის პარამეტრები.....	101
დიაგრამა N 5.1 RTGS სისტემაში განხორციელებული გადარიცხვები (2013 წელი).....	104
დიაგრამა N 5.2 RTGS სისტემაში განხორციელებული გადარიცხვები (2002-2013 წელი).....	104
დიაგრამა N 5.3 გადახდის ოპერაციები საგადახდო სისტემებისა და მათი შესრულების სხვა საშუალებების მიხედვით (2013 წ.).....	105
დიაგრამა N 5.4 უნაღლო გადახდების განაწილება საგადახდო დავალების ინიცირების მიხედვით.....	106
დიაგრამა N 5.5 გამოშვებული საგადახდო ბარათები 2008-2013 წწ.....	107
დიაგრამა N 5.6 ქვეყნის შიგნით ქართული ბარათებით განხორციელებული ოპერაციები (2010-2013 წწ).....	108
დიაგრამა N 5.7 საგადახდო ბარათების მიმღები მონეობილობები (2009-2013 წწ).....	108
დიაგრამა N 8.1 მიმოქცევაში არსებული ნაღდი ფული (31.12.2013).....	116
დიაგრამა N 8.2 ნაღდი ფული მიმოქცევაში 2012-2013 წლები.....	116
დიაგრამა N 8.3 2013 წელს გამოვლენილი ყალბი ლარის ბანკნოტები და მონეტები პროცენტულად.....	118
დიაგრამა N 8.4 ყალბი ლარის ბანკნოტების რაოდენობა.....	118
დიაგრამა N 8.5 ყალბი მონეტების რაოდენობა.....	119
დიაგრამა N 10.1 ეროვნული ბანკის თანამშრომლების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები.....	125

ცხრილები

ცხრილი N 1.1 მთლიანი შიდა პროდუქტი დარგობრივ ჭრილში.....	19
ცხრილი N 1.2 ინფლაციის (სფი) მაჩვენებლები ცალკეული კომპონენტების მიხედვით (პროცენტი), მათი წონა სამომხმარებლო კალათაში (პროცენტი) და ზეგავლენა სფი-ზე (პროცენტული პუნქტი).....	25
ცხრილი N 1.3 საგადასახდლო ბალანსის ანალიტიკური წარმოდგენა.....	32
ცხრილი N 1.4 რეგისტრირებული ექსპორტის და იმპორტის წლიური ზრდის ტემპები.....	33
ცხრილი N 2.1 რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის წლიური ცვლილება 2013 წელს.....	55
ცხრილი N 3.1 მთლიანი საკრედიტო პორტფელი სემენტების მიხედვით (ბანკთაშორისი სესხების გარდა).....	62
ცხრილი N 3.2 სასესხო პორტფელი რისკ-სექტორების მიხედვით 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....	63
ცხრილი N 3.3 საცალო პროდუქტების განაწილება (2012, 2013), ცვლილება ერთწლიან პერიოდში.....	64
ცხრილი N 3.4 სასესხო პორტფელის კატეგორიები და ფორმირებული რეზერვები 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....	65
ცხრილი N 3.5 საბითუმო დაფინანსების გარე წყაროები და მათი დაფარვის გრაფიკი 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....	81
ცხრილი N 4.1 საბროკერო კომპანიების აქტივობა (2013 წ.).....	94
ცხრილი N 4.2 კრედიტით ინფორმაცია სავაჭრო სესიებზე დადებული და ბირჟაზე დაფიქსირებული მაჩვენებლების მიხედვით (2012-2013 წწ.).....	95

შესავალი

საქართველოს ეროვნული ბანკის 2013 წლის წლიური ანგარიში მომზადებულია „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანული კანონის მე-60 და 61-ე მუხლების შესაბამისად და მოიცავს ფულად-საკრედიტო, სავალუტო და საზედამხედველო პოლიტიკის მიმოხილვას და აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებას. დოკუმენტში წარმოდგენილია ის პრიორიტეტული მიმართულებები, რომლითაც საანგარიშო პერიოდში ქვეყნის ცენტრალური ბანკი ხელმძღვანელობდა. ანგარიშში ასახულია აგრეთვე ეროვნული ბანკის შეფასებები ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე იმ პროცესებზე, რომლებიც 2013 წლის განმავლობაში არსებით გავლენას ახდენდა საქართველოს ეკონომიკის მდგომარეობასა და ეროვნული ბანკის მიერ დასახული ამოცანების შესრულებაზე.

2013 წელს საქართველოს ეროვნული ბანკი მონეტარული პოლიტიკის შემუშავებისას ხელმძღვანელობდა „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-3 მუხლით განსაზღვრული ძირითადი ამოცანებითა და ფუნქციებით, რომლის მიხედვითაც ეროვნული ბანკის ძირითადი ამოცანაა ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა. ამასთანავე, ეროვნულმა ბანკმა უნდა უზრუნველყოს ფინანსური სისტემის სტაბილურობა და გამჭვირვალობა და ხელი შეუწყოს ქვეყანაში მდგრად ეკონომიკურ ზრდას ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მისი ძირითადი ამოცანის შესრულებას.

ეროვნული ბანკი მონეტარული პოლიტიკის განსაზღვრისას ინფლაციის თარგეთირების რეჟიმს ეყრდნობა. ეროვნული ბანკის ინფლაციის გრძელვადიანი მიზნობრივი მაჩვენებელი 3 პროცენტს შეადგენს. იმის გათვალისწინებით, რომ ამჟამად საქართველო წარმოადგენს მზარდ ეკონომიკას და

მსგავსი ტიპის ეკონომიკისთვის დამახასიათებელია ინფლაციის და ეკონომიკური ზრდის უფრო მაღალი ტემპი, 2014 წლისთვის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების დოკუმენტით მიზნობრივი ინფლაცია განსაზღვრულია 6 პროცენტით, ხოლო 2015-2016 წლებისთვის 5 პროცენტამდე შემცირდება.

2013 წლის განმავლობაში ინფლაცია მიზნობრივ მაჩვენებელზე დაბლა ნარჩუნდებოდა. ინფლაციის შემცირების ტენდენცია 2011 წლის ივნისში დაიწყო, რაც უმთავრესად მიწოდების ფაქტორებით იყო განპირობებული. ინფლაციის მაჩვენებლის კლების ტენდენცია 2012 წელსაც გაგრძელდა. 2012 წლის მეორე ნახევრიდან მიწოდების მხრიდან ფასებზე უარყოფით ზემოქმედებას ერთობლივი მოთხოვნის შემცირებაც დაერთო, რაც 2013 წელსაც გაგრძელდა. მოთხოვნის მხრიდან ფასებზე ზეწოლის სისუსტეზე მიუთითებდა საბაზო ინფლაციის მაჩვენებლის დინამიკაც, რაც წლის განმავლობაში დაბალ დონეზე ნარჩუნდებოდა.

2013 წლის პირველ კვარტალში ინფლაციის უარყოფითი ინდიკატორი 1.5-2 პროცენტის ფარგლებში მერყეობდა. დეფლაციას განაპირობებდა როგორც მიწოდების, ისე მოთხოვნის მხარეს არსებული ფაქტორები. მიწოდების მხრიდან – საბაზო ეფექტით გამოწვეული ფასების კლება სურსათზე და ადმინისტრირებადი და იმპორტირებული საქონლის ფასების შემცირება. პარალელურად, ეკონომიკური აქტივობის შენელება ფასების დონეზე უარყოფითი მიმართულებით მოქმედებდა. მიუხედავად საბანკო სექტორში არსებული მაღალი ლიკვიდობისა და კაპიტალისა, შემცირებული იყო სესხების ზრდის მაჩვენებელი, რაც ერთობლივი მოთხოვნის შესუსტებას უწყობდა ხელს. ადგილობრივი მოთხოვნის შემცირებაზე მიუთითებდა იმპორტის ზრდის ტემპის კლებაც. არსებული

დეფიციტის გაუმჯობესებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების ზრდა. 2013 წლის განმავლობაში ტურიზმიდან მიღებული წმინდა შემოსავლები წინა წელთან შედარებით 23 პროცენტით გაიზარდა და 1.43 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა.

2013 წლის განმავლობაში წმინდა საერთაშორისო რეზერვები 246 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა. აღსანიშნავია რომ გასულ წელს დაიფარა სსფ კრედიტი, 382 მლნ აშშ დოლარის ოდენობით. საბოლოო ჯამში 2013 წლის განმავლობაში მთლიანი საერთაშორისო რეზერვი უმნიშვნელოდ შემცირდა და 2.8 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა.

წინა წლების მსგავსად, 2013 წელსაც ეროვნული ბანკის საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობის გაზრდა, რომლის ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორი საქართველოში ეკონომიკის დაბალი ლარიზაციის დონეა. 2010 წლიდან მოყოლებული ეროვნული ბანკი აქტიურად მუშაობს მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობის ზრდის მიმართულებით. 2013 წლის განმავლობაში დეპოზიტების ლარიზაციის მაჩვენებლის მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა, 32 პროცენტიდან 40 პროცენტამდე. ანალოგიურად, 31 პროცენტიდან 38 პროცენტამდე გაიზარდა საკრედიტო პორტფელის ლარიზაციის მაჩვენებელი. აღსანიშნავია ფიზიკური პირების სესხების ლარიზაციის მნიშვნელოვანი მატება. წლის განმავლობაში, ფიზიკური პირების სესხების ლარიზაცია 11 პროცენტული პუნქტით გაიზარდა. 2013 წლის ბოლოსთვის ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების 55 პროცენტი ლარით იყო დენომინირებული.

ლარიზაციის ზრდას მნიშვნელოვნად შეუწყობ ხელი ასევე ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკებისთვის გირაოს ბაზის გაფართოებამ. ეროვნულმა ბანკმა ეტაპობრივად მოახდინა მონეტარული ოპერაციებისათვის განკუთვნილი გირაოს ბაზის გაზრდა. კერძოდ, შემსუბუქდა ბანკების მიერ გირაოს სახით გამოყენებადი ეროვნული ვალუტით დენომინირებული საკუთარი სასესხო

აქტივების კრიტერიუმები. მაგალითად, შემცირდა გირაოში მისაღები სასესხო აქტივის ჰეარქატი¹; გაიზარდა სესხის უძრავი ქონების ღირებულებასთან შეფარდების ლიმიტი; მოიხსნა გირაოში მისაღები პორტფელის მინიმალური ზღვარი. ამჟამად სესხის უზრუნველყოფის სახეობებში შედის საქართველოს ეროვნული ბანკის და საქართველოს მთავრობის მიერ გამოშვებული და პირდაპირ და უპირობოდ გარანტირებული ფასიანი ქაღალდი, საერთაშორისო საბანკო გარანტია და კომერციული ბანკის სასესხო აქტივები ეროვნული ვალუტით. ეს ცვლილებები საშუალებას აძლევს კომერციულ ბანკებს შეამცირონ ლარის ლიკვიდობის რისკი, რაც, თავის მხრივ, ეროვნული ვალუტით სესხების გაცემას უწყობს ხელს.

გირაოს ბაზის გაფართოება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ცვლადი საპროცენტო განაკვეთებით სესხების წახალისების კუთხით. ცვლადი განაკვეთით სესხების გავითარებამ საშუალება მისცა კომერციულ ბანკებს მომხმარებლებისათვის შეეთავაზებინათ სესხები დაბალი საპროცენტო განაკვეთებით, რადგან ასეთი ტიპის სესხები კომერციულ ბანკს პრაქტიკულად ნულამდე უმცირებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილებასთან დაკავშირებულ რისკებს. აღნიშნული პროდუქტი, იპოთეკური და სხვა გრძელვადიანი სესხების ყველაზე გავრცელებული სახეობაა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის საბანკო სისტემაში. ცვლადი განაკვეთის სესხის პოპულარიზაციასა და დანერგვაზე ეროვნულმა ბანკმა მუშაობა 2010 წელს დაიწყო. გასათვალისწინებელია, რომ ლარის ცვლადი განაკვეთის სესხის არსებობისთვის აუცილებელია გამჭვირვალე და სანდო ინდექსი, რაზეც იქნება დამოკიდებული საპროცენტო განაკვეთი. როგორც საბანკო სისტემას, ასევე მსესხებლებს უნდა ჰქონდეთ საკმარისი რწმუნება, რომ გრძელვადიან პერიოდში არ მოხდება ამ ინდექსთან დაკავშირებული მკვეთრი რყევები, პოლიტიკური თუ ეკონომიკური მერყეობების დროს. რაც მეტია ნდობა ხელისუფლებისა და ცენტრალური ბანკის პოლიტიკის მდგრადობის მიმართ, მით ნაკლებია

1. გასაცემი სესხის მოცულობასა და სესხის გასაცემად გირაოში მისაღები აქტივის ღირებულებას შორის სხვაობა (ინგლ. Haircut).

საპროცენტო მარჟები და შესაბამისად გრძელვადიანი საპროცენტო განაკვეთები. განვითარებული ბაზრების შემთხვევაში, ასეთ ინდექსს ბანკთაშორის ბაზრის ინდიკატორი ე.წ. „ლიბორი“ წარმოადგენს, რაზეც, თავის მხრივ, ცენტრალური ბანკები მონეტარული პოლიტიკის განაკვეთით ახდენენ გავლენას. ნაკლებად განვითარებული ფინანსური ბაზრების მქონე ქვეყნებში კი ინდექსად პირდაპირ მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი გამოიყენება. საქართველოში, ცვლადი განაკვეთის სესხი რეფინანსირების განაკვეთზეა ინდექსირებული. რეფინანსირების განაკვეთის ეფექტური ამოქმედება 2010 წლის გაზაფხულიდან მოხდა. ამის შემდეგ, ბაზარს დაჭირდა გარკვეული დრო და ისტორიული მონაცემების დაგროვება, რათა შეეფასებინათ განაკვეთის ცვლილებების სიჩქარე, შესაძლო ამპლიტუდა და მიმართულებები. სწორედ, ამ პროცესის ხელშეწყობისა და დაჩქარებისთვის, ეროვნულმა ბანკმა გააფართოვა მონეტარული ოპერაციებისთვის „მისაღები გირაოს“ ბაზა, სადაც დაშვებული იქნა მცირე და საშუალო ზომის სანარმოებლსა და ფიზიკურ პირებზე გაცემული ლარის გრძელვადიანი სესხები. კომერციულმა ბანკებმა აღნიშნული ინსტრუმენტის გამოყენება 2013 წლის აპრილიდან დაიწყეს. შემდგომ თვეებში ცვლადი განაკვეთით სესხების გაცემის პროცესი გააქტიურდა და ნოემბერ-დეკემბერში პიკს მიაღწია. შედეგად მკვეთრად შემცირდა საპროცენტო განაკვეთები ლარის გრძელვადიან სესხებზე, გაიზარდა ლარით დენომინირებული სესხების წილი მთლიან საკრედიტო პორტფელში და იმატა ლარიზაციის მაჩვენებელმა.

მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანად წარმართვის მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა მაკროეკონომიკური პროგნოზირებისა და შესაბამისი მონეტარული პოლიტიკის ანალიზისთვის მოდელების სრულყოფასა და განვითარებას. საქართველოს ეროვნული ბანკის ინსტიტუციური და ქვეყნის ფინანსური სექტორის განვითარებასთან ერთად, მაკროეკონომიკურ მოდელირებაზე დაფუძნებული პროგნოზები უფრო და უფრო მზარდ როლს თამაშობს მონეტარული პოლიტიკის განსაზღვრაში

და მის საზოგადოებასთან კომუნიკაციაში. აღნიშნული ხელს უწყობს მონეტარული პოლიტიკის სწორად ფორმირებას და მის გამჭვირვალობას, რაც აისახება ბაზრის მონაწილეთა ეკონომიკურ მოლოდინებზე და მათი ეფექტიანობის ამაღლებაზე. ამ მხრივ აღსანიშნავია, მაკროეკონომიკური პროგნოზირებისა და მონეტარული პოლიტიკის ანალიზის სისტემა (FPAS), რომელსაც საქართველოს ეროვნული ბანკი 2011 წლიდან ანვითარებს და მსოფლიოს თანამედროვე ცენტრალური ბანკების საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისია. 2013 წელს მოდელის სრულყოფის პარალელურად მზადდებოდა მისი აღმწერი დოკუმენტაცია, რომელიც საჯაროდ გამოქვეყნდება უახლოეს მომავალში და აკადემიური წრეებისთვის და ანალიტიკოსებისთვის ამ მიმართულებით სამეცნიერო მუშაობის განვითარების საფუძველი იქნება.

წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი ყურადღება ექცეოდა საზოგადოებასთან მონეტარული პოლიტიკის კომუნიკაციის არსებული არხების განვითარებასა და ახალი საშუალებების დანერგვას. ინფლაციის თარგეთირების რეჟიმის პირობებში კომუნიკაცია განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, ვინაიდან მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი მოლოდინების სწორად ჩამოყალიბება და წარმართვა. ეროვნული ბანკის დროული და ეფექტიანი კომუნიკაცია მისი მიზნების, სტრატეგიისა და ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზის შესახებ ზრდის მონეტარული პოლიტიკის გადაწყვეტილების პროგნოზირებადობას. ამრიგად, კომუნიკაციის არხების დახვეწა და გამრავალფეროვნება საქართველოს ეროვნული ბანკისთვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენს. 2013 წლის განმავლობაში ამ კუთხით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. თებერვლიდან განახლდა ინფლაციის მიმოხილვის ფორმატი, რომელიც მონეტარული პოლიტიკის კომუნიკაციის ძირითად ინსტრუმენტს წარმოადგენს. განახლებული ინფლაციის მიმოხილვა ფოკუსირებულია მომავალ პროგნოზებსა და ანალიზზე. იგი უფრო მეტად არის ორიენტირებული მოსალოდნელი ეკონომიკური მოვლენების აღწერაზე.

მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის მიერ მი-

ლებული გადაწყვეტილებებისა და მათი მიღების პროცესში არსებული პროგნოზების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაწოდებლად დაინერგა ანალიტიკოსებთან რეგულარული პრეზენტაცია-შეხვედრების პრაქტიკა. 2013 წლის განმავლობაში შემუშავდა ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის სტრატეგიის საჯარო დოკუმენტი, რომელიც ეროვნული ბანკის ვებგვერდზე 2014 წლის მარტში განთავსდა. აღნიშნული დოკუმენტი საზოგადოებას აცნობს მონეტარული პოლიტიკის ძირითად პრინციპებს და მათი განვითარების მიმართულებას ქვეყანაში. იგი ასახავს, თუ რა მოსაზრებებს ემყარება მიღებული მონეტარული პოლიტიკის გადაწყვეტილებები და რა ინსტრუმენტების საშუალებით ხდება დასახული მიზნების მიღწევა. გარდა ამისა, ინფორმაციის გავრცელების და სწორი მოლოდინების ჩამოყალიბების კუთხით მნიშვნელოვანია ეროვნული ბანკის მიერ სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალის „ეკონომიკა და საბანკო საქმე“ გამოცემის განახლება. აღნიშნული ჟურნალი საუკეთესო საშუალებაა ეროვნული ბანკის, თუ მთლიანად ქვეყნის ეკონომისტებისთვის გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებთან დაკავშირებით. ასევე ის ხელს შეუწყობს ახალგაზრდა მკვლევარებსა და მეცნიერებს, რომლებიც კონკრეტულ ეკონომიკურ თუ ფინანსურ თემატიკაზე მუშაობენ.

2013 წლის განმავლობაში საქართველოს ეროვნული ბანკი საბანკო სექტორის მდგრადობის მონიტორინგისთვის და განსამტკიცებლად იყენებდა რისკებზე ორიენტირებულ საზედამხედველო პროცესს და ახდენდა საზედამხედველო ჩარჩოს შემდგომ დახვეწას. ამავე დროს, მნიშვნელოვანი ყურადღება ექცეოდა საბანკო სექტორის ეფექტიანობის და მომხმარებელთა უფლებების დაცვის საკითხებს.

2013 წელს საბანკო სექტორს ერთი ბანკი შეემატა და წლის ბოლოსთვის ბანკების რაოდენობამ 21 შეადგინა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს

საბანკო სექტორი კვლავ საკმაოდ ძლიერი აქციონერებითაა წარმოდგენილი, მათ შორის, მსხვილი საერთაშორისო და რეგიონული ინვესტორებით. წლის განმავლობაში, საქართველოს ეროვნული ბანკი საქართველოში წარმოდგენილი საერთაშორისო საბანკო ჯგუფების მშობელ ქვეყნებში განვითარებული პროცესების ინტენსიურ მონიტორინგს აწარმოებდა. საბანკო ზედამხედველობის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის მხრივ მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტი, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი გახდა საერთაშორისო საბანკო ჯგუფის საზედამხედველო კოლეჯის მონაწილე.

2013 წელს მომზადდა შესაბამისი ნორმატიული ბაზა ბაზელ II/III-ის იმპლემენტაციისთვის. 2014 წლიდან ამოქმედდება „პილარ 1“-ის სტანდარტული მიდგომა და „პილარ 2“, რომელიც ბანკის მიერ ეკონომიკური კაპიტალის დათვლას და მის საზედამხედველო განხილვას მოიცავს. კაპიტალის ადეკვატურობის მესამე ნაწილის, „პილარ III“-ს ამოქმედება, რომელიც გამჭვირვალობის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად, 2015 წლიდან იგეგმება.

რისკებზე დაფუძნებული ზედამხედველობის ფარგლებში, ეროვნულმა ბანკმა გასული წლის განმავლობაში შეიმუშავა და 2014 წელს დანერგა რისკების შეფასების საერთო პროგრამა (GRAPE). მისი მიზანია კომერციული ბანკების რისკებზე ორიენტირებული ზედამხედველობის პროცესის უფრო ეფექტიანი ორგანიზება.

სამომავლოდ, საქართველოს ეროვნული ბანკის საზედამხედველო ჩარჩოში აუთსორსინგის² როლის გაზრდა იგეგმება. გარე აუდიტორებთან თანამშრომლობის გაზრდის მიზნით გადაიდგა კონკრეტული ნაბიჯები.

საკრედიტო პორტფელის ზრდის მამოძრავებელი იყო სამომხმარებლო, იპოთეკური სესხები და მომენტალური განვადებები. აღსანიშნავია, რომ მომენტალური განვადებების პორტფელი 2013 წელს გაორმაგდა. საცალო პორტფელის რისკების მონიტორინგს საქართველოს ეროვნული ბანკი ეტაპობრივად აძლიერებს და 2014 წელს მას დიდ

2. აუთსორსინგი გულისხმობს კომპანიის მიერ საკუთარი ბიზნეს პროცესის ან პროცესების ორგანიზაციის გარეთ გატანას, რომლის საფუძველზეც მესამე მხარე (კომპანია ან ფიზიკური პირი) იღებს ვალდებულებას, რომ შესრულოს ნაკისრი ფუნქცია ან საქმიანობა დამკვეთი კომპანიის მაგივრად.

ყურადღებას დაუთმობს, მათ შორის, „პილარ 2“ პროცესის დროს. ამ მიზნით, მიმდინარეობს სპეციალიზებული საცალო საკრედიტო რისკების განყოფილების რესურსების ზრდა.

2013 წელს, მიუხედავად ეკონომიკური ზრდის შენელებისა, საკრედიტო პორტფელში აღინიშნებოდა სესხების ხარისხის გაუმჯობესება, რაც რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა. მნიშვნელოვანია, რომ საბანკო ინდუსტრიაში აღინიშნება რისკების მართვის გაუმჯობესება, რომლის ერთ-ერთი შედეგი პროციკლური სექტორების წილის მნიშვნელოვნად შემცირება და შესაბამისად, ეკონომიკური ზრდის შენელებისადმი ნაკლები მგრძობიარობა იყო. ასევე, ამ სექტორების მსესხებლების მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე იყო აღიარებული უმოქმედოდ 2009 წლის რეცესიის შემდეგ. აქვე მნიშვნელოვანია, რომ წინა წლებში არ აღინიშნებოდა აქტივების სწრაფი ზრდა და საკრედიტო სტანდარტების ლიბერალიზება. დამატებით, აღსანიშნავია, რომ 2012 წელს პორტფელის ხარისხი გაუარესებული იყო ცალკეული იდიოსინკრატული³ მოვლენების გამო და შედეგად, 2013 წელს დაფიქსირდა პორტფელის უმოქმედო სესხების შედარებითი გაუმჯობესება. პორტფელის შედარებით ზომიერმა, თუმცა მაინც დადებითმა ზრდამ, გაცვლითი კურსის სტაბილურობასა და საპროცენტო განაკვეთების შემცირებასთან ერთად, პოზიტიური როლი შეასრულა და ბევრ მსესხებელს სესხის მომსახურება შეუმსუბუქა.

ფინანსური სიღრმის ზრდასთან ერთად ჯანსაღი საკრედიტო სტანდარტების დამკვიდრება უაღრესად მნიშვნელოვანი ხდება როგორც რისკების მართვის, ასევე მომხმარებელთა დაცვის კუთხით. ამ საკითხზე ყურადღების გამახვილების მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკის ორგანიზებით ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია „საკრედიტო სტანდარტების“ შესახებ.

2013 წელს, საბანკო სისტემაში უკუგებამ კაპიტალზე 14.6 პროცენტი შეადგინა, რაც აღემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს. მომგებიანობის

ცვლილება წინა წელთან შედარებით რამდენიმე ფაქტორით იყო განპირობებული. კერძოდ, სესხების წლიური ზრდის ტემპი გაიზარდა. ამასთან, მნიშვნელოვნად შემცირდა სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი, მათ შორის, ჩამონერილი სესხების ამოღების გამო. ასევე აღსანიშნავია, რომ სესხების ხარისხის 2012 წლის გაუარესება (ჩამონერა) და შემდგომ ბალანსზე აღდგენა მნიშვნელოვანწილად იდიოსინკრატული ფაქტორით იყო გამოწვეული, რაც 2012/13 წლებში მომგებიანობის მერყეობის ნაწილს ხსნის. მოცემულის გათვალისწინებით, საბანკო სისტემის მომგებიანობის მაჩვენებელი ბოლო წლებში უფრო მეტი სტაბილურობით ხასიათდებოდა. მთლიანობაში, უნდა აღინიშნოს, რომ კაპიტალის მისაღებ უკუგებასთან შედარებით, მომგებიანობის მაჩვენებლები მაინც უფრო მოკრძალებულია, რისი ძირითადი მიზეზი საბანკო სისტემაში არსებული კონკურენციაა. საყურადღებოა, რომ წინა წლებში დაწყებული საპროცენტო განაკვეთების შემცირების ტენდენციის 2013 წელს გაგრძელება მნიშვნელოვნად განაპირობა კონკურენციის კიდევ უფრო გამძაფრებამ.

საქართველოს ეროვნული ბანკი თანმიმდევრულად ავითარებს სტრეს-ტესტების მეთოდოლოგიას. სტრეს-ტესტების ჩარჩოს შემდგომი დახვეწისათვის, მაკრო სტრეს-ტესტებთან ერთად, საქართველოს ეროვნული ბანკი ავითარებს მიკრო სტრეს-ტესტების ჩარჩოს. აღნიშნული მიდგომა უფრო მაღალი სიზუსტის მიღწევის საშუალებას იძლევა, ითვალისწინებს რა საკრედიტო რისკის ამსახველ კოეფიციენტებს. სტრეს-ტესტების შედეგების ინტენსიური გამოყენება მოხდება ბაზელ II-III-ის საზედამხედველო განხილვის პროცესის ფარგლებში.

2013 წელს არარეზიდენტ დაფინანსებაზე ჭარბი დამოკიდებულების პრევენციის მიზნით, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა დაანერგა დამატებითი ლიკვიდობის მოთხოვნები არარეზიდენტ დეპოზიტებზე. აღსანიშნავია, რომ 2013 წლის განმავლობაში მოხდა არარეზიდენტების ვადიანი

3. იდიოსინკრატული აღნიშნავს ინდივიდუალურს, რაც არ წარმოადგენს სისტემური ხასიათის ფაქტორს.

დეპოზიტების ნაწილის გადატანა გამოუთხოვად სადეპოზიტო სერტიფიკატებში, რაც სტაბილურობის მხრივ უკეთეს დაფინანსების წყაროს წარმოადგენს.

2013 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ბაზელ III-ის ლიკვიდობის კოეფიციენტის კალიბრირების პროცესი. 2014 წელს მოხდება LCR-ის საბოლოოდ დაზუსტება და მისი დანერგვა საბანკო სისტემაში, რაც მოკლევადიანი (30 დღემდე) ლიკვიდობის მართვის მიმართულებით თანამედროვე და ეფექტურ მიდგომას წარმოადგენს და იძლევა ამ ტიპის რისკების უფრო სრულყოფილი იდენტიფიკაციის, შეფასების, მონიტორინგისა და კონტროლის საშუალებას.

საქართველოს საბანკო სისტემა 2013 წლის ბოლოსთვის ინარჩუნებდა კაპიტალიზაციის მაღალ დონეს. პირველადი კაპიტალის კოეფიციენტმა გადააჭარბა 13 პროცენტს (ბაზელ I-ის მეთოდოლოგიით 18.29 პროცენტი), ხოლო საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტმა 17.2 პროცენტს მიაღწია (ბაზელ I-ს მეთოდოლოგიით 25.22 პროცენტი), რაც საქართველოს ეროვნული ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის მინიმალურ მოთხოვნებზე, შესაბამისად, 5 და 5.2 პროცენტული პუნქტით მეტია. ამდენად, მაღალია მარტივი ლევერიჯის კოეფიციენტიც (კაპიტალი/აქტივებთან), რომლის მნიშვნელობა 16.8 პროცენტს აღწევს, ხოლო მაღალი ლიკვიდურობის გამო, წმინდა სესხების კაპიტალთან თანაფარდობა 3.35-ს არ აჭარბებს.

საქართველოს ეროვნული ბანკი ეტაპობრივად ავითარებს მაკროპრუდენციული და სისტემური

მონიტორინგის ინსტრუმენტებს, ყურადღებით აკვირდება საკრედიტო ციკლის დაწყების და არამდგრადი დაკრედიტების და დაფინანსების სხვადასხვა ინდიკატორებს.

საბანკო სექტორში შეინიშნებოდა დადებითი ტენდენციები მომხმარებელთა ინტერესების დაცვის თვალსაზრისით. ასევე, მომხმარებელთა ფინანსური განათლების დონის ამაღლების კუთხით განხორციელებული ღონისძიებები კომერციული ბანკებისათვის კონკურენტული პოზიციონირების ერთ-ერთ ბერკეტად იქცა. აღსანიშნავია, რომ მომხმარებლების მხრიდან მიღებული ინფორმაციიდან გამომდინარე, კომერციულ ბანკებთან ერთად, ფინანსური ბაზრის მონაწილე სხვა საფინანსო ინსტიტუტების მომხმარებელთა უფლებების დაცვის კუთხით რეგულირების საჭიროებაც იკვეთება.

2013 წლის განმავლობაში, კომერციულმა ბანკებმა აქტიურად დაიწყეს მცურავგანაკვეთიანი იპოთეკური კრედიტების გაცემა. საპროცენტო რისკთან დაკავშირებით, კომერციულ ბანკებთან აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა შესაბამისი რისკების გამჟღავნების და პასუხისმგებლიანი საკრედიტო სტანდარტების დამკვიდრების მიზნით. შემუშავდა კომერციული ბანკების მიერ სარეკლამო მასალების მომზადების ძირითადი სარეკომენდაციო პრინციპები და კომერციულ ბანკებთან თანამშრომლობით, სამომხმარებლო კრედიტებთან დაკავშირებული სასალონო მასალები ძირითადად მოვიდა შესაბამისობაში ზემოხსენებულ პრინციპებთან.

I




მაკროეკონომიკური გარემო

1.1 მსოფლიო ეკონომიკა

2013 წელი მსოფლიო მასშტაბით მნიშვნელოვანი ეკონომიკური პრობლემების დაძლევის ხასიათდებოდა. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მოახერხა თავიდან აეცილებინა მწვავე ფისკალური კრიზისი, თუმცა, ამ პროცესს თან ახლდა დიდი ხარჯი მშპ-ის შემცირებული ზრდისა და გაუარესებული ბიზნეს და სამომხმარებლო განწყობის სახით. მიუხედავად ამისა, გასული წლის ბოლოდან, ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ დაიწყო მონეტარული სტიმულის შემცირება. ევროზონამ თავი დააღწია ხანგრძლივ და ღრმა რეცესიას, რაზეც ბიზნეს ციკლის ინდიკატორები ცალსახად მიუთითებენ გასული წლის მეორე ნახევრიდან. ხანგრძლივი დეფლაცი-

ის შემდეგ, 2013 წელს იაპონიაში ფასების ზრდა დაფიქსირდა, რაც წარმოადგენს მთავრობის მიერ გატარებული პოლიტიკის (ე.წ. „აბენომიკის“) ერთ-ერთ უმთავრეს შედეგს და მნიშვნელოვანი წამახალისებელი ფაქტორია ბიზნეს აქტივობისთვის. რაც შეეხება მზარდ და განვითარებად ქვეყნებს, აშშ-ში მონეტარული სტიმულირების პროგრამის შეკვეცის შედეგად გამოწვეული კაპიტალის გადინებით მრავალი მათგანი დაზარალდა, რასაც ადგილობრივ ვალუტებზე გაუფასურების ზენოლა მოჰყვა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით, 2013 წელს გლობალური ეკონომიკური ზრდა 3.0 პროცენტს შეადგენს, ხოლო 2014 და 2015 წლებში კი მაჩვენებელი 3.7 პროცენტსა და 3.9 პროცენტს მიაღწევს, შესაბამისად.

ღიაგრამა N 1.1 მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა მსოფლიოში




წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი, World Economic Outlook (განახლება იან. 2014).

მსოფლიო მასშტაბით ინფლაცია ძირითადად ზომიერ დონეზე ნარჩუნდება. აღნიშნულის მიზეზი მაღალი უმუშევრობა, ფისკალური კონსოლიდაცია, ფინანსური დისბალანსების აღმოფხვრის ხანგრძლივი პროცესი და ჭარბი მიწოდებაა. განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში ინფლა-

ცია 1.5-2 პროცენტის ფარგლებში მერყეობდა. ამასთან, იაპონიამ შეძლო და დაძლია ფასების კლების მუდმივად პრობლემატური ტენდენცია. 2013 წელს განვითარებად ქვეყნებში ინფლაციის მაჩვენებელი ძირითადად 10 პროცენტის ქვემოთ ფიქსირდებოდა.

ღიაბრმა N 1.2 ინფლაცია მსოფლიოში



წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი, World Economic Outlook (განახლება იან. 2014).

აშშ-ში სახელმწიფო ვალის ზედა ზღვრის ირგვლივ არსებულმა კონფორმაციამ და გასული წლის ოქტომბერში ფედერალური მთავრობის საქმიანობის იძულებითმა შეჩერებამ მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა სამომხმარებლო განწყობას, რასაც თან დაერთო ბიზნეს განწყობის გაუარესებაც. აღნიშნული გაურკვეველობა აისახება მოთხოვნის არასათანადო ზრდასა და უმუშევრობის წელი ტემპით შემცირებაში. მიუხედავად ამისა, აშშ-ის ეკონომიკის ფუნდამენტური მაჩვენებლები ეტაპობრივად მაინც უმჯობესდება. მშპ-ის ზრდა გასული წლის ბოლოსკენ მოსალოდნელზე მაღალი დაფიქსირდა (სასაქონლო მარაგების შევსების ხარჯზე), რამაც სსფ-ის მიერ შეფასებული 2013 წლის მაჩვენებელი 1.5 პროცენტიდან 1.9 პროცენტამდე გააუმჯობესა. ინფლაცია ზომიერ ფარგლებში დარჩა – დეკემბერში ფასების წლიურმა ზრდამ მხოლოდ 1.5 პროცენტი შეადგინა. იმავდროულად, უმუშევრობის დონე 7 პროცენტამდე დაეცა, რამაც ნაწილობრივ განსაზღვრა ფედერალური სარეზერვო სისტემის გადაწყვეტილება შემცირებინა მონეტარული სტიმულირების პროგრამით გათვალისწინებული ფასიანი ქაღალდების ყოველთვიური შესყიდვები. სსფ-ის პროგნოზით, აშშ-ის ეკონომიკა გააგრძელებს გაჯანსაღებას და 2014 წელს მშპ-ის წლიური ზრდა 2.8 პროცენტი,

ხოლო 2014 წელს – 3.0 პროცენტი იქნება.

მიუხედავად არსებული მნიშვნელოვანი გამოწვევებისა, ევროზონაში პოზიტიური ცვლილებები შეინიშნება. რეალური მშპ-ის ზრდა გასული წლის მეორე კვარტალში დადებითი გახდა, რითაც, საყოველთაო მოსაზრებით, რეცესიიდან გამოსვლის პროცესი დაიწყო. ამაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ევროპის ცენტრალური ბანკის მიერ შემუშავებულმა პირდაპირი მონეტარული ტრანზაქციების (Outright monetary transactions) პროგრამამ, რომლის მიხედვითაც ბანკი მზადაა საჭიროების შემთხვევაში მეორად ბაზარზე შეიძინოს სუვერენული ფასიანი ქაღალდები. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა ჯერ-ჯერობით არ ამოქმედებულა, მან უკვე იმოქმედა მოლოდინებზე და სუვერენული ბონდების სპრედები მნიშვნელოვნად შეამცირა. თუმცა, ევროზონა კვლავაც რჩება შემდეგი მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე: ფისკალური კონსოლიდაცია, სუსტი შიდა და საგარეო მოთხოვნა, დისბალანსები ფინანსურ სექტორში, დეფლაციური პროცესები და სხვ. სსფ-ის შეფასებით, 2013 წელს მშპ-ის რეალური წლიური ზრდა -0.4 პროცენტი იქნება, ხოლო 2014 და 2015 წლებში კი შესაბამისად 1.0 პროცენტს და 1.5 პროცენტს მიაღწევს.

ზომიერი ეკონომიკური ზრდა დაფიქსირდა

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, სადაც სამომავლო პერსპექტივა დიდწილადაა დამოკიდებული ევროზონის გაჯანსაღების პროცესზე საგარეო მოთხოვნისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გამო. რეგიონში, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, კვლავაც მაღალია უმუშევრობა (10 პროცენტი - 30 პროცენტი) და მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი (6 პროცენტი - 15 პროცენტი). თუ მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შემცირებას მაღალი დოლარიზაცია და ფიქსირებული გაცვლითი კურსი უშლის ხელს, უმუშევრობის აღმოფხვრის შემაფერხებელი ფაქტორები ინდუსტრიალიზაციის დაბალი დონე, არაკვალიფიციური მუშახელი და არასაკმარისი ინვესტიციებია. სწორედ ინვესტიციების შემცირება გახდა მიზეზი უკრაინაში შიდა მოთხოვნის კლებისა, რასაც თან დაერთო კლებადი მოთხოვნა ერთ-ერთ მთავარ საექსპორტო პროდუქციაზე, ფოლადზე, რუსეთისა და ჩინეთის მხრიდან (რომლებიც თავადაც მერყევ მაკრო გარემოში იმყოფებიან). სავარაუდოდ, სსფ-ის მიერ პროგნოზირებული უკრაინის მშპ-ის ზრდა (2014 წელს 1.5 პროცენტი) შემცირების მიმართულებით გადაიხედება, რაშიც ასევე გათვალისწინებული იქნება წლის ბოლოს განვითარებული პოლიტიკური კრიზისიც.

საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი, თურქეთი, კვლავაც ფინანსური დისბალანსის წინაშე დგას. ადგილობრივი ვალუტის გაუფასურებას, კაპიტალის შემოდინების მნიშვნელოვან შემცირებას და მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთების ზრდას 2013 წელს თან დაერთო მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის მნიშვნელოვანი გაუარესება, თუმცა, ევროზონაში ეკონომიკური აქტივობის გამოცოცხლებასთან ერთად, სავარაუდოა საგარეო მოთხოვნის ზრდა უახლოეს მომავალში. წლიურ დონეზე გაცვლითი კურსის 20 პროცენტამდე გაუფასურებამ გავლენა იქონია ინფლაციის მაჩვენებელზე, რომელმაც მოიმატა წლიურ 8 პროცენტამდე. არსებული შეფასებით, თურქეთის ეკონომიკა 2013 წელს 3.2 პროცენტით გაიზარდა, ხოლო 2014 და 2015 წელს ეს მაჩვენებელი 2.5 პროცენტსა და 3.0 პროცენტს მიაღწევს, შესაბამისად.

1.2 ეკონომიკური ზრდა

2013 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის რეალურმა ზრდამ 2012 წელთან შედარებით წინასწარი მონაცემებით 3.2 პროცენტით შეადგინა. წლის პირველი სამი კვარტალის განმავლობაში დაბალი ეკონომიკური აქტივობა ფიქსირდებოდა და შესაბამისად მშპ-ს ზრდის მაჩვენებელი 1.4-2.4 პროცენტის ფარგლებში იყო. მეოთხე კვარტალში მშპ-ს ზრდის ტემპი საგრძნობლად გაიზარდა და 7.1 პროცენტს გაუტოლდა, რაც, ერთი მხრივ, ეკონომიკური აქტივობის გამოცოცხლებით, ხოლო, მეორე მხრივ, საბაზო ეფექტით არის გამოწვეული.

წლის დასაწყისში ზრდის შეფერხება უმეტესად მშენებლობის დარგში მნიშვნელოვანმა შემცირებამ გამოიწვია. პირველი სამი კვარტალის განმავლობაში მშენებლობის დამატებული ღირებულება წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 13.6 პროცენტით შემცირდა, რაც ძირითადად მთავრობის მიერ დაფინანსებული ინფრასტრუქტურული პროექტების კლებამ გამოიწვია. კერძოდ, თითქმის განახევრდა ბიუჯეტიდან დაფინანსებული ინფრასტრუქტურული პროექტების მოცულობა. მშენებლობის დარგის კლებაში მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე საბაზო ეფექტიც. კერძოდ, 2012 წლის პირველი სამი კვარტალის განმავლობაში განსაკუთრებით მაღალი ზრდა ფიქსირდებოდა. მთლიანად წლის განმავლობაში მშენებლობის დარგი 10.6 პროცენტით შემცირდა.

2013 წლის ეკონომიკური ზრდის დაბალი მაჩვენებელი მშენებლობასთან ერთად მრეწველობის შედარებით დაბალმა ზრდამ განაპირობა. წინა წლებთან შედარებით დაბალი ზრდა დაფიქსირდა დამამუშავებელი მრეწველობის დარგში (8.4 პროცენტი). მთლიანად მრეწველობის დაბალი ზრდის მიუხედავად, აღსანიშნავია, რომ გასული წლის განმავლობაში მაღალი ზრდა ფიქსირდებოდა ექსპორტზე ორიენტირებულ დარგებში, როგორცაა მინერალური და უალკოჰოლო სასმელების წარმოება (27 პროცენტი), ალკოჰოლიანი სასმელების წარმოება (29 პროცენტი), ასევე მეტალურგიული

პროდუქციისა და ლითონის მზა ნაკეთობების წარმოება (6 პროცენტი). აგრეთვე მნიშვნელოვნად მოიმატა კვების მრეწველობის პროდუქტების წარმოებამ (23 პროცენტი).

მთელი წლის მანძილზე მაღალი ზრდა აღინიშნა სოფლის მეურნეობის დარგში (9.8 პროცენტი), რაც გამომწვეული იყო, ერთი მხრივ, სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდის მიერ განხორციელებული მასშტაბური ინვესტიციებით, ხოლო, მეორე მხრივ, უხვმოსავლიანობით. 2013 წელს მაღალი ზრდა დაფიქსირდა და წლიურ ზრდაში შესაბამისად პოზიტიური წვლილი შეიტანა ისეთმა დარგებმა, როგორცაა ვაჭრობა, ტრანსპორტი, სასტუმროები და რესტორნები. წინა წლებთან შედარებით შემცირდა, მაგრამ კვლავაც მაღალია საფინანსო სექტორის ზრდა.

ცხრილი N 1.1 მთლიანი შიდა პროდუქტი დარგობრივ ჭრილში

	2011		2012		2013	
	რეალური ზრდა	წვლილი ზრდაში	რეალური ზრდა	წვლილი ზრდაში	რეალური ზრდა	წვლილი ზრდაში
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და თევზჭერა	8.0%	0.6%	-3.7%	-0.3%	9.8%	0.7%
სამთომოპოვებითი მრეწველობა	-8.5%	-0.1%	6.6%	0.1%	-0.1%	0.0%
დამამუშავებელი მრეწველობა	13.9%	1.1%	13.6%	1.2%	8.4%	0.7%
ელექტროენერჯის, ბუნებრივი აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	7.2%	0.2%	0.5%	0.0%	4.0%	0.1%
პროდუქციის გადამამუშავება შინამეურნეობების მიერ	7.1%	0.2%	-2.2%	-0.1%	5.6%	0.1%
მშენებლობა	7.1%	0.4%	13.6%	0.8%	-10.6%	-0.7%
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი სარგებლობის საგნების რემონტი	5.6%	0.8%	7.2%	1.1%	5.1%	0.7%
სასტუმროები და რესტორნები	8.0%	0.2%	11.3%	0.2%	7.2%	0.1%
ტრანსპორტი	6.7%	0.5%	6.7%	0.4%	4.9%	0.3%
კავშირგაბმულობა	8.1%	0.3%	9.9%	0.3%	2.3%	0.1%
საფინანსო საქმიანობა	24.3%	0.6%	15.0%	0.3%	7.4%	0.2%
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და კომერციული მომსახურება	11.3%	0.5%	5.3%	0.2%	7.5%	0.4%
საკუთარი საცხოვრისის გამოყენების პირობითი რენტა	2.9%	0.1%	3.7%	0.1%	3.1%	0.1%
სახელმწიფო მმართველობა	3.3%	0.4%	3.2%	0.3%	2.2%	0.2%
განათლება	2.7%	0.1%	2.9%	0.1%	4.6%	0.2%
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური მომსახურება	1.3%	0.1%	2.8%	0.1%	0.0%	0.0%
კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურება	7.8%	0.3%	6.9%	0.3%	-0.8%	0.0%
შინამოსამსახურის საქმიანობა და შინამეურნეობების საქმიანობა, დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან საკუთარი მოხმარებისთვის	15.3%	0.0%	7.0%	0.0%	-0.7%	0.0%
ფინანსური შუამავლობის მომსახურების არაპირდაპირი შეფასება	20.5%	-0.2%	10.3%	-0.1%	11.4%	-0.1%
გადასახადები პროდუქციაზე (+)	10.2%	1.4%	7.5%	1.1%	1.0%	0.2%
სუბსიდიები პროდუქციაზე (-)	8.5%	0.0%	-0.4%	0.0%	14.1%	-0.1%
მშპ საბაზრო ფასებში		7.2%		6.2%		3.2%

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

მოთხოვნა

2013 წელს ეკონომიკური ზრდის ტემპის შენელება ძირითადად შიდა მოთხოვნის სისუსტით აიხსნება. შიდა მოთხოვნის შემცირება განსაკუთრებით პირველი სამი კვარტალის განმავლობაში იყო თვალშისაცემი. 2013 წლის პირველი სამი კვარტალის განმავლობაში სუსტი შიდა მოთხოვნა საბოლოო მოხმარების ხარჯებზე აისახა. კერძო სექტორის მოხმარება გასული წლის პირველ 9 თვეში დაახლოებით 2012 წლის დონეზე იყო, ხოლო სახელმწიფო მოხმარება საგრძნობლად შემცირდა.


განსხვავებული სურათი იყო მეოთხე კვარტალში, როდესაც, ერთი მხრივ, საარჩევნო პერიოდების გაურკვეველობის დასრულებამ, ხოლო, მეორე მხრივ, მნიშვნელოვნად შერბილებულმა მონეტარულმა პოლიტიკამ კერძო სექტორის გააქტიურება გამოიწვია, რაც შესაბამისად აისახა მოხმარების ზრდაზე. ამავე პერიოდში საგრძნობლად გაიზარდა სახელმწიფო მოხმარება, რამაც დამატებითი სტიმული მისცა მთლიანი მოხმარების ზრდას.

გასული წლის განმავლობაში შიდა მოთხოვნის სისუსტე ასევე აისახა ინვესტიციების შემცირებაზე. ინვესტიციები 2013 წელს 12 პროცენტით შემცირდა. სახელმწიფოს მხრიდან ინფრასტრუქ-

ტურულ პროექტებზე ინვესტირების შემცირება უარყოფითად აისახა ძირითადი კაპიტალის ფორმირებაზე. კერძო სექტორი პასიური იყო და შესუსტებულ მოთხოვნას უპირატესად მარაგების შემცირების ხარჯზე აკმაყოფილებდა, რაც თავისთავად ზღუდავდა მათი შევსების მთავარ წყაროს, საქონლის იმპორტს.

2013 წელს სუსტი შიდა მოთხოვნის ფონზე ეკონომიკურ ზრდას ძირითადად საგარეო მოთხოვნა განაპირობებდა. წლის განმავლობაში საქონლისა და მომსახურების ექსპორტი 20 პროცენტით გაიზარდა. უკვე არსებული ბაზრების გაფართოებასთან ერთად გაჩნდა ახალი საექსპორტო მიმართულებები, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა საქონლის ექსპორტი. ამავე დროს მაღალი ზრდა დაფიქსირდა მომსახურების ექსპორტშიც, რაც ძირითადად ტურიზმის სექტორში ზრდის ტენდენციის შენარჩუნებით არის გამოწვეული. იმპორტის შენელებისა და ექსპორტის ზრდის ფონზე წმინდა ექსპორტი წლის მანძილზე ზრდის მთავარი მამოძრავებელი იყო. აღსანიშნავია, რომ წინა წლები-საგან განსხვავებით 2013 წელს საქონლისა და მომსახურების ექსპორტის ზრდამ აბსოლუტურ გამოხატულებაში მნიშვნელოვნად გადააჭარბა იმპორტის ზრდას.

ღიაბრაზა N 1.3 მშპ-ს ზრდა დანახარჯების მიხედვით




წყარო: საქსტატი.

2009 წლიდან მოყოლებული ზრდის ტენდენცია აქვს მთლიანი დანაზოგების მაჩვენებელს, რაც გაგრძელდა 2013 წელსაც და მთლიანმა დანაზოგებმა 18 პროცენტს გადააჭარბა. დანაზოგების აღნიშნული მატება ნაწილობრივ აფინანსებს ინვესტიციებს. ეროვნული დანაზოგების ზრდის

ტემპის შენარჩუნება მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ დანაზოგების არსებული დონე ჯერ არ არის საკმარისი მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის მდგრად დონემდე შემცირების უზრუნველსაყოფად.

ღიაბრაზა N 1.4 დანაზოგების დინამიკა



წყარო: საქსტატი.


1.3 სამომხმარებლო ფასების ცვლილება

საქართველოს ეროვნული ბანკის ძირითად ამოცანას ქვეყანაში ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა წარმოადგენს. 2012 წელს დაწყებული დეფლაციური პროცესი 2013 წელსაც გაგრძელდა. დეფლაციის მაჩვენებელი წლის პირველ კვარტალში 1.5-2 პროცენტის ფარგლებში მერყეობდა. შემდგომ პერიოდებში, ფასების

საერთო დონის ცვლილების ინდიკატორმა მატება დაიწყო და წლის ბოლოსათვის 2.4 პროცენტს გაუტოლდა. ამგვარად, წლიური ინფლაცია მნიშვნელოვნად ჩამორჩება საქართველოს ეროვნული ბანკის მიზნობრივ მაჩვენებელს, რომელიც საშუალოვადიანი პერიოდისათვის 6 პროცენტს შეადგენს⁴. ანალოგიურად, წლის მეორე ნახევარში დადებითი გახდა და ზრდის ტენდენციით ხასიათდება საბაზო ინფლაციის მაჩვენებელიც (სურსათისა და ენერგომატარებლების გარეშე), რომელიც დეკემბრის ბოლოსათვის 0.9 პროცენტს გაუტოლდა.

4. 2015 წლიდან მიზნობრივი მაჩვენებელი 5 პროცენტამდე შემცირდება.

დინარამ N 1.5 მილიანი და საბაზო (სურსათისა და ენერგომატარებლების გარეშე) ინფლაციები (2008-2013 წლები)



წყარო: საქსტატი და საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები.

სამომხმარებლო ფასების ინდექსის დინამიკას და წლიური ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლიდან გადახრას განაპირობებს ეკონომიკაში როგორც მინოდების, ისე მოთხოვნის მხრიდან მოქმედი ფაქტორები.

ისევე როგორც სხვა დაბალშემოსავლიან ქვეყნებში, საქართველოშიც სურსათის ხვედრითი წილი სამომხმარებლო კალათაში შედარებით მაღალია და შესაბამისად, მაღალია ინფლაციის მაჩვენებლის მგრძობელობა სურსათის ფასების ცვლილების მიმართ. 2013 წლის განმავლობაში, ინფლაციის დინამიკა და მიზნობრივი მაჩვენებლიდან მნიშვნელოვანი ჩამორჩენა დიდწილად სურსათზე დაფიქსირებული ფასების ცვლილების შედეგია. წლის პირველ ნახევარში სახეზე იყო სურსათზე საბაზო ეფექტით გამოწვეული ფასების შემცირება. წინა წლებში, როგორც რეგიონში, ასევე მსოფლიოში განსაკუთრებით ცუდი მოსავლიანობის გამო, სასურსათო პროდუქციაზე ფასების მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა. სურსათის აღნიშნული გაძვირება დროებითი ხასიათის იყო და შესაბამისად მოსალოდნელი იყო მოსავლიანობის ზრდასთან ერთად შემდგომ წლებში ამ ტრენდის შებრუნება. თუმცა, როგორც ცნობილია, ფასების

ელასტიურობა კლების მიმართულებით უფრო ნაკლებია, ვიდრე ზრდის მიმართულებით. ამდენად მინოდების შეზღუდვის გამო გაზრდილი ფასების კვლავ შემცირება განგრძობადი პროცესია და ინფლაციაზე 2013 წლის განმავლობაშიც ახდენდა გავლენას. აღნიშნული პროცესის შედეგად, 2013 წლის დასაწყისიდანვე სურსათზე ფასების წლიური კლება ფიქსირდებოდა. დეფლაციის მაჩვენებელმა აპრილის ბოლოსათვის 4.1 პროცენტს მიაღწია. წლის მეორე ნახევარში, საბაზო ეფექტის მილევის შედეგად, კლების ტემპი შემცირდა და წლის ბოლოსათვის სურსათის ფასების მთლიანი ინდექსი მატების მიმართულებით წავიდა. დეკემბრის მონაცემებით, სამომხმარებლო კალათაში შემავალ სურსათზე ფასების ცვლილებამ 6.3 პროცენტი შეადგინა და მისი გავლენა წლიური ინფლაციის საერთო მაჩვენებელზე დაახლოებით 1.7 პროცენტულ პუნქტს გაუტოლდა.

გარდა ამისა, 2012-2013 წლებში განხორციელებულმა კომუნალური გადასახდელების შემცირებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მთლიანი ინფლაციის მაჩვენებელზე. 2013 წლის დასაწყისში შემცირდა ელექტროენერჯისა და გაზის მოხმარების ტარიფები. ადმინისტრირებადი ფასების

მეოთხე კვარტალში, ეკონომიკაში მოთხოვნის მხარეს არსებული ფაქტორებიდან ფასებზე უარყოფითი მიმართულებით ზემოქმედება შემცირდა. გაურკვევლობის მიღევამ და შერბილებული მონეტარული პოლიტიკის ფონზე შემცირებულმა საპროცენტო განაკვეთებმა განაპირობა საკრედიტო აქტივობის გამოცოცხლება. კომერციული ბანკების მხრიდან ეკონომიკის დაკრედიტებამ ხელი შეუწყო ადგილობრივი მოთხოვნის ზრდას. ამასთან, მასტიმულირებელი ეფექტი ჰქონდა წლის ბოლოსათვის ბიუჯეტის ხარჯების ზრდას. აღსანიშნავია, რომ ერთობლივი მოთხოვნის მატებაზე მიუთითებდა საგარეო სექტორის მაჩვენებლებიც. წლის ბოლოსათვის მკვეთრად იმატა იმპორტმა, რომელიც წინა პერიოდების განმავლობაში მნიშვნელოვნად დაბალ დონეზე იყო. ადგილობრივი მოთხოვნის წახალისებას ხელს უწყობდა მზარდი ფულადი გზავნილები. წინა წელთან შედარებით საგარეო მოთხოვნის მატებაზე მეტყველებდა ის ფაქტი, რომ ზრდის მაღალი ტემპები დაფიქსირდა ექსპორტის შემთხვევაში.

ცალკეული სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ფასების ცვლილების განხილვა გვიჩვენებს, რომ 2013 წლის ბოლოსათვის, სამომხმარებლო ფასების საერთო დონის ზრდის შედარებით მაღალი ტემპები დაფიქსირდა „სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების“ კატეგორიაში შემავალ პროდუქტებზე და 5.6 პროცენტი შეადგინა. კიდევ უფრო მაღალი (8.1 პროცენტი) იყო ფასების მატება „ალკოჰოლური სასმელების და თამბაქოს“ ჯგუფში, რაც თამბაქოს ნაწარმზე აქციზის ზრდამ განაპირობა. ფასების საერთო დონის მატება დაფიქსირდა „საცხოვრე-

ბელი სახლი, წყალი, ელექტროენერჯია, აირი და სათბობის სხვა სახეების“ და „სასტუმროების, კაფეების და რესტორნების“ კატეგორიებში შემავალ საქონელსა და განუვლ მომსახურებაზე, სადაც ფასების დონე შესაბამისად 3.9 პროცენტით და 2.3 პროცენტით გაიზარდა. შედარებით ნაკლები ინფლაციის მაჩვენებელი დაფიქსირდა „ჯანმრთელობის დაცვის“, „განათლების“ და „დასვენება, გართობა და კულტურის“ სასაქონლო ჯგუფების შემთხვევაში (1.5 პროცენტი, 0.5 პროცენტი და 0.2 პროცენტი შესაბამისად). ფასების საერთო დონის ზრდის ფონზე აღსანიშნავია, რომ ფასების კლება დაფიქსირდა რამდენიმე ჯგუფში. კერძოდ, 2012 წელთან შედარებით ფასები 5.5 პროცენტით შემცირდა „ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის“ კატეგორიაში, ხოლო 1.7 პროცენტით იკლო „ტრანსპორტის“ სექტორში შემავალი საქონლისა და მომსახურების ფასებმა. სასაქონლო ჯგუფში „ავიჯი, საოჯახო ნივთები და მოწყობილობები, სახლის მოვლა-შეკეთება“ ფასების საერთო დონის კლებამ 0.8 პროცენტი შეადგინა. კიდევ უფრო დაბალი ტემპით, 0.2 პროცენტით შემცირდა „კავშირგაბმულობის“ სფეროს საქონლისა და განუვლ მომსახურების ფასები.

საქონლის მოხმარების ხანგრძლივობის მიხედვით ფასების ცვლილების განხილვა გვიჩვენებს, რომ 2013 წლის განმავლობაში სამომხმარებლო ფასების საერთო დონე შემცირდა ხანგრძლივი და საშუალო ხანგრძლივობის მოხმარების საქონელზე, ხოლო ხანმოკლე მოხმარების საქონელსა და მომსახურებაზე, საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის, სამომხმარებლო ფასები გაიზარდა.

	2012 წლის დეკემბრის წონები	დეკ13/დეკ12		იან13დეკ13/იან12დეკ12	
		ინფლაცია	წვლილი	ინფლაცია	წვლილი
ჯანმრთელობის დაცვა	9.0%	1.5%	0.1%	2.7%	0.2%
ტრანსპორტი	12.7%	-1.7%	-0.2%	-3.3%	-0.4%
კავშირგაბმულობა	4.1%	-0.2%	0.0%	-0.3%	0.0%
დასვენება, გართობა და კულტურა	6.7%	0.2%	0.0%	-1.5%	-0.1%
განათლება	4.9%	0.5%	0.0%	-1.1%	-0.1%
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	5.2%	2.3%	0.1%	2.8%	0.1%
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	5.1%	-1.2%	-0.1%	-0.5%	0.0%

წყარო: საქსტატი.


1.4 სახელმწიფო ფინანსები

2013 წლის ბიუჯეტის დეფიციტმა მშპ-ს 2.6 პროცენტი შეადგინა. წინა წელთან შედარებით საგადასახადო შემოსავლები 0.2 პროცენტით, სამთავრობო ხარჯები კი 2.7 პროცენტით შემცირდა (ხარჯების შემცირებაში ყველაზე დიდი წვლილი არაფინანსურ აქტივებზე და საქონელი და მომსახურებაზე განუღებ ხარჯებზე მოდის). აღსანიშნავია, რომ 2013 წლის ბიუჯეტი უფრო მეტად არის ორიენტირებული სოციალურ საჭიროებებზე,

რაც სოციალური ხარჯების ზრდაში გამოიხატა.

2013 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლებმა და გრანტებმა 7.4 მლრდ ლარი შეადგინა, რაც თითქმის 160 მლნ ლარით ჩამორჩება 2012 წლის მონაცემს. 2013 წელს, საგადასახადო შემოსავლები უმნიშვნელოდ (0.2 პროცენტით) შემცირდა, ხოლო ნომინალური მშპ 2.5 პროცენტით გაიზარდა. შედეგად საგადასახადო ტვირთი წინა წელთან შედარებით 0.7 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 24.8 პროცენტი შეადგინა. საგადასახადო შემოსავლების სტრუქტურაში არაპირდაპირი გადასახადების წილი 55 პროცენტს შეადგენს, პირდაპირი გადასახადების კი შესაბამისად 45 პროცენტს.

ღიზარება N 1.8 ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები და მშპ-სთან თანაფარდობა




წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

საგადასახადო შემოსავლების ცვლილებაში ზრდის მიმართულებით ყველაზე დიდი წვლილი სა-შემოსავლო გადასახადზე მოდის (2.5 პროცენტული პუნქტი), რომელიც 9.6 პროცენტით გაიზარდა. კლების მხრივ კი ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილი დღგ-ს უკავია (-2.9 პროცენტული პუნქტი). აქედან 2.4 პროცენტული პუნქტი იმპორტირებული საქონლის დღგ-ზე მოდის, რომელიც 21.6 პროცენტით შემცირდა.

2013 წელს წინა წელთან შედარებით ნაერთი ბიუჯეტის ხარჯები 223.8 მლნ ლარით (2.7 პროცენტით) შემცირდა და 8.1 მლრდ ლარი შეადგინა.

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები 162.6 მილიონი ლარით შემცირდა და 7.52 მილიარდი ლარი შეადგინა, რაც წლის საბოლოო გეგმის 91.9 პროცენტია. 2013 წელს ნაერთი ბიუჯეტის ხარჯების თანაფარდობა მშპ-სთან წინა წელთან შედარებით 1.6 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 30.1 პროცენტი შეადგინა. ხარჯების შემცირება ძირითადად შეეხო არაფინანსურ აქტივებს (556 მლნ ლარი) და საქონელი და მომსახურების (286.8 მლნ ლარი) კატეგორიებს. საგრძნობლად გაიზარდა განუული სოციალური ხარჯები (437.4 მლნ ლარი).

დიაგრამა N 1.9 ნაერთი ბიუჯეტის ხარჯები და მათი თანაფარდობა მშპ-სთან




წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის მოცულობა თავდაპირველად 741.6 მლნ ლარით განისაზღვრა, შემდგომში სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის გეგმა გაიზარდა 755.6 მლნ ლარამდე. ფაქტობრივი დეფიციტი დაგეგმილზე მცირე იყო (711 მლნ ლარი) და მშპ-ს 2.7 პროცენტი შეადგინა. რაც შეეხება ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტს, მან 705.8 მლნ ლარი (მშპ-ს 2.6 პროცენტი) შეადგინა

(იხ. დიაგრამა N1.10). დეფიციტის დაფინანსება ძირითადად თავისუფალი საბრუნავი სახსრების 370.9 მლნ ლარით შემცირებით მოხდა. საგარეო ვალდებულებების წმინდა ზრდამ 131.6 მლნ ლარი, ხოლო შიდა ვალის ზრდამ 77.6 მლნ ლარი შეადგინა. პრივატიზაციით კი დეფიციტი 125.7 მლნ ლარით დაფინანსდა.

ღიაზრება N 1.10 ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი და მშპ-სთან თანაფარდობა



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.


2013 წელს საქართველოს სახელმწიფო და სა-
ხელმწიფო გარანტიით აღებული საგარეო ვალი
145.9 მლნ ლარით შემცირდა და 31 დეკემბრის
მდგომარეობით 7.85 მლრდ ლარი შეადგინა. მნიშ-
ვნელოვნად შემცირდა საქართველოს მთავრობის
და ეროვნული ბანკის ვალი საერთაშორისო სავა-
ლუტო ფონდთან, სრულად დაიფარა 2008 წელს
გამოშვებული ევროობლიგაციები. ზრდა კი შეე-
ხო მთავრობის ვალს მსოფლიო ბანკთან, ერო-
პის საინვესტიციო ბანკთან, აზიის განვითარების
ბანკთან, ხოლო ქვეყნებიდან გერმანიასთან და
იაპონიასთან. 2013 წელს სახელმწიფო საგარეო
ვალმა⁷ საქართველოს მშპ-ს 29.3 პროცენტი შეად-
გინა, რაც 1.3 პროცენტული პუნქტით ნაკლებია
2012 წლის მონაცემზე.

2013 წელს ფინანსთა სამინისტრომ გააგრძელა
სახაზინო ვალდებულებებისა და ობლიგაციების
გამოშვება, რომლის მიზანსაც ბიუჯეტის დეფი-
ციტის დაფინანსება, ფასიანი ქაღალდების ბაზრის
განვითარება და ვალის მართვის გაუმჯობესება
წარმოადგენს. სულ 2013 წელს 383 მლნ ლარის
სახაზინო ვალდებულებები იქნა გამოშვებული, და-
ფარვებმა კი 233 მლნ ლარი შეადგინა. წინა წელ-
თან შედარებით შიდა ვალის წილი მშპ-ში 0.2 პრო-
ცენტული პუნქტით გაიზარდა და 7.5 პროცენტი
შეადგინა. მთლიანმა სახელმწიფო ვალმა მშპ-ს
36.8 პროცენტი შეადგინა; აღნიშნული დონე ვა-
ლის მდგრადობის კრიტიკულ მაჩვენებელზე მნიშ-
ვნელოვნად (მშპ-ს 60 პროცენტი) ნაკლებია.

6. მთავრობა და ეროვნული ბანკი.

7. სახელმწიფო საგარეო ვალი მოიცავს მთავრობისა და ეროვნული ბანკის საგარეო ვალს.

ღიაზრება N 1.11 სახელმწიფო ვალი და მშპ-სთან ფარდობა (1998-2013 წწ.)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი და ფინანსთა სამინისტრო.

1.5 საგარეო სექტორი და საბადასახდელი ბალანსი

2013 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი მკვეთრად გაუმჯობესდა და მთლიანი შიდა პროდუქტის 5.9 პროცენტი შეადგინა, 2012 წელთან შედარებით ეს მაჩვენებელი 5.8 პროცენტული პუნქტითაა შემცირებული. აბსოლუტურ

გამოსახულებაში 2013 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი წინა წელთან შედარებით 903 მლნ აშშ დოლარით გაუმჯობესდა და 951 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

ღიაზრება N 1.12 მიმდინარე ანგარიშის კომპონენტების ფარდობა მშპ-სთან




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

მიმდინარე ანგარიშის მკვეთრი გაუმჯობესება ძირითადად საქონლით ვაჭრობის ბალანსის გაუმჯობესებამ განაპირობა. 2013 წლის განმავლობაში წინა წელთან შედარებით 21.2 პროცენტით გაიზარდა საქონლის ექსპორტი, ამავე დროს იმპორტის ზრდა წელთან ახლოს იყო და 0.3 პროცენტით შეადგინა. შედეგად, საქონლით ვაჭრობის ბალანსი 2012 წელთან შედარებით 724 მლნ აშშ დოლარით გაუმჯობესდა და -3.5 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა.

მომსახურებით ვაჭრობიდან მიღებული შემოსავლები ინარჩუნებს ბოლოდროინდელ მზარდ ტენდენციას. 2013 წელს მომსახურებით ვაჭრობიდან მიღებული წმინდა შემოსავლები წლიურად 28 პროცენტით გაიზარდა და 1.41 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მიმდინარე ანგარიშის დეფიცი-

ტის გაჯანსაღებაზე. მომსახურების ექსპორტიდან მიღებული შემოსავლების ზრდა ძირითადად ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების ზრდით არის განპირობებული. 2013 წელს ზრდა დაფიქსირდა როგორც საქმიანი, ასევე პირადი ტურიზმის სფეროებში, ხოლო საერთო ჯამში ტურიზმიდან მიღებული წმინდა შემოსავლები 2013 წლის განმავლობაში წინა წელთან შედარებით 23 პროცენტით გაიზარდა და 1.43 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. სტაბილურად იზრდება საქართველოში უცხოელ ვიზიტორთა რიცხვი, 2013 წელს ამ მაჩვენებელმა 5.4 მილიონს მიაღწია. მიუხედავად ვიზიტორთა ზრდის ტემპის შესუსტებისა წინა წელთან შედარებით, ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები მიმდინარე ანგარიშის ფორმირებაში სულ უფრო მეტად მნიშვნელოვანი ხდება.

ღიაბრავა N 1.13 საქართველოში შემოსული უცხოელი ვიზიტორების რაოდენობა



წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია.


2013 წელს 4.4 პროცენტით გაიზარდა მიმდინარე ტრანსფერები და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სავაჭრო დეფიციტის დაფინანსებაში. წინა წლებთან შედარებით მიმდინარე ტრანსფერების წლიური ზრდის ტემპი შემცირებულია, რაც ძირითადად სამთავრობათაშორისი ტრანსფერების შემცირებით არის გამოწვეული. 2013 წელს წლიურად 7 პროცენტით გაიზარდა კერძო გზავნილები, რამაც უმთავრესად განაპირობა მიმდინარე ტრანსფერების საერთო ზრდა.

2013 წელს გაიზარდა შემოსავლის ბალანსის უარყოფითი ზენოლა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტზე. ამ პერიოდში შემოსავლის ნეგატიური ბალანსი გაორმაგდა და -337 მლნ აშშ დოლარს მიაღწია, რაც განპირობებული იყო საინვესტიციო შემოსავლების ქვეყნიდან გადინების სწრაფი ზრდით. მიუხედავად ბოლო წლებში შემოსავლების ბალანსის შემცირების ტენდენციისა, მისი წვლილი მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის ფორმირებაში მცირედი რჩება.

2013 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი ძირითადად პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით დაფინანსდა. 2013 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სახით საქართველოში შემოვიდა 1,010 მლნ აშშ დოლარი, რაც 10.8 პროცენტით

აღემატება 2012 წლის მაჩვენებელს. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის კუთხით 2013 წელს ყველაზე უფრო აქტიური იყო ენერჯეტიკის, საფინანსო და ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის სექტორები.

ღიაბრაზი N 1.14 მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების წყაროები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

2013 წლის განმავლობაში წმინდა საერთაშორისო რეზერვები 246 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ გასულ წელს დაიფარა სსფ კრედიტი 382 მლნ აშშ დოლარის ოდენობით. საბოლოო ჯამში 2013 წლის განმავლობაში მთლიანი საერთაშორისო რეზერვი უმნიშვნელოდ შემცირდა და 2.8 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა.

2013 წელს 36.5 მლნ აშშ დოლარით შემცირდა წმინდა პორტფელური ინვესტიციები. შემცირება ძირითადად განპირობებული იყო არარეზიდენტების მიერ 143.6 მლნ აშშ დოლარის ღირებულების სამთავრობო ობლიგაციების გაყიდვით. წინა წლებში სხვა ინვესტიციების წვლილი მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსებაში მაღალი იყო, თუმცა 2013 წელს სხვა ინვესტიციების

სახით მოზიდული წმინდა სახსრები უარყოფითი იყო და 62.2 მლნ აშშ დოლარით შემცირდა. სხვა ინვესტიციების შემცირება წინა წლებთან შედარებით გამოწვეული იყო როგორც სამთავრობო, ასევე კერძო სექტორის მიერ საგარეო ვალების დაფარვით. კერძოდ, 2013 წელს მოხდა მთავრობის სავალუტო ფონდის კრედიტის დაფარვა 140.5 მლნ აშშ დოლარის ოდენობით, ასევე შემცირდა საბანკო სექტორის საგარეო ვალი 130 მლნ აშშ დოლარის ოდენობით, რის დიდ ნაწილსაც მოკლევადიანი სესხის დაფარვა შეადგენდა. 2013 წლის განმავლობაში 129,2 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა ბანკების მიერ მოზიდული არარეზიდენტთა დეპოზიტები.

ცხრილი N 1.3 საგადასახდელი ბალანსის ანალიტიკური წარმოდგენა

დასახელება	2009	2010	2011	2012	2013
მიმდინარე ანგარიში	-1,134	-1,193	-1,840	-1,854	-951
საქონელი	-2,340	-2,590	-3,494	-4,216	-3,492
ექსპორტი	1,894	2,462	3,254	3,502	4,246
იმპორტი	-4,293	-5,052	-6,748	-7,718	-7,738
მომსახურება	340	513	747	1,101	1,410
კრედიტი	1,314	1,599	2,008	2,544	2,970
დებეტი	-974	-1,085	-1,261	-1,443	-1,560
შემოსავლები (წმინდა)	-41	-215	-423	-147	-337
აქედან: დარიცხული პროცენტი	-239	-252	-310	-395	-371
ტრანსფერი (წმინდა)	968	1,098	1,329	1,408	1,469
აქედან: სახელმწიფო სექტორი	141	174	144	118	92
აქედან: გზავნილები, კრედიტი	317	417	618	712	786
აქედან: სხვა კერძო ტრანსფერი კრედიტი	521	534	583	587	602
კაპიტალის ანგარიში	183	206	153	134	134
ფინანსური ანგარიში	1,367	980	2,224	1,979	1,126
პირდაპირი ინვესტიციები (წმინდა)	677	679	902	614	897
აქედან: პირდაპირი ინვესტიციები საქართველოში	659	814	1,048	911	1,010
ეროვნული ბანკი (წმინდა)	247	0	2	1	0
სახელმწიფო სექტორი	386	336	319	503	108
პორტფელის ინვესტიცია (წმინდა)	0	0	44	106	-172
გრძელვადიანი სესხები (მიღებული)	359	335	274	396	280
კერძო სექტორი (პირდაპირი ინვესტიციების გარდა)	57	-34	1,001	860	121
საბანკო სექტორი	-65	-211	834	200	-43
პორტფელის ინვესტიცია (წმინდა)	8	-10	89	232	133
სესხი (მიღებული)	-243	19	212	-88	-131
გრძელვადიანი	8	8	-1	3	-48
მოკლევადიანი	-251	11	213	-91	-83
სხვა წმინდა (ნაღდი ფული და დეპოზიტები)	171	-220	533	56	-45
სხვა სექტორი	122	177	168	659	164
პორტფელის ინვესტიცია (წმინდა)	2	261	1	510	2
გრძელვადიანი სესხები (მიღებული)	155	38	337	205	85
სხვა	-35	-122	-170	-56	77
შეცდომები და გამოტოვებები	35	-23	14	-23	-24
მთლიანი ბალანსი	451	-29	552	235	285
მთლიანი დაფინანსება	-451	29	-552	-235	-285
სარეზერვო აქტივები	-616	-208	-572	-38	45
ფონდის რესურსის გამოყენება	313	276	-59	-245	-382
განსაკუთრებული დაფინანსება	-147	-39	80	49	52
მნიშვნელოვანი კოეფიციენტები					
ექსპორტი / იმპორტი (საქონელი და მომსახურება)	-60.9%	-66.2%	-65.7%	-66.0%	-77.6%
მიმდინარე ანგარიში / მშპ (პროცენტი)	-10.5%	-10.3%	-12.7%	-11.7%	-5.9%
წმინდა შემოსავლები ტურიზმიდან / მშპ (პროცენტი)	2.7%	4.0%	5.1%	7.3%	8.8%
წმინდა ტრანსფერები / მშპ (პროცენტი)	9.0%	9.4%	9.2%	8.9%	9.1%
პირდაპირი ინვესტიციები / მშპ (პროცენტი)	6.3%	5.8%	6.2%	3.9%	5.6%

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

2013 წელს საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი წლიურად 22.4 პროცენტით გაიზარდა და 2.9 მლრდ აშშ დოლარს მიაღწია, ხოლო რეგისტრირებული იმპორტი 0.4 პროცენტით გაიზარდა 7.9 მლრდ აშშ დოლარამდე. შედეგად, მთლიანი სავაჭრო ბრუნვა წინა წელთან შედარებით 5.5 პროცენტით გაიზარდა. რეგისტრირებული საქონ-

ლით სავაჭრო დეფიციტმა 5.0 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 9.1 პროცენტით ნაკლებია. მიუხედავად რეგისტრირებული საქონლით ვაჭრობის დეფიციტის შემცირებისა იგი, წინა წლების მსგავსად, კვლავ მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის უმთავრეს წყაროდ რჩება.

ცხრილი N 1.4 რეგისტრირებული ექსპორტის და იმპორტის წლიური ზრდის ტემპები

დასახელება	2008	2009	2010	2011	2012	2013
ექსპორტი	21.4%	-24.2%	48.0%	30.5%	8.6%	22.4%
იმპორტი	20.9%	-28.6%	16.8%	34.3%	11.1%	0.4%
სავაჭრო დეფიციტი	20.8%	-30.0%	6.3%	36.0%	12.2%	-9.1%


წყარო: საქსტატი.

ბოლო წლების განმავლობაში, რეგისტრირებული საქონლით ექსპორტში იზრდება სამომხმარებლო საქონლის წილი შუალედური საქონლის წილის შემცირების ხარჯზე, ხოლო საინვესტიციო საქონლის წილი უცვლელად დაბალი რჩება. 2013 წელს სამომხმარებლო საქონლის ექსპორტის წილი მთლიან ექსპორტში წინა წელთან შედარებით 4 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და მთლიანი ექსპორტის 51 პროცენტი შეადგინა, 2 პროცენტული პუნქტით – 43 პროცენტამდე შემცირდა შუალედური საქონლის წილი მთლიან ექსპორტში, ხოლო საინვესტიციო ტიპის საქონლის წილი ექსპორტში უცვლელად 5 პროცენტი დარჩა. სამომხმარებლო საქონლის ექსპორტის ზრდა ძირითადად განპირობებული იყო მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტის ზრდით, ასევე მნიშვნელოვანი იყო ღვინის, სხვა სპირტიანი სასმელების და მინერალური წყლების ექსპორტის ზრდის როლი სამომხ-

მარებლო ტიპის საქონლის ექსპორტის ზრდაში.

ქართულ ექსპორტში მოცულობის მიხედვით კვლავ პირველ ადგილს იკავებს მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტი. 2013 წელს, წინა წელთან შედარებით, ავტომობილების რეექსპორტი 19.9 პროცენტით გაიზარდა და მსუბუქი ავტომობილების წილმა მთლიან ექსპორტში 24.2 პროცენტი შეადგინა. მეორე უმსხვილეს საექსპორტო პროდუქციას ფეროშენადნობები წარმოადგენს (მთლიანი ექსპორტის 7.9 პროცენტი), ამ ჯგუფის საქონლის ექსპორტი 2013 წელს წლიურად 11.7 პროცენტით შემცირდა. 2013 წელს მიღებულმა უხვმა მოსავალმა ხელი შეუწყო თხილის და კაკლის ექსპორტის გაორმაგებას და შედეგად ამ ჯგუფის საქონლის წილმა მთლიანი ექსპორტის 5.7 პროცენტი შეადგინა. ასევე აღსანიშნავია 2013 წელს სომხეთიდან შემოტანილი სპილენძის კონცენტრატების რეექსპორტის მკვეთრი ზრდა.

ღიზრება N 1.15 უმსხვილესი საექსპორტო სასაქონლო ჯგუფები 2012-2013 წლები




წყარო: საქსტატი.

უმსხვილეს საექსპორტო ჯგუფებში პოზიციები გაიმყარა ღვინის და მინერალური წყლების ექსპორტმა, რაშიც მნიშვნელოვანი როლი, მაღალ მოსავალთან ერთად, ქართული პროდუქციისათვის რუსეთის ბაზრის გახსნამაც შეასრულა. 2013 წელს, წინა წელთან შედარებით, ღვინის რეგისტრირებული ექსპორტი გაიზარდა 97.1 პროცენტით, ხოლო მინერალური წყლების – 80.1 პროცენტით. ათი უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფის წილმა 2013 წელს მთლიანი ექსპორტის 64 პროცენტი შეადგინა, რაც 2 პროცენტული პუნქტით აღემატება 2012 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

რაც შეეხება ექსპორტის გეოგრაფიულ ორიენტაციას, ქართული ექსპორტისთვის უმსხვილეს

ბაზრად აზერბაიჯანი რჩება, რომელზეც რეგისტრირებული ექსპორტის 24.4 პროცენტი მოდის. 2013 წელს წინა წელთან შედარებით აზერბაიჯანში ექსპორტი 13.3 პროცენტით გაიზარდა და 710.2 მლნ აშშ დოლარს მიაღწია, თუმცა ამ ბაზრის წილი ქართულ ექსპორტში 2 პროცენტული პუნქტით შემცირდა. 2013 წელს საექსპორტო ბაზრებში მეორე ადგილი სომხეთმა დაიკავა მთლიანი ექსპორტის 10.9 პროცენტით. საექსპორტო ბაზრების ხუთეულში ასევე შედიან უკრაინა, რუსეთი და თურქეთი, 2013 წელს ამ ქვეყნებზე მოვიდა მთლიანი ექსპორტის შესაბამისად 6.6 პროცენტი, 6.5 პროცენტი და 6.3 პროცენტი.

ღიზრება N 1.16 ექსპორტის მოცულობა რეგიონების მიხედვით 2008-2013 წლები




წყარო: საქსტატი.

2013 წელს გაიზარდა ექსპორტი დსთ-ის ქვეყნებში, რაც დიდწილად რუსეთის სავაჭრო ემბარგოს მოხსნით იყო განპირობებული. 2013 წელს დსთ-ის ბაზარზე ქართული ექსპორტის 55.7 პროცენტი გავიდა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 3.3 პროცენტული პუნქტით აღემატება. 2013 წელს 72.2 პროცენტით გაიზარდა ქართული ექსპორტი ევროკავშირში და მთლიანი ექსპორტის 20.9 პროცენტი შეადგინა, რაც ძირითადად განპირობებული იყო ბულგარეთში, იტალიასა და გერმანიაში ქართული ექსპორტის მკვეთრი ზრდით. დანარჩენი

ქვეყნების წილი მთლიან ექსპორტში 2012 წელთან შედარებით 9.4 პროცენტული პუნქტით შემცირდა და ამ ქვეყნებზე (ძირითადად თურქეთი და აშშ) მთლიანი ექსპორტის 23.4 პროცენტი მოვიდა.

2013 წელს შემცირდა საინვესტიციო და შუალედური მოხმარების საქონლის იმპორტი შესაბამისად 9.3 და 6.1 პროცენტით, სამომხმარებლო დანიშნულების საქონლის იმპორტი კი 14.8 პროცენტით გაიზარდა, რამაც საერთო ჯამში რეგისტრირებული საქონლის იმპორტის 0.4 პროცენტით ზრდა განაპირობა.

ღიზრანა N 1.17 რეგისტრირებული საქონლის იმპორტი სასაქონლო ჯგუფების მიხედვით



წყარო: საქსტატი.

2009 წლიდან მოყოლებული სტაბილურად იზრდებოდა როგორც საინვესტიციო, ასევე შუალედური და სამომხმარებლო ჯგუფების საქონლის იმპორტი. 2013 წელს, ქვეყანაში ეკონომიკური და საინვესტიციო აქტივობის შენელების პარალელურად, შემცირდა საინვესტიციო და შუალედური ტიპის საქონლის იმპორტი, ხოლო სამომხმარებლო საქონლის იმპორტმა ზრდა განაგრძო და მისმა წილმა მთლიან იმპორტში 45 პროცენტს მიაღწია, რაც 6 პროცენტული პუნქტით აღემატება 2012 წლის მაჩვენებელს.

რაც შეეხება იმპორტირებულ სასაქონლო ჯგუფებს, აქ პირველ ადგილს კვლავ ნავთობი და ნავთობპროდუქტები იკავებს მთლიანი იმპორტის 12.1 პროცენტით. ამ ტიპის საქონლის იმპორტი 2013 წელს წინა წელთან შედარებით 0.4 პროცენტით გაიზარდა და 954.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. უმსხვილეს საიმპორტო საქონელში მეორე ადგილს იკავებს მსუბუქი ავტომობილები მთლიანი რეგისტრირებული იმპორტის 9.0 პროცენტით. მსუბუქი ავტომობილების იმპორტი 2013 წელს 7.2


პროცენტით გაიზარდა და 710.5 მლნ აშშ დოლარს მიაღწია. აღნიშნული ავტომობილების ძირითადი ნაწილი რეექსპორტისთვის არის განკუთვნილი. აღსანიშნავია სამკურნალო საშუალებების იმპორტის ზრდის მაღალი ტემპი, ამ ჯგუფის საქონელი 2013 წელს წინა წელთან შედარებით 20.7 პროცენტით გაიზარდა და 280.7 მლნ აშშ დოლარს მიაღწია. ამ მაჩვენებლით სამკურნალო საშუალებებმა უმსხვილეს იმპორტირებულ სასაქონლო ჯგუფებს შორის მეოთხე ადგილი დაიკავა. 2013 წელს სამომხმარებლო ტიპის საქონლის იმპორტის ზრდა სწორედ ავტომობილების და სამკურნალო საშუალებების იმპორტის ზრდის ხარჯზე მოხდა.

2013 წელს 23.2 პროცენტით შემცირდა ხორბლის იმპორტი, რომელიც იმპორტირებულ საქონელში ღირებულების მიხედვით მეხუთე ადგილს იკავებს. ასევე 20.4 პროცენტით შემცირდა შაქრის იმპორტი. ღირებულების მიხედვით შაქარი საკვები პროდუქციის იმპორტში მესამე ადგილს იკავებს ხორბლის და ხორცპროდუქტების შემდეგ. სხვა საკვები პროდუქტებიდან აღსანიშნავია

შოკოლადის და კაკაოს (17.1 პროცენტით), ღორის ხორცის (18 პროცენტით) და გაყინული თევზის (5 პროცენტით) იმპორტის ზრდა. 2013 წელს უმსხ-

ვილესი ათი სასაქონლო ჯგუფის წილი მთლიან იმპორტში წინა წელთან შედარებით 2.9 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 37.6 პროცენტს მიაღწია.

ღიაგრამა N 1.18 უმსხვილესი იმპორტირებული სასაქონლო ჯგუფები 2012-2013




წყარო: საქსტატი.

ცალკეული ქვეყნებიდან საქართველოში უმსხვილეს იმპორტიორად წინა წლების მსგავსად თურქეთი რჩება მთლიანი რეგისტრირებული იმპორტის 17.1 პროცენტით. 2013 წელს მისი წილი იმპორტში მცირედით შემცირდა (0.7 პროცენტული პუნქტი), მიუხედავად ამისა, თურქეთიდან იმპორტის მოცულობა კვლავ მნიშვნელოვნად აღემატება აზერბაიჯანულ იმპორტს, რომელმაც 2013 წელს მთლიანი იმპორტის 8.1 პროცენტი შეადგინა

და იმპორტიორ ქვეყნებს შორის მეორე ადგილი დაიკავა. მსხვილი იმპორტიორი ქვეყნების პირველ ხუთეულში ასევე შედის უკრაინა (იმპორტის 7.6 პროცენტი), რუსეთი (იმპორტის 7.5 პროცენტი) და ჩინეთი (იმპორტის 7.2 პროცენტი). აღსანიშნავია, რომ 2013 წელს, სავაჭრო ურთიერთობების აღდგენის პარალელურად, რუსეთიდან იმპორტი 24.4 პროცენტით გაიზარდა.

ღიაგრამა N 1.19 იმპორტის მოცულობა ქვეყნების მიხედვით 2012-2013



წყარო: საქსტატი.

2013 წელს წინა წელთან შედარებით საქონლის იმპორტში დსთ-ის ქვეყნების წილი გაიზარდა 2 პროცენტული პუნქტით 27.5 პროცენტამდე, ამავე პერიოდში ევროკავშირის ქვეყნების წილი

იმპორტში შემცირდა 31.0 პროცენტიდან 28.8 პროცენტამდე, ხოლო დანარჩენი ქვეყნების წილი (ძირითადად თურქეთი, ჩინეთი და აშშ) იმპორტში უმნიშვნელოდ გაიზარდა და 43.7 პროცენტი შეადგინა.



III

ფულად-საკრედიტო
და სავალუტო პოლიტიკა

2.1 ფულად-საკრედიტო პოლიტიკა

საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით, საქართველოს ეროვნული ბანკის ძირითად ამოცანას ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა წარმოადგენს. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ კანონი ავალდებულებს ეროვნულ ბანკს „უზრუნველყოს საფინანსო სისტემის სტაბილურობა და გამჭვირვალობა და ხელი შეუწყოს ქვეყანაში მდგრად ეკონომიკურ ზრდას თუ ეს შესაძლებელია ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მისი ძირითადი ამოცანის შესრულებას“.

2013 წელს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებული მონეტარული პოლიტიკა შესაბამისობაში მოდიოდა საქართველოს პარლამენტის დადგენილებასთან „2013-2015 წლების ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ“. აღნიშნულ დოკუმენტში მოცემულია ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი, რომელიც, ქვეყანაში მოქმედი ინფლაციის თარგეთირების რეჟიმის შესაბამისად, მკაფიოდ უნდა იყოს გამოცხადებული საშუალოვადიანი პერიოდისთვის. 2013-2014 წლებისთვის საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მიზნობრივ მაჩვენებლად დააგინა სამომხმარებლო ფასების წლიური ზრდა 6 პროცენტის, ხოლო 2015 წლისათვის - 5 პროცენტის ოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ ინფლაციის საპროგნოზო მაჩვენებელი აღემატება მიზნობრივს, საქართველოს ეროვნული ბანკი გაამკაცრებს მონეტარულ პოლიტიკას, ხოლო თუ ინფლაციის საპროგნოზო მაჩვენებელი მიზნობრივზე უფრო ნაკლებია, ეროვნული ბანკი შერბილების პოლიტიკას მიმართავს. საქართველოს ეროვნული ბანკის ინფლაციის გრძელვადიანი მიზნობრივი მაჩვენებელი 3 პროცენტს შეადგენს. გრძელვადიან პერიოდში, საქართველოს ეკონომიკის განვითარებულ ქვეყნებთან დაახლოების პარალელურად, ეტაპობრივად შემცირდება ინფლაციის ოპტიმალური დონე და შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ბანკის ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი

შემცირდება მის გრძელვადიან დონემდე. აქედან გამომდინარე, მიზნობრივი მაჩვენებელი 2015 წლიდან 5 პროცენტამდე შემცირდება, რაც ასახულია ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებში.

2013 წელს საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკა ხორციელდებოდა მაკროეკონომიკური გარემოს, მსოფლიო ბაზრებზე მიმდინარე პროცესებისა და ქვეყნის შიგნით პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარების კომპლექსური ანალიზის საფუძველზე. მხედველობაში მიიღებოდა საქართველოს ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში არსებული ფასების დინამიკა, მთავრობის ფისკალური პოლიტიკა, საფინანსო და სავალუტო ბაზრებზე არსებული ტენდენციები, საერთაშორისო სასაქონლო ბაზრებზე ფასების დინამიკა, სამომხმარებლო ფასების კალათისა და მონეტარული გადაცემის თავისებურებანი, რაც ინფლაციის მოლოდინის ფორმირებასა და ეროვნული ვალუტისადმი საზოგადოების ნდობის ამაღლებას განაპირობებდა.

2013 წლის განმავლობაში ინფლაცია მიზნობრივ მაჩვენებელზე დაბლა ნარჩუნდებოდა. ინფლაციის შემცირების ტენდენცია 2011 წლის ივნისში დაიწყო, რაც უმთავრესად მიწოდების ფაქტორებით იყო განპირობებული. ინფლაციის მაჩვენებლის კლების ტენდენცია 2012 წელსაც გაგრძელდა. 2012 წლის მეორე ნახევრიდან მიწოდების მხრიდან ფასებზე უარყოფით ზემოქმედებას, ერთობლივი მოთხოვნის შემცირებაც დაერთო.

2013 წლის პირველ ნახევარში, წინა წლის მსგავსად, ფასების ცვლილებას კვლავ უარყოფითი დინამიკა ჰქონდა, თუმცა დეფლაციის მაჩვენებელი შედარებით შემცირდა. წლის პირველ კვარტალში ინფლაციის უარყოფითი ინდიკატორი 1.5-2 პროცენტის ფარგლებში მერყეობდა. დეფლაციას განაპირობებდა როგორც მიწოდების, ისე მოთხოვნის მხარეს არსებული ფაქტორები. წინა წლის მსგავსად, სახეზე იყო საბაზო ეფექტით გამოწვეული ფასების კლება სურსათზე. ასევე, დამატებით ნეგატიურ საბაზო ფონს ქმნიდა ადმინისტრირებადი ფასების ერთჯერადი შემცირება. უარყოფითი იყო იმპორტირებული საქონლის

ფასების ცვლილების დინამიკის გავლენაც⁸. პარალელურად, ეკონომიკური აქტივობის შენელება ფასების დონეზე უარყოფითი მიმართულებით მოქმედებდა. მიუხედავად საბანკო სექტორში არსებული მაღალი ლიკვიდობისა და კაპიტალისა, შემცირებული იყო სესხების ზრდის მაჩვენებელი, რაც ერთობლივი მოთხოვნის შესუსტებას უწყობდა ხელს. ადგილობრივი მოთხოვნის შემცირებაზე მიუთითებდა იმპორტის ზრდის ტემპის კლებაც. არსებული პროგნოზების მიხედვით, ინფლაციის საპროგნოზო მაჩვენებელი წლის განმავლობაში კვლავ მიზნობრივ მაჩვენებელზე დაბლა რჩებოდა. შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ პროგნოზები და ზემოაღწერილი ფაქტორები ეკონომიკის შემდგომი სტიმულირების საჭიროებაზე მიუთითებდა, მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა კვლავ გააგრძელა წინა წლებში დაწყებული შერბილების პოლიტიკა. 2013 წლის პირველი რვა თვის განმავლობაში მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი ეტაპობრივად 1.5 პროცენტული პუნქტით 5.25 პროცენტიდან 3.75 პროცენტამდე შემცირდა.


2013 წლის მეოთხე კვარტალში ეკონომიკური აქტივობა გამოცოცხლდა. შერბილებული მონეტარული პოლიტიკის ფონზე, კომერციული ბანკების საკრედიტო აქტივობამ აგვისტოს თვიდან საკმაოდ მაღალი ტემპით დაიწყო ზრდა, რაც განსაკუთრებით თვალშისაცემი მეოთხე კვარტალში გახდა. შესაბამისად, მოთხოვნის მხრიდან დეფლაციური ზენოლა შემცირდა. დადებითი ტენდენციები დაფიქსირდა საგარეო სექტორში. ფულადი

გზავნილებისა და ტურისტული მომსახურებიდან მიღებული შემოსავლების ზრდის პარალელურად, მნიშვნელოვნად გაიზარდა ექსპორტი, რაც მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის გაუმჯობესების და შედეგად ერთობლივი მოთხოვნის გააქტიურების დამატებით ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენდა. შიდა მოთხოვნის გაძლიერების მანიშნებელი იყო ასევე იმპორტის ზრდა ნოემბერ-დეკემბრის განმავლობაში. გარდა ამისა, დეფლაციური ზენოლის შემცირებაზე მიუთითებდა ისიც, რომ მიწოდების მხარეს არსებული ფაქტორების დროებითი საბაზო ეფექტი იწურებოდა. 2013 წლის ბოლოსათვის არსებული მონაცემებით, ინფლაცია სავარაუდო დინამიკით იმატებდა და პროგნოზების მიხედვით საშუალოვადიან პერიოდში მიზნობრივ მაჩვენებელთან მისი დაახლოება იყო მოსალოდნელი. შესაბამისად, ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა წლის ბოლო თვეებში ჩატარებულ სხდომებზე შერბილებული მონეტარული პოლიტიკის შენარჩუნების და საპროცენტო განაკვეთის უცვლელად დატოვების გადაწყვეტილება მიიღო.

ამრიგად, 2013 წლის განმავლობაში, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ინფლაციის პროგნოზებისა და მაკროეკონომიკური ანალიზის შესაბამისად, კიდევ უფრო შეარბილა მონეტარული პოლიტიკა და პოლიტიკის საპროცენტო განაკვეთი 1.5 პროცენტული პუნქტით 5.25 პროცენტიდან 3.75 პროცენტამდე შეამცირა.

8. 2013 წელს ინფლაციაზე მოქმედი ფაქტორების მიმოხილვა იხილეთ ქვეთავში „1.3 სამომხმარებლო ფასების ცვლილება“.

დიაგრამა N 2.1 მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

იმისათვის, რომ მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ცვლილება გადაეცეს ბანკთაშორის ბაზარს და საბოლოოდ აისახოს რეალურ ეკონომიკაზე, მნიშვნელოვანია აქტიური ფულადი ბაზრის არსებობა. საბანკო სისტემაში ჭარბი ლიკვიდობის დაგროვება ხელს შეუშლის ფულადი ბაზრის აქტიურობას. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ ეროვნული ბანკი მიმართავს სტერილიზაციის ოპერაციას, რისთვისაც, როგორც წესი, გამოიყენება ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატები. მათი ემისიების მოცულობების დაგეგმვა ხდება ყოველკვარტალურად საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ.

2013 წლის განმავლობაში ეროვნული ბანკი აქტიურად იყენებდა 3-თვიან და 6-თვიან სადეპოზიტო სერტიფიკატებს საბანკო სისტემაში საშუალოვადიანი ლიკვიდობის სამართავად. თებერვლის თვეში საბანკო სისტემაში ჭარბი ლიკვიდობის დაგროვება დაფიქსირდა, რაც უმთავრესად მთავრობის დანახარჯების ზრდას (სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დაფინანსება, კახეთში სტიქიით დაზარალებულთა დახმარება) უკავშირდებოდა. ამას თან ერთვოდა საკრედიტო აქტივობის კლება, რაც ხელს უწყობდა ბანკებში ჭარბი ლიკვიდობის შენარჩუნებას. შედეგად, შემცირდა მოთხოვნა ეროვნული ბანკის რეფინანსირების სესხებზე და შესუსტდა მონეტარული პოლიტიკის გადაცემა ეკონომიკაზე. აღნიშნულის საპასუხოდ ეროვნულ-


მა ბანკმა მარტის თვიდან სადეპოზიტო სერტიფიკატების გაზრდილი ემისიები დაგეგმა. სადეპოზიტო სერტიფიკატების პორტფელმა მაქსიმუმ ივნისის ბოლოსთვის მიაღწია და 850 მლნ ლარი შეადგინა. შემდგომ ეტაპზე, იმის გათვალისწინებით, რომ საბანკო სისტემაში კვლავ გაიზარდა მოთხოვნა რეფინანსირების სესხებზე, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოშვებული სადეპოზიტო სერტიფიკატების ემისიები ეტაპობრივად შემცირდა. წლის ბოლოსთვის მიმოქცევაში არსებული სადეპოზიტო სერტიფიკატების მოცულობა 690 მლნ ლარის დონეზე დაფიქსირდა.

წინა წლების მსგავსად, 2013 წელსაც ეროვნული ბანკის საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობის გაზრდა, რომლის ძირითადი შემადგენელი ფაქტორი საქართველოში ეკონომიკის დაბალი ლარიზაციის დონეა. მაღალი დოლარიზაციის პირობებში შესუსტებულია საპროცენტო განაკვეთის გადაცემის მექანიზმი, რადგან ეკონომიკისთვის ფულის მიწოდების მნიშვნელოვანი ნაწილი არის უცხოური ვალუტით, რომელზეც საპროცენტო განაკვეთები განისაზღვრება სხვა ქვეყნების ცენტრალური ბანკების მიერ მათ ქვეყნებში არსებული ეკონომიკური ციკლების შესაბამისად და სცილდება ეროვნული ბანკის კონტროლის სფეროს. დაბალი ლარიზაციის დროს მნიშვნელოვანია გაცვლითი კურსის რისკი კურსის

მერყეობისგან დაუცველი ეკონომიკური აგენტებისთვის, განსაკუთრებით კი ბანკების მსესხებლებსთვის, რომელთა შემოსავლები დენომინირებულია ეროვნული ვალუტით, სესხი კი უცხოური ვალუტით აქვთ აღებული. ასეთ შემთხვევაში იზრდება კომერციული ბანკების პორტფელის საკრედიტორისკი, რაც კრედიტორების ვალუტების დისბალანსით, ანუ არაჰეჯირებული სესხებით არის განპირობებული (Currency Induced Credit Risk). შედეგად, ლარის კურსის ცვლილებას შეიძლება სერიოზული გავლენა ჰქონდეს კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელზე. ამდენად, ეროვნული ბანკის ერთ-ერთი ამოცანა სწორედ ლარიზაციის ზრდაა. თუმცა აღსანიშნავია, რომ ლარიზაცია ეს არის ხანგრძლივი პროცესი, ვინაიდან ეკონომიკურ აგენტთა ქცევის შეცვლა მოითხოვს განვითარებული ფინანსური ბაზრისა და მდგრადი ეკონომიკური სტაბილურობის არსებობას წლების განმავლობაში. 2013 წელს, წინა წლის მსგავსად,

ეროვნული ბანკის პოლიტიკა მიმართული იყო ლარის ფულადი ბაზრის განვითარებისკენ და ეროვნული ვალუტით გასესხების ნახალისებისკენ. 2010 წლიდან ეროვნული ბანკი აქტიურად მუშაობს მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობის ზრდის მიმართულებით. გატარებულმა ღონისძიებებმა დადებითი შედეგი გამოიღო. 2013 წლის განმავლობაში დეპოზიტების ლარიზაციის მაჩვენებლის მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა. ამ მაჩვენებელმა 32 პროცენტიდან 40 პროცენტამდე იმატა. ანალოგიურად, 31 პროცენტიდან 38 პროცენტამდე გაიზარდა საკრედიტო პორტფელის ლარიზაციის მაჩვენებელი. აღსანიშნავია, ფიზიკური პირების სესხების ლარიზაციის მნიშვნელოვანი მატება. წლის განმავლობაში, ფიზიკური პირების სესხების ლარიზაცია 10 პროცენტული პუნქტით გაიზარდა. 2013 წლის ბოლოსთვის ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების 59 პროცენტი ლარით იყო დენომინირებული.

ღიაბრამა N 2.2 დეპოზიტების და სესხების ლარიზაცია, 2005-2013 წწ.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

ლარიზაციის ნახალისების პროცესში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ეროვნული ბანკის მიერ ბოლო წლებში განხორციელებულმა რეფორმებმა. აღსანიშნავია კომერციული ბანკების სტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატების დებულების დამტკიცება და კომერციული ბანკე-

ბისთვის გირაოს ბაზის გაფართოება, რომელიც გამოიყენება ეროვნულ ბანკთან ოპერაციებში.

სტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატების დებულება საშუალებას აძლევს კომერციულ ბანკს, გამოუშვას საცალო, სტანდარტიზებული სადეპოზიტო სერტიფიკატი, რომელიც დეპოზიტის

9. ლარიზაციის მაჩვენებელი გაანგარიშებულია გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტის გარეშე.

ლიკვიდურ ალტერნატივას წარმოადგენს. სერტიფიკატი არ ავალდებულებს ბანკს ხელშეკრულების ვადის გასვლამდე დაუბრუნოს თანხა მესაბრეოს, რითაც ამგვარი საშუალებით მოზიდულ სახსრებს ხდის უფრო სტაბილურს, ვიდრე სტანდარტული დეპოზიტის შემთხვევაშია. თუმცა, ფულადი სახსრების საჭიროების შემთხვევაში, დეპოზიტარს ექნება უფლება გაასხვისოს სერტიფიკატი მისი ვადის გასვლამდე, ბანკის თანხმობის გარეშე. ამგვარად, სადეპოზიტო სერტიფიკატი ბანკისათვის არის ფაქტიურად გრძელვადიანი დეპოზიტი, რადგან მფლობელის ცვლილების შემთხვევაშიც ფულადი სახსრები რჩება ბანკში. მნიშვნელოვანია, რომ სტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატებით მოზიდული სახსრები გათავისუფლებულია სარეზერვო და ლიკვიდობის მოთხოვნებისაგან¹⁰, რითაც ბანკებს შეუმცირდება ამ პროდუქტთან დაკავშირებული საოპერაციო ხარჯები. სადეპოზიტო სერტიფიკატების ფართოდ გავრცელება ხელს შეუწყობს ბაზარზე ლარის დამატებითი გრძელვადიანი რესურსის შექმნას. იმისათვის, რომ სადეპოზიტო სერტიფიკატები ასევე მიზიდავდეს იყოს ბანკის კლიენტებისთვის, საჭიროა სადეპოზიტო სერტიფიკატების ლიკვიდური მეორადი ბაზრის არსებობა, სადაც ბანკის კლიენტები შეძლებენ მათ განაღდებას. ეროვნული ბანკი მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს აღნიშნული ბაზრის ჩამოყალიბებასა და განვითარებას.

ლარიზაციის ზრდას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელი ასევე კომერციული ბანკებისთვის გირაოს ბაზის გაფართოებამ. ეროვნულმა ბანკმა ეტაპობრივად მოახდინა მონეტარული ოპერაციებისათვის განკუთვნილი გირაოს ბაზის გაზრდა. კერძოდ, შემსუბუქდა ბანკების მიერ გირაოს სახით გამოყენებადი ეროვნული ვალუტით დენომინირებული საკუთარი სასესხო აქტივების კრიტერიუმები. მაგალითად, შემცირდა გირაოში მისაღები სასესხო აქტივის ჰეარქატი¹¹; გაიზარდა სესხის უძრავი ქონების ღირებულებასთან შეფარდების ლიმიტი; მოიხსნა გირაოში მისაღები პორტფელის მინიმალური ზღვარი. ამჟამად სესხის უზრუნველყ-

ოვის სახეობებში შედის საქართველოს ეროვნული ბანკის და საქართველოს მთავრობის მიერ გამოშვებული, პირდაპირ და უპირობოდ გარანტირებული ფასიანი ქაღალდი, საერთაშორისო საბანკო გარანტია და კომერციული ბანკის სასესხო აქტივები ეროვნული ვალუტით. ეს ცვლილებები საშუალებას აძლევს კომერციულ ბანკებს შეამცირონ ლარის ლიკვიდობის რისკი, რაც, თავის მხრივ, ეროვნული ვალუტით სესხების გაცემას უწყობს ხელს.

გირაოს ბაზის გაფართოება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ცვლადი საპროცენტო განაკვეთებით სესხების წახალისების კუთხით. რეფინანსირების განაკვეთზე ასეთი ტიპის სესხების მიხედვით კომერციულ ბანკს პრაქტიკულად ნულამდე უმცირებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილებასთან დაკავშირებულ რისკებს და შედეგად, კომერციული ბანკისთვის ხელსაყრელი ხდება მომხმარებელს შესთავაზოს სესხი უფრო დაბალ პროცენტად. აღნიშნული პროდუქტი, იპოთეკური და სხვა გრძელვადიანი სესხების ყველაზე გავრცელებული სახეობაა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის საბანკო სისტემაში. მათი თანაფარდობა მთლიან სესხებთან, განვითარებული ქვეყნების შემთხვევაში ხშირად 90 პროცენტს აჭარბებს, თუმცა საქართველოში ეს მაჩვენებელი 1 პროცენტის ფარგლებში იყო. ცვლადი განაკვეთის სესხის პოპულარიზაციასა და დანერგვაზე ეროვნულმა ბანკმა მუშაობა 2010 წელს დაიწყო. გასათვალისწინებელია, რომ ლარის ცვლადი განაკვეთის სესხის არსებობისთვის აუცილებელია გამჭვირვალე და სანდო ინდექსი, რაზეც იქნება დამოკიდებული საპროცენტო განაკვეთი. როგორც საბანკო სისტემას, ასევე მსესხებლებს უნდა ჰქონდეთ საკმარისი რწმუნება, რომ გრძელვადიან პერიოდში არ მოხდება ამ ინდექსთან დაკავშირებული მკვეთრი რყევები, პოლიტიკური თუ ეკონომიკური მერყეობების დროს. რაც მეტია ნდობა ხელისუფლებისა და ცენტრალური ბანკის პოლიტიკის მდგრადობის მიმართ, მით ნაკლებია საპროცენტო მარყები და შესაბამისად გრძელვადიანი საპროცენტო განაკვეთები. განვითარებული ბაზრების


10. ლიკვიდობის მოთხოვნისგან გათავისუფლებულია სტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატი, რომლის ნარჩენი ვადიანობა აღემატება 6 თვეს.

11. გასაცემი სესხის მოცულობასა და სესხის გასაცემად გირაოში მისაღები აქტივის ღირებულებას შორის სხვაობა (ინგლ. Haircut).

შემთხვევაში ასეთ ინდექსს ბანკთაშორის ბაზრის ინდიკატორი ე.წ. „ლიბორი“ წარმოადგენს, რაზეც, თავის მხრივ, ცენტრალური ბანკები მონეტარული პოლიტიკის განაკვეთით ახდენენ გავლენას. ნაკლებად განვითარებული ფინანსური ბაზრების მქონე ქვეყნებში კი ინდექსად პირდაპირ მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი გამოიყენება. საქართველოში, ცვლადი განაკვეთის სესხი რეფინანსირების განაკვეთზეა ინდექსირებული. რეფინანსირების განაკვეთის ეფექტური ამოქმედება 2010 წლის გაზაფხულიდან მოხდა. ამის შემდეგ, ბაზარს დასჭირდა გარკვეული დრო და ისტორიული მონაცემების დაგროვება, რათა შეეფასებინათ განაკვეთის ცვლილებების სიჩქარე, შესაძლო ამპლიტუდა და მიმართულებები. სწორედ, ამ პროცესის ხელშე-

ყობისა და დაჩქარებისთვის, ეროვნულმა ბანკმა გააფართოვა მონეტარული ოპერაციებისთვის „მისაღები გირაოს“ ბაზა, სადაც დაშვებული იქნა მცირე და საშუალო ზომის სანარმოებსა და ფიზიკურ პირებზე გაცემული ლარის გრძელვადიანი სესხები. კომერციულმა ბანკებმა აღნიშნული ინსტრუმენტის გამოყენება 2013 წლის აპრილიდან დაიწყეს. შემდგომ თვეებში ცვლადი განაკვეთით სესხების გაცემის პროცესი გააქტიურდა და ნოემბერ-დეკემბერში პიკს მიაღწია. შედეგად მკვეთრად შემცირდა საპროცენტო განაკვეთები ლარის გრძელვადიან სესხებზე, გაიზარდა ლარით დენომინირებული სესხების წილი მთლიან საკრედიტო პორტფელში და იმატა ლარიზაციის მაჩვენებელმა.

ღიაბრაზა N 2.3 კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანად წარმართვის მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა მაკროეკონომიკური პროგნოზირებისა და შესაბამისი მონეტარული პოლიტიკის ანალიზისთვის მოდელის სრულყოფასა და განვითარებას. საქართველოს ეროვნული ბანკის ინსტიტუციური და ქვეყნის ფინანსური სექტორის განვითარებასთან ერთად, მაკროეკონომიკურ მოდელირებაზე დაფუძნებული პროგნოზები უფრო და უფრო მზარდ როლს თამაშობს მონეტარული პოლიტიკის განსაზღვრაში

და მის საზოგადოებასთან კომუნიკაციაში. აღნიშნული ხელს უწყობს მონეტარული პოლიტიკის სწორად ფორმირებას და მის გამჭვირვალობას, რაც აისახება ბაზრის მონაწილეთა ეკონომიკურ მოლოდინებზე და მათი ეფექტიანობის ამაღლებაზე. ამ მხრივ აღსანიშნავია, მაკროეკონომიკური პროგნოზირებისა და მონეტარული პოლიტიკის ანალიზის სისტემა (FPAS), რომელსაც საქართველოს ეროვნული ბანკი 2011 წლიდან აწვდის და მსოფლიოს თანამედროვე ცენტრალური ბანკების საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისია. 2013 წელს

მოდელის სრულყოფის პარალელურად მზადდება მისი აღმწერი დოკუმენტაცია, რომელიც საჯაროდ გამოქვეყნდება უახლოეს მომავალში და აკადემიური წრეებისთვის და ანალიტიკოსებისთვის ამ მიმართულებით სამეცნიერო მუშაობის განვითარების საფუძველი იქნება.

წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი ყურადღება ექცეოდა ეფექტიანობის ამაღლებას, საზოგადოებასთან მონეტარული პოლიტიკის კომუნიკაციის არსებული არხების განვითარებისა და ახალი საშუალებების დანერგვის საშუალებით. ინფლაციის თარგეთირების რეჟიმის პირობებში კომუნიკაცია განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, ვინაიდან მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი მოლოდინების სწორად ჩამოყალიბება და წარმართვა. ეროვნული ბანკის დროული და ეფექტური კომუნიკაცია მისი მიზნების, სტრატეგიისა და ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზის შესახებ ზრდის მონეტარული პოლიტიკის გადაწყვეტილების პროგნოზირებადობას. ამრიგად, კომუნიკაციის არხების დახვეწა და გამრავალფეროვნება საქართველოს ეროვნული ბანკისთვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენს. 2013 წლის განმავლობაში ამ კუთხით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. თებერვლიდან განახლდა ინფლაციის მიმოხილვის ფორმატი, რომელიც მონეტარული პოლიტიკის კომუნიკაციის ძირითად ინსტრუმენტს წარმოადგენს. განახლებული ინფლაციის მიმოხილვა ფოკუსირებულია მომავალ პროგნოზებსა და ანალიზზე. იგი უფრო მეტად არის ორიენტირებული მოსალოდნელი ეკონომიკური მოვლენების აღწერაზე.

მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და მათი მიღების პროცესში არსებული პროგნოზების შესახებ, დეტალური ინფორმაციის მისაწოდებლად დაინერგა ანალიტიკოსებთან რეგულარული პრეზენტაცია-შეხვედრების პრაქტიკა. 2013 წლის განმავლობაში შემუშავდა ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის სტრატეგიის საჯარო დოკუმენტი, რომელიც ეროვნული ბანკის ვებგვერდზე 2014 წლის მარტში განთავსდა. აღნიშნული დოკუმენტი საზოგადოებას აცნობს მონეტარული პოლიტიკის ძირითად პრინციპებს და მათი განვითარების მიმართულებას ქვეყანაში. იგი ასახავს, თუ რა მოსაზრებებს

ემყარება მიღებული მონეტარული პოლიტიკის გადაწყვეტილებები და რა ინსტრუმენტების საშუალებით ხდება დასახული მიზნების მიღწევა. გარდა ამისა, ინფორმაციის გავრცელების და სწორი მოლოდინების ჩამოყალიბების კუთხით მნიშვნელოვანია ეროვნული ბანკის მიერ სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალის „ეკონომიკა და საბანკო საქმე“ გამოცემის განახლება. აღნიშნული ჟურნალი საუკეთესო საშუალებაა ეროვნული ბანკის, თუ მთლიანად ქვეყნის ეკონომისტებისთვის გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებთან დაკავშირებით, ასევე ის ხელს შეუწყობს ახალგაზრდა მკვლევარებსა და მეცნიერებს, რომლებიც კონკრეტულ ეკონომიკურ თუ ფინანსურ თემატიკაზე მუშაობენ.


როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეფექტიანი მონეტარული პოლიტიკის საწარმოებლად და მისი ცვლილების ეკონომიკაზე გადაცემის ეფექტიანობის გასაძლიერებლად მნიშვნელოვანია ფულადი ბაზრის განვითარება და გაფართოება. წინა წლის მსგავსად, 2013 წელს კომერციული ბანკები აქტიურად იყენებდნენ რეფინანსირების ინსტრუმენტს, რომლის საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება პოლიტიკის განაკვეთის მიხედვით (არანაკლებ ამ განაკვეთისა), რაც განაპირობებდა ამ ბაზრის განაკვეთების დაახლოებას პოლიტიკის განაკვეთთან. ეროვნული ბანკის კონტროლის ქვეშ იყო მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთები, რაც აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს მონეტარული პოლიტიკის გადაცემის მექანიზმის ეფექტურად ფუნქციონირებისათვის.

მონეტარული პოლიტიკის მექანიზმის ფუნქციონირებისთვის აუცილებელია, რომ საპროცენტო განაკვეთების ცვლილება გადაეცეს უფრო გრძელვადიან საპროცენტო განაკვეთებს და საბოლოო ჯამში – გასესხების განაკვეთებს. სხვადასხვა ვადიანობის საპროცენტო განაკვეთებს შორის კავშირს აჩვენებს საპროცენტო განაკვეთების მრუდი. 2013 წლის განმავლობაში გატარებული მონეტარული პოლიტიკის შერბილება აისახა საპროცენტო განაკვეთების შემცირებაში. შემოსავლიანობის კლება დაფიქსირდა სხვადასხვა ვადიანობის სახელმწიფო ფასიან ქალაქებზე.

შემცირება შეინიშნებოდა ასევე საბაზრო საპროცენტო განაკვეთებზე (იხ. დიაგრამა N 2.4). თუმცა წლის ბოლოს, გამოცოცხლებული ეკონომიკური აქტივობის ფონზე ბაზარზე გაჩნდა პოლიტიკის

განაკვეთის გაზრდის მოლოდინი, რაც შესაბამისად აისახა ფულადი ბაზრის საპროცენტო განაკვეთებზე, კერძოდ გრძელვადიან განაკვეთებზე.

დიაგრამა N 2.4 ფულადი ბაზრის საპროცენტო განაკვეთები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

წლის განმავლობაში საპროცენტო განაკვეთების კლებასთან ერთად, ადგილი ჰქონდა ასევე შემოსავლიანობის მრუდის დახრილობის შემცირებას, რაც ფულადი ბაზრის გაღრმავებას უკავშირდება. გასული წლების განმავლობაში შემოსავლიანობის მრუდს საკმაოდ დიდი დახრილობა ჰქონდა, ვინაიდან განსხვავება სხვადასხვა ვადიანობის საპროცენტო განაკვეთებს შორის მაღალი იყო და ეს სხვაობა მოიცავდა, მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთის ცვლილების რისკის გარდა, საოპერაციო და ლიკვიდობის რისკებს. განვითარებადი ფულადი ბაზრის პირობებში საპროცენტო განაკვეთებს შორის სხვაობა მხოლოდ საპროცენტო რისკს ასახავს. საქართველოში ფულადი ბაზრის გაფართოებასთან ერთად შემცირდა ლიკვიდობის რისკი, რაც გამოიხატა შემოსავლიანობის მრუდის დახრილობის ეტაპობრივ შემცირებაში. აღსანიშნავია, რომ საპროცენტო განაკვეთების მრუდის დახრილობის შემცირების დინამიკა ჯერ კიდევ 2010 წელს დაიწყო, რაც იმ პერიოდში ამოქმედებულ ახალ ინსტრუმენტებს უკავშირდება (მუდ-


მივმოქმედი რეფინანსირების სესხები, ეროვნული ბანკის ერთდღიანი სესხები და დეპოზიტები და ა.შ.). ამასთან, ეროვნული ბანკის კომუნიკაციის გაუმჯობესებამ, პოლიტიკის განაკვეთის ზომიერმა ცვლილებებმა და მონეტარული პოლიტიკის გადაწყვეტილებების პროგნოზირებადობის ზრდამ შეამცირა მომავალში მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთების მკვეთრი ცვლილებების მოლოდინი, რამაც ასევე გავლენა მოახდინა შემოსავლიანობის მრუდის დახრილობის შემცირებაზე. ეს კი მონეტარული პოლიტიკის გადაცემის მექანიზმის ეფექტურობის ზრდაზე მიუთითებს.

გასული წლების განმავლობაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა (ახალი ინსტრუმენტების ამოქმედება, ფინანსური ტრანზაქციების წარმოების გამარტივება) მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საქართველოს ფულადი და კაპიტალის ბაზრის გააქტიურებასა და განვითარებაზე. ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა სახაზინო ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის მოცულობებზე პი-

რველად ბაზარზე. საანგარიშო წელს, 2010 წელსთან შედარებით, 2-ჯერ გაიზარდა მიმოქცევაში არსებული სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნაშთი, 2012 წლის ბოლოსთან შედარებით კი ზრდამ 21 პროცენტი შეადგინა. პირველადი ბაზრის გაღრმავებასთან ერთად, ფინანსური ბაზრის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია მეორადი ბაზრის

გააქტიურება, რაც კიდევ უფრო გაზრდის ბაზრის ლიკვიდობას. 2013 წლის მონაცემებით, ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზრის ჯამური მოცულობა 2011 წელსთან შედარებით თითქმის 3-ჯერ გაიზარდა, ხოლო წინა წელსთან შედარებით, ზრდა 17 პროცენტს აღემატება.

ღიზარაზა N 2.5 სახაზინო ფასიანი ქაღალდების და სადეპოზიტო სერტიფიკატების ნაშთების დინამიკა 1999-2013 წლებში



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

როგორც უკვე აღინიშნა, 2013 წლის განმავლობაში ინფლაცია მიზნობრივ მაჩვენებელს ჩამორჩებოდა. ინფლაციის დინამიკაზე მნიშვნელოვანი იყო როგორც შიდა, ისე საგარეო მიწოდების ფაქტორები. ამავე დროს ფასებზე უარყოფითი ზეწოლა იყო შენელებული მოთხოვნის მხრიდანაც. ინფლაციის საპროგნოზო მაჩვენებელი მიზნობრივ მაჩვენებელზე დაბლა რჩებოდა და ამის გათვალისწინებით, მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა კვლავ გააგრძელა წინა წლებში დაწყებული შერბილების პოლიტიკა. წლის ბოლოსათვის ეკონომიკური აქტივობის გამოცოცხლების მიუხედავად, ინფლაციის არსებული პროგნოზები საშუალოვადიან პერიოდში მიზნობრივ მაჩვენებელთან დაახლოებაზე მიუთითებდა. შესაბამისად, ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტი სექტემბერ-დეკემბერში ჩატარებულ სხდომებზე შერბილებულ მონეტარულ პოლიტიკას ინარჩუნებდა.

2.2 ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტები


მონეტარული ოპერაციების მიზანია ბანკთა-შორის ბაზარზე არსებული განაკვეთები იყოს სტაბილური და ახლოს საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის მიერ განსაზღვრული მონეტარული პოლიტიკის განაკვეთთან. საქართველოს ეროვნული ბანკის საოპერაციო ჩარჩო შედგება შემდეგი მონეტარული ინსტრუმენტებისაგან: რეფინანსირების სესხები, ერთდღიანი სესხები, ერთდღიანი დეპოზიტები, სადეპოზიტო სერტიფიკატები და მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გატარებული პოლიტიკის შედეგად, 2013 წლის განმავ-

ლობაში საპროცენტო განაკვეთის გადაცემის მექანიზმი წინა წლებთან შედარებით კიდევ უფრო გააქტიურდა. მოიმატა კომერციული ბანკების აქტიურობამ ბანკთაშორის ფულად ბაზარზე. ეროვნული ვალუტით განხორციელებული გარიგებების მოცულობა 38.8 პროცენტით გაიზარდა და 13.6 მლრდ ლარი შეადგინა. საქართველოს

ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ეტაპობრივი შემცირების პარალელურად, 2013 წლის განმავლობაში მცირდებოდა და მონეტარული პოლიტიკის საპროცენტო განაკვეთთან ახლოს მოძრაობდა ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთები.

ღიაბრაზა N 2.6 ბანკთაშორის ფულადი ბაზარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

2.2.1 რეფინანსირების სესხები

საბანკო სისტემის მოკლევადიანი ლიკვიდობით უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი 2013 წლის განმავლობაში ყოველკვირეულად იყენებდა 2008 წლიდან ამოქმედებულ რეფინანსირების სესხის ინსტრუმენტს. რეფინანსირების სესხების საშუალებით საბანკო სექტორისათვის ხელმისაწვდომი იყო მოკლევადიანი ლიკვიდობის მიღების საიმედო და დაბალრისკიანი წყარო, რამაც დადებითად იმოქმედა ფულად ბაზარსა და ფინანსურ სტაბილურობაზე. რეფინანსირების ინსტრუმენტის მიზანია ბანკთაშორის ბაზარზე მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთის მართვა. ეროვნული ბანკი არის ლარის ბაზარზე მოკლევადიანი ლიკვიდობის ერთადერთი მიმწოდებელი, ამდენად მას აქვს საშუალება რეფინანსირების ინსტრუმენტით მიაღწიოს ბანკთაშორის ბაზარზე მისთვის სასურველ საპროცენტო განაკვეთს. აუქციონის მეშვეობით რეფინანსირე-

ბის სესხის საპროცენტო განაკვეთი ეფუძნებოდა საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს.

საბანკო სისტემაში აუცილებელი ლიკვიდობის მოთხოვნების დაკმაყოფილებისა და რეფინანსირების სესხის ინსტრუმენტისადმი ფინანსური ბაზრის მონაწილეთა ნდობის კიდევ უფრო გაღრმავების მიზნით, 2013 წელს საქართველოს ეროვნული ბანკი ასევე იყენებდა მუდმივმოქმედი რეფინანსირების სესხის ინსტრუმენტს, რომელიც გაიცემა აუქციონის გარეშე. მუდმივმოქმედი რეფინანსირების სესხის ინსტრუმენტით ბანკებს ჰქონდათ ლიკვიდობის საჭიროების დაფინანსების გარანტირებული მექანიზმი. ბანკებს საშუალება ჰქონდათ ესარგებლათ რეფინანსირების სესხებით იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი ვერ მოახერხებდნენ რეფინანსირების აუქციონიდან სესხის აღებას. მუდმივმოქმედი რეფინანსირების სესხის საპროცენტო განაკვეთი წინასწარ არის დადგენილი


საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის მიერ და განისაზღვრება როგორც მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს პლიუს ერთი პროცენტული პუნქტი. აუქციონის გარეშე რეფინანსირების სესხის ვადიანობა და შესაბამისად სესხის აღებისა და დაფარვის თარიღები იდენტურია აუქციონის წესით რეფინანსირების სესხის თარიღებისა.

წინა წლების ანალოგიურად, 2013 წლის განმავლობაში მაღალი იყო საბანკო სექტორის დაინტერესება რეფინანსირების სესხის ინსტრუმენტის მიმართ, რაც გამოიხატებოდა მათი აქტიურობით რეფინანსირების სესხის აუქციონებზე. ვინაიდან ბანკები მოკლევადიან ლიკვიდობას ძირითადად იღებდნენ ბანკთაშორის ფულად ბაზარზე და რეფინანსირების სესხების აუქციონზე, 2013 წელს ბანკების მხრიდან მუდმივმოქმედი რეფინანსირების სესხის ინსტრუმენტზე მოთხოვნა შემცირდა.

2013 წლის განმავლობაში აუქციონის გარეშე რეფინანსირების სესხი მხოლოდ 4-ჯერ გაიცა (2012 წელს 8-ჯერ).

2013 წელს მონეტარული ოპერაციების გირაოს ბაზაში შედიოდა საქართველოს ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატები, საქართველოს მთავრობის ფასიანი ქაღალდები, კომერციული ბანკების სასესხო აქტივები და საერთაშორისო საბანკო გარანტიები. სესხის უზრუნველყოფის თითოეული ასეთი სახეობის აქტივებზე ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული იყო შესაბამისი კრიტერიუმები. საქართველოს ეროვნულ ბანკთან მონეტარული ოპერაციების წარმოებისათვის, გირაოს ამ სახეობებიდან კომერციული ბანკები 2013 წლის განმავლობაში ძირითადად იყენებდნენ საქართველოს ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატებს და საქართველოს მთავრობის ფასიან ქაღალდებს.

ღიაზარაზა N 2.7 რეფინანსების სესხების მოცულობა 2011 წლის მაისიდან 2013 წლის დეკემბრის ჩათვლით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

2.2.2 ერთდღიანი სესხები და ერთდღიანი დეპოზიტები


ფულადი ბაზრის განვითარების ხელშეწყობის, ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთის მერყეობის შემცირებისა და ფულადი ბაზრის აქტივობის გაზრდის მიზნით, 2013 წელს ბანკთაშორის ბაზარზე მსოფლიოში მიღებული საუკეთესო პრაქტიკის

შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ბანკი აგრძელებდა საპროცენტო განაკვეთის დერეფნის გამოყენებას, რაც ხელს უწყობდა ბანკთაშორის ბაზრის საპროცენტო განაკვეთის სტაბილურ ჩარჩოებში მოქცევას. საპროცენტო განაკვეთის დერეფანი განისაზღვრა როგორც მონეტარული პოლიტიკის განაკვეთიდან თანაბარმნიშვნელოვანი

გადახრები საპროცენტო განაკვეთების ზედა და ქვედა ზღვრის ფორმირებისათვის. ზედა საპროცენტო განაკვეთი გამოიყენებოდა საქართველოს ეროვნული ბანკის ერთდღიანი სესხებისათვის, ხოლო ქვედა საპროცენტო განაკვეთი გამოიყენებოდა საქართველოს ეროვნული ბანკის ერთდღიანი დეპოზიტებისათვის. 2013 წელს საპროცენტო განაკვეთის დერეფანი შეადგენდა 3 პროცენტს, მონ-

ეტარული პოლიტიკის განაკვეთს პლიუს/მინუს 1.5 პროცენტი. საპროცენტო განაკვეთის დერეფნის გამოყენება ამცირებს ბანკთაშორის ბაზარზე საპროცენტო განაკვეთების მკვეთრ მერყეობას და, თავის მხრივ, ხელს უწყობს ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთის დაახლოებას პოლიტიკის განაკვეთთან.

ღიაბრაზა N 2.8 მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთების მერყეობა¹²



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

საქართველოს ეროვნული ბანკის ერთდღიანი სესხები საბანკო სექტორისათვის წარმოადგენდა მყისიერი ლიკვიდობის მიღების ყველაზე სწრაფ საშუალებას, თუმცა საბაზრო საპროცენტო განაკვეთთან შედარებით უფრო მაღალი ფასით, ეს, თავის მხრივ, ბანკებს უბიძგებდა ფულად ბაზარზე ფინანსური რესურსების უკეთესი ფასით მოძიებისაკენ და შესაბამისად ამ ინსტრუმენტზე დიდი მოთხოვნა არ იყო. ლიკვიდობის სამართავად ბანკები ძირითადად რეფინანსირების სესხებს იყენებდნენ, რაც საბანკო სექტორისათვის მოკლევადიანი ლიკვიდობის მართვის გაცილებით უფრო მოქნილი და სრულყოფილი საშუალებაა. ერთდღიანი სესხებისათვის მოქმედებდა გირაოს იგივე ბაზა, რაც რეფინანსირების სესხებისათვის.

2013 წელს აქტიურად გამოიყენებოდა ერთდღიანი დეპოზიტების მუდმივმოქმედი ინსტრუმენტი, რომელიც მოქმედებს 2010 წლის აპრილი-

დან. ერთდღიანი დეპოზიტების ინსტრუმენტით, კომერციულ ბანკებს აქვთ შესაძლებლობა საკორესპონდენტო ანგარიშზე არსებული ჭარბი ლარები დღის ბოლოს განათავსონ საქართველოს ეროვნულ ბანკში ერთდღიან დეპოზიტზე, რომელიც შემდგომი სამუშაო დღის დასაწყისშივე უბრუნდებოდათ საკორესპონდენტო ანგარიშზე. აღნიშნულმა ინსტრუმენტმა 2013 წელს არსებითი როლი ითამაშა ბანკთაშორის ბაზარზე საპროცენტო განაკვეთების სტაბილიზაციისათვის.

2.2.3 ფასიანი ქაღალდები

სადეპოზიტო სერტიფიკატები

2013 წელს საქართველოს ეროვნული ბანკი განაგრძობდა საკუთარი ფასიანი ქაღალდების – სადეპოზიტო სერტიფიკატების ემისიას. აღნიშნული ფასიანი ქაღალდები ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებებთან და სახაზინო

12. მერყეობა გაზომილია 3 დღის სტანდარტული გადახრით.


ობლიგაციებთან ერთად კომერციული ბანკებიდან მაღალი მოთხოვნით სარგებლობდა. ამასთან, სადეპოზიტო სერტიფიკატები მიმოიქცეოდა 3-თვიანი და 6-თვიანი ვადიანობის სეგმენტზე, ხოლო მთავრობის ფასიანი ქაღალდები – 1-წლიანი, 2-წლიანი, 5-წლიანი და 10-წლიანი ვადიანობის სეგმენტზე. აღნიშნულმა ფასიანმა ქაღალდებმა ხელი შეუწყო შემოსავლიანობის სტაბილური მრუდის ჩამოყალიბებას. შემოსავლიანობის მრუდი იძლეოდა მნიშვნელოვან ინფორმაციას სხვადასხვა ვადიანობის საპროცენტო განაკვეთების შესახებ, ასევე ფინანსური ბაზრის მონაწილეთა მოლოდინების შესახებ. შემოსავლიანობის მრუდის მიხედვით, სპრედები გრძელვადიან და მოკლევადიან საპროცენტო განაკვეთებს შორის წლის განმავლობაში მცირდებოდა, რაც ბაზრის ეფექტიანობის ზრდაზე მიუთითებდა.

2013 წელს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოშვებული იყო 3-თვიანი და 6-თვი-

ანი ვადიანობის სადეპოზიტო სერტიფიკატები. ეს ფასიანი ქაღალდები საბანკო სექტორის მიერ გამოყენებული იყო როგორც ლიკვიდობის მართვის ყველაზე მიმზიდველი და ეფექტური მოკლევადიანი ინსტრუმენტი. შესაბამისად, სადეპოზიტო სერტიფიკატების განთავსების კოეფიციენტმა, რომელიც ასახავს ფაქტიური განთავსების შეფარდებას დაგეგმილ ემისიასთან, შეადგინა 1.0, ხოლო მოთხოვნის კოეფიციენტმა, რომელიც აჩვენებს მოთხოვნის ფარდობას გამოცხადებულ ემისიასთან, 2.24 შეადგინა.

2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიმოქცევაში არსებულ 690 მლნ ლარის სადეპოზიტო სერტიფიკატებს ფლობდა 13 კომერციული ბანკი. სადეპოზიტო სერტიფიკატების მეორად ბაზარზე 2013 წელს დაიდო 48 გარიგება საერთო თანხით 415.2 მლნ ლარი (2012 წელს განხორციელდა 413.3 მლნ ლარის მოცულობის 50 გარიგება).

ღიზარაზა N 2.9 სადეპოზიტო სერტიფიკატების პორტფელის მოცულობა 2010-2013 წლებში



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

სახელმწიფო ობლიგაციები

2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს ეროვნული ბანკი ფლობდა 40 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახელმწიფო ობლიგაციებს, რომელიც წლის განმავლობაში არ იყო გამოყენებული ღია ბაზრის ოპერაციებისათვის. რაც შეეხება საბანკო სექტორში მიმოქცევად

სახელმწიფო ობლიგაციებს, 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 87 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახელმწიფო ობლიგაციების მფლობელები არიან 3 კომერციული ბანკი და ერთი არასაბანკო ინვესტორი. 2013 წელს მეორად ბაზარზე ამ ფასიანი ქაღალდებით განხორციელდა 21 გარიგება (2012 წელს იყო 7 გარიგება).

სახაზინო ვალდებულებები და სახაზინო ობლიგაციები


ლარის ფულადი ბაზრის განვითარების ხელშეწყობისთვის, მნიშვნელოვანი იყო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების გამოშვების გაგრძელება. 2013 წელს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ახდენდა 1-წლიანი ვადიანობის დისკონტური ფასიანი ქაღალდების – სახაზინო ვალდებულებებისა და 2-წლიანი, 5-წლიანი და 10-წლიანი კუპონური ფასიანი ქაღალდების – სახაზინო ობლიგაციების ემისიას. ამ ფასიანი ქაღალდების ემისია ხდებოდა ეროვნული ვალუტით, არამატერიალიზებული ფორმით. ერთი ფასიანი ქაღალდის ნომინალური ღირებულება არის 1000 ლარი. სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების გაყიდვა ხორციელდებოდა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აუქციონის მეშვეობით, მრავალი ფასის მეთოდით, „ბლუმბერგის“ სავაჭრო სისტემის გამოყენებით. აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებულ კომერ-

ციულ ბანკებს და მათი მეშვეობით ნებისმიერ იურიდიულ და ფიზიკურ პირს. ფასიანი ქაღალდს შესაძლოა ჰყავდეს ნომინალური მფლობელი – ბაზრის შუამავალი, რომელსაც მესაკუთრე წერილობითი ხელშეკრულებით ანიჭებს რეესტრში სახაზინო ვალდებულებების და ობლიგაციების თავის სახელზე აღრიცხვის და მათი განკარგვის, ყიდვა-გაყიდვის და დაგირავების უფლებას.

სულ მიმოქცევაში არსებული სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების პორტფელმა 2013 წლის ბოლოსათვის შეადგინა 737 მლნ ლარი, რაც მშპ-სთან მიმართებაში 2.8 პროცენტს შეადგენდა.

2013 წლის განმავლობაში ფასიანი ქაღალდების მეორად ბაზარზე, სახაზინო ვალდებულებებზე განხორციელდა 22 გარიგება ჯამური ნომინალური ღირებულებით 56 მლნ ლარი (2012 წელს 20 გარიგება, 74.6 მლნ ლარი), ხოლო სახაზინო ობლიგაციებზე განხორციელდა 67 გარიგება ჯამური ნომინალური ღირებულებით 248.9 მლნ ლარი (2012 წელს 24 გარიგება, 131.4 მლნ ლარი).

ღიაზარმა N 2.10 2013 წელს სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების პორტფელი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

მონეტარული გადაცემის მექანიზმის ეფექტიანობის ზრდისათვის მნიშვნელოვანია ფასიანი ქაღალდების ლიკვიდური მეორადი ბაზრის არსებობა. 2013 წელს სახაზინო ფასიანი ქაღალდების აუქციონებზე საკმაოდ დიდი მოთხოვნა იყო. წინა

წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა მეორადი ბაზრის აქტივობა, თუმცა მისი უფრო გააქტიურების ერთ-ერთ ძირითად შემაფერხებელ გარემოებას მიმოქცევაში ფასიანი ქაღალდების არასაკმარისი მოცულობა წარმოადგენდა.

ღიაგრამა N 2.11 ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზრის დინამიკა 2012-2013 წლებში



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზრის უფრო მეტად გააქტიურების ხელშეწყობისა და შესაბამისი თანამედროვე მაღალტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის მოწყობისათვის, საქართველოს ეროვნული ბანკი აგრძელებდა მის მიერ განხორციელებული მნიშვნელოვანი მატერიალური და ინტელექტუალური ინვესტიციების განვითარებას-სრულყოფას, რაც საბოლოოდ, პრაქტიკაში „სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების (CSD) სისტემის“ და სხვადასხვა ურთიერთინტეგრირებული სისტემების სრულყოფილი ფუნქციონირებით გამოიხატებოდა.

ამავე მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკის ინიციატივით შეიქმნა და ამოქმედდა რეპო გარიგებების შესახებ ჩარჩო ხელშეკრულება, რომლის ფარგლებში რეპო გარიგებების დადებისათვის ბანკებს შეუძლიათ გამოიყენონ „ბლუმბერგის“ სავაჭრო სისტემა და „სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების (CSD) სისტემა“. აღნიშნული სისტემების გამოყენებით კომერციულ ბანკებს შორის პირველი რეპო გარიგება 2013 წლის 3 დეკემბერს განხორციელდა. რეპო ოპერაციების ბაზრის გაღრმავება მნიშვნელოვანია ქვეყანაში ფინანსური ბაზრის განვითარებისათვის.

ყოველივე ეს იძლევა ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზრის გააქტიურების კარგ საფუძველს და მას უნდა მოჰყვეს ბაზრის ლიკვიდობის ზრდა და მატებითი ფასიანი ქაღალდების, მათ შორის, გან-

საკუთრებით გრძელვადიანი ფასიანი ქაღალდების გამოშვების გზით.


2.2.4 მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები

მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების ინსტრუმენტის მემწეობით საქართველოს ეროვნულ ბანკს ჰქონდა საშუალება გავლენა მოეხდინა ფულის მულტიპლიკატორის მართვაზე. მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების ინსტრუმენტით საქართველოს ეროვნული ბანკი ქმნის დანარჩენი მონეტარული ინსტრუმენტების ეფექტური გამოყენების წინაპირობას. საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის გასააქტიურებლად, ლარის ფულადი ბაზრის განვითარების ხელშეწყობისა და ლარიზაციის ტენდენციების გაზრდის მიზნით, 2013 წელს კომერციული ბანკების მიერ ეროვნული ვალუტით მოზიდულ სახსრებზე მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების ნორმა შეადგენდა 10 პროცენტს (1 წელზე მეტი ნარჩენი ვადიანობის ნასესხები სახსრებისათვის სარეზერვო ნორმა 0 პროცენტს შეადგენს), ხოლო უცხოური ვალუტით მოზიდულ სახსრებზე – 15 პროცენტს (ნარჩენი ვადიანობებით უცხოური ვალუტით 1 წლიდან 2 წლამდე ვადიანობის ნასესხები სახსრებისათვის სარეზერვო ნორმა 5 პროცენტს, ხოლო 2 წელზე მეტი ვადიანობის ნასესხები სახსრებისათვის სარეზერვო ნორმა 0 პროცენტს შეადგენს).

საქართველოს ეროვნულ ბანკში კომერციული ბანკების მიერ განთავსებულ მინიმალურ რეზერვებს ეროვნული ბანკი დაარიცხავს შესაბამის პროცენტებს. კერძოდ, სალარე საკორესპონდენტო ანგარიშზე განთავსებულ საშუალოდ მოზიდული სახსრების 5 პროცენტის შესაბამის თანხას დაარიცხავს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ოდენობის პროცენტს. აშშ

დოლარით და ევროთი ფორმირებულ მინიმალურ რეზერვებს ეროვნული ბანკი დაარიცხავდა შესაბამისი ცენტრალური ბანკის (აშშ ფედერალური სარეზერვო სისტემის და ევროპის ცენტრალური ბანკის) პოლიტიკის განაკვეთს მინუს 0.5 პუნქტით შემცირებულ პროცენტს, მაგრამ არანაკლებ ნულისა, რაც ფაქტობრივად 2013 წელს ნულს შეადგენდა.

ღიაზარა N 2.12 სარეზერვო ნორმა ნარჩენი ვადიანობის მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

2.3 სავალუტო პოლიტიკა და საერთაშორისო რეზერვების მართვა


2013 წელს საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო პოლიტიკის მთავარ პრიორიტეტებად რჩებოდა კურსნარმოქმნის საბაზრო პრინციპების ხელშეწყობა, სავალუტო ბაზრის განვითარება და საერთაშორისო რეზერვების ადეკვატურ დონეზე შენარჩუნება.

საქართველოში მოქმედებს მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმი. ასეთი სახის სავალუტო რეჟიმი საქართველოს მსგავსი მცირე ღია ეკონომიკის ქვეყნებისათვის წარმოადგენს ყველაზე ოპტიმალურ ინსტრუმენტს და ასრულებს შოკების მშთანთქავ ფუნქციას, რამდენადაც საგარეო შოკის შემთხვევაში გაცვლითი კურსის ცვლილება ასუსტებს აღნიშნული შოკის გავლენას რეალურ ეკონომი-

კაზე – ეკონომიკურ ზრდასა და ინფლაციაზე.

სავალუტო ბაზარზე ეროვნული ბანკის მიერ ინტერვენციების განხორციელების ინსტრუმენტს წარმოადგენს სავალუტო აუქციონების მექანიზმი. საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო ინტერვენციების მიზანი იყო გაცვლითი კურსის მკვეთრი რყევების თავიდან აცილება და არა კონკრეტული საკურსო თანაფარდობის ჩამოყალიბება. საანგარიშო პერიოდის მანძილზე, ეროვნული ბანკი ცდილობდა სავალუტო ბაზარზე ჩარევა შეემცირებინა და ინტერვენციებს მხოლოდ კაპიტალის დროებითი, ჭარბი ნაკადების გაცვლით კურსზე გადაჭარბებული ზეგავლენის აღმოფხვრის მიზნით ახორციელებდა. აღნიშნულის მიუხედავად, სავალუტო ბაზრის კონიუნქტურის გათვალისწინებით, საანგარიშო პერიოდში, წინა წელთან შედარებით, გარკვეულწილად გაიზარდა ეროვნული ბანკის სავალუტო ინტერვენციების სიხშირე.

ღიზრამა N 2.13 სავალუტო ბაზრის დინამიკა 2003-2013 წლებში




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

საანგარიშო პერიოდში გაგრძელდა კურსნარ-მოქმნის საბაზრო პრინციპების გაძლიერების კვალობაზე ჩამოყალიბებული ტენდენცია – ლარის გაცვლითი კურსის მოკლევადიანი მერყეობა. მოკლევადიან პერიოდში გაცვლითი კურსის არაპროგ-

ნოზირებადობა ამცირებს სპეკულაციური ზენოლის რისკებს და ამსუბუქებს გაცვლითი კურსის ცვლილებით საგარეო შოკების ზეგავლენას რეალურ ეკონომიკაზე.

ღიზრამა N 2.14 აშშ დოლარი/ლარის გაცვლითი კურსის მერყეობა¹³



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

2013 წლის დასაწყისში ეროვნული ბანკი, განხორციელებული სავალუტო ინტერვენციებით, ბაზარზე უცხოური ვალუტის მყიდველის როლში გამოდიოდა. შედეგად, ეროვნულმა ბანკმა პირველი 9 თვის განმავლობაში 575 მილიონი აშშ დოლარი შეისყიდა. აღნიშნული ინტერვენციები მიზნად ისახავდა კურსის ზედმეტი გამყარებისგან თავის არიდებას. ამ პერიოდში ინფლაციის ნეგა-

ტიური მაჩვენებელი ფიქსირდებოდა. კურსის ზედმეტი გამყარება კიდევ უფრო გააძლიერებდა დეფლაციურ ზენოლას. აღნიშნულ პერიოდში კურსის გამყარებაზე ზენოლას განაპირობებდა უცხოეთიდან განხორციელებული ფულადი გზავნილებისა და ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების ზრდა. აღსანიშნავია, რომ ბაზარზე აისახებოდა არარეზიდენტების დეპოზიტების მოცულობის ზრდაც.

13. 3-დღის სტანდარტული გადახრა.

2013 წლის მეოთხე კვარტალში გაძლიერდა ლარის გაცვლითი კურსზე ზენოლა გაუფასურების მიმართულებით. შიდა მოთხოვნის გააქტიურების შედეგად გაიზარდა მოთხოვნა იმპორტზე, რასაც თან დაერთო წლის ბოლოს საბიუჯეტო ხარჯების მკვეთრი გაფართოება და ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების მატება. იმისათვის, რომ ბაზარზე არ წარმოქმნილიყო სპეკულაციური მოლოდინები, ეროვნული ბანკი ახორციელებდა სავალუტო ინტერვენციებს გაყიდვის მიმართულებით, რომლის მოცულობამაც ნოემბერ-დეკემბერში 220 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. ჯამში, 2013 წელს, ეროვნულმა ბანკმა სავალუტო ბაზარზე 335 მილიონი აშშ დოლარი შეისყიდა.

სავალუტო ბაზარზე ბანკთაშორისი ოპერაციები კვლავინდებურად „ბლუმბერგის“ სავაჭრო სისტემის მეშვეობით ხორციელდებოდა. აღნიშნულმა სისტემამ თავი დაიმკვიდრა როგორც საიმედო, თანამედროვე ელექტრონულმა სავაჭრო პლატფორმამ, რომლის მეშვეობითაც კომერციული ბან-

კები მარტივად და უსაფრთხოდ ახორციელებენ სავალუტო გარიგებებს. 2013 წლის განმავლობაში ბანკთაშორისი სავალუტო გარიგებების რაოდენობის 95.7 პროცენტი განხორციელებული იქნა „ბლუმბერგის“ სავაჭრო სისტემაში (გარიგებების საერთო მოცულობის 93.6 პროცენტი). საქართველოს ეროვნული ბანკის მონაწილეობა კვლავინდებურად პერიოდული სავალუტო აუქციონებით შემოიფარგლებოდა, რომელიც ასევე „ბლუმბერგის“ სავაჭრო სისტემის მეშვეობით ხორციელდებოდა.


2013 წლის დეკემბერში, 2012 წლის დეკემბერთან შედარებით რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი 1.5 პროცენტით, ხოლო ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი 0.5 პროცენტით გაუფასურდა. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ საქართველოში უფრო დაბალი ინფლაცია ფიქსირდებოდა, ვიდრე საქართველოს ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში.

ცხრილი N 2.1 რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის წლიური ცვლილება 2013 წელს

	NEER წლიური ცვლილება, %	REER წლიური ცვლილება, %	წვლილი REER-ში
ეფექტური გაცვლითი კურსი	-0.5	-1.5	-1.5
თურქეთი	11.9	6.6	1.5
ევროზონა	-7.3	-6.2	-1.0
უკრაინა	-3.1	-1.3	-0.2
სომხეთი	-3.2	-6.2	-0.3
აშშ	-3.1	-2.3	-0.1
რუსეთი	3.7	-0.4	0.0
აზერბაიჯანი	-3.1	-4.3	-0.7
დანარჩენი	-5.4	-4.4	-0.7

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

ღიაზრება N 2.15 ლარის რეალური და ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსების ინდექსები (დეკ. 2009=100)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

საერთაშორისო რეზერვების მართვა

2013 წელს საქართველოს ეროვნული ბანკის პრიორიტეტს საერთაშორისო რეზერვების სასურველ ნიშნულზე შენარჩუნება წარმოადგენდა. ამის შედეგად, 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვების მოცულობამ 2,823 მლნ აშშ დოლარი (რეზერვების მთლიანი მოცულობა

მოიცავს გარე მენეჯერისათვის (მსოფლიო ბანკი) სამართავად გადაცემულ თანხებსაც) შეადგინა. 2012 წლის ანალოგიურ მონაცემთან შედარებით (2,873 მლნ აშშ დოლარი), 2013 წელს საერთაშორისო რეზერვების მოცულობა შემცირდა 50 მლნ აშშ დოლარით, რაც პროცენტულ გამოსახულებაში 1.76 პროცენტს შეადგენს.

ღიაზრება N 2.16 საქართველოს ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვები 1997-2013



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

საქართველოს ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვების მოცულობის ცვლილებაზე 2013 წლის განმავლობაში ტრადიციულად რამდენიმე ძირითადი ფაქტორი მოქმედებდა: საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო აუქციონები, საქართველოს მთავრობის ხარჯები და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული კრედიტები და გრანტები. წლის განმავლობაში სავალუტო აუქციონებით ეროვნული ბანკის წმინდა შესყიდვებმა 335 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მსოფლიო ბანკიდან მიღებულმა სესხმა შეადგინა 60.7 მლნ აშშ დოლარი, ევროგაერთიანების გრანტებმა – 32 მლნ აშშ დოლარი, ევროპის საინვესტიციო ბანკის სესხმა – 35, იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს სესხმა – 49.7 და აზიის განვითარების ბანკის სესხმა – 3.7 მლნ აშშ დოლარი. გასული წელი განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს ეროვნული ბანკისა და ქვეყნის მთავრობის დავალიანებების მსხვილი დაფარვებით, რაც ნეგატიურად მოქმედებდა საერთაშორისო რეზერვების მოცულობის სიდიდეზე. 2013 წელს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გადაიხადა 19.6 მლნ SDR ECF-ის სესხის დასაფარად, აგრეთვე SBA-ის დასაფარად სულ გადახდილ იქნა 231.5 მლნ SDR, აქედან საქართველოს მთავრობამ გადაიხადა 92.1 მლნ SDR, ხოლო საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 139.4 მლნ SDR. გარდა ამისა, 2013 წელს მთავრობამ დაფარა 2008 წელს გამოშვებული 5 წლიანი ევრობონდის დარჩენილი ნაწილი 64.75 მლნ აშშ დოლარის ოდენობით და ამავე ევრობონდების საპროცენტო სარგებლის ხარჯი 34.4 მლნ აშშ დოლარის ოდენობით.

2013 წლის განმავლობაში ფინანსურ ბაზრებზე 2008 წელს დაწყებული ფინანსური კრიზისიდან გამოსვლის ნიშნები შეინიშნებოდა, თუმცა მსოფლიო ეკონომიკის წინა წლების ზრდის მაჩვენებლების დაბრუნებაზე საუბარი ჯერ კიდევ ნაადრევია. მიუხედავად პოზიტიური სტატისტიკური მაჩვენებლებისა, აშშ-ს უმუშევრობა კვლავ მაღალ დონეზეა შენარჩუნებული, ევროპის რეგიონში დეფლაციური ფონი სუფევს და სავალო კრიზისის საბოლოო მოგვარება არ მომხდარა, ხოლო ჩინეთის ეკონომიკა აგრძელებს შენელებას. 2012 წლის მსგავსად, 2013 წელს მსოფლიოს წამყვანი ცენ-

ტრალური ბანკები, განსაკუთრებით კი ამერიკის ფედერალური სარეზერვო სისტემა და ევროპის ცენტრალური ბანკი განაგრძობდნენ ეკონომიკის სტიმულირების პოლიტიკას, რაც დამატებითი აქტივების შესყიდვით ეკონომიკის სტიმულირების მიზნით ფულადი მასის ზრდაში და ოფიციალური რეზინანსირების განაკვეთების დაბალ ნიშნულზე შენარჩუნებაში გამოიხატებოდა. 2013 წელს ევროპის ცენტრალურმა ბანკმა 2-ჯერ მოახდინა რეზინანსირების განაკვეთის დაწევა 75 საბაზისო პუნქტიდან 25 საბაზისო პუნქტამდე, ხოლო სადებოზიტო განაკვეთი (ECB Deposit Facility) კვლავ 0 პროცენტზე იყო შენარჩუნებული. რეზინანსირების განაკვეთის ცვლილება არ მომხდარა ფედერალური სარეზერვო სისტემის მხრიდან, მაგრამ წლის მეორე ნახევრიდან, ევროზონისა და აშშ-ის ფინანსურ ბაზრებზე, შედარებით უკეთესი სტატისტიკური მონაცემების გამოქვეყნების კვალობაზე, ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ მიიღო გადაწყვეტილება აქტივების მასიური შესყიდვების პროგრამის მცირედით შემცირების თაობაზე, რამაც ინვესტორებს ბაზრებზე ოპტიმიზმი შემატა და გამოიწვია ფასიან ქაღალდებზე საპროცენტო განაკვეთების ზრდა. 2013 წლის განმავლობაში საქართველოს ეროვნული ბანკის საინვესტიციო პოლიტიკა კვლავინდებურად კონსერვატიული იყო და საკრედიტო რისკების შემცირებაზე იყო ორიენტირებული. საქართველოს ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვები განთავსებული იყო აშშ-ს, ევროზონის ქვეყნების, ავსტრალიისა და კანადის სახელმწიფო, სახელმწიფო სააგენტოებისა და სუპრანაციონალური საფინანსო ინსტიტუტების მაღალლიკვიდურ ფასიან ქაღალდებში და მაღალი საკრედიტო რეიტინგის მქონე საერთაშორისო საბანკო დაწესებულებებში. საერთაშორისო რეზერვების მართვის სფეროს გასული წლის სიახლეებიდან აღსანიშნავია საპროცენტო განაკვეთებისა და სახელმწიფო ობლიგაციების ფიუჩერული კონტრაქტებით ვაჭრობის დაწყება, რაც მსოფლიო ბანკის სუვერენული ინვესტიციების პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა. 2013 წლის განმავლობაში საქართველოს ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვების მართვიდან მიღებულმა შემოსავლებმა 25.8 მლნ ლარი შეად-

გინა. 2013 წელს საქართველოს ეროვნული ბანკი განაგრძობდა თანამშრომლობას მსოფლიო ბანკთან სუვერენული ინვესტიციების პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში, რომლის წევრიც საქართველოს ეროვნული ბანკი 2009 წელს გახდა. პირველი სამწლიანი ეტაპის დასრულების შემდეგ, აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობა გაგრძელდა კიდევ 2 წლით. პროგრამა ითვალისწინებს საერთაშორისო რეზერვების მართვის სფეროს შემდგომი განვითარების მიზნით ტექნიკური მხარდაჭერის აღმოჩენას, ეროვნულ ბანკში შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნისა და ცოდნის დაგროვების კუთხით. პროგრამა მოიცავს პორტფელისა და რისკების მართვის, ანგარიშსწორების, ბუღალტრული აღრიცხვის, სამართლებრივ და საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროებში მსოფლიო ბანკის მიერ საკუთარი გამოცდილების გაზიარებას ეროვნული ბანკისათვის. პროგრამის ფარგლებში ხდებოდა საქართველოს ეროვნული

ბანკის თანამშრომლებისთვის გამოცდილების გაზიარება. გასული წლის განმავლობაში განხორციელდა აქტივების სტრატეგიული განაწილების რიგით მეორე სავარჯიშო, რომლის შედეგადაც საქართველოს ეროვნული ბანკი გადავიდა საერთაშორისო რეზერვების პორტფელის ახალ სტრუქტურაზე. კერძოდ, სავალუტო რეზერვების პორტფელი დაიყო სამ ე.წ. „ტრანშად“ (საოპერაციო, ლიკვიდურობის და საინვესტიციო ტრანშები), ხოლო თითოეული ტრანშისათვის დადგინდა მოცულობა, მიზნები და დანიშნულება. შემოღებულ იქნა პორტფელების რებალანსირების მეთოდები და წესები, შეიცვალა სავალუტო კომპოზიცია და გაიზარდა გამოსაყენებელი ფინანსური ინსტრუმენტების სპექტრი. აღსანიშნავია, რომ სტრატეგიული განაწილების შედეგების განხორციელების შემდეგ, საქართველოს ეროვნული ბანკის რეზერვების უმეტესი ნაწილის მართვა მოხდება შერჩეულ „ბენჩმარკის“ ინდექსებთან მიმართებაში.



საბანკო სექტორი

3.1 საზედამხებელი ჩარჩოს განვითარება

2013 წელს ძალაში შევიდა კაპიტალის ადეკვატურობის განახლებული დებულება, რომელიც ეფუძნება საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის ბაზელ II და ბაზელ III-ის დოკუმენტებს. განახლებული მიდგომა უფრო მეტად არის მორგებული კომერციული ბანკების რისკის პროფილზე.

კაპიტალის ადეკვატურობის ახალი ჩარჩოს პირველი ნაწილი ე.წ. „პილარ 1“, მინიმალური საზედამხებველო კაპიტალის განსაზღვრის სტანდარტიზებულ მეთოდს იყენებს. კომერციული ბანკები 2013 წლის 31 დეკემბრიდან ახალი მეთოდოლოგიით ახორციელებენ ანგარიშგებას, ამასთანავე 2014 წლის 30 ივნისიდან კომერციული ბანკები ვალდებული ხდებიან შესაბამისობაში მოვიდნენ კაპიტალის ადეკვატურობის ახალ მოთხოვნასთან. 2013 წლის მეორე ნახევარი კომერციულ ბანკებთან ტესტურ რეჟიმში მუშაობას დაეთმო, მიმდინარეობდა საცდელი საანგარიშგებო ფორმების შემოწმება, კორექტირება, შენიშვნების გაზიარება. მცირე ბანკებს საშუალება ეძლევათ გამოიყენონ გამარტივებული მიდგომა და არ მოახდინონ საკუთარი აქტივების კლასიფიკაცია 2014 წლის 31 დეკემბრამდე, შესაბამისად იმ კომერციულ ბანკებს, რომლებიც გარკვეულ სირთულეებს ნააწყდნენ ახალი მეთოდოლოგიის დანერგვის პროცესში, მიეცათ შესაძლებლობა დამატებით 6 თვე იმუშაონ პოლიტიკებისა და პროცედურების შემუშავების კუთხით. დანარჩენი ბანკები კი ვალდებული არიან საქართველოს ეროვნულ ბანკს 2014 წლის 30 აპრილამდე მიაწოდონ შემუშავებული პროცედურები და პოლიტიკები, რომელიც საჭიროა კაპიტალის ადეკვატურობის „პილარ 1“ ნაწილის დათვლის მიზნებისათვის.

კაპიტალის ადეკვატურობის ჩარჩოს მეორე ნაწილის ე.წ. „პილარ 2“-ის მიზნებისათვის კომერციული ბანკები ვალდებული არიან 2014 წლის 30 სექტემბრამდე წარმოადგინონ შიდა კაპიტალის ადეკვატურობის შეფასება (ICAAP), რაც გულისხმობს კომერციული ბანკის ვალდებულებას, შეაფასოს საკუთარი სპეციფიკური რისკები და რისკის პროფილზე დაყრდნობით განსაზღვროს დამატე-

ბითი საჭირო კაპიტალი. ICAAP-თან დაკავშირებით 2013 წელს კომერციულ ბანკებს დაეგზავნათ ინსტრუქცია, რომელიც მათ პროცესის წარმართვაში შეუწყობს ხელს.

შემუშავების პროცესშია კაპიტალის ადეკვატურობის ჩარჩოს მესამე ნაწილი ე.წ. „პილარ 3“, რომელიც დაარეგულირებს კომერციული ბანკების მიერ რისკების შესახებ მნიშვნელოვანი ხარისხობრივი თუ რაოდენობრივი ინფორმაციის გამჟღავნებას. „პილარ 3“-ის ამოქმედება შემდეგი წლიდან იგეგმება.

რისკებზე დაფუძნებული ზედამხედველობის ფარგლებში ეროვნულმა ბანკმა გასული წლის განმავლობაში შეიმუშავა და 2014 წელს დანერგა რისკების შეფასების საერთო პროგრამა (GRAPE). მისი მიზანია კომერციული ბანკების რისკებზე ორიენტირებული ზედამხედველობის პროცესის უფრო ეფექტიანი ორგანიზება. მასზე დაყრდნობით საქართველოს ეროვნული ბანკი თანამიმდევრულად იყენებს შიდა რესურსებს კომერციული ბანკების რისკებზე ორიენტირებული შეფასებისათვის და შეიმუშავებს თითოეულ ინსტიტუტზე მორგებულ საზედამხებველო სტრატეგიას. დოკუმენტი ეროვნული ბანკის დებულებასთან ერთად სამუშაო დონეზე აღწერს საბანკო ზედამხედველობის პროცესს.

საერთაშორისო თანამშრომლობის მხრივ მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტი, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი გახდა საერთაშორისო საბანკო ჯგუფის საზედამხებველო კოლეჯის მონაწილე. სხვადასხვა ქვეყნის ზედამხედველის მონაწილეობით გამართული საზედამხებველო კოლეჯის მუშაობა პროდუქტიული იყო კომერციული ბანკის რისკების შესწავლისა და საზედამხებველო ინფორმაციის გაზიარების მხრივ. საქართველოს ეროვნული ბანკი გეგმავს მომავალში თანამშრომლობის გაღრმავებას სხვა ქვეყნის საზედამხებველო დაწესებულებებთან კომერციული ბანკების რისკების უკეთესი ანალიზისათვის.

2013 წელს საქართველოს ეროვნული ბანკი გადავიდა გარე აუდიტორებთან ინტენსიური თანამშრომლობის ახალ ეტაპზე. აღნიშნულის მიზანია აუდიტორებისა და ზედამხებველების ამოცანებში თანაკვეთიდან გამომდინარე სინერჯის გაზრდა და კომერციული ბანკების ფინანსური მდგომარე-

ობის ანგარიშგების ხარისხის უფრო მეტად დახვეწის ხელშეწყობა.

სამომავლოდ საქართველოს ეროვნული ბანკის საზედამხედველო ჩარჩოში აუთოსრისინგის როლის გაზრდა იგეგმება. გარე აუდიტორებთან თანამშრომლობის გაზრდა ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯია. აუთოსრისინგის მისაღებ ფარგლებში გამოყენების აუცილებლობა საზედამხედველო რესურსების ოპტიმიზირებით არის გამოწვეული. ამ მხრივ, აღსანიშნავია საბანკო ზედამხედველობაში კვალიფიციური კადრების შენარჩუნების და ასევე ბაზრიდან მოზიდვის სირთულე ფინანსური სექტორის შრომის ბაზარზე არსებული კონკურენციის გამო. ბოლო წლებში საბანკო სექტორი ერთ-ერთი მაღალკონკურენტულ დამსაქმებლად ჩამოყალიბდა. გამომდინარე აქედან, დღეისათვის ეროვნული ბანკისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვისა და შენარჩუნების საკითხი.

3.2 მფლობელობის სტრუქტურის რისკი

2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს საბანკო სექტორი 21 კომერციული ბანკით იყო წარმოდგენილი. არარეზიდენტი მესაკუთრეების მონაწილეობა ბანკების აქტივებში, საბოლოო მფლობელობის მიხედვით¹⁴,


შეადგენდა 85 პროცენტს, ხოლო სააქციო კაპიტალში 83 პროცენტს. 2013 წლის 6 აგვისტოს საბანკო საქმიანობის ლიცენზია გაიცა სს „ფინკა ბანკი საქართველოზე“, რომელიც საქართველოს ბაზარზე 1998 წლიდან ოპერირებს როგორც მიკროსაფინანსო ორგანიზაცია.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს საბანკო სექტორი კვლავ საკმაოდ ძლიერი აქციონერებითაა წარმოდგენილი, მათ შორის, მსხვილი საერთაშორისო და რეგიონული ინვესტორებით. წლის განმავლობაში საქართველოს ეროვნული ბანკი აქტიურად ახორციელებდა საქართველოში წარმოდგენილი საერთაშორისო საბანკო ჯგუფების მშობელ ქვეყნებში განვითარებული პროცესების მონიტორინგს.

3.3 საკრედიტო რისკი

2013 წელი დაკრედიტების კუთხით საბანკო სისტემისათვის მთლიანობაში საშუალო აქტივობით გამოირჩეოდა. საკრედიტო პორტფელის მოცულობამ (ბანკთაშორისი სესხების გარეშე) წლის ბოლოსათვის 10.5 მილიარდი ლარი შეადგინა. ნომინალურ გამოხატულებაში პორტფელის წლიურმა ზრდამ 20 პროცენტი, ხოლო ფიქსირებული კურსის ეფექტის გათვალისწინებით 17 პროცენტი შეადგინა.

დიაგრამა N 3.1 მთლიანი სასესხო პორტფელის დინამიკა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

14. კომერციული ბანკის მესაკუთრე „საბოლოო მფლობელობის“ მიხედვით არარეზიდენტად მოიაზრება იმ შემთხვევაშიც, თუკი იგი არის რეზიდენტი კომპანია, რომლის მფლობელიც არის არარეზიდენტი ფიზიკური ან იურიდიული პირი.

2013 წლის მანძილზე შეიცვალა საკრედიტო პორტფელის კომპოზიცია სეგმენტების მიხედვით. პორტფელის კომპოზიციის ცვლილება განაპირობა საცალო საკრედიტო პორტფელის ზრდის საკმაოდ მაღალმა ტემპმა, რასაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საპროცენტო გა-


ნაკვეთების შემცირებამ და საცალო პროდუქტებზე ვადის გახანგრძლივებამ. გასულ წლებში საპროცენტო განაკვეთების შემცირების ტენდენცია 2013 წელსაც გაგრძელდა, რაც გამოწვეული იყო კონკურენციის კიდევ უფრო გამძაფრებით.

ცხრილი N 3.1 მთლიანი საკრედიტო პორტფელი სეგმენტების მიხედვით (ბანკთაშორისი სესხების გარდა)

სეგმენტი (ბანკთაშორისი სესხების გარდა)	დეკ 2012		დეკ 2013		ზრდა - პროცენტი	ზრდა - თანხა
	მლნ ლარი	%	მლნ ლარი	%		
კორპორატიული	3606	41%	4028	38%	12%	422
მცირე და საშუალო ბიზნესი	1738	20%	2051	20%	18%	313
საცალო	3368	39%	4400	42%	31%	1032
სულ:	8712	100%	10480	100%	20%	1768

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

ღიაბრაზი N 3.2 საკრედიტო პორტფელის თვის განმავლობაში გაცემულ სესხებზე არსებული საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთი სეგმენტების მიხედვით (ბანკთაშორისი სესხების გარდა)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.


რისკ სექტორების კუთხით საბანკო სისტემის საკრედიტო პორტფელი დივერსიფიცირებულია და უნდა ჩაითვალოს. აღსანიშნავია, რომ პროცკულუ-

რი სექტორების წილი პორტფელში დადამავალი ტრენდით ხასიათდება, რაც პორტფელის მდგრადობას სისტემური რისკის მიმართ აუმჯობესებს.

სექტორი ბანკთაშორისი სესხების გარდა (მილიონი ლარი)	წილი მთლიან პორტფელში	სესხის ნაშთი	რეზერვი	სესხის რეზერვი / პორტფელი
სახელმწიფო ორგანიზაციები	1.0%	104	2	2.0%
საფინანსო ინსტიტუტები	1.3%	140	5	3.8%
ლომბარდული სესხები	3.3%	347	9	2.6%
უძრავი ქონების დეველოპმენტი	2.3%	236	52	22.2%
უძრავი ქონების მენეჯმენტი	4.6%	483	26	5.4%
სამშენებლო კომპანიები (არა დეველოპერები)	2.4%	249	57	23.0%
სამშენებლო მასალების მოპოვება, წარმოება და ვაჭრობა	2.1%	223	18	8.2%
სამომხმარებლო საქონლის ვაჭრობა	5.2%	541	38	6.9%
სამომხმარებლო საქონლის წარმოება	4.3%	455	18	4.0%
ხანგრძლივი მოხმარების სამომხმარებლო პროდუქციის წარმოება და ვაჭრობა	1.3%	133	7	4.9%
ფესხაცმლის, ტანსაცმლის და ტექსტილის წარმოება და ვაჭრობა	1.2%	121	5	4.5%
ვაჭრობა (სხვა)	4.6%	487	24	5.0%
წარმოება (სხვა)	1.4%	150	8	5.4%
სასტუმროები და ტურიზმი	2.9%	300	17	5.5%
რესტორნები, ბარები, კაფეები და სწრაფი კვების ობიექტები	1.2%	121	8	6.3%
მძიმე მრეწველობა	3.5%	371	29	7.8%
ბენზინგასამართი სადგურები და ბენზინის იმპორტიორები	1.8%	186	13	6.9%
ენერჯეტიკა	2.7%	285	13	4.4%
ავტომობილების დილერები	1.2%	127	13	10.0%
ჯანდაცვა	2.4%	255	12	4.6%
ფარმაცევტიკა	0.9%	92	10	10.7%
ტელეკომუნიკაცია	1.8%	190	39	20.6%
სერვისი	4.8%	508	58	11.5%
სოფლის მეურნეობის სექტორი	3.8%	398	17	4.3%
სხვა (ჯართის ბიზნესის ჩართვით)	1.0%	106	4	3.5%
საჯამო პროდუქტები	36.9%	3,871	189	4.9%
ავტო-სესხები	0.5%	57	6	10.8%
სამომხმარებლო სესხები	16.3%	1,706	77	4.5%
მომენტალური განვადება	2.2%	226	10	4.3%
ოვერდრაფტები	0.6%	67	5	7.2%
საკრედიტო ბარათები	4.8%	503	36	7.2%
სესხები ბინის რემონტისათვის	1.6%	172	6	3.5%
იპოთეკური სესხები	10.9%	1,141	49	4.3%
სულ	100.0%	10,480	690	6.6%

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

ღიზრება N 3.3 საცალო პროდუქტების განაწილება



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

საანგარიშო წლის მანძილზე საცალო პორტფელის ზრდის მთავარი მამოძრავებელი იყო სამომხმარებლო, იპოთეკური სესხები და მომენტალური

განვადებები. მომენტალური განვადებების წლიურმა ზრდის ტემპმა 2013 წელს 100 პროცენტს გადააჭარბა.

ცხრილი N 3.3 საცალო პროდუქტების განაწილება (2012, 2013), ცვლილება ერთწლიან პერიოდში

მილიონი ლარი	დეკ-12	წილი	დეკ-13	წილი	ცვლილება – პროცენტი	ცვლილება – თანხა
საცალო პროდუქტები	3,021	100%	3,871	100%	28.1%	850
ავტო-სესხები	63	2%	57	1%	-10.5%	(7)
სამომხმარებლო სესხები	1,286	43%	1,706	44%	32.7%	420
მომენტალური განვადება	112	4%	226	6%	102.3%	114
ოვერდრაფტები	61	2%	67	2%	10.1%	6
საკრედიტო ბარათები	438	14%	503	13%	14.9%	65
სესხები ბინის რემონტისათვის	138	5%	172	4%	24.5%	34
იპოთეკური სესხები	924	31%	1,141	29%	23.5%	217

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

უმოქმედო სესხების¹⁵ წილი მთლიან პორტფელში წლის ბოლოსათვის მნიშვნელოვნად შემცირდა და 7 პროცენტი შეადგინა, 2012 წლის ანალოგიური მაჩვენებელი 9.3 პროცენტს შეადგენდა. საერთაშორისო შედარების მიზნებისათვის მიღებული 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებებით განსაზღვრული უმოქმედო სესხების წილი მთლიან პორტფელში კვლავ შემცირდა და 2013 წლის ბოლოსათვის 3.1 პროცენტი შეადგინა, 2012 წლის ბოლოსათვის აღნიშნული მაჩვენებელი 3.7 პროცენტს შეადგენდა.


ეკონომიკური ზრდის შენელების ფონზე სესხების ხარისხის გაუმჯობესება რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა. მნიშვნელოვანია, რომ საბანკო ინდუსტრიაში აღინიშნება რისკების მართვის გაუმჯობესება, რომლის ერთ-ერთი შედეგი პროციკლური სექტორების წილის მნიშვნელოვნად შემცირება და შესაბამისად, ეკონომიკური ზრდის შენელებისადმი ნაკლები მგრძობიარობა იყო. ასევე ამ სექტორების მსესხებლების მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე იყო აღიარებული უმოქმედოდ 2009 წლის რეცესიის შემდეგ. ასევე მნიშვნელოვან

15. „უმოქმედო სესხები“ – აქტივების კლასიფიკაციის მოქმედი რეგულაციის მიხედვით კლასიფიკაციის ბოლო სამი კატეგორია: არასტანდარტული, საეჭვო და უიმედო.

ნია, რომ წინა წლებში არ აღინიშნებოდა აქტივების სწრაფი ზრდა და საკრედიტო სტანდარტების ლიბერალიზება. ამასთან, აღსანიშნავია რომ 2012 წელს პორტფელის ხარისხი გაუარესებული იყო ცალკეული იდიოსინკრატიული¹⁶ მოვლენების გამო და შედეგად 2013 წელს პორტფელის უმოქმედო სესხების შედარებითი გაუმჯობესება დაფიქსირ-

და. პორტფელის შედარებით ზომიერმა, თუმცა მაინც დადებითმა ზრდამ ასევე პოზიტიური როლი შეასრულა, ისევე, როგორც გაცვლითი კურსის სტაბილურობამ და საპროცენტო განაკვეთების შემცირებამ, რამაც ბევრ მსესხებელს სესხის მომსახურება შეუმსუბუქა.

ღიაგრამა N 3.4 პროციკლური სექტორების წილი ჯამურ საკრედიტო პორტფელში



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.


ცხრილი N 3.4 სასესხო პორტფელის კატეგორიები და ფორმირებული რეზერვები 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

კატეგორია	თანხა (მილიონი ლარი)	წილი	რეზერვი
სტანდარტული	8,902	84.9%	2%
ნეგატიური სესხები	1578	15.1%	31%
საყურადღებო	787	7.5%	12%
უმოქმედო სესხები	791	7.5%	50%
არასტანდარტული	334	3.2%	30%
საექვო	283	2.7%	50%
უიმედო	173	1.7%	89%
სულ	10,480	100.0%	7%

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.


16. იდიოსინკრატიული აღნიშნავს ინდივიდუალურს, რაც არ წარმოადგენს სისტემურ ხასიათის ფაქტორს.

ღიზრამა N 3.5 სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის მთლიან პორტფელთან თანაფარდობა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

ღიზრამა N 3.6 მთლიანი სასესხო პორტფელის დინამიკა წმინდა ჩამონერილი სესხების აღდგენის ეფექტით




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

ღიზრამა N 3.7 სესხების ჩამონერა და ამოღება




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

ღიაზრამა N 3.8 პრობლემური აქტივები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

ღიაზრამა N 3.9 დასაკუთრებული ქონება



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

ჩანართი N1 საპროცენტო განაკვეთების საერთაშორისო შედარება

ეროვნული ბანკის დაკვეთით, 2013 წლის ბოლოს საერთაშორისო აუდიტორულმა კომპანიამ KPMG, რომელიც საერთაშორისო აუდიტორთა დიდ ოთხეულში შედის, ჩაატარა კვლევა, რომლის ამოცანა იყო შეედარებინა საქართველოს კომერციული ბანკების მიერ შეთავაზებულ ძირითად საკრედიტო პროდუქტებზე არსებული საპროცენტო განაკვეთები აღმოსავლეთ ევროპის, ბალკანეთის, კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების შესაბამის მაჩვენებლებთან.

KPMG კვლევისთვის შეარჩია ხუთი ქვეყანა: აზერბაიჯანი, პოლონეთი, სერბეთი, სომხეთი და ყაზახეთი და ამ ქვეყნების საფინანსო ბაზრის ლიდერი ბანკების მინიმუმ ორ-ორი წარმომადგენელი. კვლევის მიზნებისათვის შეირჩა საქართველოს საბანკო ბაზარზე არსებული ხშირად გამოყენებადი სხვადასხვა საკრედიტო პროდუქტი და შედარდა ზემოხსენებულ ქვეყნებსა და საქართველოში ამ პროდუქტების ნომინალური და ეფექტური საპროცენტო განაკვეთები.


კვლევისას ყურადღება გამახვილდა ისეთ

საბანკო პროდუქტებზე, როგორებიცაა: ფიქსირებული და მცურავგანაკვეთიანი იპოთეკური კრედიტი, უზრუნველყოფილი და არაუზრუნველყოფილი სამომხმარებლო კრედიტი, საკრედიტო ბარათი, კორპორატიული კრედიტი – საბრუნავი საშუალებებისა და კაპიტალური ხარჯების დასაფინანსებლად, კრედიტი მცირე და საშუალო ბიზნესისთვის – საბრუნავი საშუალებებისა და კაპიტალური ხარჯების დასაფინანსებლად.

საკრედიტო პროდუქტის ნომინალური და ეფექტური განაკვეთების შედარებითა კვლევამ აჩვენა, რომ უმეტეს შემთხვევებში კრედიტებზე საქართველოზე უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთებია ყაზახეთში, აზერბაიჯანში, სერბეთსა და სომხეთში, რაც შეეხება პოლონეთს, აქ მაჩვენებელი საქართველოზე დაბალია.

კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ გავრცელებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ საქართველოში არის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი საპროცენტო განაკვეთები, სიმართლეს არ შეესაბამება. ამასთან, საპროცენტო განაკვეთები საქართველოს ეკონომიკაში არსებულ რეალობას ასახავს.

ღიზარება N 3.10 არაუზრუნველყოფილი სამომხმარებლო კრედიტი ეროვნული ვალუტით



კვლევის შედეგები შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე https://www.nbg.gov.ge/uploads/prezentacia/kpmg_presentation_draft_crosscountry_comparative_research_on_credit_effective_interest_rates_.pdf

ბაზელ II/III-ის იმპლემენტაციის აქტიური ფაზის ფონზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის შიდა შეფასების პროცესში (ICAAP) საკრედიტო რისკების განხილვა. ამ მხრივ „პილარ 2“-ის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა შიდა შეფასების სისტემის გამართულობას, კონცენტრაციის (როგორც მსხვილი მსესხებლების, ასევე ეკონომიკური სექტორების), სავალუტო რისკით გამოწვეულ საკრედიტო რისკების მართვას და საცალო საკრედიტო პორტფელის (რომელსაც „პილარ 1“-ით მაღალი გრანულარობის გამო დაბალი კაპიტალი მოეთხოვება) სწრაფი ზრდის გამო დროებით არა მატერიალიზებული დანაკარგების აღრიცხვის პოლიტიკას. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ შეინიშნება საკრედიტო სტანდარტების გარკვეული შემსუბუქების ტენდენცია. ასევე მნიშვნელოვანია, რომ საკრედიტო ბიუროს მიერ შესრულებული დადებითი როლის მიუხედავად, რიგ შემთხვევებში პრობლემური რჩება მსესხებლის მთლიანი დავალიანების აღრიცხვის საკითხი. ეს პრობლემა ძირითადად იმ მცირე ზომის ფინანსური ორგანიზაციების ზრდის შედეგია, რომლებიც საკრედიტო დავალი-

ანების შესახებ ინფორმაციას ცენტრალიზებულად არ ცვლიან. სხვადასხვა ტიპის არარეგულირებადი საკრედიტო ორგანიზაციის საქმიანობის მასშტაბის მნიშვნელოვანი გაფართოება ფინანსური რისკების შემცველი შესაძლოა იყოს.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ პარალელურ რეჟიმში ბანკების მხრიდან მიმდინარეობს აქტიური სამუშაოები საკრედიტო სტრეს-ტესტების შედეგების დათვლის კუთხით, რომელიც ასევე გათვალისწინებული იქნება კაპიტალის ადეკვატურობის შიდა შეფასების პროცესის და საზედამხედველო განხილვის დროს (იხ. ჩანართი N 3 საზედამხედველო სტრეს-ტესტების მეთოდოლოგია ბანკებისათვის).

ჯანსაღი საკრედიტო სტანდარტების დამკვიდრება უაღრესად მნიშვნელოვანია როგორც რისკების მართვის, ასევე მომხმარებელთა დაცვის კუთხით. მოცემულ თემებზე ყურადღების გამახვილების მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ორგანიზებულ იქნა საერთაშორისო კონფერენცია „საკრედიტო სტანდარტების“ შესახებ, რომლის ძირითადი შინაარსი და შედეგები წარმოდგენილია ჩანართი N 2-ში.

ჩანართი N 2 საერთაშორისო კონფერენცია „საკრედიტო სტანდარტების“ შესახებ¹⁷

კონფერენციის მიზანს წარმოადგენდა ეფექტური საკრედიტო სტანდარტების შესახებ ბაზრის მონაწილეთა შეხედულებებისა თუ მოსაზრებების, საკონტროლო წერტილების საჭიროების განხილვა-გაანალიზება. პრეზენტაციებში წარმოდგენილი იყო ქვეყნების ფინანსური მაჩვენებლების შედარება.

განხილვებისა და დისკუსიის შედეგად გამოიკვეთა მოსაზრებები:

- საკრედიტო კოეფიციენტების საორიენტაციო ნიშნულების შემოღება, რომლის გამოყენებაც მოხდება სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვების ფორმირებისა და

კაპიტალის ადეკვატურობის შეწონვის მიზნით კორპორატიული, მცირე და საშუალო და საცალო პორტფელზე;

- „კომერციული ბანკების ფინანსური მდგომარეობის გამჭვირვალობის წესის“ ფარგლებში, საკრედიტო კოეფიციენტებზე გამჟღავნების შემოღება, სადაც დაფიქსირდება ბანკის ფაქტობრივი საშუალო საკრედიტო კოეფიციენტები კორპორატიული, მცირე და საშუალო და საცალო მიმართულებებით, მათი საშუალოდან გადახრა, მათი დონეები სხვადასხვა ინდუსტრიის, სესხების კონცენტრაციის მიხედვით, რისკების მიტიგაცია¹⁸ სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვების ფორმირებისა და ეკონომიკური კაპი-

17. კონფერენციის მასალები ხელმისაწვდომია საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდზე.

18. რისკის შემცირება.

ტალის გზით, კოეფიციენტების მნიშვნელობა საკრედიტო რისკის მართვის მთლიან ჩარჩოში და ამ კუთხით სხვა ტიპის ინფორმაცია, რასაც თავად ბანკი ჩათვლის მნიშვნელოვნად;


- მომხმარებელთა უფლებების დაცვის ჩარჩოს ფარგლებში, ბანკის კლიენტებისათვის დამატებითი ინფორმაციის მიწოდება, როდესაც ვალის ტვირთი მაღალია. მაგალითად, – დაბალშემოსავლიან მსესხებლების შემთხვევაში შემოსავალთან მიმართებაში სესხის მომსახურებისათვის გასანევი ხარჯების მაღალი დონე;
- საკრედიტო ბიუროს და ინფორმაციის გაცვლის სისტემების განვითარება, მათ შორის საჯარო ორგანიზაციების აქტიური ჩართვის საჭიროება.

ძირითადი სესხის მომსახურების კოეფიციენტები და მათი საერთაშორისო შედარებები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ გრაფიკებზე. უნდა აღინიშნოს, რომ მონაცემებს, სიზუსტის მხრივ, გარკვეული პრობლემები შეიძლება

გააჩნდეს, ვინაიდან მათი მოპოვება სირთულეებთან არის დაკავშირებული და სხვადასხვა ქვეყნისათვის სხვადასხვა მეთოდოლოგია შეიძლება იყოს გამოყენებული. ეს განსაკუთრებით საცალო მიმართულებით არის აქტუალური. საქართველოს მონაცემები შერჩევის მეთოდით არის მოპოვებული. არსებული სირთულეების მიუხედავად, საქართველოს ეროვნული ბანკი ცდილობს თანხვედრაში იყოს მსოფლიო მონიწივე პრაქტიკასთან. ამ მხრივ საყურადღებოა, რომ მაგალითად საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ქვეყნების მიხედვით მსგავსი ინფორმაციის გამჟღავნება, გლობალური ფინანსური კრიზისის შემდგომ გამოყენებული, ახალი პრაქტიკაა.


მთლიანობაში, საკრედიტო სტანდარტების კუთხით, საყურადღებო უფრო საცალო მიმართულებაა. განსაკუთრებით თუ სესხის მომსახურების კოეფიციენტებს შემოსავლების ოდენობის, სავალუტო და საპროცენტო რისკების ჭრილში განვიხილავთ.

ღიაგრამა N 3.11 პროცენტის მომსახურების კოეფიციენტი ქვეყნების მიხედვით




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი.

ღიაბრამა N 3.12 Debt / EBITDA კოეფიციენტი ქვეყნების მიხედვით




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი.

ღიაბრამა N 3.13 საქართველო – ფინანსურად ძლიერი კომპანიები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი.

ღიაბრამა N 3.14 სესხის მომსახურების კოეფიციენტების შედარებითი განაწილება




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, კანადის ცენტრალური ბანკი.

3.4 მომგებიანობის რისკი

2013 წელს უკუგებას საშუალო აქტივებსა და კაპიტალზე, 2.6 და 14.6 პროცენტი შეადგინა, რაც მნიშვნელოვნად აღემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებლებს. მომგებიანობის ცვლილება წინა წელთან შედარებით რამდენიმე ფაქტორით იყო განპირობებული. კერძოდ, სესხების წლიური ზრდის ტემპი გაიზარდა 12.9 პროცენტიდან (2012 წლის დეკემბერი) 21 პროცენტამდე (2013 წლის დეკემბერი). მნიშვნელოვნად შემცირდა სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი, მათ შორის ჩამოწერილი სესხების ამოღების გამო. საკუთრივ, აქტივების შესაძლო დანაკარგების მიხედვით შექმნილმა რეზერვმა 2013 წელს 218 მლნ ლარი შეადგინა მაშინ, როდესაც 2012 წელს ის 326 მლნ ლარი იყო. ასევე აღსანიშნავია, რომ სესხების ხარისხის 2012 წლის გაუარესება (ჩამოწერა) და შემდგომ ბალანსზე აღდგენა მნიშვნელოვანწილად იდიოსინკრატიული ფაქტორით

იყო გამოწვეული, რაც 2012/13 წლებში მომგებიანობის მერყეობის ნაწილს ხსნის. მოცემულის გათვალისწინებით, საბანკო სისტემის მომგებიანობის მაჩვენებელი ბოლო წლებში უფრო მეტი სტაბილურობით ხასიათდებოდა. მთლიანობაში უნდა აღინიშნოს, რომ კაპიტალის მისაღებ უკუგებასთან შედარებით, მომგებიანობის მაჩვენებლები მაინც უფრო მოკრძალებულია, რისი ძირითადი მიზეზი საბანკო სისტემაში არსებული კონკურენციაა. აქედან გამომდინარე და რისკებზე ორიენტირებული ზედამხედველობის პრინციპების გათვალისწინებით, 2013 წლის განმავლობაში უფრო მეტი ყურადღება ეთმობოდა ბანკების მომგებიანობის საპროგნოზო მაჩვენებლების განხილვას. ყურადღება მახვილდებოდა ისეთ საკითხებზე, როგორცაა მასშტაბის ეფექტი, ბაზრის ნიშის ან/და სხვა კონკურენტული უპირატესობის არსებობა და საპროგნოზო საკრედიტო დანაკარგების შეძლებისდაგვარად შეფასება.

ღიაზრამა N 3.15 უკუგება კაპიტალსა და აქტივებზე



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

საბანკო სისტემის მომგებიანობაზე, სესხების შესაძლო დანაკარგებთან რეზერვების დინამიკასთან ერთად, ასევე პოზიტიურად იმოქმედა აქტივების ზრდამ და მასშტაბის გამო ეფექტიანობის გაუმჯობესებამ. ეფექტიანობის ზრდაზე მიუთითებს ის, რომ ხარჯების შემოსავლებთან თანაფარდობის კოეფიციენტი 56.9 პროცენტიდან 52.5 პროცენტამდე შემცირდა. მომგებიანობა გაუმჯობესდა იმის გამოც, რომ 2013 წელს გაიზარდა


არდა საპროცენტო სპრედი, რაც სახსრების ლირებულების შემცირების შედეგს წარმოადგენდა. მეორე მხრივ, მომგებიანობის გაუმჯობესებაზე ნეგატიურად მოქმედებდა ის, რომ სესხებთან შედარებით არასაკმარისად გაიზარდა არასაპროცენტო შემოსავლები და შემცირდა ლიკვიდური აქტივების მომგებიანობა ბანკთაშორის ანგარიშებსა და დეპოზიტებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავლების, აგრეთვე სადეპოზიტო სერტიფი-

კატეგორიისა და სახაზინო ვალდებულებების შემოსავლიანობის კლების შედეგად.

სესხებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირების პირობებში შენარჩუნდა აქტივების შემოსავლიანობის სტაბილური დონე, რაც დაკავშირებულია აქტივების სტრუქტურის ცვლილებასთან. მნიშვნელოვნად გაიზარდა საცალო სესხების წილი, რომელიც შემოსავლიანობის თვალსაზრისით შედარებით მაღალი საპროცენტო განაკვეთით ხა-


სიათდება. თუმცა აღსანიშნავია, რომ საცალო სესხები უფრო მეტ საოპერაციო ხარჯებთან და ასევე მოსალოდნელ (კოლექტიური გაუფასურება) საკრედიტო რისკების ხარჯებთან არის დაკავშირებული, რაც სპრედის გაზრდილ სარგებელს ამცირებს. ასევე მნიშვნელოვანია რომ საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა სესხების წილის ზრდა მთლიან აქტივებში.

ღიაგრამა N 3.16 მომგებიანობის ზრდის დეკომპოზიცია




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

ღიაგრამა N 3.17 საპროცენტო სპრედი და მასზე მოქმედი ფაქტორები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

ღიაგრამა N 3.18 საბანკო სისტემის წმინდა საოპერაციო მოგება¹⁹



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.


3.5 საბანკო რისკი

3.5.1 სავალუტო რისკი

საქართველოს საბანკო სისტემის მგრძობიანობა სავალუტო რისკის მიმართ მაღალია, რადგან ფინანსური ბაზრის ვალდებულებების სტრუქტურის გათვალისწინებით, სესხე-

ბის ლარიზაცია გაუმჯობესების მიუხედავად ჯერაც დაბალია (მთლიანი სესხების 38 პროცენტი). საქართველოს ეროვნული ბანკი აგრძელებს მუშაობას სავალუტო რისკის მართვის არსებული მეთოდოლოგიის სრულყოფის მიმართულებით. თუ არსებული მეთოდოლოგიით დაანგარიშებულ სავალუტო პოზიციას განვიხილავთ, ის საკმაოდ დაბალანსებულია.

ღიაგრამა N 3.19 საბალანსო და კრებითი სავალუტო პოზიციები საზედამხედველო კაპიტალთან



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

19. მოგება დარეზერვებამდე და ერთჯერად შემოსავალ/ხარჯებამდე.

საქართველოს ეროვნული ბანკი თანმიმდევრულად ავითარებს სტრეს-ტესტების მეთოდოლოგიას. თავდაპირველად გამოითვლებოდა სესხების ხარისხის მგრძობიარობა სავალუტო კურსის, მშპ-ს ზრდის ტემპისა და საპროცენტო განაკვეთების ცვლილების მიმართ. ამ მიზნით გამოიყენებოდა მაკრო შოკებზე ელასტიურობები, როგორც საშუალო შენონილი მაჩვენებლები სხვა ქვეყნების მიხედვით²⁰, სესხების დოლარიზაციის და ლევერიჯის გათვალისწინებით.

ამჟამად გამოიყენება სტრეს-ტესტების სხვა მეთოდოლოგია, რომელიც შეიქმნა სსფ-თან ერთად. ამ მიზნით შემუშავდა საქართველოზე მორგებული მაკროეკონომიკური საკრედიტო რისკის მოდელი, რომელიც ითვალისწინებს სავალუტო კურსის, მშპ-ს ზრდისა და საპროცენტო განაკვეთების შოკებს.

სტრეს-ტესტების ჩარჩოს შემდგომი დახვეწისათვის, მაკრო სტრეს-ტესტებთან ერთად, საქართველოს ეროვნული ბანკი ავითარებს მიკრო სტრეს-ტესტების მეთოდოლოგიას (დეტალური აღწერა იხილეთ საკრედიტო რისკის სექციაში). აღნიშნული მიდგომა უფრო მაღალი სიზუსტის მიღწევის საშუალებას იძლევა, ვინაიდან ითვალისწინებს საკრედიტო რისკის ამსახველ კოეფიციენტებს. სტრესტესტების შედეგების ინტენსიური გამოყენება მოხდება ბაზელ II-III-ის საზედამხედველო განხილვის პროცესში.

3.5.2 საპროცენტო რისკი

ამჟამად, ქართულ ბანკებს სავაჭროდ საკუთრებაში არსებული ფასიანი ქაღალდები თითქმის არ გააჩნიათ, ამიტომაც საზედამხედველო მიზნებისათვის ბანკების პორტფელზე საბანკო წიგნისათვის გათვალისწინებული მიდგომები გამოიყენება. მიუხედავად ამისა, საქართველოს ეროვნული ბანკი ავალდებულებს ბანკებს, რომელთაც სავაჭრო წიგნი გააჩნიათ, შეიმუშავონ შესაბამისი პროცედურები და ანგარიშგება წარმოადგინონ საქართველოს ეროვნული ბანკში. მონიტორინგის შედეგად პორტფელის მნიშვნელოვანი ზრდის შესაძლებლობის გამოვლენისას მოხდება სავაჭრო წიგნის რისკის მართვისათვის განკუთვნილი რეგულაციების ამოქმედება (სავაჭრო წიგნის რეგულირება დაკავშირებულია მნიშვნელოვან ადამიანურ და ტექნიკურ რესურსებთან და მისი განხორციელება ერთ-ერთ ყველაზე რთულ საზედამხედველო ამოცანად ითვლება. ამდენად, მისი წინასწარი შემოღება არამიზანშენიანი).

სხვა თანაბარ პირობებში, თუ ბანკების საპროცენტო ხასიათის აქტივებსა და ვალდებულებებზე განაკვეთების 300 საბაზო პუნქტით ზრდის სტრესს დაეფუძნება, ერთი წლის განმავლობაში სისტემის მასშტაბით მიღებული ზარალი იქნება 48.6 მილიონი ლარი, ხოლო საზედამხედველო კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი შემცირდება 17.2 პროცენტოდან 16.9 პროცენტამდე.

აღნიშნული შედეგი მოიცავს საბალანსო ეფექტს სააღრიცხვო პერიოდში. ასევე საყურადღებოა სტრესის გავლენა ეკონომიკურ ღირებულებაზე, რომელიც მოგება-ზარალზე პირდაპირ არ აისახება, თუმცა გავლენას ახდენს ბანკის საბაზრო ღირებულებაზე. ამ მხრივ, საპროცენტო რისკის უფრო ზუსტ შეფასებას რიგი ფაქტორები ართულებს. საკუთრივ, კონკურენციის ხელშეწყობისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შემოღებული სესხის წინმსწრებად დაფარვის საკომისიოს 2 პროცენტოანი ლიმიტი, ადგილობრივ და უცხოურ ბაზრებზე ერთსა და იმავე უცხოური ვალუტით მოზიდული სახსრების ღირებულების განსხვავება და ხელშეკრულებებში არსებული ჩანანერები, როდესაც ბაზრებზე საპროცენტო განაკვეთების მნიშვნელოვანი ცვლილების შემთხვევაში ბანკებს აქვთ უფლება გადახედონ ხელშეკრულების მიხედვით დაფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთებს. საპროცენტო რისკის უფრო სიღრმისეული შეფასებისათვის საქართველოს ეროვნულმა ბანკმა შეიმუშავა საპროცენტო გეპის ახალი ფორმა, სადაც საპროცენტო ხასიათის აქტივები და ვალდებულებები უფრო დანვრილებითაა ჩამოლილი სავალუტო და ვადიანობის ძრილში და აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ სახსრები მოზიდულია შიდა თუ უცხოური წყაროებიდან. ამჟამად საქართველოს ეროვნული ბანკი ახორციელებს ბანკების მიერ მონოდებული საპროცენტო გეპის ამ ფორმის ანალიზს იმის დასადგენად, თუ რა გავლენა შეიძლება მოახდინოს საპროცენტო განაკვეთების ცვლილებამ ბანკების ეკონომიკურ ღირებულებაზე.


20. Cayazzo Jorge, Garcia Pascual Antonio, Gutierrez Eva, Heysen Socorro, "Toward an Effective Supervision of Partially Dollarized Banking Systems", IMF, 2006.

მოდელი ჯერ კიდევ კალიბრირების პროცესშია და მისი სრულყოფა დაკავშირებულია ისეთ სირთულეებთან, როგორცაა ბანკების აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ვადიანობა, სარგებლიანობის გრძელვადიანი მრუდის აგება და სხვა. თუმცა წინასწარი შეფასებით, ლარით 400, ხოლო უცხოური ვალუტით 200 საბაზო პუნქტით საპროცენტო განაკვეთების ზრდის შედეგი აღნიშნულ მაჩვენებელზე მართვადია და სისტემის მდგრადობას საფრთხეს არ უქმნის. საპროცენტო რისკის

ანალიზისას კონცენტრირება ხდება განაკვეთების ზრდის სტრესზე, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ განაკვეთები საკმაოდ დაბალ ნიშნულებზე დაეცა.

ამასთან, ახალი ბაზელ II/III-ის კაპიტალის ჩარჩოს ამოქმედებით ბანკები ვალდებული არიან საზედამხედველო განხილვისათვის წარმოადგინონ საპროცენტო რისკისათვის თავიანთი გათვლები, როგორც შიდა კაპიტალის ადეკვატურობის მართვის პროცესის ნაწილი.

დიაგრამა N 3.20 საპროცენტო ხასიათის აქტივებით ვალდებულებების გადაფარვა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.


3.6 ლიკვიდობის რისკი

3.6.1 ლიკვიდური აქტივების სტრუქტურა

2013 წელს ლიკვიდური აქტივების მოცულობა წლის განმავლობაში მცირე მერყეობით ხასიათდებოდა და მაღალ დონეს ინარჩუნებ-

და. ლიკვიდური აქტივები მთლიანი აქტივების 24 პროცენტს აღწევს, რაც საკმარისია არასაბანკო დეპოზიტების 43 პროცენტის დასაფარად.

დიაგრამა N 3.21 ლიკვიდური აქტივების დონე




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

საყურადღებოა, რომ მიუხედავად მთლიანი ლიკვიდობის კოეფიციენტის მნიშვნელობის სტაბილურობისა, ვალუტების მიხედვით ლიკვიდობა მნიშვნელოვანი მერყეობით ხასიათდებოდა. ზოგადად, ეროვნული ვალუტის ლიკვიდობის კოეფიციენტი, უცხოური ვალუტის ანალოგიურ


მაჩვენებელს აჭარბებს, რაც ძირითადად დაკავშირებულია ლარის ვალდებულებების მოკლევადიანობასთან და ასევე ლარის ლიკვიდური აქტივების მაღალ შემოსავლიანობასთან. საქართველოს ეროვნული ბანკი კვლავ აგრძელებდა ლიკვიდობის მონიტორინგს ვალუტების ჭრილში.

ღიაბრაზა N 3.22 ლიკვიდობის კოეფიციენტები ვალუტების მიხედვით




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

ღიაბრაზა N 3.23 ლიკვიდობის გეპი: 1 თვემდე აქტივების თანაფარდობა 1 თვემდე ვალდებულებებთან



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

დიაგრამა N 3.24 ლიკვიდური აქტივების მოცულობა და სტრუქტურა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

3.6.2 ვალდებულებების სტრუქტურა

ვალდებულების სტრუქტურაში მნიშვნელოვანი თვისობრივი ცვლილებები არ მომხდარა, თუ არ ჩავთვლით მიმდინარე და მოთხოვნამდე დეპოზი-

ტების წილის ზრდას. ამასთან ბანკები ინარჩუნებენ ვალდებულების სტრუქტურის რისკების შესაბამის ლიკვიდური აქტივების ადეკვატურ დონეს.

დიაგრამა N 3.25 ვალდებულებების სტრუქტურა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

2013 წლის განმავლობაში დეპოზიტები 2.03 მლრდ ლარით (26.4 პროცენტით) გაიზარდა და დეკემბრისათვის 9.7 მლრდ ლარი შეადგინა. დე-


პოზიტარების სტრუქტურის მიხედვით, ფიზიკური და იურიდიული პირების დეპოზიტების ზრდამ შესაბამისად 24.4 და 28.7 პროცენტი შეადგინა.

ღიაბრაზა N 3.26 არასაბანკო დეპოზიტები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

ღიაბრაზა N 3.27 არარეზიდენტი კლიენტების დეპოზიტების წილი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.


არარეზიდენტი კლიენტების დეპოზიტების წილი მთლიან არასაბანკო დეპოზიტებში 2013 წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად არ გაზრდილა და დეკემბრისათვის 15.4 პროცენტს შეადგენს. წარმოშობის ქვეყნების მიხედვით ეს დეპოზიტები საკმაოდ დივერსიფიცირებულია, რაც დადებით ფაქტორია რისკიანობის კუთხით. ამასთან მაღალია ვადიანი დეპოზიტების წილი, რაც გადინების რისკს მნიშვნელოვნად ამცირებს. 2013 წლის განმავლობაში მოხდა არარეზიდენტების ვადიანი

დეპოზიტების ნაწილის გადატანა გამოუთხოვად სადეპოზიტო სერტიფიკატებში, რაც სტაბილური დაფინანსების წყაროს წარმოადგენს. ამის მიუხედავად, ამ ტიპის დაფინანსებაზე ჭარბი დამოკიდებულების პრევენციის მიზნით საქართველოს ეროვნულმა ბანკმა დაანესა გარკვეული შეზღუდვა. აღნიშნული მიდგომა ითვალისწინებს დამატებითი ლიკვიდობის მოთხოვნას იმ ბანკებისათვის, რომლებშიც არარეზიდენტი დეპოზიტების წილი მთლიანი არასაბანკო დეპოზიტების 10 პროცენტს

აჭარბებს. არარეზიდენტების მაღალი წილის მქონე ბანკებში დამატებითი ლიკვიდობის საჭიროება ამცირებს ამ ტიპის დეპოზიტების პორტფელის

მოზიდვის სტიმულს, რაც შესაბამისად გამოიხატა 2013 წლის განმავლობაში არარეზიდენტების დეპოზიტების წილის დასტაბილურებაში.

ღიბარაზა N 3.28 არარეზიდენტების დეპოზიტების სტრუქტურა (2013 წლის დეკემბერი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.


3.6.3 საბითუმო დაფინანსება

დეპოზიტების ზრდის მაღალი ტემპის გამო, 2013 წლის განმავლობაში სესხების დეპოზიტებთან თანაფარდობის კოეფიციენტი შემცირდა და 1-ს მიუახლოვდა.

საბითუმო დაფინანსების გარე წყაროებიდან მიღებული თანხები საკმაოდ დივერსიფიცირებულია როგორც კრედიტორების ტიპის, ისე დაფარვის ნარჩენი ვადიანობის მიხედვით. ამ დაფინანსების

ნახევარი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებზე მოდის, 9 პროცენტი – მშობელ/დაკავშირებულ კომპანიებზე, ხოლო 41 პროცენტი – სხვა კერძო ინსტიტუტებზე. დაბალ რისკად შეიძლება შეფასდეს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მაღალი წილი და დაფარვის გრძელვადიანი გრაფიკი. თავისთავად, რეგულარულად მიმდინარეობდა შესაბამისი კოვენანტების მონიტორინგი და მათი სტრესტესტების უკვე ახალ ჩარჩოში ასახვა.

ღიპრება N 3.29 მთლიანი სესხების შეფარდება არასაბანკო დეპოზიტებთან



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

ცხრილი N 3.5 საბითუმო დაფინანსების გარე წყაროები და მათი დაფარვის გრაფიკი 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თვე	<1	1–3	3–6	6–12	12–24	24–36	36–60	>60	ჯამი
ჯამი	2.86%	4.71%	4.72%	8.95%	14.28%	11.03%	41.05%	12.40%	100%
საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები	1.33%	0.99%	2.31%	4.59%	8.59%	8.41%	12.40%	10.62%	49.24%
დაკავშირებული/მშობელი ფინანსური ინსტიტუტები	0.81%	0.59%	0.52%	1.70%	2.48%	0.00%	1.94%	1.17%	9.21%
სხვა კერძო დაფინანსება	0.72%	3.14%	1.88%	2.67%	3.21%	2.62%	26.71%	0.62%	41.57%

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

3.6.4 ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი – LCR

2013 წლის განმავლობაში კვლავ მიმდინარეობდა ბაზელ III-ის ლიკვიდობის კოეფიციენტის კალიბრაციის პროცესი. 2014 წელს ხდება LCR-ის საბოლოოდ დაზუსტება და მისი დანერგვა საბანკო სისტემაში, რაც მოკლევადიანი (30 დღემდე) ლიკვიდობის მართვის მიმართულებით თანამედროვე და ეფექტურ მიდგომას წარმოადგენს და იძლევა ამ ტიპის რისკების უფრო სრულყოფილი იდენტიფიკაციის, შეფასების, მონიტორინგისა და კონტროლის საშუალებას.

2014 წლის პირველ ნახევარში იგეგმება შესაბამისი დებულების დამტკიცება, რომელიც უკვე

სექტემბრიდან შევა ძალაში. LCR-ის დანერგვა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს პრუდენციულ ზედამხედველობას, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ის არ მოიცავს ლიკვიდობის რისკის რეგულირების ისეთ განუყოფელ ნაწილს, როგორცაა მაგალითად ვალდებულებების გადახდების კონცენტრაცია, რეალურად მოქმედი დაფინანსების საგანგებო გეგმა და სხვა, რასაც ლიკვიდობის რისკის შეფასებებისას ყურადღება ეთმობა. ამასთან, გრძელვადიანი ლიკვიდობის რეგულირების გასაუმჯობესებლად LCR-ის მოთხოვნის ამოქმედების შემდეგ იგეგმება წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტის (NSFR) შემუშავება.

3.7 საოპერაციო რისკი


2013 წელს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გააგრძელა 2011-2012 წლებში დასახული საოპერაციო რისკების საზედამხებდევლო მიზნების განხორციელება, რაც გულისხმობს კომერციულ ბანკებში საოპერაციო რისკების მართვის ჩარჩოს დანერგვას და პრაქტიკაში გამოყენებას. მნიშვნელოვანია, რომ 2014 წლიდან გათვალისწინებულია საოპერაციო რისკების კაპიტალის მოთხოვნების ამოქმედება კომერციული ბანკებისთვის ბაზელ II-ის საბანკო სტანდარტების შესაბამისად.

საოპერაციო რისკების ანგარიშგება

2013 წელს დაფიქსირებული ჯამური წლიური მთლიანი დანაკარგების შეფარდება ბაზელ II-ის მიხედვით დათვლილ მთლიან შემოსავალთან 0.4 პროცენტს შეადგენდა, თანხობრივად – 5.1 მილიონს ლარს.

დაფიქსირდა საოპერაციო დანაკარგის 7,765 შემთხვევა²¹. საშუალო დანაკარგის მოცულობა 667.49 ლარით განისაზღვრა. გრაფიკი N3.30 ასახავს საოპერაციო რისკების მთლიანი დანაკარგების დინამიკას 2012-2013 წლებისთვის. 2012 წელთან შედარებით, საბანკო სისტემის საოპერაციო დანაკარგები (მთლიანი დანაკარგები) დაახლოებით 739 ათასი ლარით არის შემცირებული, რაც 12.5 პროცენტთან შემცირებას გულისხმობს წინა წლის მონაცემებთან შედარებით.

დიაგრამა N 3.30 მთლიანი დანაკარგების დინამიკა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

საოპერაციო დანაკარგები ძირითადად ფიქსირდება საცალო საბანკო მომსახურების და ასევე, გარკვეულწილად, კომერციულ საბანკო მომსახურების ბიზნეს ხაზში. საცალო საბანკო მომსახურების ბიზნეს ხაზი, უშუალოდ საცალო საბანკო მომსახურებასთან ერთად, ასევე მოიცავს საგადახდო ბარათებთან დაკავშირებულ საოპერაციო დანაკარგებსაც.

თუ საოპერაციო რისკების დანაკარგებს მოვლენათა კატეგორიების მიხედვით დავყოფთ, დანაკარგების ყველაზე დიდი ოდენობა (მთლიანი დანაკარგების 39 პროცენტი) პროცესების მართვის


მოვლენათა კატეგორიაზე მოდის. სიდიდით მეორე კატეგორიას (34 პროცენტი) გარე თაღლითობა წარმოადგენს. ზემოაღნიშნული მონაცემები განსხვავდება 2012 წლის მონაცემებისგან, როდესაც გარე თაღლითობა წარმოადგენდა დანაკარგების ყველაზე მსხვილ კატეგორიას, ხოლო შემდგომ მოდიოდა შიდა თაღლითობა. „პროცესების მართვის“ დანაკარგების კატეგორიაში შედის ისეთი მოვლენები, რომლებიც უმეტესწილად ადამიანების, კერძოდ, თანამშრომლების დაუდევრობა/უყურადღებობას და სავალდებულო ანგარიშგების შეუსრულებლობისაგან გამომწვეულ დანა-

21. საქართველოს ეროვნული ბანკის მეთოდოლოგიით, საოპერაციო რისკების დანაკარგის მოვლენა წარმოადგენს მთლიან დანაკარგს, რომლის თანხობრივი მაჩვენებელი მეტია ან უტოლდება 10 ლარს.

კარგებს უკავშირდება. 2013 წელს, სიდიდით მე-სამე ყველაზე მსხვილი მოვლენათა კატეგორიას შიდა თაღლითობა (21 პროცენტი) წარმოადგენდა. 2013 და 2012 წლის საოპერაციო დანაკარგების შედარება მოვლენათა კატეგორიების მიხედვით მოყვანილია N 3.32 და N 3.33 დიაგრამებში. აღსანიშნავია, რომ საქართველოს საოპერაციო დანაკარგებს თუ საერთაშორისო მონაცემებს²² შევადარებთ, მთლიანი დანაკარგები, რაც საქართველოში ფიქსირდება, უმეტესწილად თანხვედრაშია საერთაშორისო მაჩვენებლებთან, სადაც დანაკარგების


ყველაზე მსხვილ კატეგორიას ან პროცესების მართვა ან გარე თაღლითობა წარმოადგენს. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ საოპერაციო დანაკარგების თანხობრივი მაჩვენებლით, საერთაშორისო კვლევაში პირველ ადგილზე კლიენტები, პროდუქტები და ბიზნეს საქმიანობის დანაკარგის კატეგორია ფიქსირდება, რაც საქართველოში, დანაკარგების თვალსაზრისით, საგრძნობლად უფრო ნაკლებია (2013 წელს მოცემულმა კატეგორიამ მთლიანი დანაკარგების დაახლოებით 4 პროცენტი შეადგინა).

ღიაბრამა N 3.31 საშუალო მთლიანი დანაკარგი (მთლიანი დანაკარგი ერთ მოვლენაზე)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

ღიაბრამა N 3.32 2013 წლის მთლიანი დანაკარგები მოვლენათა კატეგორიების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

22. მონაცემებში იგულისხმება საერთაშორისო საანგარიშსწორებო ბანკის (BIS) მიერ ჩატარებული კვლევები საოპერაციო დანაკარგებთან მიმართებაში. ზემოაღნიშნული კვლევები მოიცავდა მრავალ კომერციულ ბანკს მსოფლიო მასშტაბით (თუმცა არა ყველას), სადაც მონაცემები მთლიანი დანაკარგების შესახებ კომერციული ბანკების მიერ იყო წარდგენილი და შემდგომ ანონიმიზირებული საერთაშორისო საანგარიშსწორებო ბანკის მიერ. (<http://www.bis.org/publ/bcb160a.pdf>).



- გარე თაღლითობა
- შიდა თაღლითობა
- პროცესების მენეჯმენტი
- საქმიანობის/ოპერაციების შეფერხება და სისტემების გაუმართაობა/გათიშვა
- ფიზიკური აქტივებისთვის მიყენებული ზიანი
- კლიენტები, პროდუქტები/ბიზნეს საქმიანობა
- პროფ. საქმიანობასთან, სამუშაო გარემოსთან დაკავშირებული მოვლენები

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

ბიზნეს უწყვეტობის მართვა

საქართველოს ეროვნული ბანკი ყურადღებას აქცევს ბიზნეს უწყვეტობის მართვის ფარგლებში სხვადასხვა მნიშვნელოვან კომპონენტს, მათ შორის ინფრასტრუქტურულ გამართულობას და ბიზნეს უწყვეტობის გეგმის ტესტირებასაც. კომერციულ ბანკებში ამ მხრივ მნიშვნელოვანი პროგრესი შეინიშნებოდა.

აუთსორსინგი

აღსანიშნავია, რომ აუთსორსინგის რისკების შემცირების მხრივ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა, განსაკუთრებით ოფშორული რისკების კუთხით. ამასთან, საბანკო სისტემის სხვა სექტორებზე (მაგალითად, – ტელეკომუნიკაცია, საინფორმაციო ტექნოლოგიები, ენერგომომარაგება, ტრანსპორტი) დამოკიდებულების გათვალისწინებით, ამ სექტორების წარმომადგენლებთან საქართველოს ეროვნული ბანკის თანამშრომლობა შედარებით ნელი ტემპით მიმდინარეობდა.


2013 წელს, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გააგრძელა კომერციული ბანკების სხვადასხვა ანგარიშგების ფორმებში შემავალი მონაცემების/ინფორმაციის სიზუსტის შემოწმება. განხორციელდა ანგარიშგებების ნაწილის დეტალური ანალიზიც, მათ შორის დაკავშირებული საინფორმაციო სისტემების ადეკვატურობისა და ხარისხის თვალსაზრისითაც. პარალელურად, ეროვნული ბანკი ყურადღებას აქცევს კომერციული ბანკე-

ბის საინფორმაციო სისტემების ავტომატიზაციისა და კომპლექსურობის დონეს. აღსანიშნავია, რომ ბანკებმა ამ მიმართულებით აუცილებლად უნდა გამოყონ სათანადო რესურსი და განავითარონ ე.წ. დამხმარე აქტივები (ადამიანური კაპიტალის შესაბამისად განვითარება) საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით.

3.8 კაპიტალის ადეკვატურობა

საქართველოს საბანკო სისტემა 2013 წლის ბოლოსათვის ინარჩუნებს კაპიტალიზაციის მაღალ დონეს. პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი 13 პროცენტს აჭარბებს, ხოლო საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი 17.2 პროცენტს აღწევს, რაც საქართველოს ეროვნული ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის მინიმალურ მოთხოვნებზე შესაბამისად 5 და 5.2 პროცენტით მეტია. ამდენად, მაღალია მარტივი ლევერიჯის კოეფიციენტიც (კაპიტალი/აქტივებთან), რომლის მნიშვნელობა 16.8 პროცენტს აღწევს, ხოლო მაღალი ლიკვიდურობის გამო წმინდა სესხების კაპიტალთან თანაფარდობა 3.35-ს არ აჭარბებს.

ასევე პოზიტიურად არის შეფასებული კაპიტალის ზრდის რესურსები როგორც აქციონერთა სიძლიერის, ასევე მომგებიანობის კუთხით. ამასთან, როგორც ზემოთ აღინიშნა, ბაზელ II/III-ის დანერგვის ფარგლებში უფრო მეტი აქციონტი გაკეთდება ეკონომიკური კაპიტალის შეფასებაზე.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.


3.9 მაკროპრუდენციული რისკები

ღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი ყურადღებით აკვირდება სისტემური რისკების ისეთ მაჩვენებლებს, რომელთაც შეიძლება მატერიალური გავლენა იქონიონ საბანკო სისტემაზე. სისტემური რისკების იდენტიფიცირება და მონიტორინგი ძირითადად თემების მიხედვით სპეციალიზებულ ჯგუფებში ხორციელდება. იდენტიფიცირებული მნიშვნელოვანი რისკების შესახებ ხდება იმ ბანკების მონიტორინგი, რომელთაც მოცემული სისტემური რისკისადმი სისუსტე გააჩნიათ. ასეთი რისკების ნაწილის შესახებ ინფორმაცია მოცემულია წინამდებარე ანგარიშის სხვადასხვა სექციაში (მაგალითად, – სტრეს-ტესტები, საცალო საკრედიტო რისკები, საოპერაციო რისკები). ასევე საყურადღებოა, რომ ფინანსური რისკებისა და მაკროპრუდენციული პოლიტიკის განყოფილების მიერ ხდება სტრეს-ტესტების ძირითადი პარამეტრების შემუშავება, რომლებიც იცვლება ზოგადად ეკონომიკაში და ასევე ცალკეულ სექტორში მიმდინარე ტენდენციების გათვალისწინებით. მაგალითად, ეკონომიკის გადახურების შემთხვევაში მოიმატებს

მშპ-ის სტრესული ვარდნის მაჩვენებელი. ანალოგიურად უძრავი ქონების ბაზრის შემთხვევაში. ამ მხრივ საყურადღებოა, რომ მიმდინარე ეტაპზე საქართველოს ეროვნული ბანკი ყურადღებით აკვირდება კომერციული უძრავი ქონების სექტორს, შესაძლო ჭარბი მინოდების არსებობის გამოსავლენად. ასევე მოიმატებს გაცვლითი კურსის გაუფასურების სტრესული მაჩვენებელი, თუ შეინიშნება გაცვლითი კურსის არამდგრადი გამყარება. თავისთავად, ამა თუ იმ სტრესის მატერიალიზების შემთხვევაში, მოხდება პარამეტრების გადახედვა საპირისპირო, შემცირების, მიმართულებით.

მაკროპრუდენციული ინდიკატორების კუთხით, ასევე გამოსაყოფია ბაზელის მეთოდოლოგიით გაანგარიშებული სესხები/მშპ-სთან გეპი. ამ მხრივ, საყურადღებოა წლის განმავლობაში ეკონომიკურ აქტივობასთან შედარებით, 2013 წლის მეოთხე კვარტალში დაკრედიტების მაღალი ზრდა, რაც პოტენციურად საკრედიტო ციკლის დაწყებას მიაწინებს. თავისთავად მნიშვნელოვანია ამ და სხვა ინდიკატორების კომპლექსური ანალიზი. საქართველოს ეროვნული ბანკი ინტენსიურად დააკვირდება ამ მხრივ ინდიკატორების შემდგომ დინამიკას და საჭიროების შემთხვევაში აქტიურად აამოქმედებს მაკროპრუდენციულ ინსტრუმენტებს.

ღიაბრამა N 3.35 სესხების მშპ-სთან თანაფარდობის გეპი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

ჩანართი N 3 საზედამხედველო სტრეს-ტესტების მეთოდოლოგია ბანკებისათვის

მნიშვნელოვანია იმ სცენარებისა და რისკ-ფაქტორების გამოვლენა და შეფასება, რომელთაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ბანკის ფინანსურ მდგრაობაზე. შესაბამისად, ბანკმა რეგულარულად უნდა აწარმოოს სტრეს-ტესტები და განიხილოს შედეგები ზედამხედველთან. აღნიშნული, ასევე მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ბაზელ II/III მიხედვით საზედამხედველო განხილვების დროს ბანკის შიდა კაპიტალის ადეკვატურობის შეფასებისას.

მოცემული მეთოდური სახელმძღვანელო განმარტავს პრინციპებს და აღწერს იმ ძირითად მინიმალურ ჩარჩოს, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს ბანკმა სტრეს-ტესტების ჩატარებისას.

სტრეს-ტესტი უნდა ჩატარდეს მთლიანად ბანკის დონეზე (Enterprise-level stress) და მოხდეს ბანკის მთლიან ფინანსურ მდგომარეობაზე სხვადასხვა შოკისა და მათთან ურთიერთდაკავშირებული ეფექტის შეფასება. მაგალითად, მაკროშოკების გავლენა საკრედიტო რისკზე, ლიკვიდობაზე, მომგებიანობაზე. ასევე, გაცვლითი კურსის ცვლილების სცენარის შეფასების დროს გათვალისწინებული უნდა იქნას მისი ეფექტი ბანკის ბალანსის გადაფასებაზე (საბაზრო რის-

კი), აქტივების ხარისხზე (საკრედიტო რისკი), ვალდებულებების კოვენანტებზე (ლიკვიდობის/ფონდირების რისკი) და სხვა.

სტატისტიკური ინფორმაციის დაბალი ხარისხის გამო, ასევე, სტრეს-ტესტებისათვის უფრო მეტად მომავალზე ორიენტირებული ხასიათის მისაცემად, სტრეს-ტესტების ძირითადი ნაწილი, რამდენადაც ეს შესაძლებელია, უნდა ჩატარდეს ტრანზაქციის დონეზე (Transaction level stress). მოცემული მეთოდი გულისხმობს ეკონომიკური პარამეტრების ცვლილების შედეგად მსესხებლის გადამხდელუნარიანობის შეფასებას, რის საფუძველზეც უნდა მოხდეს მიღებული შედეგების აგრეგირება და ინტეგრირება მთლიანად ბანკის დონეზე განხორციელებულ სტრეს-ტესტში.

სტრეს-ტესტები უნდა მოიცავდეს ეკონომიკური ხასიათის სისტემური და სექტორული მნიშვნელობის შოკებსა და იდოსინკრატულ მოვლენებს, რომელთა გავლენაც ბანკზე მატერიალურია. ერთდროულად უნდა იქნას გათვალისწინებული როგორც დადებითად კორელირებადი, ასევე ის შოკები, რომელთა ერთდროული მოხდენა არ არის გამორიცხული. ეს არ გულისხმობს, რომ ბანკმა ერთდროულად უნდა გაუძლოს ყველა შოკს. ამ შოკებისთვის ადეკვატური კაპიტალის მოცულობა დამოკ-

ნასწარ უნდა შეთანხმდეს საქართველოს ეროვნულ ბანკთან.

დამატებითი განმარტებები:

კორპორატიული პორტფელი (საბალანსო, გარესაბალანსო) – ინდივიდუალურად შესაფასებელი

ბანკი ვალდებულია აღნიშნული პოზიციის ქვეშ მოაქციოს საზედამხედველო კაპიტალის 1 პროცენტზე მეტი ვალდებულებების მქონე მსესხებელი ჯგუფები. თითოეული ჯგუფი უნდა დაექვემდებაროს ინდივიდუალურ შეფასებას.

კორპორატიული, მცირე და საშუალო პორტფელი (საბალანსო, გარესაბალანსო) – შერჩევით შესაფასებელი

საზედამხედველო კაპიტალის 1 პროცენტზე ნაკლები ვალდებულებების მქონე მსესხებლების შეფასებისას, ასევე გამოყენებული უნდა იქნას ინდივიდუალური შეფასების პრაქტიკა, თუმცა შერჩევის მეთოდოლოგიით.

საცალო პორტფელი (საბალანსო, გარესაბალანსო) – შერჩევით ან სხვადასხვა მოდელის საშუალებით შესაფასებელი – საცალო საკრედიტო პორტფელის სტრეს-ტესტების მიზნებისათვის შეფასებისას გამოყენებული უნდა იქნას შერჩევის მეთოდოლოგია და შერჩეული სესხების ინდივიდუალურად შემონგების მიდგომა.

ბანკმა უნდა უზრუნველყოს პორტფელის ჩაშლა ერთგვაროვან კატეგორიებად და მოახდინოს პორტფელის ძირითადი მაჩვენებლების (მაგ. PTL, LTV, მსესხებელთა დაყოფა შემოსავლის მოცულობების მიხედვით) განაწილება. განსაზღვროს სტრესის შემდეგ ძირითადი მაჩვენებლების ლიმიტები, რომელიც გავლენას

მოახდენს სესხის კლასიფიკაციაზე. აღნიშნული ლიმიტები უნდა შეთანხმდეს ბანკის ზედამხედველთან. ამასთან, საცალო პორტფელში მოხვედრილი სესხები, რომლებსაც დაფარვის წყარო გააჩნია ბიზნესიდან, სტრეს-ტესტების მიზნებისათვის ანალიზს დაექვემდებარება კორპორატიული მსესხებლების ანალოგიურად. შეფასების განსხვავებული მიდგომის მიუხედავად, მსგავსი სესხები დარჩება შესაბამის კატეგორიაში.

ინვესტიციები საფინანსო კომპანიებში – საფინანსო კომპანიებში არსებული ინვესტიციების სტრესის მიზნებისათვის შეფასებისას, გათვალისწინებული უნდა იქნას ფინანსური ინსტიტუტების სპეციფიკაცია.

ლიკვიდური აქტივები, ბანკთაშორისი რათვლით – აღნიშნული კატეგორია მოიცავს მაღალლიკვიდურ აქტივებს, იქნება ეს სახაზინო და სხვა ფასიანი ქაღალდები, თუ ბანკთაშორისი განთავსებები რეზიდენტ და არარეზიდენტ საბანკო ინსტიტუტებში.

სხვა გარებალანსური მუხლები – აღნიშნული კატეგორიაში ძირითადად მოქცეულია ფინანსური ინსტრუმენტები: ფიუჩერსები, ფორვარდები, სვოპები, ოფციონები, სეკურიტიზირებულ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული ვალდებულებები და სხვა გარებალანსური მუხლები, რომლებიც არ მოხვდა პირველ სამ კატეგორიაში.

სტრეს-ტესტების სცენარის კომპონენტები და პარამეტრები შეიცვლება ზოგადად ეკონომიკასა და კონკრეტულ სექტორში, სასაქონლო ბაზრებზე არსებული ტენდენციების შესაბამისად.

3.10 მომხმარებელთა უფლებების დაცვა

2013 წელი საინტერესო და მნიშვნელოვანი იყო მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართულებით. საბანკო სექტორში შეინიშნებოდა ტენდენცია, რომ მომხმარებელთა ინტერესების გათვალისწინებას უფრო მეტი ყურადღება

ეთმობოდა. ასევე, მომხმარებელთა ფინანსური განათლების დონის ამაღლების კუთხით განხორციელებული ღონისძიებები კომერციული ბანკებისათვის კონკურენტული პოზიციონირების ერთ-ერთ ბერკეტად იქცა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მომხმარებლების მხრიდან მიღებულმა ინფორმაციამ კომერციულ ბანკებთან ერთად ფინანსური ბაზრის მონაწილე

სხვა საფინანსო ინსტიტუტების მომხმარებელთა უფლებების დაცვის კუთხით რეგულირების საჭიროებაც ცხადყო.

2011 წლის ივნისი – 2013 წლის დეკემბრის პერიოდში ბანკებში სულ დაფიქსირდა 3466 პრეტენზია, საიდანაც დღემდე განხილულთაგან 42 პროცენტი ბანკებმა საფუძვლიანად მიიჩნიეს და მომხმარებლის სასარგებლოდ გადაწყვიტეს, ხოლო

58 პროცენტი უსაფუძვლო აღმოჩნდა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ საფუძვლიანი პრეტენზიების წილის შემცირების ტენდენცია 2012 წლის მსგავსად 2013 წელშიც შენარჩუნდა. აღნიშნული მიანიშნებს მომხმარებელთა პრეტენზიების შედეგად კომერციული ბანკების მიერ იდენტიფიცირებული ტექნიკური და მომსახურების ხარისხის მხრივ არსებული ხარვეზების დროულად აღმოფხვრაზე.

ღიაზრამა N 3.36 კომერციულ ბანკებში დაფიქსირებული პრეტენზიები, რომელთა განხილვა დასრულებულია (თვეების მიხედვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

ღიაზრამა N 3.37 კომერციულ ბანკებში დაფიქსირებული პრეტენზიები, რომელთა განხილვა დასრულებულია (წლების მიხედვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

2013 წელს ეროვნული ბანკის მომხმარებელთა უფლებების დაცვის განყოფილებაში წინა წელთან შედარებით თითქმის 2.5-ჯერ მეტი პრეტენზია შემოვიდა. სულ დაფიქსირდა 807 პრეტენზია, რომელთაგან უმრავლესობა – 587 (73 პროცენტი) ტელეფონით დაფიქსირდა, 101-მა მომხმარებელმა (13 პროცენტი) ელექტრონული ფოსტით მოგვმართა, მივიღეთ 76 წერილი (9 პროცენტი), ხოლო 43 მომხმარებელი (5 პროცენტი) პირადად გვესტუმრა. 2013 წელს ასევე გაგრძელდა მომხმარებელთა მიერ დაფიქსირებული პრეტენზიების შესაბამის ფინანსურ ინსტიტუტებთან და ეროვნული ბანკის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან დეტალურად განხილვისა და მომხმარებელთან შემდგომი კომუნიკაციის პრაქტიკა მათთვის კვალიფიციური კონსულტაციის განწევის მიზნით.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2011 წელს შემოღებული სესხის წინსწრებად დაფარვის საკომისიოს მაქსიმალური, 2 პროცენტიანი ლიმიტი, გარდა კომერციული ბანკებისა, ასევე გავრცელდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციებზეც. შესაბამისად, მაღალი კონკურენციის პირობებში, უფრო მეტ მომხმარებელს მიეცა საშუალება ნაკლები დანახარჯით შეეცვალა მომსახურე ფინანსური ინსტიტუტი და ესარგებლა მისთვის უფრო მისაღები საკრედიტო პროდუქტით. შესაბამისად, იმატა პრეტენზიების შემთხვევებმაც.

მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი დამატებით მონიტორინგს უწევდა და განიხილავდა ისეთ საკითხებს, რომელიც დაკავშირებული იყო 2011 წელს ამოქმედებული „საბანკო მომსახურების განწევასა მომხმარებლისათვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების წესის“ რეგულირების სფეროს გარეთ არსებულ თემებთან: ვალუტის გადამცვლელი პუნქტები და მათი ბიზნეს პრაქტიკა; ბაზარზე მოქმედი არასაბანკო ფინანსური შუამავლები, რომლებიც ახდენენ სახსრების მოზიდვას საცალო ბაზარზე; მცირე მოცულობის სესხების (ე.წ. payday loans) გამარტივებული წესითა და ელექტრონული არხებით მიწოდებული კომპანიების ბიზნეს პრაქტიკა და სხვა. აღნიშნული მონიტორინგის პროცესი საშუალებას იძლევა იდენტიფიცირებულ იქნას

ფინანსური სექტორში მომხმარებელთა უფლებების დაცვის ჩარჩოს შემდგომი დახვეწისა და განვითარების მიმართულებები.

მსოფლიო დაზოგვის დღე

2013 წლის ოქტომბერში საქართველოში უკვე მეორედ აღინიშნა მსოფლიო დაზოგვის დღე, რომელსაც საკმაოდ დიდი ისტორია აქვს და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში სხვადასხვა ღონისძიებით 1925 წლიდან აღინიშნება. ღონისძიებაში კვლავ აქტიურად მონაწილეობდნენ კომერციული ბანკები. ერთ-ერთი ორგანიზატორის – შემნახველი ბანკების ფონდი საერთაშორისო თანამშრომლობისთვის უშუალო მონაწილეობით შეიქმნა დაგროვების კულტურისადმი მიძღვნილი ახალი ვიდეორგოლი მსოფლიო დაზოგვის დღის ქართული სიმბოლოს – გროვიას მონაწილეობით, ასევე, სპეციალური ვებ-გვერდი www.grovia.com.ge, რომელზეც განთავსდა ინფორმაცია როგორც უშუალოდ მსოფლიო დაზოგვის დღესთან დაკავშირებით, ასევე საბანკო პროდუქტებზე, მომსახურებებსა და, ზოგადად, მომხმარებელთა უფლებებზე.

მსოფლიო დაზოგვის დღის ყოველწლიურად აღნიშვნის ტრადიციის დამკვიდრება ფინანსური სექტორისადმი მოსახლეობის ნდობის ამაღლების და ფინანსური განათლების ხელშეწყობის ერთ-ერთი საშუალებაა.

ცვლადგანაკვეთიანი სესხები

2013 წლის განმავლობაში კომერციულმა ბანკებმა აქტიურად დაიწყეს მცურავგანაკვეთიანი იპოთეკური კრედიტების გაცემა, რომლის ნომინალური საპროცენტო განაკვეთი მიბმულია საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის განაკვეთზე და იცვლება ამ უკანასკნელის ცვლილებასთან ერთად.

ცვლადგანაკვეთიანი სესხის შემთხვევაში ბანკი და მსესხებელი თანხმდებიან და ხელშეკრულებაში აფიქსირებენ საინდექსაციო საპროცენტო განაკვეთს (ცვლადი განაკვეთი) და „ბანკის განაკვეთს“ (ფიქსირებული განაკვეთი). ამ განაკვეთების ჯამი შეადგენს სესხის მთლიან საპროცენტო განაკვეთს. ამასთან, საქართველოს ეროვნული

ბანკის მონეტარული პოლიტიკის განაკვეთზე მიბმული სესხებისთვის პოლიტიკის განაკვეთის ცვლილების შემთხვევაში ავტომატურად იცვლება სესხის საპროცენტო განაკვეთიც. შესაბამისად, მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ცვლილებასთან ერთად სესხზე ყოველთვიური შენატანი მომხმარებლისათვის შესაძლოა გაიზარდოს ან შემცირდეს.

ზემოაღნიშნული საპროცენტო რისკი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ მომხმარებლებისთვის, რომელთა სესხის მომსახურების კოეფიციენტი (სესხის მომსახურების ხარჯი/შემოსავლებზე) შედარებით მაღალია. აღნიშნული კოეფიციენტი აჩვენებს ოჯახური მეურნეობის და/ან პირის შემოსავლის რა ნაწილი იხარჯება სესხის მომსახურებაზე. შესაბამისად, რაც უფრო მაღალია სესხის მომსახურების კოეფიციენტი, მით ნაკლები თანხა რჩება ოჯახურ მეურნეობას და/ან პირს ყოველდღიური საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის.

აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით კომერციულ ბანკებთან აქტიურად მუშაობდა მომხმარებელთა უფლებების დაცვის განყოფილება შესაბამისი რისკების გამჟღავნების და პასუხისმგებლიანი საკრედიტო სტანდარტების დამკვიდრების მიზნით.


სარეკლამო პოლიტიკა

2013 წელს კვლავ შენარჩუნდა საცალო პორტფელის დინამიური ზრდის ტენდენცია. აღნიშნულის მისაღწევად, მძაფრი კონკურენციის გათვალისწინებით, კომერციული ბანკები აქტიურად იყენებდნენ სარეკლამო კამპანიებს, რაც ხშირად სხვადასხვა სადღესასწაულო თარიღებში აქტიურდებოდა. სარეკლამო დროის, განსაკუთრებით სატელევიზიო და რადიო საშუალებებში, სიმცირისა და მაღალი ფასის გამო რეკლამაში, როგორც წესი, აქცენტი ძირითადად კეთდება მომხმარებლისათვის მხოლოდ ყველაზე მისაღებ ფაქტორებზე. ამასთან, 2013 წლის გაზაფხულზე, კომერციული ბანკების მიერ სამომხმარებლო კრედიტებზე

მომხმარებლებისათვის შეთავაზებულმა აქციებმა არასასურველი ფორმები მიიღო, რაც რეკლამის საშუალებით ორაზროვანი და შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის მიწოდებაში გამოიხატებოდა. გარდა იმისა, რომ აღნიშნული მნიშვნელოვნად აზარალებს მომხმარებლის ინტერესებს, ასევე სერიოზული რეპუტაციული რისკის შემცველია მთლიანად საბანკო სექტორისათვის. აღნიშნულს ადასტურებდა ეროვნული ბანკის ცხელ ხაზზე შემოსული უკმაყოფილო მომხმარებლების გახშირებული ზარები, ასევე მიმდინარე აქციების შესახებ მათი მხრიდან ნეგატიური შეფასებები სოციალურ ქსელებში. სამომხმარებლო საკრედიტო პროდუქტების რეკლამაში წარმოდგენილი ინფორმაციის არასწორად ინტერპრეტირების თავიდან აცილების მიზნით, ეროვნული ბანკის ინიციატივითა და სამომხმარებლო სეგმენტის დაკრედიტებაში აქტიურად მონაწილე კომერციული ბანკების ჩართულობით გაიმართა შეხვედრა, სადაც აღინიშნა, რომ დაუშვებელია ნებისმიერი ისეთი ტიპის სარეკლამო კამპანიის წარმოება, რომელსაც შეცდომაში შეჰყავს მომხმარებელი და რომელიც შეიძლება შეიცავდეს არასრულ ინფორმაციას ან ქმნიდეს არასწორ მოლოდინებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ეროვნული ბანკის მომხმარებელთა უფლებების დაცვის განყოფილების მიერ შემუშავდა კომერციული ბანკების მიერ სარეკლამო მასალების მომზადების ძირითადი სარეკომენდაციო პრინციპები, რაც გულისხმობს შეთავაზებაში პროდუქტის ფასის განმსაზღვრელი მნიშვნელობის გამოყენების შემთხვევაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, ასევე პროდუქტით სარგებლობისათვის მნიშვნელოვანი და არასტანდარტული შეზღუდვის გამოყენებას. მომხმარებელთა უფლებების დაცვის განყოფილებისა და კომერციული ბანკების ერთობლივი ძალისხმევით, სამომხმარებლო კრედიტების სარეკლამო მასალები ძირითადად ზემოხსენებულ პრინციპებთან შესაბამისობაში მოვიდა.

IV



არასაბანკო სექტორი

4.1 ფასიანი ქაღალდების ბაზარი

2013 წლის ბოლოსთვის საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე საქმიანობას ეწეოდა 1 საფონდო ბირჟა, ფასიანი ქაღალდების 1 ცენტრალური დეპოზიტარი, 9 საბროკერო კომპანია და ფასიანი ქაღალდების 3 დამოუკიდებელი რეგისტრატორი. 9 საბროკერო კომპანიიდან 2 არ იყო საფონდო ბირჟის წევრი. რეგისტრატორების მიერ ინარმოებოდა 782 სააქციო საზოგადოების აქციათა რეესტრი, რაც 131 სააქციო საზოგადოებით მეტია წინა წელთან შედარებით


2012 წელთან შედარებით ერთით შემცირებულია მოქმედი საბროკერო კომპანიების რაოდენობა, ხოლო ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელი

რეგისტრატორების რაოდენობა გაზრდილია ერთი რეგისტრატორით.

2013 წლის 31 დეკემბრისთვის მოქმედი საბროკერო კომპანიების აქტივების საერთო მოცულობამ 30.3 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 35 პროცენტით ნაკლებია წინა წლის მონაცემთან შედარებით. 65 პროცენტით შემცირდა და 6.1 მლნ ლარი შეადგინა ვალდებულებების საერთო მოცულობამ. კაპიტალის საერთო მოცულობამ 24.1 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2012 წლის ანალოგიურ მონაცემთან შედარებით 17 პროცენტით არის შემცირებული.

2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბროკერო კომპანიებში კლიენტების პორტფელის (ფულადი სახსრები და ფასიანი ქაღალდები) ღირებულება წინა წლის მონაცემთან შედარებით 64 პროცენტით შემცირდა და 3.77 მლნ ლარი შეადგინა.

ღიაბრაზა N 4.1 საბროკერო კომპანიების მთლიანი აქტივების, ვალდებულებების, კაპიტალის მონაცემები და აქტივებში კლიენტის პორტფელის პროცენტული წილის დინამიკა წლების მიხედვით (2009-2013)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

ცხრილი N 4.1 საბროკერო კომპანიების აქტივობა (2013წ)


საბროკერო კომპანიის დასახელება	მოცულობა (ფასიანი ქაღალდების რაოდენობა)	ღირებულება (ლარი)
სს „ბი ჯი კაპიტალი“	57,354,086	137,933,879
შპს „ლიბერთი სიქიურითიზ“	64,149,754	5,031,227
შპს „თიბისი ბროკერი“	788,528	3,294,081
სს საბროკერო კომპანია „კაუკაზუს კაპიტალ ჯგუფი“	12,213,593	1,027,374
შპს „ქართუ ბროკერი“	392	12,250
შპს „აბი ასეტ მენეჯმენტი“	-	-
შპს „სტოქს“	-	-
შპს „საქართველოს საინვესტიციო ჯგუფი +“	-	-
შპს „კაუკაზუს ფაინენშიალ სერვისის“	-	-
სულ	134,506,353	147,298,811²³

საბროკერო კომპანიების მიერ საბირჟო და არა-საბირჟო გარიგებათა ღირებულებამ 147.3 მლნ ლარი შეადგინა (134.5 მლნ ცალი ფასიანი ქაღალდი). აქედან ბირჟის სავაჭრო სესიებზე დაიდო 0.7 მლნ ლარის გარიგება (38 მლნ ცალი ფასიანი ქაღალდი), ხოლო ბირჟის გარეთ 146.6 მლნ ლარის გარიგება (96.5 მლნ ცალი).

2013 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, საქართველოს საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემაში დაშვებული იყო 129 ემიტენტის ფასიანი ქაღალდი. საანგარიშო პერიოდში სავაჭრო სესიებზე და ბირჟაზე დაფიქსირებულ გარიგებათა საერთო ღირებულებამ 52.5 მლნ ლარი შეადგინა (252.7 მლნ ცალი ფასიანი ქაღალდი). 2012 წლის ანალოგიურ მონაცემებთან შედარებით ღირებულება 14-ჯერ

შემცირდა, ხოლო მოცულობა 4.28-ჯერ გაიზარდა. აქედან, ბირჟის სავაჭრო სესიაზე დაიდო 0.5 მლნ ლარის გარიგება, ხოლო ბირჟაზე დაფიქსირებული გარიგებების ღირებულებამ 52 მლნ ლარი შეადგინა. ბირჟაზე დაფიქსირებულ გარიგებათა საერთო მოცულობაში, რეგისტრატორების მიერ დაფიქსირებულ გარიგებათა მოცულობას 77 პროცენტი, ხოლო ღირებულებას 95 პროცენტი უჭირავს (მოცულობით – 174 მლნ ცალი, ღირებულებით – 49 მლნ ლარი). ამის გარდა, რეგისტრატორების მიერ შესრულებულია 153 არასაბირჟო ტრანზაქცია 53.25 მლნ ფასიან ქაღალდზე, რომელიც მოიცავს ფასიანი ქაღალდების მემკვიდრეობით გადაცემას, ჩუქებას და სხვა.

ღიზარაზა N 4.2 ვაჭრობის ძირითადი მაჩვენებლები (სავაჭრო სესიებზე დადებული და ბირჟაზე დაფიქსირებული გარიგებები) 2007-2013




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

23. აღნიშნული ღირებულების მნიშვნელოვანი ნაწილი უკავშირდება საერთაშორისო ბაზარზე განხორციელებულ ოპერაციებს.

წელი	გარიგების რაოდენობა		მოცულობა (ფასიანი ქაღალდების რაოდენობა)		ფასიანი ქაღალდების ღირებულება (ლარი)	
	2013	2012	2013	2012	2013	2012
სავაჭრო სესიებზე	283	339	27,170,709	9,950,399	530,493	8,847,355
ბირჟაზე დაფიქსირებული	230	538	225,508,802	49,101,717	51,955,237	726,721,480
სულ	513	877	252,679,511	59,052,116	52,485,730	735,568,835

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

ღიაზრამა N 4.3 სავაჭრო სესიებზე და ბირჟაზე დაფიქსირებული გარიგებების რაოდენობა წლების მიხედვით




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

2013 წელს ცენტრალურ დეპოზიტარში დეპონირებული იყო 22.35 მლნ ფასიანი ქაღალდი და 22.34 მლნ ფულადი სახსრები. კვლავ გაგრძელდა 2010 წლიდან დაწყებული – ცენტრალურ დეპოზიტარში ფასიან ქაღალდებზე ტრანზაქციების რაოდენობის შემცირების ტენდენცია, რაც აიხსნე-

ბა საბირჟო ვაჭრობების მოცულობის შემცირებით. საპირისპიროდ, გაიზარდა დეპონირებული ფასიანი ქაღალდების ბრუნვა, რაც გამოწვეულია მცირე ნომინალის მქონე აქციების დეპონირებით ცენტრალური დეპოზიტარის ანგარიშებზე.

ღიზრება N 4.4 ცენტრალურ დეპოზიტარში დეპონირებული ფასიანი ქაღალდები წლების მიხედვით (2008-2013)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

მხოლოდ 300 000 ლარით არის შემცირებული ფულადი სახსრების ბრუნვა გასულ წელთან შედარებით, რაც შეეხება ტრანზაქციების რაოდენობას, დაფიქსირებულია ზრდა წინა წლის მაჩვენებელთან მიმართებაში.

აღნიშნული ცვლილება ფულადი სახსრების მაჩვენებლებთან დაკავშირებით გამოწვეულია უფრო მცირე მოცულობითი გარიგებების რაოდენობის ზრდით.

ღიზრება N 4.5 ცენტრალურ დეპოზიტარში დეპონირებული ფულადი სახსრები წლების მიხედვით (2008-2013)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.


4.2 სხვა ფინანსური ინსტიტუტები

2013 წლის 31 დეკემბრისათვის საფინანსო სფეროს სხვა მონაწილეებს წარმოადგენდა 17 საკრედიტო კავშირი, 67 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, 1051 ვალუტის გადამცვლელი პუნქტი და 35 ფულადი გზავნილების განმხორციელებელი პირი. ასევე აღსანიშნავია, რომ 2013 წლის ივნისში ერთი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია აღიარებულ იქნა კვალიფიციურ საკრედიტო ინსტიტუტად.

4.2.1 მიკროსაფინანსო ორგანიზაციები

2013 წლის ბოლოსათვის მიკროსაფინანსო სექტორში ფუნქციონირებდა 67 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია. 2012 წლის მონაცემებთან შედარებით, მთლიანი აქტივების ოდენობა 20 პროცენტით²⁴ გაიზარდა და 811.9 მლნ ლარი შეადგინა. მატება თანაბარპროპორციულად განხორციელდა ვალდებულებებისა და კაპიტალის ხარჯზე, რომლებმაც შესაბამისად 609.3 მლნ ლარი და 202.6 მლნ ლარი შეადგინა. აქტივების ზრდის მაჩვენებელი, მიუხედავად იმისა, რომ არსებითად ჩამორჩება წინა წლების საშუალო მონაცემს (დაახლოებით 50 პროცენტი), მაინც მაღალია.

ღიაბრაზი N 4.6 მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მთლიანი აქტივები, ვალდებულებები, კაპიტალი და მთლიანი ვალდებულებების დინამიკა აქტივებთან მიმართებაში




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

2013 წლის მონაცემებით, წმინდა სესხებმა მთლიანი აქტივების 75 პროცენტი შეადგინა და მისი ოდენობა 614.5 მლნ ლარით განისაზღვრა. აღსანიშნავია, რომ წმინდა სესხების მთლიან აქტივებთან თანაფარდობის წილობრივი მაჩვენ-

ებელი, ბოლო წლების განმავლობაში არ შეცვლილა. სესხების ზრდის ტემპი თითქმის იდენტურია მთლიანი აქტივების ზრდისა და 20 პროცენტს შეადგენს.

24. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ 2013 წლის მესამე კვარტალში ერთ-ერთმა მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ მოიპოვა საბანკო ლიცენზია, რამაც დიდი გავლენა იქონია აქტივების ზრდის ტემპებზე. აღნიშნული ორგანიზაციის მონაცემების გათვალისწინებით, აქტივების წლიური მატება 41 პროცენტი იქნებოდა.

დიაგრამა N 4.7 წმინდა სესხების ზრდის დინამიკა აქტივებთან მიმართებაში




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

2013 წლის მონაცემებით მიკროსაფინანსო სექტორის მთლიანმა საკრედიტო პორტფელმა 620.3 მილიონი ლარი შეადგინა. იგი ძირითადად წარმოდგენილია სამი სექტორით:

1. ვაჭრობა და მომსახურება – 131.3 მლნ ლარი (პორტფელის 21.2 პროცენტი);
2. სოფლის მეურნეობა და მეტყვეობა – 145.9 მლნ ლარი (პორტფელის (23.5 პროცენტი);
3. სამომხმარებლო სესხები – 275.8 მლნ ლარი (პორტფელის 44.4 პროცენტი).

დიაგრამა N 4.8 მთლიანი პორტფელის სტრუქტურა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

დიაგრამა N 4.8-ის მიხედვით, 2013 წლის განმავლობაში სამომხმარებლო სესხების ზედრითი წილის მატების ფონზე, ფიქსირდება სოფლის მეურნეობის სექტორზე გაცემული სესხების წილის კლება, რაც პირდაპირ კავშირშია ერთ-ერთი მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ საბანკო ლიცენზიის მოპოვებასთან, რომლის პორტფელიც ძირითადად წარმოდგენილია სოფლის მეურნეობასა და ვაჭრობა/მომსახურებაზე გაცემული სესხებით.

რეალურად კი, მიკროსაფინანსო სექტორის მიერ სოფლის მეურნეობის დაკრედიტების ტენდენცია წარჩუნდება.

პერიოდების მიხედვით, აქტივების დაფინანსების მთავარ წყაროს (საშუალოდ 73.4 პროცენტი) მთლიანი ვალდებულებები შეადგენს, რომელიც ძირითადად წარმოდგენილია (91.6 პროცენტი) ნასესხები სახსრებით.

ღიაბრათა N 4.9 ნასესხები სახსრების სტრუქტურა, არარეზიდენტი ორგანიზაციებიდან და ფიზიკური პირებიდან მოზიდული რესურსების დინამიკა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

პერიოდების მიხედვით აღინიშნებოდა არარეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხების არსებითი ზრდა, რასაც თან სდევდა ნასესხები სახსრების სტრუქტურაში მისი ხვედრითი წილის მატება. წარმოდგენილი დიაგრამა N 4.9-ის მიხედვით, 2013 წლის მეორე ნახევარში არარეზიდენტი ინსტიტუტებიდან მოზიდული სახსრები არსებითად შემცირდა (რაც პირდაპირ კავშირშია ერთ-ერთი მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ საბანკო ლიცენზიის მოპოვებასთან, რომლის ნასესხები სახსრები ძირითადად წარმოდგენილია არარეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხებით). რეალურად კი, სახეზეა მიკროსაფინანსო სექტორში არარეზიდენტი ინსტიტუტებიდან სახსრების მოზიდვისა და მისი ხვედრითი წილის შენარჩუნების ტენდენციები.

2009 წლიდან მოყოლებული, ეტაპობრივად მატულობდა ასევე ფიზიკური პირებიდან მოზიდული რესურსების ოდენობა. სახსრების მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კვალიფიციურ საკრედიტო ინსტიტუტად აღიარებული მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ვალდებულებებს წარმოადგენს.

4.2.2 კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტი

ნაკლებად ინფორმირებული საცალო ინვესტორების დაცვა შენატანების მაღალრისკიან აქ-

ტივებში გაუთვინცნობიერებელი განთავსებისგან ფინანსური ინსტიტუტის რეგულირების ერთ-ერთი ძირითადი არგუმენტია. ამჟამად საქართველოში დეპოზიტების მოზიდვის უფლება მხოლოდ ბანკებს გააჩნიათ და შესაბამისად ინტენსიური პრუდენციული ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებიან. ასევე, დეპოზიტების მიღება შეუძლიათ არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებებს – საკრედიტო კავშირებსაც, მხოლოდ თავიანთი წევრებისაგან. იმის მიუხედავად, რომ საკრედიტო კავშირების სექტორი ძალზედ მცირეა, საქართველოს ეროვნული ბანკი მაინც სათანადო ყურადღებას უთმობს საფინანსო ბაზრის იმ მონაწილეებს, რომლებიც სახსრებს საცალო სექტორიდან იზიდავენ.

თუმცა, საქართველოს ბაზარზე მოქმედი არასაბანკო ფინანსური შუამავლები ახდენენ სახსრების მოზიდვას საცალო ბაზარზე, რომელიც ფორმდება როგორც კრედიტი ან თამასუქი. მომხმარებლებს შესაძლოა არ ჰქონდეთ სათანადო ინფორმაცია, რომ კომერციული ბანკებისაგან განსხვავებით აღნიშნულ ინსტიტუტებზე არ ვრცელდება რაიმე სახის ზედამხედველობა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საცალო ინვესტორების ინტერესების დაცვის მიზნით, საჭირო გახდა მათი საზედამხედველო ჩარჩოში მოქცევა. შესაბამისად, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა აამოქმედა საზედამხედველო ჩარჩო, რომლის ფარგლებშიც „საქართველოს ეროვნული ბანკის შე-

სახებ“ ორგანულ კანონში 2012 წლის 25 მაისს შევიდა ცვლილება. ცვლილების მიხედვით საფინანსო სექტორის წარმომადგენლის ჩამონათვალს დაემატა „კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტის“ ცნება. კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტი არის იურიდიული პირი (გარდა კომერციული ბანკისა), რომელიც ასეთად მიჩნეულია ეროვნული ბანკის მიერ და რომელიც ამ კანონის შესაბამისად სახსრებს მოზიდავს ოთხასზე მეტი ფიზიკური პირისაგან საერთო მოცულობით ხუთი მილიონი ლარი და მოზიდული სახსრებით გასცემს სესხებს. ცვლილებებით ეროვნულ ბანკს მიენიჭა უფლებამოსილება აღნიშნული ინსტიტუტების მიმართ განახორციელოს შესაბამისი რეგულირება, რაც მოიცავს ინსტიტუტის რეგისტრაციასა და მისი რეგისტრაციის გაუქმებას, შესაფერისობის კრიტერიუმების, რისკების გამჟღავნების, მინიმალური კაპიტალის, ლიკვიდობის და დამატებითი მოთხოვნების დადგენას, შემონეშებას, შეზღუდვებისა და სანქციების დაწესებას. ამასთან, თუ ეროვნული ბანკი მიიჩნევს, რომ კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტის საქმიანობა საფრთხეს უქმნის საფინანსო სექტორის სტაბილურობას ან ფიზიკური პირებისაგან მოზიდულ სახსრებს, იგი უფლებამოსილია კვალიფიციურ საკრედიტო ინსტიტუტს მოსთხოვოს სახსრების მოზიდვასთან და სესხების გაცემასთან დაკავშირებული საქმიანობის შეწყვეტა.


იმ ფინანსური ინსტიტუტების იდენტიფიცირება და რეგულირების ფარგლებში მოქცევა, რომელთაც მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლიათ ფინანსური სექტორისადმი მოსახლეობის ნდობაზე, საფინანსო სისტემის სტაბილურობასა და გამჭვირვალობას უზრუნველყოფს.

მნიშვნელოვანია, რომ ფიზიკური პირებიდან მოზიდული სახსრების ზრდის ტენდენციებისა და მიკროსაფინანსო სექტორის განვითარებასთან დაკავშირებით განსახილველი სხვა საკითხების გათვალისწინებით, 2013 წლის ნოემბერში საქართველოს ეროვნული ბანკის ორგანიზებით ჩატარდა კონფერენცია, სადაც ბაზარზე მოქმედი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან

ერთად მოწვეული იყვნენ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც. კონფერენციის მსვლელობისას მკაფიოდ გაესვა ხაზი იმ პოტენციურ რისკებს, რაც მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ მოქალაქეთა ფართო მასებიდან სახსრების მოზიდვას უკავშირდება. აღნიშნული განსაკუთრებით აქტუალურია იმ ფონზე, როდესაც საბანკო სექტორში დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთები მკვეთრად შემცირდა. შესაბამისად, მათ მიეცათ რეკომენდაცია გაეაქტიურებინათ საქმიანობა სხვა უფრო მსხვილი ინვესტორებისგან რესურსების მოზიდვის კუთხით. გარდა საერთო რეკომენდაციებისა, იმ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, რომლებიც შედარებით აქტიურად იზიდავდნენ რესურსებს ნაკლებად ინფორმირებული საცალო ინვესტორებისგან, გაეგზავნათ წერილობითი შეტყობინებები იმის თაობაზე, რომ არსებული ბიზნეს მოდელით საქმიანობის გაგრძელება, მყისიერად განაპირობებდა ორგანიზაციის კვალიფიციურ საკრედიტო ინსტიტუტად აღიარებას. აღნიშნული ღონისძიებების გათვალისწინებით, მისო-ების უმრავლესობამ შეწყვიტა ფიზიკური პირებიდან სახსრების მოზიდვის კუთხით წარმოებული სარეკლამო კამპანია და შეცვალა აქტივების დაფინანსების არსებული პრაქტიკა. შედეგად, სახეზეა მოქალაქეთა ფართო მასებიდან მოზიდული სახსრების კლებისა და შედარებით მსხვილი კრედიტორებისგან მოზიდული სახსრებით მათი ჩანაცვლების ტენდენციები.

მიკროსაფინანსო სექტორი მაღალი მომგებიანობით ხასიათდება (გასათვალისწინებელია, რომ არსებული საზედამხედველო ჩარჩო არ ითვალისწინებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვების ადეკვატურობის ინსპექტირებას). 2013 წლის განმავლობაში საფინანსო ბაზარზე საპროცენტო განაკვეთების კლების ტენდენციამ, შესაბამისი გავლენა იქონია მიკროსაფინანსო სექტორის მომგებიანობის პარამეტრებზე (ROE, ROA). თუმცა, აქტივების ზრდისა და ბაზრისათვის შეთავაზებულ პროდუქტებზე არსებული მაღალი მარჟების გამო, მაჩვენებლები მაინც შთამბეჭდავია.

დიაგრამა N 4.10 მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მომგებიანობის პარამეტრები²⁵



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი სისტემატიურად მუშაობს საკანონმდებლო ინიციატივებზე, რომელიც მიზნად ისახავს ამ სექტორის განვითარებას და მისი მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის დახვეწას. პირველ რიგში გადასაწყვეტია იმ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების გამიჯვნის საკითხი, რომლებიც კრედიტის გაცემისას ახდენენ მსესხებელთა გადახდისუნარიანობის ანალიზს და არ ეყრდნობიან მხოლოდ

უზრუნველყოფას. ამ მხრივ საყურადღებოა, რომ საქართველოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების განვითარებისა და მხარდაჭერის ასოციაციის მიერ წარმოდგენილი მონაცემებით, ასოციაციის წევრი ორგანიზაციების ჯამური საკრედიტო პორტფელის (რომელიც სექტორის პორტფელის 60 პროცენტს შეადგენს) მხოლოდ 20.7 პროცენტი არის იპოთეკით უზრუნველყოფილი.

25. დიაგრამაზე შეტანილია კორექტირებები, რომელიც შეეხება გასული წლების მონაცემებს.



საგადახდო სისტემები

თანამედროვე ტექნოლოგიური განვითარება თანდათან მრავალფეროვანს ხდის ეროვნულ საგადახდო სისტემას და ზრდის მასში მონაწილე სუბიექტების რაოდენობას. ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს საგადახდო სისტემებში მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილებები როგორც ბანკთაშორისი ანგარიშსწორების სისტემის მხრივ, ასევე საცალო გადახდების სფეროში.

2012 წელს მიღებული „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე მნიშვნელოვნად გაიზარდა იმ კომპანიების რიცხვი, რომლებიც ქვეყანაში საგადახდო მომსახურებას ეწევიან. უფრო სისტემატიზებული სახე მიეცა საგადახდო მომსახურების პროვაიდერების მიერ ეროვნული ბანკისათვის მიწოდებულ ინფორმაციას. 2013 წლის მონაცემების მიხედვით საგადახდო ბაზარი წარმოდგენილია როგორც ტრადიციული, ასევე ახალი მონაწილეებისაგან. კერძოდ: ა) კომერციული ბანკები; ბ) მიკროსაფინანსო ორგანიზაციები; გ) ფულადი გზავნილების განმხორციელებელი პირები; დ) საგადახდო მომსახურების სხვა პროვაიდერები, რომლებიც საგადახდო მომსახურებას ახორციელებენ საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის შედეგად.

ინტერნეტ ტექნოლოგიებისა და ელექტრონული კომერციის განვითარებამ ხელი შეუწყო ინოვაციური მომსახურებების განვითარებას. 2013 წლის განმავლობაში ეროვნულ ბანკში საგადახდო მომსახურების პროვაიდერებად დარეგისტრირდნენ ინტერნეტ და მობილური გადახდების პროვაიდერები. გარდა ამისა, ლოკალური ბარათების ემისია დაიწყო ორმა რეგისტრირებულმა პროვაიდერმა და ერთმა მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ. მათი


ბარათების მფლობელები სარგებლობენ ქვეყანაში არსებული საგადახდო ბარათების ინფრასტრუქტურით. აქტიურად ფუნქციონირებს სწრაფი გადახდის კიოსკების ქსელი, რომელთა საშუალებით განხორციელებული საცალო გადახდების რაოდენობის წილი ელექტრონულ გადახდებში საკმაოდ დიდია. ფიზიკური პირის უნაღლო გადახდების საშუალებებს შორის გაჩნდა ელექტრონული ფულიც. საქართველოს ეროვნულ ბანკში დარეგისტრირებულია ელექტრონული ფულის რამდენიმე პროვაიდერი, რომელთა მომხმარებლებსაც შეუძლიათ სხვადასხვა საცალო გადახდების განხორციელება თავიანთი ელექტრონული ფულის ინსტრუმენტის გამოყენებით. იზრდება ქართული საგადახდო ბაზრის მიმართ ინტერესი უცხოური კომპანიების მხრიდანაც.

RTGS სისტემაში განხორციელებული ოპერაციების სტატისტიკა

2013 წლის განმავლობაში დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების (RTGS) სისტემაში განხორციელდა 12.8 მლნ გადახდის ოპერაცია, თანხობრივი მაჩვენებლით 129 მილიარდი ლარი. გადარიცხვების ბრუნვის საშუალო დღიური მაჩვენებელი შეადგენდა 50.6 ათას საბუთს, თანხობრივად – 511.7 მლნ ლარს. 2012 წელთან შედარებით RTGS სისტემაში გადარიცხვების რაოდენობა გაიზარდა 1.64 მილიონით (14.7 პროცენტით), ხოლო თანხობრივი მაჩვენებელი გაიზარდა 3.7 მილიარდი ლარით (3 პროცენტით).


დროის რეალური რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემის სტატისტიკური მონაცემები იხილეთ ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამა N 5.1 და დიაგრამა N 5.2-ზე.

ღიაბრავა N 5.1 RTGS სისტემაში განხორციელებული გადარიცხვები (2013 წელი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

ღიაბრავა N 5.2 RTGS სისტემაში განხორციელებული გადარიცხვები (2002-2013 წელი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

RTGS სისტემა ასრულებს უმნიშვნელოვანეს როლს როგორც მაღალი თანხობრივი მოცულობის, ასევე მცირე მოცულობის (საცალო) გადახდების კუთხით. 2012 წელთან შედარებით კიდევ უფრო გაიზარდა საქართველოში განხორციელებული ტრანზაქციების საერთო ბრუნვაში (თანხობრივი სიდიდის) ეროვნული ბანკის RTGS სისტემით დამუშავებული ტრანზაქციების წილი და შეადგინა 75.7 პროცენტი (2012 წელს იყო 72.3 პროცენტი).

აღნიშნული სულ მცირე 4-ჯერ აღემატება უნაღლო გადახდებისათვის საქართველოში გამოყენებულ ნებისმიერ სხვა სისტემას/საშუალებას²⁶ და ამგვარად ფინანსური რესურსების შეუფერხებელი მოძრაობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალებაა.


2013 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა ბანკების შიდა გადახდების წილი უნაღლო გადახდების საერთო რაოდენობაში და შეადგინა 49.9 პროცენ-

26. გარდა ქვეყანაში არსებული საგადახდო სისტემებისა, ბანკები საჭიროების შემთხვევაში უნაღლო გადახდებისთვის/ანგარიშსწორებისათვის ასევე იყენებენ პირდაპირ საკორესპონდენტო ურთიერთობებსაც. განსაკუთრებით ეს ეხება უცხოური ვალუტით გადარიცხვებს.

ტი (2012 წელს – 37 პროცენტი). დამუშავებული გადახდების რაოდენობრივი მაჩვენებლების მხრივ, ასევე, მნიშვნელოვან როლს თამაშობენ საბარათე გადახდები (33 პროცენტი) და RTGS სისტემა (17 პროცენტი). საყურადღებოა შემდეგი გარემოება: მიუხედავად იმისა, რომ RTGS სისტემა მნიშვნელოვან როლს თამაშობს მცირე მოცულობის (საცალო) გადახდების კუთხით, მისი წილი უნაღლო გადახდების საერთო რაოდენობაში სტაბილურად მცირდება (2011 წელს იგი შეადგენდა 31 პრო-

ცენტს, 2012 – 24 პროცენტს და 2013 – 17 პროცენტს). იმის გათვალისწინებით, რომ 2013 წელს 14.7 პროცენტით გაიზარდა RTGS სისტემით დამუშავებული გადახდების რაოდენობა, ზემოაღნიშნული ტენდენცია მიუთითებს იმაზე, რომ ქვეყანაში სწრაფად ვითარდება საცალო გადახდების სხვა სისტემები/საშუალებები. აღსანიშნავია, რომ უცხოური ვალუტით განხორციელებული უნაღლო გადახდები საქართველოს ტერიტორიაზე ტრადიციულად უმნიშვნელო როლს თამაშობს.

ღიზარება N 5.3 გადახდის ოპერაციები საგადახდო სისტემებისა და მათი შესრულების სხვა საშუალებების მიხედვით (2013 წ.)



შენიშვნა: უცხ. ვალუტით არარეზ. ბანკების გამოყენებით გადარიცხვა მოიცავს რეზიდენტი ბანკების კლიენტებს შორის გადარიცხვას, რომლის მიხედვითაც ბანკებს შორის საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდა არარეზიდენტ ბანკებში არსებული საკორესპონდენტო ანგარიშებით.

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

უნაღლო ფორმით გადახდის ოპერაციების შესრულებისას RTGS სისტემის ზემოაღნიშნული როლიდან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მის უწყვეტ ფუნქციონირებას. (2013 წლის განმავლობაში სისტემის უწყვეტობის მაჩვენებელი შეადგენდა 99.9 პროცენტს)

საერთაშორისო საბანკო ანგარიშის ნომერი – IBAN

2013 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საბანკო სისტემა სრულად გადავიდა IBAN ფორმატის საბანკო ანგარიშებზე. შესაბამისად, ქვეყნის კომერციული ბანკების ყველა კლიენტის ანგარიში არსებობს მხოლოდ IBAN ფორმატში და საქართველოს ტერიტორიაზე საბანკო გადახდის ოპერაციები,

ასევე საზღვარგარეთიდან ჩარიცხვები ხორციელდება მხოლოდ ამ ფორმატის ანგარიშებით.


ელექტრონული საგადახდო ინსტრუმენტები

2013 წლის განმავლობაში, 2012 წლის მსგავსად, საქართველოში მომხმარებლის დამოკიდებულებაში ელექტრონული გადახდის საშუალებების (საგადახდო ბარათებს, ინტერნეტ-ბანკინგს და სხვა) მიმართ კვლავ დადებითი ტენდენცია შეინიშნება. მომხმარებლების მიერ გამოყენებული საგადახდო ინსტრუმენტებიდან კვლავ წამყვან როლს თამაშობს საგადახდო ბარათები. 2013 წელს კიდევ უფრო გაიზარდა ბარათებით განხორციელებული გადახდის ოპერაციების რაოდენობის წილი მთლიან უნაღლო გადახდებში და შეადგინა 49.8 პროცენტი

(2012 წელს – 47.5 პროცენტი). ასევე გაიზარდა ინტერნეტის მეშვეობით განხორციელებული ტრანზაქციების წილიც და წლის ჯამური შედეგებით შეადგინა 24.8 პროცენტი (2012 წელს – 21.7 პროცენტი). აღსანიშნავია, რომ ამ ელექტრონული ინსტრუმენტებით გადახდების წილის ზრდა ძირითადად კლიენტის მიერ უშუალოდ ბანკში ქალაქით

წარდგენილი საკრედიტო საგადახლო დავალებების წილის შემცირების ხარჯზე მოხდა. თანხობრივი მაჩვენებლებით ინტერნეტ-ბანკით ინიცირებული დავალების საფუძველზე განხორციელებული გადახდები უნაღდო გადახდის ოპერაციებს შორის უდავო ლიდერია (მისი წილი შეადგენს 61 პროცენტს).

ღიზარება N 5.4 უნაღდო გადახდების განაწილება საგადახლო დავალების ინიცირების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

საგადახლო მომსახურების პროვაიდერები


2013 წლის 31 დეკემბრისათვის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრირებული იყო 15 საგადახლო მომსახურების პროვაიდერი. მათ მიერ განხორციელებული საგადახლო მომსახურების თანხობრივმა მაჩვენებელმა შეადგინა 1.8 მილიარდი ლარი, რაც კომერციული ბანკების მიერ განხორციელებული გადახდების უმნიშვნელო ნაწილს (1 პროცენტი) შეადგენს. მიუხედავად ამისა, ისინი მნიშვნელოვან როლს თამაშობენ მცირე მოცულობის (საცალო) გადახდების განხორციელებაში. კერძოდ, რეგისტრირებული პროვაიდერების მიერ განხორციელებული გადახდების რაოდენობამ 2013 წლის ჯამური მონაცემებით შეადგინა 401 მილიონი ტრანზაქცია. ამ მაჩვენებლით ის თითქმის 31-ჯერ აღემატება RTGS სისტემით განხორციელებული გადახდების რაოდენობრივ მაჩვენებლებს.

საგადახლო ბარათები

2013 წლის ბოლოსთვის საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების მიერ გამოშვებული ბარათების რაოდენობამ შეადგინა 5,948,691. ეს მაჩვენებელი 13 პროცენტით მეტია 2012 წლის დეკემბრის თვის მონაცემებთან შედარებით. 10 სულ მოსახლეზე დაახლოებით გამოშვებულია 13 ბარათი, 2 ბარათით მეტი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

გამოშვებული ბარათების 23 პროცენტი არის საკრედიტო, ხოლო 77 პროცენტი – სადებეტო. საკრედიტო ბარათების გამოშვება უფრო ინტენსიურად მიმდინარეობდა 2013 წლის მეორე ნახევარში. 2008-2013 წლის განმავლობაში ქვეყანაში გამოშვებული საგადახლო ბარათების დინამიკა ნაჩვენებია დიაგრამა N 5.5-ზე.

დიაგრამა N 5.5 გამოშვებული საგადახდო ბარათები 2008-2013 წწ.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

გამოშვებული ბარათების 65 პროცენტი არის „ვიზა“ ბრენდის ბარათები, 20 პროცენტი – „მასტერქარდის“, 2 პროცენტი – AmEx-ის, ხოლო 13 პროცენტი არის ლოკალური ბარათები. ბანკებმა ასევე დაიწყეს ახალი ბრენდის Union Pay International ბარათების ემისიაც და ექვირინგიც²⁷. აღსანიშნავია, რომ ვიზა ბარათების წილი გამოშვებულ ბარათებში წინა წელთან შედარებით შემცირდა 10 პროცენტული პუნქტით, ხოლო MC (9 პროცენტული პუნქტით) და ლოკალური (6 პროცენტული პუნქტით) ბარათების წილი გაიზარდა.

2013 წლის განმავლობაში ქართული საგადახდო ბარათებით სულ შესრულდა 69.4 მლნ ოპერაცია თანხობრივად 9.0 მლრდ ლარი. აღნიშნული რაოდენობის 96 პროცენტი და თანხის 93 პროცენტი შესრულდა ქვეყნის შიგნით, ხოლო დანარჩენი – ქვეყნის გარეთ. შესრულებული ტრანზაქციების რაოდენობრივი მაჩვენებელი 19 პროცენტით, ხოლო თანხობრივი 17 პროცენტით მეტია წინა წლის შესაბამის მაჩვენებლებთან შედარებით.

საგადახდო ბარათებით პოს-ტერმინალებში შესრულებული გადახდის ოპერაციები შეადგენს


სულ ბარათის გამოყენებით შესრულებული ოპერაციების 41 პროცენტს რაოდენობრივად და 15 პროცენტს თანხობრივად. აღსანიშნავია, რომ ასეთი ტიპის ოპერაციების ზრდის ტემპი უფრო მაღალია, ვიდრე ნაღდი ფულის გატანის ოპერაციები. კერძოდ, 2013 წელს წინა წლის მონაცემებთან შედარებით ნაღდი ფულის გატანის ოპერაციები გაიზარდა რაოდენობრივად 7 პროცენტით და თანხობრივად 15 პროცენტით, მაშინ როცა ბარათით გადახდის ოპერაციები სავაჭრო/მომსახურების პოს-ტერმინალებში გაიზარდა 43 პროცენტით რაოდენობრივად და 29 პროცენტით თანხობრივად, თუმცა აბსოლუტურ გამოსახულებაში პოს-გადახდების წილი კვლავ მცირე რჩება. შესრულებულ პოს-გადახდებში რაოდენობის 64 პროცენტი და თანხის 71 პროცენტი განხორციელდა ფიზიკურ მოწყობილობებში, ხოლო დანარჩენი – ვირტუალურით (ინტერნეტ-გადახდები). ქვეყნის შიგნით ქართული საგადახდო ბარათებით განხორციელებული ოპერაციების დინამიკა 2010-2013 წწ-ში გამოსახულია დიაგრამა N 5.6-ზე.

27. ექვირინგი — პირის საქმიანობა, რომელიც უზრუნველყოფს:

ა) სავაჭრო (მომსახურების) ობიექტებთან ან სხვა პირებთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე პოს-ტერმინალის საშუალებით ბარათით გადახდის, ასევე ბარათის რეკვიზიტებით ინტერნეტ-გადახდის შესრულებას და შესაბამისი ანგარიშსწორების განხორციელებას სავაჭრო/მომსახურების ობიექტებთან;

ბ) ბარათით განხორციელებული ოპერაციის შედეგად ნაღდი ფულის გაცემას.

ღიზრამა N 5.6 ქვეყნის შიგნით ქართული ბარათებით განხორციელებული ოპერაციები (2010-2013 წწ)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

ვითარდება საგადახდო ბარათების მიმღები მოწყობილობების ინფრასტრუქტურაც. კერძოდ, 2013 წლის ბოლოსთვის საქართველოში ბანკო-მატების რაოდენობამ შეადგინა 2,072; პოს-ტერმინალების რაოდენობამ საგაფრო-მომსახურების ობიექტებში – 13,565 და პოს-ტერმინალებმა ბანკის

ფილიალებსა და სერვის-ცენტრებში – 2,681. წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ბანკო-მატების რაოდენობა გაიზარდა 7 პროცენტით, ხოლო საგაფრო/მომსახურების ობიექტებში არსებული პოს-ტერმინალების რაოდენობა – 22 პროცენტით.

ღიზრამა N 5.7 საგადახდო ბარათების მიმღები მოწყობილობები (2009-2013 წწ.)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

ბანკომატებით შესრულდა სულ ბარათის გამოყენებით საქართველოში განხორციელებული ოპერაციების 54 პროცენტი რაოდენობრივად და 76 პროცენტი – თანხობრივად, ხოლო საგაფრო/მომსახურების ობიექტების პოს-ტერმინალებით 42 პროცენტი რაოდენობრივად და 19 პროცენტი – თანხობრივად.

2013 წელს საქართველოში არსებობდა საბარათე ოპერაციების საპროცესინგო 5 ცენტრი, რომლიდანაც მხოლოდ ორია არასაბანკო კომპანიის მართვაში. აღნიშნული 2 კომპანია („ჯორჯიან ქარდი“ და „გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია“) საქართველოს ეროვნულ ბანკში დარეგისტრირდა როგორც საგადახდო სისტემის ოპერატორი.

VI



საინფორმაციო ტექნოლოგიების
ბანკინთარება

საქართველოს ეროვნულ ბანკში 2013 წელს გრძელდებოდა საინფორმაციო ტექნოლოგიების სრულყოფის სამუშაოები. კერძოდ, საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა საბანკო სექტორში ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის ეროვნული ბანკის მიერ ინიცირებული პროექტის განხორციელება.

ელექტრონული ხელმოწერის პრაქტიკაში გამოყენება გულისხმობს საქართველოს საბანკო სექტორში ქალაქზე შესრულებული ხელმოწერის ჩანაცვლებას ელექტრონული ხელმოწერითა და ელექტრონული დოკუმენტბრუნვით ყველა იმ შესაძლო ოპერაციაზე, რომელზეც კონკრეტული კომერციული ბანკი მიიღებს გადაწყვეტილებას.

ეროვნულმა ბანკმა, როგორც საბანკო სექტორის რეგულატორმა და პროექტის ინიციატორმა, შეიმუშავა შესაბამისი ჩარჩო სახელმძღვანელო („ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის სახელმძღვანელო“ – ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის მეთოდოლოგია საქართველოში ლიცენზირებული კომერციული ბანკებისთვის, საქართველოს საბანკო სექტორში განვითარებული ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების მიზნით, ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავებისათვის, ასევე სხვა დაკავშირებული დოკუმენტები), რათა შექმნილიყო ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებისთვის სანდო და დაცული გარემო. ელექტრონული ხელმოწერის დანერგვისთვის სანდო და დაცულ გარემოდ მიიჩნევა ელექტრონული ხელმოწერის ისეთი მოდელის გამოყენება, რომელიც შესაბამისობაში იქნება ელექტრონული ხელმოწერის უსაფრთხოების საერთაშორისოდ აღიარებულ პრინციპებსა და სტანდარტებთან.

ამ მიზნის მისაღწევად ეროვნული ბანკი ხელმძღვანელობდა საქართველოს კანონმდებლობითა და ევროკავშირის სივრცეში მოქმედი რეგულაციებით. ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებიდან მოსალოდნელი შედეგის მნიშვნელობისა და გარემო ფაქტორების გათვალისწინებით, შესაბამის და მოქნილ ინსტიტუტად მიიჩნევა ევროპარლამენტისა და ევროპული საბჭოს „ელექტრონული ხელმოწერის ჩარჩო-სახელმძღვანელოს“ შესახებ 1999/93/EC დირექტივით განსაზღვრული უსაფრთხოებ-

ის სტანდარტებით შესრულებული ხელმოწერის გამოყენება.

მსგავსი მომსახურება გამოიყენება გერმანიის, იტალიის, ესპანეთის, ამერიკის შეერთებული შტატების საბანკო სექტორში. სისტემის მთელი არსი მომსახურების პროცედურის სიმარტივე, სისწრაფე და უსაფრთხოებაა. ელექტრონული ხელმოწერის დანერგვა მნიშვნელოვანია საბანკო ოპერაციების განხორციელებისას მეტი კომფორტისა და სიმარტივის უზრუნველსაყოფად. საბანკო დოკუმენტებზე ელექტრონულად შესრულებული ხელმოწერა ყოველდღიურად მოხმარებული ქალაქის რაოდენობას მნიშვნელოვნად შეამცირებს, რაც დადებითად აისახება გარემოზეც.

მატერიალურ დოკუმენტზე ხელმოწერის მსგავსად, ელექტრონული ხელმოწერა სრულდება მხოლოდ კომერციული ბანკის ტერიტორიაზე უშუალოდ მომხმარებლის მიერ, სპეციალურ მონაცემილობა – ხელმოწერის დაფაზე (sign pad). ბანკის მიერ გამოყენებული ელექტრონული ხელმოწერის არსებული სისტემა უზრუნველყოფს ხელმოწერის პერსონალური მონაცემების დაცულობას და გამორიცხავს მათ გამოყენებას სხვანებისმიერ დოკუმენტზე.

ელექტრონული ხელმოწერა ქალაქის დოკუმენტზე ხელმოწერის ალტერნატივაა. ეროვნულ ბანკთან შეთანხმებული მოდელის საფუძველზე მას მინიჭებული აქვს მატერიალურ დოკუმენტზე შესრულებული ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა და იგი ბანკსა და კლიენტს შორის წარმოშობს იდენტურ უფლება-მოვალეობას.

მნიშვნელოვანია გაყალბებისგან თავის დაცვის მაღალი ხარისხი. ასევე უზრუნველყოფილია ელექტრონული ხელმოწერის ექსპერტიზის ჩატარების შესაძლებლობა.

2013 წელს ხორციელდებოდა ეროვნულ ბანკში ISO/IEC 27001 ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის დანერგვის პროექტი. როგორც ცნობილია, საქართველოს ეროვნული ბანკის, ისევე როგორც მონიწივე ცენტრალური ბანკების და სხვა ორგანიზაციების ინფორმაციული აქტივების დაცვა ერთ-ერთ კრიტიკულ ამოცანას წარმოადგენს. ამავე დროს „საქართველოს ეროვნული ბანკი“,

კანონმდებლობის შესაბამისად, განისაზღვრა როგორც საქართველოს კრიტიკული ინფრასტრუქტურის მფლობელი და მასზე ვრცელდება კანონი ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ. საკანონმდებლო მოთხოვნები ეფუძნება და სრულ შესაბამისობაშია ISO/IEC 27001 საერთაშორისო სტანდარტთან.

გამომდინარე აქედან, ინფორმაციული აქტივების ხელმისაწვდომობის, კონფიდენციალურობის და მთლიანობის უზრუნველყოფის მიზნით გადაწყდა ინფორმაციული უსაფრთხოების არსებულ რისკებზე დაფუძნებული საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტის ISO/IEC 27001:2013 დანერგვა. პროექტის შედეგად ჩამოყალიბებული მართვის სისტემა დაეხმარება საქართველოს ეროვნულ ბანკს თავის საქმიანობაში და უზრუნველყოფილი იქნება კონფიდენციალური მონაცემის ადეკვატური დაცვა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად.

აღნიშნული მიმართულებით გასული წლის ბოლოს დასრულდა მუშაობა პროექტის ტექნიკურ მოთხოვნებზე და გამოცხადდა ტენდერი ISO/IEC 27001 ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის (ISMS) დაპროექტებასთან და დანერგვასთან დაკავშირებულ საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვის თაობაზე. ეროვნული ბანკი აღნიშნული პროექტის ფარგლებში გეგმავს სტანდარტის შესაბამისი ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის დანერგვას, რაც კიდევ უფრო გააუმჯობესებს და ფორმალურად გახდის ბანკში მონაცემთა დაცვის პროცესებს. უახლოეს მომავალში დაგეგმილია კრიტიკული სერვისების ზემოაღნიშნული სტანდარტით სერტიფიცირება. პროექტის პარალელურად ასევე დაგეგმილია მონაცემთა გამჟღავნების პრევენციის სისტემის დანერგვა.

ბიზნეს უწყვეტობისა და მდგრადობის კიდევ უფრო გაუმჯობესების მიზნით, ბიზნეს უწყვეტობის გეგმის შემუშავების ფარგლებში, უცხოელი კონსულტანტების მიერ განეული რეკომენდაციების შესაბამისად, IT ინფრასტრუქტურა კიდევ უფრო დაიხვეწა და გაუმჯობესდა, რაც გამოი-

ხატება არსებულ მონაცემთა შენახვის დისკური სისტემების აქტივ-პასივ რეჟიმიდან აქტივ-აქტივ რეჟიმზე გადასვლაში. ეს გულისხმობს მონაცემთა შენახვის დისკური სისტემის კლასტერულ ტექნოლოგიაზე გადასვლას. აქტივ-აქტივ კონფიგურაცია მიუთითებს იმ ტექნოლოგიურ შესაძლებლობაზე, როცა ერთ სერვერულ ცენტრში დისკური სისტემის დაზიანების შემთხვევაში შესაძლებელია სისტემის ავტომატური და მყისიერი გადართვა მეორე სერვერულ ცენტრში არსებულ მონაცემთა შენახვის დისკურ სისტემაზე. ერთი სერვერული ცენტრიდან მეორეზე გადართვა ხდება ავტომატურად, ადამიანის ჩარევის გარეშე, რაც კიდევ უფრო ამცირებს ოპერაციულ რისკებს. ამჟამად უკვე დასრულებულია ზემოაღნიშნული სისტემის იმპლემენტაცია და მიმდინარეობს აქტიური ტესტირება, უახლოეს მომავალში იგეგმება მისი ექსპლუატაციაში გაშვებაც.

საანგარიშო პერიოდში დასრულდა მუშაობა და ექსპლუატაციაში შევიდა კომერციული ბანკებიდან ანგარიშგების მიღების სისტემა. შემუშავდა სპეციალური პორტალი, რომელიც განთავსებულია დახურულ ვირტუალურ ქსელში და მისი საშუალებით კომერციულ ბანკებს უსაფრთხოდ შეუძლიათ ატვირთონ საქართველოს ეროვნულ ბანკში წარსადგენი ელექტრონული ანგარიშგებები, რომელიც თავის მხრივ ციფრულად არის ხელმოწერილი. ზემოაღნიშნულმა კიდევ უფრო აამაღლა ეროვნული ბანკის ინფორმაციული უსაფრთხოების ხარისხი.

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა საქართველოს ეროვნული ბანკის ერთიანი ფინანსური, მაკროეკონომიკური და სტატისტიკური ინფორმაციული სისტემის „სებსტატის“ შემუშავების პროექტის განხორციელება. გასული წლის ბოლოს სისტემა მომზადდა რეალურ რეჟიმში ექსპლუატაციაში გასაშვებად²⁸.

2013 წლის განმავლობაში, სხვადასხვა ფუნქციონალის გაუმჯობესების მიზნით, რამდენიმე ცვლილება შევიდა ფასიანი ქაღალდების მართვის სისტემაში, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო და ეროვნული ბანკის ფასიანი ქაღალდების დეპოზიტარს ძირითად საბანკო სისტემაში, ნაღდი

28. დეტალური ინფორმაცია იხილეთ: თავი 12, სტატისტიკური საქმიანობა.

ფულის მართვის სისტემაში, საერთაშორისო გადარიცხვების სისტემა ITRS-ში, გირაოს რეგისტრაციის პროგრამაში და ადამიანური რესურსების მართვის სისტემაში. ზემოაღნიშნული ცვლილებები განხორციელდა ბანკში არსებული ცვლილებების მართვის პოლიტიკის გათვალისწინებით. ყოველივე ამან მნიშვნელოვნად შეამცირა ბანკის საოპერაციო რისკები, გაზარდა სისტემების უსაფრთხოება, სტაბილურობა და მდგრადობა. ასევე გაიზარდა ინფორმაციის საიმედოობა, კონფიდენციალობა, მთლიანობა და ხელმისაწვდომობა.


საანგარიშო პერიოდში შემუშავდა და ახლო მომავალში ექსპლუატაციაში შევა დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემასა და საერთაშორისო საბარათე სისტემა VISA-ს შორის მონაცემების ავტომატური გაცვლის პროგრამული უზრუნველყოფა, რომლის საშუალებითაც ხდება სპეციალური ფორმატის ე.წ. NSI ფაილის ფორმირება და მასზე ციფრული ხელმოწერა.

საანგარიშო წელს მიმდინარეობდა მუშაობა საკასო მოდულის განვითარების მეორე ფაზისათვის საჭირო ტექნიკურ და ბიზნეს მოთხოვნების ჩამოყალიბებაზე. აღნიშნული ფაზის ძირითადი მიზანია საკასო მოდულში ნუმისმატიკური და სხვა სარეალიზაციო ფასეულობების აღრიცხვა და

ამ ფასეულობებთან დაკავშირებული ოპერაციების წარმოების განხორციელების შესაძლებლობა (შიდა და გარე მოძრაობა, რეალიზაცია, კატეგორიების მინიჭება); ნაღდ ფულთან დაკავშირებული ოპერაციების მოდიფიკაცია/გაუმჯობესება ადამიანური რესურსის შემცირების და ოპერაციების შესრულებისათვის განკუთვნილი დროის შემცირების მიზნით; კომერციული ბანკების მოხერხებულად მუშაობისათვის მათი რეკომენდაციების გათვალისწინება და სხვა.

ეროვნული ბანკის კლიენტების მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, 2013 წელს განხორციელდა დისტანციური საბანკო მომსახურების პროგრამის დანერგვისათვის საჭირო ტექნიკური პირობების შემუშავება, რაც მიზნად ისახავს მომხმარებელთა საოპერაციო ეფექტურობისა და მოხერხებულობის გაზრდას, საოპერაციო ხარჯების შემცირებასა და კლიენტთა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას. პროგრამამ უნდა უზრუნველყოს კლიენტთა საბანკო მომსახურება დისტანციურად, მათ შორის მათი სამუშაო ადგილიდან დაცული გზით ელექტრონული დავალებების მიღება და მათ საფუძველზე ძირითად საბანკო სისტემაში შესაბამისი ჩანაწერების განხორციელება.

VII



შიდა აუდიტი და ბუღალტრული
ალრიცხვა

საქართველოს ეროვნული ბანკის შიდააუდიტორული სამსახურის საქმიანობა საანგარიშო პერიოდში წარმართებოდა მარნმუნებელი და საკონსულტაციო მომსახურების სახით. შიდააუდიტორული სამსახურის მიერ დაგროვილ გამოცდილებაზე დაყრდნობით, განხორციელდა არსებული აუდიტის უნივერსის გადახედვა და საქმიანობის გრძელვადიანი დაგეგმვის მეთოდოლოგიის განახლება. ეროვნული ბანკის ძირითად საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების პროფილების გათვალისწინებით, მოხდა აუდიტის ობიექტების რისკებისადმი დაქვემდებარებულობის შეწონვა და ჩამოყალიბდა შიდააუდიტორული შემოწმებებისა და მიმოხილვების ახალი გრძელვადიანი საორიენტაციო და წლიური სამოქმედო გეგმები.

აუდიტის კომიტეტთან შეთანხმებული და ეროვნული ბანკის საბჭოს მიერ დამტკიცებული 2013 წლის შიდააუდიტორული შემოწმებებისა და მიმოხილვების გეგმის შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 26 თემატური შემოწმება და მიმოხილვა, რომლის ფარგლებშიც მომზადდა შესაბამისი აუდიტორულ შეფასებები ცალკეული ბიზნეს პროცესების მიხედვით, რისკების მართვის, შიდა კონტროლის მექანიზმების ადეკვატურობისა და მარეგლამენტირებელი ბაზის მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე.


ორგანიზაციის ბიზნეს-პროცესების ეფექტურობისა და ოპტიმიზაციისაკენ სწრაფვის ხელშეწყობის მიზნით, საკონსულტაციო მანდატის ფარგლებში, შიდააუდიტორული სამსახური გასულ წელსაც ახორციელებდა მუშაობას კონსულტაციების განვების კუთხით, ოპერაციული მენეჯმენტის სხვადასხვა პროექტების მიხედვით.

საანგარიშო პერიოდში, შიდააუდიტორული სამსახური აგრძელებდა მარნმუნებელი მომსახურების პროცესში განხული რეკომენდაციების იმპლემენტაციის პროცესზე ზედამხედველობასა და ყოველკვარტალურ ანგარიშგებას, ასევე, პერიოდულ მონიტორინგს გარე აუდიტორული კომპანიის მიერ ეროვნული ბანკის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში განხული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობაზე.

შიდააუდიტორული სამსახურის საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების პროგრამის მოთხოვნათა შესაბამისად, შიდააუდიტორულმა სამსახურმა განახორციელა საქმიანობის ხარისხის ყოველწლიური შიდა პერიოდული შეფასება (თვითშეფასება), სამსახურის საქმიანობის შიდა აუდიტის პროფესიული პრაქტიკის საერთაშორისო სტანდარტებისა და ეთიკის კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. სამსახურის საქმიანობის წარმართვის პროცესში გამოყენებული მეთოდოლოგიური ბაზის დახვეწის მიმართულებით, საანგარიშო პერიოდში შეტანილ იქნა ცვლილებები შიდააუდიტორული სამსახურის „ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების პროგრამაში“, რომელმაც მოიცვა „შემოწმების ზედამხედველის“ ფუნქციის ფორმალიზების ასპექტები. ასევე, განისაზღვრა შიდააუდიტორული შემოწმების ერთ-ერთი ყველაზე არსებითი დოკუმენტის - აუდიტის პროგრამის შიდაორგანიზაციული სტანდარტი.

საანგარიშო პერიოდში გრძელდებოდა მუშაობა ბუღალტრული აღრიცხვის ოპერაციების ავტომატიზაციის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის მიმართულებით.

VIII




საკვასო-საეზისო სამუშაოების
ორგანიზაცია

ეკონომიკის ნაღდ ფულზე მოთხოვნის შეუფერხებლად დაკმაყოფილების მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი 2013 წელს ახორციელებდა საკასო-საემისიო სამუშაოებს, რომელიც მოიცავდა ფულის ნიშნების დამზადების, შემოტანის, შენახვის და ემისიასთან დაკავშირებულ საქმიანობას, მიმოქცევაში არსებული ბანკნოტებისა და მონეტების ხარისხის ამაღლებას, საემისიო ლარის ბანკნოტების/მონეტებისა და მიმოქცევიდან ამოღებული ფულის ნიშნების დადგე-

ნილი წესით დამუშავებას, ექსპერტიზის საქმიანობის გაუმჯობესებას, მიმოქცევისთვის უვარგისი ლარის ბანკნოტების განადგურებასა და ნორმატიული ბაზის სრულყოფას.

2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიმოქცევაში არსებული ნაღდი ფულის ოდენობამ 2.35 მლრდ ლარი შეადგინა. მათ შორის ბანკნოტებმა – 2.29 მლრდ ლარი, ხოლო მონეტებმა – 63.1 მლნ ლარი (დიაგრამა N 8.1).


დიაგრამა N 8.1 მიმოქცევაში არსებული ნაღდი ფული (31.12.2013)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

საანგარიშო პერიოდში, მიმოქცევაში ნაღდი ფულის მოცულობა წლის დასაწყისთან შედარებით 433.5 მლნ ლარით, ანუ 22.6 პროცენტით გაიზარდა (დიაგრამა N 8.2).

დიაგრამა N 8.2 ნაღდი ფული მიმოქცევაში 2012-2013 წლები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

2013 წლის განმავლობაში მიმოქცევაში ბანკნოტების რაოდენობა 425.3 მლნ ლარით გაიზარდა და მიმოქცევაში არსებული ფულის მთლიან მოცულობაში მისმა ხვედრითმა წილმა 97.3 პროცენტი შეადგინა.

საანგარიშო პერიოდში, მიმოქცევაში ნაღდი ფულის ზრდის პარალელურად გაიზარდა მოძველებული და შესაბამისად განადგურებული ბანკნოტების ხვედრითი წილი. კერძოდ, ფულის გადამთვლელ-დამხარისხებელი აგრეგატების მიერ ავტომატურ რეჟიმში განადგურდა 22.8 მლნ ფურცელი სხვადასხვა ნომინალის ლარის ბანკნოტი, რაც საქართველოს ეროვნულ ბანკში კომერციული ბანკებიდან შემოსული ბანკნოტების 15.7 პროცენტს შეადგენს. 2012 წელს ეს მაჩვენებელი 14 პროცენტს შეადგენდა.

ქვეყნის ეკონომიკისათვის ნაღდი ფულის შეუფერხებლად მიწოდების უზრუნველსაყოფად, საანგარიშო პერიოდში გრძელდებოდა სამუშაოები ეროვნული ბანკის სარეზერვო მარაგების ლარის ბანკნოტებითა და მონეტებით შესავსებად. კერძოდ, 2013 წელს ბანკნოტებისა და მონეტების დამამზადებელმა შესაბამისმა საწარმოებმა და ზარაფხანებმა საქართველოს ეროვნულ ბანკს მოაწოდეს 5, 20 და 50 ლარის ნომინალის ბანკნოტები, ასევე, 5, 10 და 20 თეთრის ნომინალის მონეტები.


საქართველოს ეროვნულ ბანკში საანალიზო წელს, 2012 წელთან შედარებით, გაიზარდა ნაღდი ფულის ბრუნვები. კერძოდ, შემოსავლებმა ეროვნულ ვალუტაში 3.6 მლრდ ლარი შეადგინა, რაც 10.4 პროცენტით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს, ხოლო გასავლებმა – 4.1 მლრდ ლარი, რაც 17.7 პროცენტით აღემატება წინა წლის გასავლებს. უცხოურ ვალუტაში შემოსავლებმა 4.9 ათასი აშშ დოლარი, გასავლებმა კი 400.0 ათასი ევრო შეადგინა. ფიზიკური პირების მომსახურების სალაროს მიერ გაცვლილ იქნა 402.6 ათასი ლარის ოდენობის ნაღდი ფული.

საქართველოს ეროვნულ ბანკში ფულის ნიშნების გადათვლა-დახარისხების პროცესის გაუმჯობესების მიზნით, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი სამუშაოები:

- კომპანია "Giesecke&Devrient"-საგან შექმნილ იქნა და ექსპლუატაციაში გაეშვა ახალი "BPS-M7" ტიპის ბანკნოტების დამახარისხებელი აგრეგატი, "Nota-Pack"-ის ტიპის ავტომატურ შესაფუთ მონყობილობასთან ერთად;
- ამავე კომპანიის წარმომადგენელთან ერთად საკასო ცენტრში არსებულ "BPS-1080" ტიპის ფულის დამამუშავებელ აგრეგატს ჩაუტარდა ყოველწლიური გეგმიური შემონმება და კაპიტალური შეკეთება;
- "BPS-1080" ტიპის არსებულ ფულის დამახარისხებელ აგრეგატებზე ჩატარდა 2013 წლის ემისიის 5 და 20 ლარის ნომინალის ბანკნოტების ადაპტაციისათვის საჭირო სამუშაოები.

საქართველოს ეროვნული ბანკის სისტემაში ფულის ნიშნების გადათვლა-დამუშავების ტექნიკური საშუალებების გამართულად ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2010 წლის 3 ივნისის განკარგულებით დადგენილი პერიოდულობით საკასო ცენტრში ხორციელდება ბანკნოტების გადათვლა-დამუშავების ტექნიკური საშუალებების მიერ ფულის ნიშნების დახარისხების გამართულობის შემონმება.

საანგარიშო პერიოდში გრძელდებოდა ფულის ნიშნების ექსპერტიზის სამუშაოები. კერძოდ, საქართველოს ეროვნული ბანკის საკასო ცენტრის სალაროებიდან, კომერციული ბანკებიდან, ვალუტის საგადამცველო სფეროდან, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურიდან გამოგზავნილი და ფიზიკური პირების მიერ შემოტანილ იქნა 10,613 ცალი საეჭვო ფულადი ნიშანი. 2013 წელს გამოვლენილი ყალბი ლარის ბანკნოტებისა და მონეტების პროცენტული თანაფარდობა მოცემულია დიაგრამა N 8.3-ზე.




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.


გამოვლენილი ყალბი ლარის ბანკნოტების რაოდენობა 2012 წელთან შედარებით 2.3-ჯერ გაიზარდა, ყალბი აშშ დოლარის რაოდენობა 4.9 პროცენტით, ხოლო ყალბი ევროს ბანკნოტების რაოდენობა 11.1 პროცენტით. სხვა უცხოური ყალბი ვალუტების რაოდენობა ანალოგიურ პერიოდში გაიზარდა 45 პროცენტით. რაც შეეხება 50 თეთრის ნომინალის ყალბი მონეტების რაოდენ-

ობას, 2012 წელთან შედარებით იგი შემცირდა 68.8 პროცენტით, ხოლო 1 ლარის ნომინალის ყალბი მონეტების რაოდენობა შემცირებულია 31.5 პროცენტით (ნომინალების მიხედვით 2012-2013 წლებში გამოვლენილი ყალბი ლარის ბანკნოტებისა და მონეტების რაოდენობას გვიჩვენებს დიაგრამა N 8.4 და დიაგრამა N 8.5).

დიაგრამა N 8.4 ყალბი ლარის ბანკნოტების რაოდენობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.


საანგარიშო პერიოდში, საქართველოს ეროვნული ბანკი მეთოდოლოგიურ დახმარებას უწევდა კომერციულ ბანკებსა და ვალუტის გადამცვლელ პუნქტებს, ასევე იურიდიულ და ფიზიკურ პირებს კადრების კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში. კერძოდ, დაინტერესებულ პირთათვის ფულის ნიშნების დამცავი მექანიზმების სწავლების, ლარის ბანკნოტებისა და მონეტების ვარგისიანობის განსაზღვრისა და ზოგადად ნაღდ ფულთან მუშაობის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, სწავლება ჩატარდა 636 პირს.

2013 წელს მიმდინარეობდა როგორც საინვესტიციო, ისე საიუბილეო მონეტების რეალიზაცია. კერძოდ, საქართველოს ეროვნული ბანკის საკასო ცენტრის მომსახურების სალაროების (მათ შორის ქ. ყვარელში ფულის მუზეუმში არსებული სალარო), ონლაინ მაღაზიისა და შპს „ზარაფხანის“ მეშვეობით საანგარიშო პერიოდში რელიზებულმა სხვადასხვა სახის ფასეულობამ შეადგინა 27,257 ერთეული, თანხით 1,042,777 ლარი, მათ შორის ოქროს მონეტები რელიზებულია 958 ერთეული, თანხით თანხით – 900,514 ლარი, ვერცხლის მონეტები 254 ერთეული, თანხით – 15,271 ლარი,

ხოლო დანარჩენი ფასეულობა 26,045 ერთეული, თანხით – 126,992 ლარი.

2012 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 2013 წელს ეროვნული ბანკიდან რეალიზებულია 2.4-ჯერ მეტი რაოდენობის სხვადასხვა სახის ფასეულობა, მათ შორის ოქროს მონეტების რეალიზაციის ოდენობა გაზრდილია 16.4 პროცენტით, ხოლო დანარჩენი ფასეულობა გაზრდილია 2.5-ჯერ.

ქართული ფულის ისტორიისა და საქართველოს ეროვნული ბანკის, როგორც ქვეყნის ცენტრალური ბანკის განვითარებისა და მისი ძირითადი საქმიანობის გაცნობის მიზნით, ეროვნული ბანკის ფულის მუზეუმში აქტიურად სთავაზობდა საზოგადოებას საგანმანათლებლო-შემეცნებით კურსებს. საანგარიშო პერიოდში მუზეუმს ესტუმრა 2,759 ვიზიტორი (მათ შორის 2650 ადგილობრივი და 109 უცხოელი). 2013 წელს ფულის მუზეუმში ჩატარდა 77 საგანმანათლებლო-შემეცნებითი ტური (ექსკურსია), რომელიც მოიცავდა ქართული ნუმიზმატიკის მიმოხილვას და უშუალოდ ექსპონატების დათვალიერებას. კურსი მოისმინა 1,184 მოსწავლემ და 127 პედაგოგმა.



საზოგადოებასთან ურთიერთობა
და საერთაშორისო თანამშრომლობა

საქართველოს ეროვნული ბანკი, საქმიანობის მაქსიმალური გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად და საბანკო სისტემაში მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაციის საზოგადოებასათვის დროულად მიწოდების მიზნით, ოპერატიულად ავრცელებდა პრესრელიზებსა და სტატისტიკურ მონაცემებს, რეგულარულად მართავდა შესაბამის თემებზე პრესკონფერენციებს, კონფერენციებს, ბრიფინგებს, სემინარებს, პრეზენტაციებსა და შეხვედრებს. იმისათვის, რომ სწორად და ამომწურავად მისულიყო საზოგადოებასადე ინფორმაცია ეროვნული ბანკის მიერ დაგეგმილი რეფორმების, საბანკო სექტორისათვის შეთავაზებული ახალი ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ, ეროვნული ბანკის წარმომადგენლები მართავდნენ პერიოდულ შეხვედრებს ბეჭდვითი და ელექტრონული მედიის წარმომადგენლებთან.

2013 წელს საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკა ძირითადად გამიზნული იყო ფასების დონის საშუალო და გრძელვადიანი სტაბილურობის მიღწევისაკენ. მონეტარული პოლიტიკა არა არსებული, არამედ მოსალოდნელი ინფლაციის მართვაზეა ორიენტირებული. შესაბამისად, ეფექტიანი მონეტარული პოლიტიკის განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია საზოგადოების სწორი ინფლაციური მოლოდინის ჩამოყალიბება. ამ მიზნით უაღრესად საყურადღებო იყო მონეტარული პოლიტიკის გამჭვირვალობა და საქართველოს ეროვნული ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის პოლიტიკა.

მნიშვნელოვანია საზოგადოებას ესმოდეს ეკონომიკაში მიმდინარე პროცესები და მოსალოდნელი შედეგები, ასევე ნათელი იყოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გატარებული პოლიტიკა და მისი გავლენა ეკონომიკაზე. ამ თვალსაზრისით, სხვა წამყვანი ქვეყნების ცენტრალური ბანკების მიერ აპრობირებული პრაქტიკის შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ბანკი ცდილობდა ელექტრონული და ბეჭდვითი გამოცემებისა თუ მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების მეშვეობით მაქსიმალურად ხელმისაწვდომი გაეხადა ინფორმაცია ფულად და სავალუტო ბაზრებზე მიმდინარე ტენდენციების შესახებ, წარმოეჩინა საკუთარი ხედვა ამ საკითხებთან დაკავშირებით



და აეხსნა ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღების მოტივები.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა განაახლა სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალის „ეკონომიკა და საბანკო საქმიანობა“ გამოცემა, რომლის მთავარი მიზანია ინსტიტუტის შიგნით დაგროვებული ცოდნისა და ინფორმაციის ფართო აუდიტორიამდე მიტანა. ამასთანავე, ეკონომისტებისა და ფინანსისტებისთვის საუკეთესო შესაძლებლობაა გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებთან დაკავშირებით. ჟურნალი ასევე ხელს შეუწყობს ახალგაზრდა მკვლევარებსა და მეცნიერებს, რომლებიც კონკრეტულ ეკონომიკურ თუ ფინანსურ თემატიკაზე მუშაობენ. შეიქმნა ჟურნალის ინტერნეტ ბლოგი www.nbg.gov.ge/bankjournal, სადაც თემით დაინტერესებულ მკითხველს შესაძლებლობა აქვს გამოთქვას საკუთარი მოსაზრებები და მიიღოს კონკრეტული თემის განხილვაში მონაწილეობა.

ასევე, ეროვნული ბანკი ყოველთვიურად გამოსცემდა „თვის მიმოხილვას“, ყოველკვარტალურად გამოსცემდა „ინფლაციის მიმოხილვას“, ოპერატიულად აქვეყნებდა სტატისტიკურ მონაცემებს და მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის პრესრე-



ლიზებს. ამასთან, ეროვნულმა ბანკმა 2013 წელს მოამზადა და სტამბური წესით გამოსცა შემდეგი პუბლიკაციები: „საქართველოს ეროვნული ბანკის წლიური ანგარიში, 2012“; „მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტენი“, 2012. საქართველოს ეროვნული ბანკის გამოცემათა ელექტრონული ვერსიები ხელმისაწვდომია საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ინტერნეტ გვერდზე – www.nbg.ge.

მნიშვნელოვანი იყო 2013 წელი საერთაშორისო თანამშრომლობის მიმართულებით. კერძოდ, 2013 წლის 31 მაისიდან 2 ივნისის ჩათვლით, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა და ფინანსთა სამინისტრომ საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის ჰოლანდია-ბელგიის ჯგუფების წევრი ქვეყნების ყოველწლიურ შეხვედრას (Constituency Meeting) უმასპინძლეს. შეხვედრაში ჯგუფების წევრი 15 ქვეყნის (ბულგარეთი, ისრაელი,

რუმინეთი, უკრაინა, ბელგია, ლუქსემბურგი, სომხეთი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ხორვატია, კვიპროსი, საქართველო, მაკედონია, მოლდოვა, მონტენეგრო, ნიდერლანდები) ცენტრალური ბანკების მმართველები, ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრები, მსოფლიო ბანკისა და სსფ-ს მაღალი რანგის ასამდე წარმომადგენელი მონაწილეობდა.

გასული წლის 17 ივლისს, საქართველოს ეროვნულ ბანკს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) პრეზიდენტი, სერ სუმა ჩაკრაბარტი ეწვია. ეროვნული ბანკის პრეზიდენტთან, გიორგი ქადაგიძესთან შეხვედრისას სტუმარი ქართულ საბანკო სექტორში არსებულ ვითარებასა და მიმდინარე ეკონომიკურ რეფორმებს გაეცნო. EBRD-ის პრეზიდენტმა შეაფასა ეროვნული ბანკის როლი საქართველოს საბანკო სექტორის სტაბილური განვითარების პროცესში. შეხვედრაზე ცნობილი გახდა, რომ EBRD აპირებს ადგილობრივ ბაზარზე გამოუშვას ლარით დენომინირებული კორპორატიული ობლიგაცია. ეს იქნება საქართველოში პირველი ფასიანი ქაღალდი – გამოშვებული ეროვნული ვალუტით საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიერ, რაც ხელს შეუწყობს კაპიტალის ბაზრების განვითარებას და რასაც თავის მხრივ საპროცენტო განაკვეთების შემცირებაც მოჰყვება.

საანგარიშო პერიოდში, საერთაშორისო თანამშრომლობის გააქტიურებისა და ცალკეულ სფეროებში უცხო ქვეყნების ცენტრალური ბანკების გამოცდილების გაზიარების მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი თანამშრომლობდა მსოფლიო-



„ძალიან სასიამოვნოა ჩემი აქ ყოფნა და ეროვნული ბანკის პრეზიდენტთან შეხვედრა. ჩვენ წლების მანძილზე მჭიდრო თანამშრომლობა გვაკავშირებს. უნდა აღვნიშნო, რომ საქართველოს საბანკო სექტორი განვითარების საკმაოდ მაღალ დონეზეა და რაც მთავარია, სტაბილურია. EBRD საერთაშორისო ორგანიზაციაა და ბევრ ქვეყანაში ახორციელებს პროექტებს. საქართველოს საბანკო სისტემა აშკარად გამორჩეულია ყველა სხვა ქვეყნისგან სადაც ჩვენ ვმუშაობთ. საბანკო სექტორი მდგრადი და სტაბილურია, ამიტომ გასაკვირი არაა ის ნდობა, რომელიც მომხმარებელს მის მიმართ გააჩნია. სწორედ ამ ნდობას ეფუძნება ასევე ეროვნულ ბანკთან ჩვენი უახლოესი მომავლის გეგმა: შევთანხმდით, რომ უახლოესი პერიოდის გეგმა EBRD-ის ადგილობრივი ვალუტის ობლიგაციის ლარის ბონდის გამოშვება“

სერ სუმა ჩაკრაბარტი

ოს სხვადასხვა ქვეყნების ცენტრალურ ბანკებთან. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ეროვნული ბანკის გამოცდილების გაზიარების მიზნით რამდენიმე უცხოური საფინანსო ინსტიტუტის წარმომადგენელთა ვიზიტი საქართველოში. მათ შორის: ტაჯიკეთის, მოლდოვას, აზერბაიჯანის, მალავის, ზამბიისა და ბოტსვანას ცენტრალური ბანკების დელეგაციათა ვიზიტი, რომელთა უმრავლესობა საქართველოში მსოფლიო ბანკის რეკომენდაციით იმყოფებოდა.

2013 წლის ივლისში, საქართველოს ეროვნულ ბანკს ჩინეთის სახალხო ბანკის დელეგაცია ესტუმრა. სტუმრები გაეცნენ ინფორმაციას საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფუნქციონირებისა და მისი საინვესტიციო შესაძლებლობების შესახებ. ჩინეთის სახალხო ბანკის წარმომადგენლებმა გამოხატეს ინტერესი და მზადყოფნა ხელი მოეწეროს შეთანხმებას საქართველოს ეროვნულ ბანკსა და ჩინეთის სახალხო ბანკს შორის ლარი/იუანის სავალუტო სვოპების შესახებ. სტუმრები ასევე გაეცნენ საქართველოს საბანკო სექტორში არსებულ ვითარებას, რეგულაციებს და ეროვნული ბანკის საზედამხებელო პოლიტიკას.

მნიშვნელოვანი იყო გასულ წელს უცხოური კომპანიების მიერ ქართველი სპეციალისტების გამოცდილების გაზიარება. ამ მიზნით ეროვნულ ბანკს ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო დეპოზიტარი კომპანია ClearStream-ის წარმომადგენლები ეწვივნენ. სტუმრებმა საქართველოს ეროვნული ბანკის, კომერციული ბანკებისა და სხვა საფინანსო ინსტიტუტების წარმომადგენლებისათვის სამუშაო შეხვედრა გამართეს. ClearStream-ის წარმომადგენლებმა შეხვედრაზე

ქართველ სპეციალისტებს დეტალურად გააცნეს საერთაშორისო დეპოზიტარისა და გლობალური ქასთოდინების²⁹ საქმიანობა.

„მსოფლიოს ფინანსური ბაზრები: რისკები და შესაძლებლობები“ – ამ თემაზე საერთაშორისო მედია და ფინანსური მონაცემების კომპანია Thomson Reuters-მა და ეროვნულმა ბანკმა ქართული კომპანიებისა და კომერციული ბანკებისათვის ორდღიანი სამუშაო შეხვედრა გამართეს.

საქართველოს ეროვნულ ბანკში მაკროეკონომიკური მოდელირებისა და პროგნოზების დახვეწაზე მუშაობა საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია OGREsearch-თან თანამშრომლობით მიმდინარეობს. ამ მიზნით, ეროვნულ ბანკს ჩეხეთის ცენტრალური ბანკის ყოფილი მმართველი ზდენიეკ ტუმა ეწვია. პროექტი საერთაშორისო სავალუტო ფონდისა (IMF) და ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის (EBRD) მხარდაჭერით განხორციელდა და მისი ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი მონეტარული პოლიტიკის კომუნიკაციის გაუმჯობესებაა.

ქართულ ლარს თავისი სიმბოლო ექნება – ქართული ფულის სიმბოლოს შექმნაზე საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მუშაობა უკვე დაიწყო და სიმბოლოს შემუშავების მიზნით კონკურსიც გამოაცხადა. ქართული ფულის – ლარის სიმბოლოს შემოღება ხელს შეუწყობს ეროვნული ვალუტის პოპულარიზაციას როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ასევე, სიმბოლოს პოპულარობა გაზრდის ცნობადობას საზოგადოებაში და შესაბამისად დადებითად აისახება ქართული ფულის იმიჯზე.

29. ფასიანი ქაღალდების შემნახველი ფინანსური ინსტიტუტი (custodian).




საქართველოს ეროვნული ბანკის
ადამიანური რესურსების მართვა

2013 წლის ბოლოს ეროვნულ ბანკში მუშაობდა 333 თანამშრომელი. მათ შორის 246 მოხელე, 44 დამხმარე და 43 შტატგარეშე მოსამსახურე. მოხელეების საშუალო ასაკი იყო – 38, დამხმარე მოსამსახურეების – 43 და შტატგარეშე

მოსამსახურეების – 36.5 წელი. თანამშრომელთა 88 პროცენტი უმაღლესი განათლებითაა. თანამშრომელთა მთლიანი რაოდენობის 44 პროცენტს ქალები შეადგენდნენ.

ღიაბრამა N 10.1 ეროვნული ბანკის თანამშრომლების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

ეროვნული ბანკის სტრუქტურის ოპტიმიზაციის მიზნით საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის რეორგანიზაცია. კერძოდ: სამუშაო პროცესების თვისობრივი ცვლილებების გამო, შეიქმნა ფულის გათეთრებისა და სპეციალური ინსპექტირების დეპარტამენტი. გაუქმდა ფულის გათეთრების ინსპექტირების განყოფილება და არასაბანკო ზედამხედველობის დეპარტამენტის არასაბანკო დაწესებულებების ინსპექტირების განყოფილება.

2013 წლის 15 აპრილიდან ამოქმედდა საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, რომლის შესაბამისად სადაზღვევო ორგანიზაციებზე აღარ ვრცელდება ეროვნული ბანკის საზედამხედველო უფლებამოსილება. აღნიშნულიდან გამომდინარე, გაუქმდა არასაბანკო ზედამხედველობის დეპარ-

ტამენტის დაზღვევის ზედამხედველობის განყოფილება.

სამუშაოების ანალიზის საფუძველზე შემუშავდა და დამტკიცდა „საქართველოს ეროვნული ბანკის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები“. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაფორმებული „ურთიერთთანამშრომლობის შესახებ მემორანდუმის“ საფუძველზე აყვანილი იქნა 43 სტაჟიორი, რომელთაგან დღეს 6 ეროვნული ბანკის თანამშრომელია.

საანგარიშო წელს საზღვარგარეთის სასწავლო ცენტრებში ეროვნული ბანკის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება ძირითადად მომწვევი მხარის დაფინანსებით ხდებოდა. გერმანიის ბუნდესბანკში, საფრანგეთის ცენტრალურ ბანკში, იტალიის ცენტრალურ ბანკში, ნიდერლანდების ბანკში, ლატვიის ცენტრალურ ბანკში, პოლონეთის ეროვნულ ბანკში, ყაზახეთის ცენტრალურ ბანკში,

შვეიცარიის ცენტრალურ ბანკში, ჩეხეთის ეროვნულ ბანკში, ასევე მსოფლიო ბანკში, საერთაშორისო საავალუტო ფონდსა და სხვა ქვეყნების ცენტრალურ ბანკებში სწავლება გაიარა ეროვნული ბანკის 98 სპეციალისტმა, ხოლო საქართველოს ბაზარზე არსებულ სასწავლო დაწესებულებებში სწავლება გაიარა ეროვნული ბანკის 30 სპეციალისტმა.

2013 წლის ივნისში, ოქტომბერსა და ნოემბერში უცხოელი პარტნიორების მხარდაჭერით, ლუქსემბურგის საფინანსო ტექნოლოგიების გადამცემის კვლევითი სააგენტოს ექსპერტების მიერ საქართველოს ეროვნულ ბანკში ჩატარდა 3 სემინარი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს როგორც ეროვნული ბანკის, ასევე კომერციული ბანკების თანამშრომლებმა.



ნორმატიულ-სამართლებრივი
ბაზის განვითარება

2013 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში. კერძოდ:

– საქართველოს ეროვნულ ბანკს მიენიჭა უფლებამოსილება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლების გარდა, უარი განუცხადოს პირს მისი საფინანსო სექტორის წარმომადგენლად რეგისტრაციის/ლიცენზირების თაობაზე ან მნიშვნელოვანი წილის შეძენაზე, თუ: შეიძლება საფრთხე შეექმნას საქართველოს საფინანსო სექტორის სტაბილურობას, ან ამან გამოიწვიოს საერთაშორისო ორგანიზაციების სავალდებულო გადაწყვეტილებების ან/და რეკომენდაციებით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა, საქართველოსა და უცხო ქვეყანას შორის გაფორმებული შეთანხმებების დარღვევა; ან თუ დაინტერესებულმა პირმა არ წარუდგინა მას სრულყოფილი ინფორმაცია სუბიექტის საქმიანობის დასაწყებად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური კაპიტალის მოთხოვნების შესრულებისათვის ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში მნიშვნელოვანი წილის შექენისათვის საჭირო თანხების წარმომავლობის შესახებ;

– განხორციელებული ცვლილებით საქართველოს ეროვნული ბანკის საზედამხედველო უფლებამოსილება აღარ ვრცელდება სადაზღვევო ბაზარზე – სადაზღვევო ორგანიზაციებზე, გადამზღვეველ კომპანიებზე. შესაბამისად, ეროვნული ბანკი აღარ არის უფლებამოსილი განხორციელოს ამ სუბიექტების ლიცენზირება, შემოწმება, დაჯარიმება და ლიკვიდაცია;

– ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა ნორმები საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის შესახებ – განისაზღვრა, რომ მონიტორინგის სამსახურის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ხოლო მონიტორინგის სამსახურის დებულებას ამტკიცებს საქართველოს მთავრობა;

საანგარიშო პერიოდში ეროვნული ბანკის მიერ მომზადდა და გამოიცა 34 კანონქვემდებარე აქტი. მათ შორის:

მიღებულ იქნა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2013 წლის 20 მაისის ბრძანება N50/04 „კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“. მითითებული წესი განსაზღვრავს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კვალიფიციურ საკრედიტო ინსტიტუტად მიჩნეული იურიდიული პირის ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის, კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტის სტატუსის მინიჭება/გაუქმების პირობებს, ასევე ადმინისტრატორებთან, უშუალო და ბენეფიციარ მესაკუთრებებთან დაკავშირებით წარმოსადგენი დოკუმენტაციის წესსა. ხსენებული დოკუმენტი აწესებს ეკონომიკურ ნორმატივებსა და აკრძალვებს.

გამოიცა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2013 წლის 28 ივნისის N69/04 ბრძანება „კომერციული ბანკების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“. აღნიშნული ნორმატიული აქტით ძალადაკარგულად გამოცხადდა საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის ბრძანებით დამტკიცებული „კომერციული ბანკების საქმიანობისა და რეგულირების წესი“. ამასთან, ახალი წესით გაუქმდა ბანკისათვის დადგენილი ერთ-ერთი ეკონომიკური ნორმატივი. კერძოდ, ამოღებულ იქნა ნორმა იმის შესახებ, რომ ბანკის საბალანსო ანგარიშების საერთო ღია სავალუტო პოზიცია არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 20 პროცენტს.

საქართველოს ეროვნული ბანკის 2013 წლის 17 ივლისის N75/04 ბრძანებით განხორციელდა ცვლილება „ფასიანი ქაღალდების საიდენტიფიკაციო ნომრის მოთხოვნის, მინიჭების და ემისიის დამტკიცებული პროსპექტის რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 7 სექტემბრის

N73/04 ბრძანებით დამტკიცებულ წესში. მითითებული ცვლილებით, წესს დაემატა ნორმები იმ ემიტენტის შესახებ, რომლის ფასიანი ქაღალდები დაშვებულია სავაჭროდ უცხო ქვეყნის აღიარებულ საფონდო ბირჟაზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნის შესაბამისად, მიღებულ იქნა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2013 წლის 25 სექტემბრის **N89/04** ბრძანება „საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებისა და ელექტრონული ფორმით მოთხოვნის წესის დამტკიცების შესახებ“. აღნიშნული წესით განისაზღვრა პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხა, სტანდარტი, პერიოდულობა, ასევე, საჯარო ინფორმაციის ელექტრონულად მოთხოვნისა და გაცემის პროცედურა.

გამოიცა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2013 წლის 30 სექტემბრის **N92/04** ბრძანება „კომერციული ბანკების გარეაუდიტორული შემოწმების ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2010 წლის 22 ოქტომბრის **N134/01**

ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. ხსენებული ცვლილების თანახმად, კომერციული ბანკის გარეაუდიტორული შემოწმების უფლება მიენიჭა პირს, რომელიც „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, რეგისტრირებულია სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების მქონე პირთა რეესტრში.

მიღებულ იქნა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2013 წლის 28 ოქტომბრის ბრძანება **N100/04** „კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“, რომლის მიზანია კომერციული ბანკების გაკოტრების რისკების შემცირება და მთლიანი საბანკო სისტემის ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფა. აღნიშნული დებულებით დგინდება ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მინიმალური მოთხოვნები, რომელთა შესრულება სავალდებულოა საქართველოში მოქმედი ყველა კომერციული ბანკისა და უცხოეთის ბანკების ფილიალებისათვის.



სტატისტიკური საქმეიანობა

2013 წელს საქართველოს ეროვნული ბანკი განაგრძობდა საქმიანობას სტატისტიკური ინფორმაციის ხარისხის ამაღლებისა და მონაცემთა წარმოების ბიზნეს-პროცესის ოპტიმიზაციის მიმართულებით, ფინანსური და საგარეო სექტორების სტატისტიკაზე მომხმარებელთა სულ უფრო მზარდი მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით.

თითქმის სამწლიანი ინტენსიური მუშაობისა და კომერციულ ბანკებთან მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად, საქართველოს ეროვნული ბანკი გეგმავს 2014 წლის იანვრიდან რეალურ რეჟიმში ექსპლუატაციაში გაუშვას მაკროეკონომიკური, ფინანსური და სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვების, დამუშავების, შენახვისა და გავრცელების ინფორმაციული სისტემა – სებსტატი (საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკა), რაც თვისებრივად ახალი რეალობაა ეროვნული ბანკის სტატისტიკურ პრაქტიკაში.

სებსტატი ახდენს ეროვნულ ბანკში სტატისტიკური ბიზნეს-პროცესის სტანდარტიზაციას, ცენტრალიზაციას და ავტომატიზაციას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტატისტიკურ ინფორმაციაზე სწრაფად მზარდი მოთხოვნების პირობებში. იგი წარმოადგენს ეროვნული ბანკის ინფორმაციულ სისტემას, რომელიც მთლიანად დაფუძნებულია, ერთი მხრივ, თანამედროვე საერთაშორისო სტატისტიკურ სტანდარტებზე, ხოლო მეორე მხრივ, ინტერნეტ-ტექნოლოგიებზე. ფორმის მიხედვით, იგი რადიკალურად განსხვავებული სისტემაა ტრადიციული სტატისტიკური პრაქტიკისაგან და არ მოითხოვს ინფორმაციის შეგროვებას სტატისტიკური კითხვარებით (ფორმებით). ეროვნულ ბანკში წარსადგენი ინფორმაციის ერთობლიობა წარმოადგენს მაჩვენებელთა მაიდენტიფიცირებელი ე.წ. გასაღებების სიას, რომელიც გამორიცხავს მონაცემთა დუბლირებას, დეტალურად არის სტრუქტურირებული და ცენტრალიზებულად აიტვირთება ანგარიშვალდებული ფინანსური ინსტიტუტების მიერ ეროვნული ბანკის შესაბამის სერვერზე. შინაარსის მიხედვით, სებსტატი შეუზღუდავი მასშტაბისაა, რაც გულისხმობს იმას, რომ თავისი განგრძობადი თავისებურების გამო, ამ პროექტს უდიდესი შესაძლებლობა

აქვს სულ უფრო განვითარდეს ფინანსური სექტორის გაფართოებისა და გამრავალფეროვნების, აგრეთვე სტატისტიკური ინფორმაციის მიმართ მოთხოვნების ზრდის კვალობაზე.

სებსტატის კონცეპტუალური არქიტექტურა შემუშავებულია ეროვნული ბანკის სპეციალისტების მიერ, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სხვადასხვა ქვეყნების ეროვნული სტატისტიკური სისტემების შესწავლისა და გაანალიზების საფუძველზე. სისტემის არსი მდგომარეობს იმაში, რომ იგი:

- ეფუძნება ე.წ. მონაცემთა სტრუქტურის განსაზღვრის კონცეფციას, რაც უზრუნველყოფს სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვების, დამუშავების, შენახვისა და გავრცელების სტანდარტიზაციას;
- მნიშვნელოვნად ამცირებს მონაცემთა ხარისხის კონტროლისა და დამუშავებისათვის საჭირო დროს;
- უზრუნველყოფს მეთოდოლოგიის ერთმნიშვნელოვან გაგებას მონაცემთა მომწოდებლისა და მწარმოებლისათვის და შედეგად – მონაცემთა მაღალ ხარისხსა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას;
- განკუთვნილია ინფორმაციის მოპოვებისათვის ყველა ტიპის ფინანსური ინსტიტუტიდან;
- მოხერხებულია გამოცდილების გაზიარებისა და ცოდნის გადაცემის თვალსაზრისით.

სებსტატის კიდევ ერთ მნიშვნელოვან უპირატესობას წარმოადგენს ის, რომ იგი სტატისტიკის წარმოების სტანდარტული ბიზნეს-პროცესის მნიშვნელოვან ოპტიმიზაციას ახდენს მონაცემთა იდენტიფიკაციისა და მათი შეგროვების პროცედურების სტანდარტიზაციის ხარჯზე.

მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, სებსტატი სრულ შესაბამისობაშია სტატისტიკის თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებთან. მისი როგორც კონცეპტუალური, ისე ტექნოლოგიური ასპექტები გათვლილია იმგვარად, რომ ფინანსური სფეროს განვითარების კვალობაზე სტატისტიკური ინფორმაციის გაფართოების ამოცანა გადაიჭრას მინიმალური ძალისხმევით, ან საერთოდ ყოველგვარი დანახარჯის გარეშე.

ინსტიტუციური მოცვის თვალსაზრისით, ინ-

ფორმაციის მოპოვება პირველ ეტაპზე ხდება მხოლოდ კომერციული ბანკებიდან, თუმცა სესტატის კონცეპტუალური და ტექნოლოგიური არქიტექტურა გულისხმობს მის დანერგვას სხვა ფინანსურ ინსტიტუტებშიც, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ამ ინსტიტუტების ინფორმაციისადმი გაზრდილი მოთხოვნების ფონზე.

ეროვნული ბანკის სტატისტიკურ პრაქტიკაში სესტატის დანერგვის საბოლოო მიზანია მონეტარული სტატისტიკის აგრეგირებულ მონაცემთა წარმოების პროცესის სრულყოფა საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით (სექტორალური საბალანსო ანგარიშები და მონეტარული მიმოხილვები) და ფინანსური ანგარიშის გაანგარიშების პრაქტიკაში დანერგვა.

2013 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი სამუშაოები განხორციელდა ფინანსური სტაბილურობის ინდიკატორების წარმოების მიმართულებით. ფინანსური სტაბილურობის ინდიკატორები წარმოადგენს ეკონომიკური სტატისტიკის დამოუკიდებელ მიმართულებას, რომლის დანიშნულებაა ამა თუ იმ ქვეყნის ფინანსური ინსტიტუტების, აგრეთვე მათი კორპორატიული კლიენტებისა და შინამეურნეობების ფინანსური სიჯანსაღისა და სტაბილურობის შესწავლა. ამ პროექტის ფარგლებში ამოქმედებული სპეციალური ვებ-გვერდი დღეისათვის უკვე 91 ქვეყნის ფინანსური სტაბილურობის ინდიკატორებს აქვეყნებს და მათ შორის არის საქართველოც, რომელიც ამ ინიციატივას 2012 წლის აპრილიდან მიუერთდა. განსაზღვრული 12 ძირითადი და 28 სასურველი ინდიკატორიდან საქართველო ყველა ძირითად და 17 სასურველ ინდიკატორს აქვეყნებს.


2013 წლის მეორე ნახევრიდან ფინანსური სტაბილურობის ინდიკატორების სტატისტიკის განვითარების სამუშაოები განსაკუთრებით დაჩქარდა

ქარდა ეროვნული ბანკის, აზიის განვითარების ბანკის, სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და თბილისის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ერთობლივი პროექტის ფარგლებში. კერძოდ, გაგრძელდა მუშაობა ფინანსური სტაბილურობის იმ ინდიკატორებზე, რომელთა წარმოების პრაქტიკა ეროვნულ ბანკში დღემდე არ ყოფილა. ეს ინდიკატორებია არაფინანსური კორპორაციების ფინანსური სიჯანსაღისა და შინამეურნეობების ვალისა და ვალის მომსახურების ამსახველი მაჩვენებლები, აგრეთვე უძრავი ქონების ფასების ინდექსები. პროექტის წარმატებით დასრულების კვალობაზე, სავარაუდოა, რომ 2014 წლიდან ეროვნული ბანკი შეძლებს გამოაქვეყნოს ფინანსური სტაბილურობის დამატებითი ინდიკატორები.

ზემოაღნიშნული პროექტის ფარგლებში პირველად განხორციელდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება, რომელიც გულისხმობს ქვეყანაში მოქმედი ლომბარდების გამოკვლევას. ამ გამოკვლევამ ეროვნულ ბანკს შესაძლებლობა მისცა მიეღო ღირებული ინფორმაცია ხსენებული ფინანსური ინსტიტუტების აქტივებისა და ვალდებულებების, ასევე მსესხებელთა რაოდენობისა და გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთების თაობაზე. ამ ინფორმაციის მიზანია, სხვა უკვე არსებულ მონაცემებთან (ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, სადაზღვევო კომპანიების, არასაბანკო დეპოზიტური კორპორაციების მონაცემებთან) აგრეგირებით მიღებულ იქნას ისეთი მნიშვნელოვანი ინდიკატორები, როგორებიცაა:

- სხვა ფინანსური კორპორაციების აქტივების მოცულობა;
- ფინანსური კორპორაციების აქტივების მოცულობა;
- შინამეურნეობების ვალი;
- შინამეურნეობების ვალის მომსახურება.

XIII



სტატისტიკური ცხრილები

1. ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები
2. სამომხმარებლო ფასების ინდექსის დინამიკა
3. წლიური ინფლაცია
4. სარეზერვო ფულის მასის მოცულობისა და სტრუქტურის დინამიკა
5. ფულის მასის აგრეგატების დინამიკა
6. ეროვნული ბანკის მიმოხილვა
7. სხვა დეპოზიტური კორპორაციების მიმოხილვა
8. დეპოზიტური კორპორაციების მიმოხილვა
9. მონეტარული კოეფიციენტების დინამიკა
10. მონეტარული პოლიტიკის საპროცენტო განაკვეთი
11. კომერციული ბანკების კრედიტის აქტივებისა და პასივების დინამიკა
12. კომერციული ბანკების სესხებისა და დეპოზიტების მოცულობა და საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთები
13. კომერციული ბანკების მიერ გაცემული ვადიანი სესხებით დავალიანება
14. კომერციული ბანკების ვადაგადაცილებული სესხებით დავალიანება
15. სავალუტო ბაზარზე აშშ დოლარით განხორციელებული ოპერაციები
16. სავალუტო ბაზარზე ევროთი განხორციელებული ოპერაციები
17. გაცვლითი კურსები: ლარი/აშშ დოლარი
18. გაცვლითი კურსები: ლარი/ევრო
19. საგადასახდელო ბალანსი
20. საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია
21. მთლიანი საგარეო ვალი
22. საგარეო ვაჭრობა
23. უმსხვილესი საგარეო სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები
24. უმსხვილესი საექსპორტო სასაქონლო ჯგუფები
25. უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფები
26. საფინანსო სექტორის ინსტიტუტები
27. საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების სია 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით
28. კომერციული ბანკების დაჯგუფება ფულადი სახით განადგეხული საწესდებო კაპიტალის მიხედვით 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით
29. საქართველოში მოქმედი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სია 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

1. ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

	ზომის ერთეული	2005	2010	2011	2012	2013
1. რეალური სექტორი						
ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტი	მლნ ლარი	11620.9	20743.4	24344.0	26167.3	26824.9
მშპ ერთ სულზე	ლარი	2689.1	4675.7	5447.1	5818.1	5982.6
მრეწველობის პროდუქციის გამოშვება	მლნ ლარი	3242.9	5855.3	7458.7	8019.2	8652.7
სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვება	მლნ ლარი	2585.4	2396.7	2877.7	3018.7	3363.4
რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპი	%	109.6	106.3	107.2	106.2	103.2
2. ინფლაცია						
სამომხმარებლო ფასების ინდექსი	%	106.2	111.2	102.0	98.6	102.4
ხანმოკლე მოხმარების საკონელი	%	107.3	115.7	101.3	97.0	102.8
საშუალო ხანგრძლივობის მოხმარების საკონელი	%	103.5	100.9	97.0	98.2	96.4
ხანგრძლივი მოხმარების საკონელი	%	100.9	104.2	96.7	97.5	95.7
მომსახურება	%	104.2	100.9	105.9	101.3	103.4
3. სახალმწიფო ბიუჯეტი						
შემოსავალი	მლნ ლარი	2213.0	5421.5	6388.8	7058.2	6808.1
ხარჯი	მლნ ლარი	2012.7	5466.5	5926.9	6641.5	6514.5
ბიუჯეტის საოპერაციო სალდო	მლნ ლარი	200.3	-45.0	461.9	416.7	293.6
არაფინანსური აქტივების ცვლილება	მლნ ლარი	23.1	873.6	755.8	537.7	687.4
ბიუჯეტის მთლიანი სალდო პროფიციტი(+) / დეფიციტი(-)	მლნ ლარი	177.2	-918.6	-293.9	-121.0	-393.8
%-ად მთლიან შიდა პროდუქტთან	%	1.6	-4.4	-1.2	-0.5	-1.5
4. დასაქმება						
დასაქმებული მოსახლეობის რიცხოვნობა	ათასი კაცი	1744.6	1628.1	1664.2	1724.0	1712.1
უმუშევრობის დონე	%	13.8	16.3	15.1	15.0	14.6
5. სოციალური ინდიკატორები						
მოსახლეობის თვიური ფულადი შემოსავალი	მლნ ლარი	272.6	567.2	617.0	715.6	820.5
მოსახლეობის თვიური ფულადი ხარჯი	მლნ ლარი	309.1	535.8	599.3	692.8	804.1
ნომინალური საშუალო ხელფასი	ლარი	204.2	597.6	636.0	712.5	...
ნომინალური ხელფასის ზრდის ტემპი	%	130.2	107.3	106.4	112.0	...
რეალური ხელფასის ზრდის ტემპი	%	120.4	100.2	98.0	113.1	...
საარსებო მინიმუმი (პერიოდის ბოლოსათვის):						
შრომისუნარიანი მამაკაცისათვის	ლარი	98.3	149.6	156.9	149.1	155.1
საშუალო მომხმარებლისათვის	ლარი	87.1	132.5	139.0	132.1	137.4
საშუალო ოჯახისათვის	ლარი	164.9	250.9	263.3	250.1	260.2

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური; ფინანსთა სამინისტრო.

შენიშვნა:

სამომხმარებლო ფასების ინდექსის ბაზად აღებულია ყოველი წინა წლის დეკემბერი.

2. სამომხმარებლო ფასების ინდექსის დინამიკა

(წინა წლის დეკემბერი=100)

	2009		2010		2011		2012		2013	
	ფასების ინდექსი	პროცენტული ცვლილება წინა თვესთან	ფასების ინდექსი	პროცენტული ცვლილება წინა თვესთან	ფასების ინდექსი	პროცენტული ცვლილება წინა თვესთან	ფასების ინდექსი	პროცენტული ცვლილება წინა თვესთან	ფასების ინდექსი	პროცენტული ცვლილება წინა თვესთან
იანვარი	101.4	1.4	101.1	1.1	102.1	2.1	100.5	0.5	100.3	0.3
თებერვალი	100.0	-1.3	102.6	1.5	104.9	2.8	100.7	0.2	100.0	-0.3
მარტი	99.6	-0.4	102.4	-0.2	104.9	0.0	100.5	-0.2	99.8	-0.1
აპრილი	100.1	0.5	102.7	0.2	104.8	-0.1	100.5	0.0	100.2	0.4
მაისი	101.3	1.2	102.3	-0.4	105.2	0.4	99.6	-0.9	100.9	0.7
ივნისი	101.3	0.0	102.0	-0.3	100.9	-4.0	98.7	-0.9	100.3	-0.6
ივლისი	97.9	-3.4	101.8	-0.2	99.3	-1.6	97.8	-0.9	99.0	-1.3
აგვისტო	97.9	0.0	104.1	2.3	100.3	1.1	97.9	0.1	99.0	0.0
სექტემბერი	100.7	2.8	107.4	3.1	100.9	0.6	98.6	0.8	98.9	-0.1
ოქტომბერი	103.0	2.2	109.5	2.0	100.8	-0.2	98.7	0.0	100.4	1.5
ნოემბერი	103.1	0.2	110.7	1.1	101.4	0.7	98.8	0.1	100.9	0.5
დეკემბერი	103.0	-0.1	111.2	0.5	102.0	0.6	98.6	-0.3	102.4	1.5

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

3. წლიური ინფლაცია

	2009		2010		2011		2012		2013	
	12 თვის ცვლილება	12 თვის საშუალო	12 თვის ცვლილება	12 თვის საშუალო	12 თვის ცვლილება	12 თვის საშუალო	12 თვის ცვლილება	12 თვის საშუალო	12 თვის ცვლილება	12 თვის საშუალო
იანვარი	4.4	9.4	2.7	1.6	12.3	7.9	0.5	7.5	-1.6	-1.1
თებერვალი	2.1	8.7	5.6	1.9	13.7	8.6	-2.1	6.2	-2.1	-1.1
მარტი	1.6	7.8	5.8	2.2	13.9	9.3	-2.2	4.8	-2.1	-1.1
აპრილი	1.8	6.9	5.6	2.6	13.5	10.0	-2.1	3.5	-1.7	-1.1
მაისი	2.2	6.1	4.0	2.7	14.3	10.8	-3.3	2.1	-0.1	-0.8
ივნისი	2.3	5.4	3.7	2.8	10.0	11.3	-0.2	1.3	0.2	-0.8
ივლისი	0.1	4.6	7.0	3.4	8.5	11.4	0.6	0.7	-0.2	-0.8
აგვისტო	-3.1	3.3	9.5	4.4	7.2	11.2	-0.4	0.1	-0.4	-0.8
სექტემბერი	0.4	2.5	9.8	5.2	4.6	10.8	-0.1	-0.3	-1.3	-0.9
ოქტომბერი	3.2	2.2	9.6	5.7	2.3	10.1	0.1	-0.5	0.2	-0.9
ნოემბერი	2.7	1.9	10.5	6.4	1.9	9.3	-0.5	-0.7	0.6	-0.8
დეკემბერი	3.0	1.7	11.2	7.1	2.0	8.5	-1.4	-0.9	2.4	-0.5

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

4. სარეზერვო ფულის მასის მოცულობისა და სტრუქტურის დინამიკა

(პერიოდის ბოლოს; ათასი ლარი)

	იან	თებ	მარ	აპრ	მაი	ივნ	ივლ	აგვ	სექ	ოქტ	ნოვ	დეკ
სარეზერვო ფულის მასა												
2005	798809	827723	818071	849320	838727	885798	905179	926119	936049	953866	962454	1007368
2010	1713536	1796689	1779993	1840471	1794175	1814726	1850494	1871817	1954729	1997837	1975036	2081129
2011	2226104	2430168	2311381	2505956	2432249	2448706	2542648	2621688	2595533	2664581	2566552	2901072
2012	2780441	2819931	2642387	2691390	2671575	2775362	2937988	3107542	3285540	3094823	2937213	3255314
2013	3047796	3146226	2972029	3220089	3129435	3184262	3302037	3487679	3655479	3663278	3737236	3989083
ნაღდი ფული მიმოქცევაში												
2005	630443	655784	658218	689590	676170	694576	728102	739531	746507	764095	746869	811400
2010	1357686	1356142	1398806	1412001	1431384	1460407	1501064	1530686	1500695	1503652	1487064	1618180
2011	1474969	1443728	1395350	1436103	1429488	1467042	1536990	1581259	1596306	1602717	1555417	1753584
2012	1565827	1528540	1542650	1535298	1523101	1606258	1685922	1822229	1999238	1854465	1808343	1918059
2013	1749013	1714529	1746055	1804007	1759565	1822327	1885006	1997773	2065559	2109420	2137069	2351553
თანხები ბანკების საკორესპონდენტო ანგარიშებზე												
2005	57732	51950	58628	57843	50284	78568	64876	67520	67436	66100	85979	66135
2010	217510	299978	239217	164134	197181	132106	124090	91298	166772	214645	190543	157887
2011	196845	187779	134548	258562	214431	183062	179249	136526	278250	302443	263213	164433
2012	218346	171276	222443	291414	303374	272620	178077	360751	335152	287636	176845	270702
2013	378270	510545	354374	528496	436348	309772	295543	554132	550554	418667	375664	348096
სავალდებულო რეზერვები												
2005	90488	94344	97725	101887	108768	109141	110988	118348	122067	123171	129101	129833
2010	138340	140570	141969	141836	140190	148473	153540	159678	242133	239590	234329	244750
2011	507489	738549	771121	766509	779967	780070	794036	796237	719977	756920	736422	752332
2012	777989	792708	760194	764760	758070	821984	824818	877961	891592	859422	850225	874358
2013	877947	867329	864976	861579	872526	887012	903817	899083	917373	931392	936575	992621

5. ფულის მასის აგრეგატების დინამიკა

(პერიოდის ბოლოს; ათასი ლარი)

	იან	თებ	მარ	აპრ	მაი	ივნ	ივლ	აგვ	სექ	ოქტ	ნოე	დეკ
ფართო ფული (M3)												
2005	1451334	1495749	1526498	1628797	1621737	1671232	1736831	1799468	1857199	1912227	1946563	1961505
2010	4721983	4792164	4837432	4938623	4945487	5154387	5750228	5840047	5874149	5852008	5775637	6199009
2011	5970730	5959088	5899006	6062639	5995136	6164201	6221285	6481689	6558254	6550014	6352921	7097777
2012	6808396	6918706	6831744	6785909	7194519	7242927	7867540	7971705	7789119	7732669	7648450	7903739
2013	7771223	7912346	7959106	8103469	8130731	8354699	8553410	8826582	8953801	9188613	9339568	9836619
ფართო ფული, უცხოური ვალუტით დეპოზიტების გარეშე (M2)												
2005	793581	821411	826131	877513	856865	910986	949448	991665	1010774	1039136	1063446	1104130
2010	2207763	2304117	2400944	2494090	2452361	2537542	2612155	2650543	2625141	2696435	2785505	2960254
2011	2762739	2781235	2731566	2999071	2901295	2939244	3136504	3249717	3225245	3340316	3273675	3783180
2012	3646713	3711576	3560996	3694523	3637588	3686240	3921188	4019735	4050885	3918457	3802499	4069162
		19,255	24,273
		22,196	28,599
ადგილობრივი ოპერაციები			
საპროცენტო შემოსავალი ამორტიზებული ღირებულებით ასახულ ფინანსურ აქტივებზე:			
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები		29,338	31,811
მოთხოვნები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ		10,029	11,272
სხვა		78	139
		39,445	43,222
საპროცენტო შემოსავალი რეალური ღირებულებით ასახულ ფინანსურ აქტივებზე:			
გასაყიდად არსებული ინვესტიციები		2,908	9,192
		2,908	9,192
		42,353	52,414
სულ საპროცენტო შემოსავალი	28	64,549	81,013
საპროცენტო ხარჯი			
უცხოური ოპერაციები			
საპროცენტო ხარჯი ამორტიზებული ღირებულებით ასახულ ფინანსურ ვალდებულებებზე:			
ვალდებულებები საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიმართ		(8,419)	(14,015)
		(8,419)	(14,015)
ადგილობრივი ოპერაციები			
საპროცენტო ხარჯი ამორტიზებული ღირებულებით ასახულ ფინანსურ ვალდებულებებზე:			
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები		(37,922)	(36,773)
ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ		(9,146)	(13,467)
		(47,068)	(50,240)
სულ საპროცენტო ხარჯი		(55,487)	(64,255)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი საპროცენტო სარგებლის მქონე აქტივებზე გაუფასურების დანაკარგების რეზერვის აღდგენამდე		9,062	16,758
საპროცენტო შემოსავლების მქონე აქტივების გაუფასურების დანაკარგების რეზერვის ხარჯის აღდგენა	19	275	344
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		9,337	17,102

საქართველოს ეროვნული ბანკი

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება (ბაბრძელება)
 2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 (ათასი ლარი)

	შენიშვნა	2013	2012
წმინდა მოგება/(ზარალი) უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე:			
საკურსო სხვაობებიდან		147,471	7,337
საეაჭრო ოპერაციებიდან		(1,215)	(784)
საკომისიო შემოსავლები	6	1,249	1,076
საკომისიო ხარჯები	6	(1,057)	(827)
წმინდა მოგება რეალიზებული ფასიანი ქაღალდებიდან		3,688	12,664
წმინდა არარეალიზებული ზარალი ფასიანი ქაღალდებიდან და წარმოებული ინსტრუმენტებიდან		(83)	(10)
სხვა შემოსავლები	7	1,901	3,009
არასაპროცენტო შემოსავალი		151,954	22,465
თანამშრომლებზე გაწეული ხარჯები	8,28	(12,169)	(11,317)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8,28	(6,346)	(5,454)
ფულის ბეჭდვის ხარჯი		(4,146)	(8,596)
ცეკთა და ამორტიზაცია	8	(5,965)	(3,753)
ზარალი ძირითადი საშუალებების გასხვისებიდან	28	(11,199)	(1,454)
სხვა ხარჯები		(67)	(12)
არასაპროცენტო ხარჯი		(39,892)	(30,586)
წლის წმინდა მოგება		121,399	8,981
სხვა სრული შემოსავალი			
მუხლები, რომლებიც შეიძლება შემდგომში რეკლასიფიცირდეს მოგებაში ან ზარალში:			
წმინდა (ზარალი)/მოგება გასაყიდად არსებული ინვესტიციების გადაფასებიდან		(2,808)	795
გასაყიდად არსებული ინვესტიციების წლის განმავლობაში გაყიდვის შედეგად რეკლასიფიკაციის კორექტირება		(3,558)	(9,458)
სულ სრული შემოსავალი		115,033	318

ბანკის საბჭოს სახელით:



საბჭოს თავმჯდომარე
 გიორგი ქადაგიძე
 3 აპრილი 2014
 თბილისი, საქართველო



ფინანსებისა და ბუღალტრული აღრიცხვის
 დეპარტამენტის უფროსი
 სალომე სხირტლაძე
 3 აპრილი 2014
 თბილისი, საქართველო

174-228 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)


	შენიშვნა	31 დეკემბერი 2013	31 დეკემბერი 2012
აქტივები:			
აქტივები უცხოური ვალუტით			
ფული და ფულის ექვივალენტები	9	1,514,181	1,474,372
მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	10	58	355
SDR-ის ანგარიშში საერთაშორისო სავალუტო ფონდში	11	385,345	366,645
წარმოებული ფინანსური აქტივები	12	669	186
სავაჭრო ფასიანი ქაღალდები	13	413,916	166,500
გასაყიდად არსებული ინვესტიციები	14	2,588,841	2,740,671
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	15	-	11,443
სხვა აქტივები	19	766	779
		4,903,776	4,760,951
აქტივები ეროვნული ვალუტით			
მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	10	400,200	391,076
გასაყიდად არსებული ინვესტიციები	14,28	42,735	8,159
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	15,28	482,207	522,321
გასაყიდად განკუთვნილი ძირითადი საშუალებები	16	2,618	-
ძირითადი საშუალებები	17	61,334	74,772
არამატერიალური აქტივები	18	3,640	4,625
სხვა აქტივები	19	6,730	7,422
გასაყიდად გამიზნული აქტივები	20	-	2,818
		999,464	1,011,193
სულ აქტივები		5,903,240	5,772,144
ვალდებულებები და კაპიტალი:			
ვალდებულებები:			
ვალდებულებები უცხოური ვალუტით			
ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	21	1,134,568	945,146
ვალდებულებები ფინანსთა სამინისტროს მიმართ	22,28	146,892	209,228
ვალდებულებები საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ	11	585,181	957,585
სხვა ვალდებულებები	19	797	659
		1,867,438	2,112,618
ვალდებულებები ეროვნული ვალუტით			
მიმოქცევაში გაშვებული ფული	23	2,351,552	1,918,059
ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	21	502,962	392,108
ვალდებულებები ფინანსთა სამინისტროს მიმართ	22,28	341,443	744,628
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	24	1,135	1,168
გამოშვებული სავალდებულო ფასიანი ქაღალდები	25	684,635	562,844
სხვა ვალდებულებები	19	10,790	12,467
		3,892,517	3,631,274
სულ ვალდებულებები		5,759,955	5,743,892

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ბაზრკელეა)
 2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 (ათასი ლარი)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2013	31 დეკემბერი 2012
კაპიტალი:			
საწესდებო კაპიტალი	26	15,000	15,000
უცხოური ვალუტის გადაფასების რეზერვი		125,708	4,309
გასაკვიდად არსებული ინვესტიციების გადაფასების რეზერვი		2,577	8,943
სულ კაპიტალი		143,285	28,252
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		5,903,240	5,772,144

ბანკის საბჭოს სახელით:


 საბჭოს თავმჯდომარე

გიორგი ქლადაგიძე

3 აპრილი 2014
 თბილისი, საქართველო


 ფინანსებისა და ბუღალტრული აღრიცხვის
 დეპარტამენტის უფროსი
 სალომე სხირტლაძე

3 აპრილი 2014
 თბილისი, საქართველო

174-228 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

საქართველოს ეროვნული ბანკი

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	უცხოური ვალუტის გადაფასების რეზერვი	გასაყიდად არსებული ინვესტიციების გადაფასების რეზერვი	გაუნაწილე- ბელი მოგება	სულ კაპიტალი
1 იანვარი, 2012	15,000	-	17,606	(4,672)	27,934
წლის წმინდა მოგება	-	-	-	8,981	8,981
სხვა სრული შემოსავალი	-	-	(8,663)	-	(8,663)
უცხოური ვალუტის გადაფასების რეზერვში გადატანა (შენიშვნა 26)	-	4,309	-	(4,309)	-
31 დეკემბერი, 2012	15,000	4,309	8,943	-	28,252
წლის წმინდა მოგება	-	-	-	121,399	121,399
სხვა სრული შემოსავალი	-	-	(6,366)	-	(6,366)
უცხოური ვალუტის გადაფასების რეზერვში გადატანა (შენიშვნა 26)	-	121,399	-	(121,399)	-
31 დეკემბერი, 2013	15,000	125,708	2,577	-	143,285

ბანკის საბჭოს სახელით:

საბჭოს თავმჯდომარე

გიორგი ქადაგიძე

3 აპრილი 2014
თბილისი, საქართველო

174-228 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსებისა და ბუღალტრული აღრიცხვის
დეპარტამენტის უფროსი
სალომე სხირტლაძე

3 აპრილი 2014
თბილისი, საქართველო

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)


	შენიშვნა	2013	2012
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან:			
მიღებული პროცენტი		104,418	104,449
გადახდილი პროცენტი		(45,568)	(60,952)
მიღებული საკომისიო შემოსავალი		1,249	1,076
გადახდილი საკომისიო ხარჯები		(1,057)	(827)
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული წმინდა ზარალი		114	12,176
წმინდა ზარალი უცხოური ვალუტით განხორციელებული სავაჭრო ოპერაციებიდან		(1,215)	(784)
სხვა მიღებული შემოსავალი		85	2,892
თანამშრომლებზე გაწეული ხარჯები		(12,169)	(11,317)
ფულის ბეჭდვაზე გაწეული ხარჯი		(4,146)	(9,798)
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		(6,455)	(5,332)
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან, საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებებამდე		35,256	31,583
ცვლილებები საოპერაციო აქტივებში:			
მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ		(8,673)	(376,712)
SDR-ის ანგარიშში საერთაშორისო სავალუტო ფონდში		357	5,639
სავაჭრო ფასიანი ქაღალდები		(212,372)	(16,858)
სხვა აქტივები		800	1,394
ცვლილებები საოპერაციო ვალდებულებებში:			
მიმოქცევაში გაშვებული ფული		433,493	164,475
ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ		241,394	189,604
ვალდებულებები ფინანსთა სამინისტროს მიმართ		(475,896)	194,556
ვალდებულებები კლიენტების მიმართ		80	547
სხვა ვალდებულებები		-	2,916
ფულადი სახსრების წმინდა შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან		14,439	197,144
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ფულადი სახსრები ძირითადი საშუალებების გასხვისებიდან		-	117
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		(2,525)	(5,649)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(303)	(218)
დაფარვის ვადაზე ფლობილი ინვესტიციების დაფარვიდან მიღებული შემოსავლები		10,712	-
გასაყიდად არსებული ინვესტიციების შესყიდვა		(3,173,131)	(2,635,457)
გასაყიდად არსებული ინვესტიციების გაყიდვით მიღებული შემოსავლები		3,401,204	2,506,024
ფულადი სახსრების წმინდა შემოდინება/(გაძინება) საინვესტიციო საქმიანობიდან		235,957	(135,183)

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება (ბაზრულევა)
2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

	შენიშვნა	2013	2012
ფულადი სახსრების მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან:			
საგალო ფასიანი ქაღალდების გამოშვება		2,103,869	1,563,944
საგალო ფასიანი ქაღალდების დაფარვა		(1,987,478)	(1,443,097)
საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ ვალდებულებების დაფარვა		(401,928)	(385,459)
ფულადი სახსრების წმინდა გადინება საფინანსო საქმიანობიდან		(285,537)	(264,612)
ფულსა და ფულის ექვივალენტებზე უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი		74,950	(13,278)
წმინდა ზრდა/(შემცირება) ფულსა და ფულის ექვივალენტებში		39,809	(215,929)
ფული და ფულის ექვივალენტები, წლის დასაწყისში	9	1,474,372	1,690,301
ფული და ფულის ექვივალენტები, წლის ბოლოს	9	1,514,181	1,474,372

ბანკის საბჭოს სახელით:



საბჭოს თავმჯდომარე

გიორგი ქლადაგიძე

3 აპრილი 2014
 თბილისი, საქართველო

174-228 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



ფინანსებისა და ბუღალტრული აღრიცხვის
 დეპარტამენტის უფროსი
 სალომე სნირტლაძე

3 აპრილი 2014
 თბილისი, საქართველო

1. ორგანიზაცია

საქართველოს ეროვნული ბანკი (შემდგომში „ბანკი“) წარმოადგენს საქართველოს ცენტრალურ ბანკს და საქართველოს მთავრობის ბანკირსა და ფისკალურ აგენტს. იგი საკუთარ საქმიანობას ახორციელებს „საქართველოს ეროვნული ბანკის“ შესახებ საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე, რომელიც ძალაში შევიდა 2009 წლის 1 დეკემბერს (შემდგომში „კანონი“) და სრულად ჩაანაცვლა 1995 წლის 24 ოქტომბრით დათარიღებული კანონი.

კანონის მე-3 მუხლში გაწერილია ბანკის შემდეგი მიზნები და ფუნქციები:

- ბანკის ძირითადი ამოცანა ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა;
- ეროვნულმა ბანკმა უნდა უზრუნველყოს საფინანსო სისტემის სტაბილურობა და გამჭვირვალობა და ხელი შეუწყოს საქართველოში მდგრად ეკონომიკურ ზრდას, ისე, რომ არ შეფერხდეს მისი ძირითადი ამოცანის შესრულება;
- საქართველოს პარლამენტის მიერ განსაზღვრული ძირითადი მიმართულების შესაბამისად შეიმუშაოს და განახორციელოს ფულადი და სავალუტო პოლიტიკა;
- ფლობდეს, შეინახოს და განკარგოს ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები;
- იყოს საქართველოს მთავრობის საბანკო და ფინანსური აგენტი;
- უზრუნველყოს საგადახდო სისტემის შედეგიანი მუშაობა;
- განახორციელოს საქართველოს ფულის ნიშნების ემისია;
- საერთაშორისო სტანდარტებისა და მეთოდოლოგიების შესაბამისად აწარმოოს და გაავრცელოს ქვეყნის ფინანსური და საგარეო სექტორის სტატისტიკა;
- განახორციელოს საფინანსო სექტორის ზედამხედველობა;
- საჯარო სამართლის იურიდიული პირის, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მეშვეობით, ორგანული კანონის საფუძველზე განახორციელოს უკანონო შემოსავლების ლეგალიზებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობა;
- განახორციელოს კანონით განსაზღვრული სხვა ფუნქციები.

საქართველოს კანონმდებლობისა და საქართველოს მთავრობის მიერ გაფორმებული საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე ბანკი საქართველოს წარადგენს უცხოური ცენტრალური ბანკებისა და საერთაშორისო საფინანსო და საკრედიტო დაწესებულებების წინაშე ბანკის პასუხისმგებლობასა და ფუნქციებთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში.

ბანკი უფლებამოსილია გააფორმოს თანამშრომლობის ხელშეკრულებები უცხოურ ცენტრალურ ბანკებთან მისი საქმიანობის ფარგლებში. მას შეუძლია საკუთარი სახელით, და უფლებამოსილების არსებობის შემთხვევაში საქართველოს მთავრობის სახელით, გააფორმოს კლირინგის, საანგარიშსწორებო და სხვა სახის ხელშეკრულებები უცხოურ საჯარო და კერძო კლირინგის სააგენტოებთან.

ბანკს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო ორგანიზაციების კაპიტალსა და საქმიანობაში ფულად, სავალუტო და საბანკო სფეროებში თანამშრომლობის მიზნით.

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები (გაბრძნობა)
2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარით)

2013 და 2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭო შედგება შემდეგი წევრებისაგან:

თანამდებობა	სახელი (2013)	სახელი (2012)
თავმჯდომარე	გიორგი ქადაგიძე (პრეზიდენტი)	გიორგი ქადაგიძე (პრეზიდენტი)
წევრი	არჩილ მესტვირიშვილი	არჩილ მესტვირიშვილი
წევრი	ოთარ ნადარაია	ოთარ ნადარაია
წევრი	ლაშა ჯუღელი	ლაშა ჯუღელი
წევრი	ნიკოლოზ გონგლიაშვილი	ნიკოლოზ გონგლიაშვილი
წევრი	ვაჟა ჯანყარაშვილი	ვაჟა ჯანყარაშვილი

ბანკის სათაო ოფისი მდებარეობს შემდეგ მისამართზე: სანაპიროს ქუჩა 2, 0114, თბილისი, საქართველო. 2013 და 2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს გააჩნდა ერთი საკასო მომსახურების ცენტრი. 2013 და 2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკში დასაქმებული იყო შესაბამისად 328 და 322 თანამშრომელი.

2. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძველი

ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (“ბასს”) მიერ დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (“ფასს”) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის (“ფაისკ”) მიერ გამოცემული ინტერპრეტაციების შესაბამისად.

წარდგენის კრიტერიუმის სხვა საფუძველები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმის გათვალისწინებით, რომ ბანკი წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს და ახლო მომავალში გააგრძელებს მუშაობას.

ეს ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათასობით ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების კონცეფციის საფუძველზე, გარდა რეალური ღირებულებით აღრიცხული გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტებისა და გასაყიდად განკუთვნილი ძირითადი საშუალებებისა, როგორც განმარტებულია ქვემოთ მოცემულ ბუღალტრულ პოლიტიკებში. ისტორიული ღირებულება ზოგადად ეფუძნება აქტივების და მომსახურების სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების რეალურ ღირებულებას.

რეალური ღირებულება არის ის ფასი, რომელსაც პირი მიიღებდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების გასხვისებაში სათანადო ტრანზაქციაში ბაზრის მონაწილეთა შორის გაზომვის დღეს იმის მიუხედავად, შეიძლება თუ არა ამ ფასზე პირდაპირ დაკვირვება ან მისი გამოთვლა შეფასების სხვა ტექნიკის გამოყენებით. აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების გამოთვლისას, ბანკი ითვალისწინებს ამ აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეები ამავე მახასიათებლებს გაითვალისწინებდნენ აღნიშნული აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას, გაზომვის დღეს. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში გაზომვისას ან/და განმარტების მიზნით, რეალური ღირებულება აღნიშნულ საფუძველზე განისაზღვრება.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, რეალური ღირებულების გაზომვა იყოფა 1-ელი, მე-2 და მე-3 დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რეალური ღირებულების რომელი კომპონენტებია დაკვირვებადი და რა მნიშვნელობის მატარებელია ეს კომპონენტები მთლიანად რეალური ღირებულების მოცულობის დადგენაში. აღნიშნული კატეგორიებია:

- 1-ელი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ელ დონეში მოცემული კოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

ბანკი ვალდებულია ბუღალტრული ჩანაწერები აწარმოოს ლარში და ამავე ვალუტაში მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ლარი წარმოადგენს ბანკის საანგარიშგებო და ფუნქციონალურ ვალუტას, ვინაიდან ეს არის ბანკის ეკონომიკური გარემოს ვალუტა. სხვა ვალუტაში განხორციელებული გარიგებები აისახება როგორც უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარიგებები.

ბანკი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას წარადგენს ლიკვიდობის მიხედვით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღიდან 12 თვის განმავლობაში (მიმდინარე), ან 12 თვეზე მეტი დროის განმავლობაში (გრძელვადიანი) აღდგენის ან ანგარიშსწორების ანალიზი წარმოადგენილია 30-ე შენიშვნაში.

3. გულალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკები

საპროცენტო შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

ფინანსური აქტივებისგან მიღებული საპროცენტო სარგებლის აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც სავარაუდოა, რომ ბანკი მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შემოსავლის შეფასება შესაძლებელია საკმარისი სიზუსტით.

საპროცენტო შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით და აისახება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი წარმოადგენს მეთოდს, რომლის საშუალებით გამოითვლება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების და ან ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულება და საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი ნაწილდება შესაბამის პერიოდზე.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების შემოდინების (იმ გადახდილი ან მიღებული მოსაკრებლების ჩათვლით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, გარიგების ხარჯებისა და სხვა პრემიუმისა თუ დისკონტის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს) დისკონტირებას ფინანსური აქტივის სავარაუდო სასარგებლო მოხმარების პერიოდის ამოწურვამდე, (ან კონტექსტის მიხედვით), უფრო მოკლე ვადაში, თავდაპირველად აღიარებულ წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

მას შემდეგ, რაც ფინანსური აქტივი ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფი ჩამოიწერება (ნაწილობრივ ჩამოიწერება) გაუფასურების შედეგად მიღებული დანაკარგების გამო, საპროცენტო შემოსავლის აღიარება იმ საპროცენტო განაკვეთით ხორციელდება, რომელიც გაუფასურების დანაკარგების დადგენის მიზნით მოსალოდნელი ფულადი სახსრების დისკონტირებისათვის გამოიყენება.

საკომისიო შემოსავლების აღიარება

ბანკი იღებს საკომისიო შემოსავლებს კონტრაგენტისათვის სხვადასხვა სახის მომსახურების გაწევის საფუძველზე. საკომისიო შემოსავლები მოიცავს ნაღდი ფულით

განხორციელებულ ოპერაციებსა და გადარიცხვების საკომისიოს, რაც აისახება როგორც მომსახურების შედეგად მიღებული შემოსავალი. საკომისიო ხარჯები მოიცავს საოპერაციო და ანგარიშსწორების საკომისიო ხარჯებს, და გარე ხელმძღვანელისათვის გადახდილ საკომისიოს.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ასახვა ბანკის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ხდება მაშინ, როდესაც იგი ხდება ხელშეკრულების მონაწილე შესაბამის ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეგულარული ხასიათის შესყიდვისა და გაყიდვის აღიარება ხორციელდება ანგარიშსწორების თარიღის მდგომარეობით. რეგულარული ხასის შესყიდვები ან გაყიდვები არის ფინანსური აქტივების ისეთი შესყიდვები და გაყიდვები, რომლებიც მოითხოვს აქტივების გადაცემას საბაზრო კონვენციების ან რეგულაციების მიერ დადგენილ ვადებში.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით. გარიგების ხარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შესყიდვასა და გამოშვებას (მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით აღიარებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა) თავდაპირველი აღიარებისას ემატება ან აკლდება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებას. ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების რეალური ღირებულებით მოგების ან ზარალის გზით შესყიდვასთან დაკავშირებული საოპერაციო ხარჯები დაუყოვნებლივ აისახება მოგება-ზარალში.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება შემდეგ კატეგორიებად: ფინანსური აქტივები "რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში", "დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები", "გასაყიდად არსებული ინვესტიციები" და "სესხები და მოთხოვნები". კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივების სპეციფიკასა და დანიშნულებაზე და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით ასახულ ფინანსურ აქტივებად, თუ ფინანსური აქტივი განისაზღვრება როგორც სავაჭროდ განკუთვნილი, ან მოგებაში ან ზარალში ასახულია რეალური ღირებულებით.

ფინანსური აქტივები განისაზღვრება როგორც სავაჭროდ განკუთვნილი იმ შემთხვევაში, თუ:

- შესყიდულია ახლო მომავალში გაყიდვის მიზნით; ან
- თავდაპირველი აღიარებისას წარმოადგენს იდენტიფიცირებადი ფინანსური ინსტრუმენტების პორტფელის ნაწილს, რომლებიც ერთად იმართება და არსებობს მათგან მოკლევადიანი მოგების მიღების ობიექტური მაჩვენებელი; ან
- განეკუთვნება წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს იმ შემთხვევის გარდა, როდესაც წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს გააჩნიათ ჰეჯირების ინსტრუმენტის დანიშნულება.

ფინანსური აქტივები, სავაჭროდ გამოზნული ფინანსური აქტივების გარდა თავდაპირველი აღიარებისას იმ შემთხვევაში შეიძლება აისახოს რეალური ღირებულებით, თუ:

- ამგვარი ასახვით ელიმინირდება, ან მნიშვნელოვნად მცირდება მოსალოდნელი შეუსაბამობა აღიარებასა თუ შეფასებაში;

- ფინანსური აქტივი შედგენს ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების, ან ორივე ჯგუფის ნაწილს, რომელიც იმართება და ფასდება რეალური ღირებულების საფუძველზე ბანკის დოკუმენტირებული რისკის მართვის ან ინვესტირების სტრატეგიის შესაბამისად, და დაჯგუფების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა შიდა მოხმარებისათვის მათ საფუძველზე ხორციელდება; ან
- იგი წარმოადგენს იმ კონტრაქტის ნაწილს, რომელიც მოიცავს ერთ, ან მეტ ჩართულ წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტს და ბასს 39 “ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება” უფლებას იძლევა ერთიანი კომბინირებული კონტრაქტი (აქტივი ან ვალდებულება) რეალური ღირებულებით აისახოს მოგებასა და ზარალში.

სავაჭრო ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო ფასიან ქაღალდებსა და წარმოებულ ფინანსურ აქტივებს.

ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პირობებში, ბანკი მონაწილეობას იღებს სხვადასხვა წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებში, მათ შორის ფორვარდები და სვოპები, სავალუტო და ლიკვიდობის რისკების მართვისა და სავაჭრო მიზნებისთვის. აღნიშნული წარმოებულ ფინანსური ინსტრუმენტები არ განიხილება როგორც პეჯირება და არ აკმაყოფილებს პეჯირების აღრიცხვის მოთხოვნებს. წარმოებულ ინსტრუმენტების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით წარმოების ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღისთვის და შემდგომში ხდება მათი ხელახალი შეფასება რეალური ღირებულებით ყოველ საანგარიშო თარიღით. დერივატივები აისახება, როგორც აქტივები როდესაც მათი რეალური ღირებულება დადებითია და როგორც ვალდებულებები, როდესაც უარყოფითია.

სავაჭრო ფასიანი ქაღალდები აღირიცხება რეალური ღირებულებით შემდგომი შეფასების ნებისმიერი მოგება ან ზარალის მოგებაში ან ზარალში აღრიცხვით. წმინდა მოგება ან ზარალის აღიარება მოიცავს ნებისმიერ საპროცენტო სარგებელს ფინანსურ აქტივებზე.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოებულ ფინანსური აქტივები მოიცავს წარმოებულ ინსტრუმენტებს. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში. ამ ინსტრუმენტებით მიღებული მოგება ან ზარალი მოცემულია მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

რეალური ღირებულების შეფასება ხდება კოტირებულ საბაზრო ფასებზე ან ფასების მოდელზე დაყრდნობით, ძირითადი ინსტრუმენტების ბაზარზე არსებული და საკონტრაქტო ფასების გათვლისწინებით და ასევე სხვა ფაქტორების, როგორც ეს 29-ე შენიშვნაშია ახსნილი.

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები წარმოადგენს ისეთ არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს განსაზღვრადი ან ფიქსირებული გადახდებითა და დაფარვის ფიქსირებული ვადებით, რომელთა ფლობა ვადამდე ბანკს განზრახული აქვს და შეუძლია ვადის ბოლომდე. ასეთი ფასიანი ქაღალდების ასახვა ხდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდზე დაფუძნებული ამორტიზებული ღირებულებით, გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით.

იმ შემთხვევაში, თუ ბანკი იძულებული იქნება, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები (გამონაკლისი სპეციფიკური გარემოებების გარდა) დაფარვის ვადამდე გაყიდოს ან მოახდინოს მათი რეკლასიფიკაცია, ამას მიუღ კატეგორიაზე ექნება გავლენა და საჭირო გახდება მათი გასაყიდად არსებულად რეკლასიფიკაცია. გარდა ამისა, შემდეგი ორი ფინანსური წლის განმავლობაში ბანკს აეკრძალება ნებისმიერი ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია დაფარვის ვადამდე ფლობილი აქტივის სახით.

გასაყიდად არსებული ინვესტიციები

გასაყიდად არსებული ინვესტიციები წარმოადგენს არაწარმოებულ აქტივებს, რომლებიც ან გასაყიდად არის გამიზნული, ან არ კლასიფიცირდება როგორც (ა) სესხები და მოთხოვნები, (ბ) დაფარვის ვადაძლე ფლობილი ინვესტიციები ან (გ) ფინანსური აქტივები “რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში”.

გასაყიდად არსებული ინვესტიციები წარმოადგენს ინვესტიციებს კაპიტალში და სავალდო ფასიან ქაღალდებში, რომელთა ფლობა განზრახულია განუსაზღვრელი ვადით. გასაყიდად არსებული ინვესტიციები თავდაპირველად აისახება რეალური ღირებულებით. შემდგომში ფასიანი ქაღალდების შეფასება ხდება რეალური ღირებულებით და გადაფასების შედეგი აისახება პირდაპირ კაპიტალში, გარდა გაუფასურების დანაკარგებისა, უცხოური ვალუტის გადაფასებიდან მიღებული მოგება-ზარალისა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული საპროცენტო შემოსავლისა, რომლებიც პირდაპირ აისახება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. გაყიდვის შედეგად კაპიტალში ასახული მოგება ან ზარალი მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აისახება. გასაყიდად არსებული ინვესტიციების რეალური ღირებულების დასადგენად ბანკი იყენებს კოტირებულ საბაზრო ფასებს. თუ არ არსებობს მოქმედი ბაზარი ინვესტიციებისთვის, ბანკი რეალურ ღირებულებას დისკონტირებული ფულადი სახსრებისა და შეფასების სხვა სათანადო მეთოდების საშუალებით განსაზღვრავს, როგორც ეს 29-ე შენიშვნაშია ახსნილი.

სესხები და მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები, სესხები და ავანსები განსაზღვრული ან ფიქსირებული გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული მოქმედ ბაზარზე (მათ შორის მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ, SDR-ის ანგარიშში საერთაშორისო სავალუტო ფონდში და სხვა ფინანსური აქტივები), კლასიფიცირდება როგორც „სესხები და მოთხოვნები“. სესხები და მოთხოვნები გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო შემოსავალი აღიარებას ექვემდებარება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით გარდა იმ მოკლევადიანი მოთხოვნების პროცენტისა, რომლის აღიარება უმნიშვნელო იქნებოდა.

მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ

ჩვეული საქმიანობის პროცესში ბანკი სესხების, ავანსებისა და დეპოზიტების სახით განსხვავებული ვადებით განათავსებს სახსრებს სხვადასხვა ფინანსურ ინსტიტუტებში. მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს, რომლებიც არ არის კოტირებული მოქმედ ბაზარზე. ისინი არ წარმოიქმნება დაუყოვნებელი, ან მოკლევადიანი გადაყიდვის მიზნით და არ კლასიფიცირდება როგორც სავაჭრო ფასიანი ქაღალდები, ან გასაყიდად არსებული ინვესტიციები. მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ თავდაპირველად რეალური ღირებულებით აისახება, ხოლო შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ფინანსური ინსტიტუტებიდან მისაღები თანხები აისახება გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით. მოგება და ზარალი აისახება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი აქვს სესხებისა და მოთხოვნების აღიარების შეწყვეტას ან გაუფასურებას, ან ამორტიზაციას.

საერთაშორისო სავალუტო ფონდისა („სსფ“) და სხვა საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებების წევრობა

კანონის მე-5 მუხლის შესაბამისად, ბანკი მოქმედებს როგორც საქართველოს მთავრობის შუამავალი საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებში (სსფ, მსოფლიო ბანკი) საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ოპერაციებთან მიმართებაში, რაც ასევე მოიცავს ამ ორგანიზაციებისთვის საწევრო შენატანების გადახდას.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი წარმოადგენს საერთაშორისო ორგანიზაციას, რომელიც შექმნილია მონეტარული ურთიერთობების, გაცვლითი კურსის სტაბილურობისა და რეგულარული გაცვლითი ოპერაციების ხელშეწყობის მიზნით. ეკონომიკური განვითარების და დასაქმების დონის ამაღლებისა და სხვადასხვა ქვეყნების დროებითი ფინანსური ხელშეწყობისათვის. წევრობის კოტა (საწევრო შენატანები) წარმოადგენს საერთაშორისო სავალუტო ფონდის რესურსების ძირითად წყაროს. საერთაშორისო სავალუტო ფონდი რესურსებს წევრ ქვეყნებისაგან იღებს. თითოეული ქვეყნის შენატანი განისაზღვრება ქვეყნის ეკონომიკური დონის გათვალისწინებით და მხედველობაში მიიღება მსგავსი ქვეყნების შენატანები. წევრის შენატანი ასახავს მის საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ფინანსური და ორგანიზაციული ურთიერთობების ძირითად ასპექტებს.

საერთაშორისო სავალუტო ფონდისათვის გადახდილი საწევრო დენომინირებული SDR-ში და გადაფასებული ლარში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ მისი ფინანსური წლის ბოლოს დაწესებული სავალუტო გაცვლითი კურსით. კოტა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ საერთაშორისო სავალუტო ფონდის კოტასთან მიმართებაში გამოშვებული ფასიანი ქაღალდები არ არის წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, რადგან ისინი არ წარმოადგენს ბანკის აქტივებსა და ვალდებულებებს, არამედ განიხილება როგორც გარე-საბალანსო ანგარიშები და შესაბამისად ახსნილია ფინანსური ანგარიშგების მე-11 შენიშვნაში.

ამასთანავე, ხელშეკრულების თანახმად საერთაშორისო სავალუტო ფონდს აქვს უფლებამოსილება შექმნას უპირობო ლიკვიდობა SDR განყოფილების წევრი ქვეყნებისათვის კოტის პროპორციულად ზოგადი SDR სახსრების განაწილებით. ზოგადი სახსრების განაწილება ემსახურება რეზერვების შევსების გრძელვადიან გლობალურ საჭიროებებს ეკონომიკური სტაბილურობის, დეფლაციისა და ინფლაციის თავიდან აცილების მიზნით. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელშეკრულების მეოთხე ცვლილების თანახმად, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა აგრეთვე განახორციელა SDR სახსრების სპეციალური განაწილება წევრი ქვეყნებისთვის დაგროვილი SDR სახსრების კოტასთან მიმართებაში გაზრდის მიზნით.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი იხდის SDR სახსრების აქტივის მხარეს დარიცხულ პროცენტს და ამასთანავე, ანალოგიურ საპროცენტო განაკვეთს აწესებს თითოეული წევრის წმინდა დაგროვილი SDR სახსრებზე. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელშეკრულება თავისი წევრი ქვეყნებისათვის არ განსაზღვრავს SDR სახსრების საბუღალტრო აღრიცხვის პრინციპებს. ბანკი აღრიცხავს SDR პოზიციას თავის ფინანსურ ანგარიშგებაში, თუმცა SDR განყოფილებაში მონაწილეობით გამოწვეული უფლებები და ვალდებულებები, SDR სახსრების განაწილებით გამოწვეული უფლებებისა და ვალდებულებების ჩათვლით, წარმოადგენს SDR განყოფილების წევრი ქვეყნის უფლებებსა და ვალდებულებებს. წევრი ქვეყანა ვალდებულია დაფაროს მიღებული SDR სახსრები SDR განყოფილებიდან გამოსვლის ან SDR განყოფილების გაუქმების შემთხვევაში.

საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან მიღებულ ზოგად და სპეციალურ სახსრებს ბანკი აღრიცხავს, აქტივის მხარეს როგორც SDR-ის ანგარიშს საერთაშორისო სავალუტო ფონდში და ვალდებულების მხარეს, როგორც ვალდებულებას საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ბანკი რეალური ღირებულებით არ აღრიცხული ფინანსური აქტივების გაუფასურებას ახდენს მაშინ, როდესაც არსებობს რეალური საფუძველი ფინანსური აქტივის ან აქტივების ჯგუფის გაუფასურებისა. ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურება განისაზღვრება როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, თუ გაუფასურების ხარჯი შემდგომ პერიოდში შემცირდა და ეს კლება ობიექტურად შეიძლება უკავშირდებოდეს გაუფასურების აღიარების შემდეგ მომხდარ მოვლენას, ხდება ადრე აღრიცხული გაუფასურების ხარჯის გაუქმება მოგება-ზარალში ისე, რომ საბალანსო ღირებულება გაუფასურების ხარჯის გაუქმების შემდეგ არ აჭარბებდეს ამორტიზებულ ღირებულებას გაუფასურების აღიარების გარეშე.

თვითღირებულებით ასახული ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურების რეზერვი განისაზღვრება როგორც სხვაობა ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მსგავსი ფინანსური აქტივების უკუგების მიმდინარე საბაზრო განაკვეთით დისკონტირებულ მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის. ასეთი გაუფასურების რეზერვი არ ექვემდებარება კორექტირებას.

გაუფასურება გამოითვლება რისკის ქვეშ მყოფი აქტივების ანალიზის საფუძველზე და ასახავს თანხას, რომელიც ხელმძღვანელობის აზრით საკმარისია შესაბამისი დანახარჯების დასაფარად. რეზერვები იქმნება რისკის ქვეშ მყოფი ფინანსური აქტივების ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე მატერიალური აქტივების შემთხვევაში და არამატერიალური ფინანსური აქტივების ინდივიდუალური ან ჯგუფური შეფასების საფუძველზე.

ცვლილება გაუფასურებაში აისახება მოგებაში გაუფასურების რეზერვის ანგარიშის გამოყენებით (ფინანსური აქტივები აღრიცხული ამორტიზებული ღირებულებით) ან უშუალოდ ჩამოწერით (ფინანსური აქტივები აღრიცხული თავდაპირველი ღირებულებით). ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აღრიცხული აქტივების ღირებულება იკლებს გაუფასურების გამო. ფაქტორები, რომლებზე დაყრდნობითაც ბანკი განსაზღვრავს გაუფასურების არსებობის ობიექტური საფუძვლის არსებობას მოიცავს: დებიტორის ან ემიტენტის ლიკვიდობის შესახებ ინფორმაცია, მათი გადახდისუნარიანობა, ბიზნეს და ფინანსური რისკები, ფინანსურ აქტივებზე არსებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ტენდენციები და დონეები, ეროვნული და ადგილობრივი ეკონომიკური ტენდენციები და პირობები და უსაფრთხოებისა და გარანტიების რეალური ღირებულება. ეს და სხვა ფაქტორები ინდივიდუალურად ან ერთად დიდწილად წარმოადგენს ობიექტურ მტკიცებულებას ფინანსური აქტივის ან აქტივების გაუფასურებით გამოწვეული ზარალის აღიარებისა. უნდა აღინიშნოს, რომ დანაკარგების შეფასება სუბიექტურ ფაქტორს მოიცავს.

ბანკის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ გაუფასურების ღირებულება საკმარისია რისკის ქვეშ მყოფი აქტივების დანახარჯების დასაფარად ანგარიშგების თარიღში, თუმცა შესაძლებელია გარკვეულ პერიოდში ბანკმა უფრო მეტი დანახარჯები გასწიოს ვიდრე დაფიქსირებული გაუფასურება.

ჩამოწერილი სესხები და ავანსები

სესხებისა და ავანსების აღდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში, მათი ჩამოწერა ხდება სესხების გაუფასურების დანაკარგის რეზერვის გამოყენებით. სესხები და ავანსები ექვემდებარება ჩამოწერას იმ შემთხვევაში თუ ხელმძღვანელობამ ამოწურა მოთხოვნების ამოღების ყველა შესაძლებლობა. წინა პერიოდში ჩამოწერილი თანხების აღდგენა ხდება ფინანსური აქტივების გაუფასურების გადატანით და მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღდგენის პერიოდში აისახება.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ბანკის ფინანსური აქტივების აღიარება შეწყდება, როდესაც აქტივიდან ფულადი სახსრების მდების უფლების კონტრაქტით გათვალისწინებული ვადა ამოიწურება, ან თუ ბანკმა სხვა საწარმოს გადასცა ფინანსური აქტივები და შესაბამისად აქტივის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი. თუ ბანკი არც გადასცემს და არც იტოვებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს და აგრძელებს გადაცემული აქტივის კონტროლს, იგი აღიარებს აქტივში შენარჩუნებულ მონაწილეობას და მასთან დაკავშირებულ ვალდებულებას შესაძლო გადასახდელი თანხის

ოდენობით. იმ შემთხვევაში თუ ბანკი იტოვებს გადაცემულ ფინანსურ აქტივთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, იგი აგრძელებს ფინანსური აქტივის და მიღებული ფულადი სახსრებით უზრუნველყოფილი სესხების აღიარებას.

ფინანსური აქტივის მთლიანობაში აღიარების შეწყვეტისას სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მიღებული და მისადები ანაზღაურების და სხვა სრულ შემოსავლებში აღიარებული და კაპიტალში დაგროვილი მოგება ან ზარალის ჯამს შორის, აღიარებას მოგებაში ან ზარალში ექვემდებარება.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტისას, გარდა მთლიანი შეწყვეტისა (მაგალითად, როდესაც ბანკი ინარჩუნებს უფლებას გამოისყიდოს გადაცემული აქტივის ნაწილი), ბანკი ანაწილებს აღიარების შეწყვეტამდე ფინანსური აქტივის არსებულ საბალანსო ღირებულებას გადაცემისას არსებულ შენარჩუნებული წილისა და იმ ნაწილის რეალურ ღირებულებებს შორის, რომლის აღიარებაც შეწყდა. აქტივის იმ ნაწილზე, რომლის აღიარებაც შეწყდა, გადანაწილებულ საბალანსო ღირებულებასა და ამ ნაწილისთვის მიღებულ მთლიან ანაზღაურებას შორის სხვაობა, სხვა სრულ შემოსავალში ასახული ნებისმიერი დაგროვილი მოგების ან ზარალის გათვალისწინებით, აღიარებულ უნდა იქნას მოგებაში ან ზარალში. დაგროვილი მოგება ან ზარალი, რომელიც აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში უნდა გადანაწილდეს აქტივის შენარჩუნებულ ნაწილსა და იმ ნაწილს შორის, რომლის აღიარებაც შეწყდა, მათი რეალური ღირებულებების მიხედვით.

ფინანსური ვალდებულებები და გამოშვებული კაპიტალის ინსტრუმენტები

კლასიფიკაცია სესხის ან კაპიტალის სახით

ბანკის მიერ გამოშვებული სესხისა და კაპიტალის ინსტრუმენტები კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ვალდებულებები ან კაპიტალი კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების არსისა და ფინანსური ვალდებულების და კაპიტალის ინსტრუმენტის განმარტებიდან გამომდინარე.

კაპიტალის ინსტრუმენტები

კაპიტალის ინსტრუმენტი წარმოადგენს ნებისმიერ კონტრაქტს, რომელიც ადასტურებს ბანკის აქტივებში ნარჩენ წილს, ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ. ბანკის მიერ გამოშვებული კაპიტალის ინსტრუმენტები აღიარებას ექვემდებარება მიღებულ შემოსავლებთან ერთად გამოშვების ხარჯების გამოკლებით.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები (მათ შორის ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ორგანიზაციების, კლიენტების, ფინანსთა სამინისტროს მიმართ და გამოშვებული ფასიანი ქაღალდები) კლასიფიცირდება როგორც „სხვა ფინანსური ვალდებულებები“.

ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ორგანიზაციების, კლიენტების, ფინანსთა სამინისტროს მიმართ და გამოშვებული ფასიანი ქაღალდები

გამოშვებული ფინანსური ინსტრუმენტები ან მათი კომპონენტები კლასიფიცირდება როგორც “სხვა ფინანსური ვალდებულებები”, როდესაც საკონტრაქტო მოთხოვნების გამო ბანკს აქვს ვალდებულება გადასცეს ნაღდი ფული ან აქტივები მფლობელს ან გადაცვალოს ნაღდი ფულის ფიქსირებული ოდენობა ან სხვა ფინანსური აქტივები საკუთარ კაპიტალის ინსტრუმენტებში. ასეთი ინსტრუმენტები მოიცავს ვალდებულებებს მთავრობის, რეზიდენტი ფინანსური ორგანიზაციების, კლიენტების მიმართ, გამოშვებულ ფასიან ქაღალდებს და ვალდებულებებს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ.

ისინი თავდაპირველად აისახება რეალური ღირებულებით გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით. ირველადი ასახვის შემდგომ ეს ფინანსური ინსტრუმენტები

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდაართული ფინიშნები (ბაბრქელებ) 2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ათასი ლარი)

აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ევექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური გარანტიის კონტრაქტები

ფინანსური გარანტიის კონტრაქტი წარმოადგენს კონტრაქტს, რომელიც ითვალისწინებს გადახდას კომპენსაციის სახით, იმ შემთხვევაში, თუ დებიტორი სასესხო ინსტრუმენტის თავდაპირველი, ან მოდიფიცირებული პირობების შესაბამისად ვერ შეძლებს დროულად გადახდას.

ფინანსური გარანტიის კონტრაქტები თავდაპირველ აღიარებას ექვემდებარება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომ ფასდება მეტი თანხით შემდეგ თანხებს შორის:

- თანხა, რომელიც აღიარებულია ანარიცხების სახით, ბასს 37 „ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“-ს შესაბამისად; და
- თავდაპირველად აღიარებული ღირებულებით თუ მისაღებია შემოსავლების დაგროვილი ამორტიზაციის გამოკლებით შემოსავლების აღიარების პოლიტიკის საფუძველზე.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ბანკი ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ბანკის ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება მოგებაში ან ზარალში.

გაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები იქვითება და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება წმინდა თანხით, იმ შემთხვევაში თუ ბანკს აქვს იურიდიული უფლება განახორციელოს აღიარებული თანხების გაქვითვა და განზრახული აქვს მოახდინოს აქტივის ჩათვლა წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა. მოგება და ზარალი არ იქვითება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ფინანსურ ანგარიშგებაში, თუ არ არსებობს ამის მოთხოვნა ან დაშვება ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებით ან ინტერპრეტაციით და არ არის კონკრეტულად ასახული ბანკის საბუღალტრო პოლიტიკებში.

მიმოქცევაში გაშვებული ფული

მიმოქცევაში გაშვებული ფული წარმოადგენს ბანკის მიერ კანონისა და ცენტრალური ბანკის ფუნქციის ფარგლებში გამოშვებულ ბანკნოტებსა და მონეტებს. მიმოქცევაში გაშვებული ბანკნოტები და მონეტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება ბანკის სალაროში ნაღდი ფულის ოდენობით შემცირებული ნომინალური ღირებულებით.

ბანკნოტებისა და მონეტების დამზადების ხარჯები აისახება ხარჯებში მათი გაწვევითანავე.

როდესაც კომერციული ბანკები უბრუნებენ ბანკს ბანკნოტებს, ხდება მათი მიმოქცევაში არსებული ფულადი სახსრებიდან ამოღება და მათი მდგომარეობიდან ან სტატუსიდან გამომდინარე, ხდება მათი ან განადგურება, ან ბანკის სარეზერვო ფონდებში შენახვა.

უცხოური ვალუტის გადაფასება

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რომელიც ბანკის ფუნქციონალური და საანგარიშგებო ვალუტაა. გარიგებები უცხოურ ვალუტაში თავდაპირველად აისახება

ფუნქციონალურ ვალუტაში, გარიგების თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ეროვნულ ვალუტაში გადაფასება ხდება ანგარიშგების თარიღისათვის დაფიქსირებული ფუნქციონალური ვალუტის გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში ისტორიული ღირებულებით წარმოდგენილი არაფულადი ერთეულების გადაფასება ხორციელდება თავდაპირველი გარიგებისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში რეალური ღირებულებით წარმოდგენილი არაფულადი ერთეულების გადაფასება ხორციელდება რეალური ღირებულების განსაზღვრის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების გაცვლით გამოწვეული მოგება ან ზარალი მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აისახება უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციებიდან მიღებულ წმინდა მოგებაში – საკურსო სხვაობებში, რომელიც ბანკს გადააქვს უცხოური ვალუტის გადაფასების რეზერვში და რომლის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ გადაფასების მომავალი წმინდა ზარალის კომპენსირების მიზნით, როგორც აღწერილია 26-ე შენიშვნაში.

სხვაობა კონტრაქტით გათვალისწინებულ უცხოურ ვალუტაში დენომინირებული გარიგებების გაცვლით კურსებსა და ბანკში გარიგების თარიღისათვის არსებულ კურსებს შორის აისახება წმინდა მოგებაში უცხოურ ვალუტაში განხორციელებული სავაჭრო ოპერაციებიდან.

გაცვლითი კურსები

ქვემოთ მოცემულია 2013 და 2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ბანკმა გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას:

	31 დეკემბერი, 2013	31 დეკემბერი, 2012
ლარი/1 აშშ დოლარი	1.7363	1.6567
ლარი/1 ევრო	2.3891	2.1825
ლარი/1 ავსტრალიური დოლარი	1.5403	1.7200
ლარი/1 ფუნტი სტერლინგ	2.8614	2.6653
ლარი/1 SDR	2.6739	2.5567

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, თავისუფალ სახსრებს საკორესპონდენტო ანგარიშებზე, გაცემის დღიდან ოთხმოცდაათ დღემდე დაფარვის საწყისი ვადის მქონე იმ ვადიან დეპოზიტებსა და იმ მოთხოვნებს ფინანსური ინსტიტუტების მიმართ, რომლებსაც არ გააჩნიათ საკონტრაქტო ვალდებულებები.

ქვირფასი ლითონები

ოქროს სამახსოვრო მონეტები აღიარებას ექვემდებარება თვითღირებულებით დამზადების, ტრანსპორტირებისა და სხვა პირდაპირი ხარჯების გათვალისწინებით. სამახსოვრო მონეტების გაყიდვისას წარმოშობილი მოგება და ზარალი აისახება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. სამახსოვრო მონეტებზე გაწეული სხვა ხარჯები აღიარებას გადახდისთანავე ექვემდებარება როგორც მიმდინარე ხარჯები და აისახება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია ისტორიული ღირებულებით დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების გამოკლებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

საქართველოს ეროვნული ბანკი

შინაინჟინერინგის ანგარიშგებასთან თანდასრულებული შენიშვნები (ბაზრის მონიტორინგი)

2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათასი ლარით)

ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოიქვეყნება მათი საბალანსო ღირებულებიდან და გამოიყენება აქტივების ჩამოსაწერად მათი ექსპლუატაციის ვადის ამოწურვამდე. ცვეთის გაანგარიშება წარმოებს წრფივი მეთოდით შემდეგი წლიური განაკვეთების გამოყენებით:

	%
შენიშვნები	2
კომპიუტერები, საოფისე მოწყობილობა და ავეჯი	10-20
ტრანსპორტი	20
სხვა	20

რემონტისა და გაუმჯობესების ხარჯები აისახება გაწვევისთანავე და მიეკუთვნება საოპერაციო ხარჯებს ან ექვემდებარება კაპიტალიზაციას თუ არსებობს ამის საკმარისი საფუძველი.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გადახედვა ხდება თითოეული საანგარიშგებო თარიღისათვის, რათა დადგინდეს აღემატება თუ არა მათი საბალანსო ღირებულება მათ აღდგენით ღირებულებას. აღდგენითი ღირებულება წარმოადგენს უდიდეს გაყიდვის ხარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და არსებულ გამოყენებად ღირებულებას შორის. ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების აღდგენით ღირებულებაზე გადახედვის შემთხვევაში, აქტივები ექვემდებარება შემცირებას მათ აღდგენით ღირებულებამდე. გაუფასურებით მიღებული დანაკარგების აღიარება ხდება შესაბამის საანგარიშგებო პერიოდში და აისახება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგების ასახვის შემდეგ, ხდება ძირითადი საშუალებების ცვეთის კორექტირება შემდგომ პერიოდებში, იმისათვის, რომ გაანგარიშებული აქტივების საბალანსო ღირებულება ნარჩენი ღირებულების გამოკლებით (თუ ასეთი არსებობს) სისტემატურად გადაანაწილდეს დარჩენილ სასარგებლო მოხმარების პერიოდზე.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მოიცავს კომპიუტერულ პროგრამებს და ლიცენზიებს.

ცალკე შესყიდული არამატერიალური აქტივები ინდივიდუალურად აღირიცხება და თვითღირებულებით აისახება თავდაპირველი აღიარებისას. თავდაპირველი აღიარების შემდგომ აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების გამოკლებით. არამატერიალური აქტივების მოხმარების პერიოდი შეფასებულია როგორც განსაზღვრული, ან განუსაზღვრელი ვადის მქონე. ვადიანი არამატერიალური აქტივები ამორტიზებულია 5 წლიანი სასარგებლო მოხმარების ვადის განმავლობაში და მათი შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება გაუფასურების ობიექტური მაჩვენებლის არსებობისას. ვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის პერიოდისა და მეთოდების გადახედვა ხორციელდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ქონება, რომელიც გამოიყენება გაქირავების მიზნით შემოსავლის მისაღებად და/ან კაპიტალის ასაფასებლად (ასეთი მიზნებისთვის მიმდინარე მშენებლობის ქონების ჩათვლით). საინვესტიციო ქონება თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით გარიგების ღირებულების ჩათვლით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ საინვესტიციო ქონება წარმოდგენილია ისტორიული ღირებულებით დაგროვილი ცვეთის და აღიარებული გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ცვეთის გაანგარიშება წარმოებს წრფივი მეთოდით აქტივის სასიცოცხლო პერიოდის მანძილზე.

გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები

გრძელვადიანი აქტივები კლასიფიცირდება, როგორც გასაყიდად გამიზნული იმ შემთხვევაში თუ არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ აქტივების საბალანსო ღირებულება აღდგება გაყიდვის გარიგების შედეგად და არა აქტივის გამოყენების გაგრძელების შედეგად, და თუ

აქტივის (ან სარეალიზაციო ჯგუფის) გაყიდვა შესაძლებელია დაუყოვნებლივ მის არსებულ მდგომარეობაში. ხელმძღვანელობამ უნდა განახორციელოს და დასრულებულად ასახოს გაყიდვა აქტივის გასაყიდად განკუთვნილად აღიარების თარიღიდან ერთ წელიწადში.

გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივების შეფასება ხდება საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვის ხარჯით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. იმ შემთხვევაში, თუ გასაყიდად გამიზნული აქტივების რეალური ღირებულება გაყიდვის ხარჯების გამოკლებით ნაკლებია საბალანსო ღირებულებაზე, გაუფასურების დანაკარგები აისახება სხვა მოგება-ზარალისა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როგორც ზარალი გასაყიდად გამიზნულ გრძელვადიან აქტივებზე. აქტივების გაყიდვის ხარჯების გამოკლებით რეალური ღირებულების შემდგომი ზრდა აღიარებას ექვემდებარება დაგროვილი გაუფასურების დანაკარგების თანხით, რომელიც უკვე აისახა ამ კონკრეტულ აქტივთან მიმართებაში.

საგადასახადო დაბეგვრა

ბანკის აქტივები, ქონება და შემოსავალი, ისევე როგორც მისი საქმიანობა და ოპერაციები არ ექვემდებარება დაბეგვრას და სხვა მოსაკრებლების გადახდას.

ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ბანკს აქვს მიმდინარე იურიდიული ან პირობითი ვალდებულებები, რომლებიც წარმოიშვა წარსული მოვლენების შედეგად და რომელთა დაფარვისათვის შესაძლებელია საჭირო გახდეს ეკონომიკური სარგებლის მატარებელი რესურსების გადინება და აღნიშნული ვალდებულების შეფასება შესაძლებელია საკმარისი სიზუსტით.

პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მაგრამ წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში ანგარიშსწორებისას სახსრების ნებისმიერი გადინების შესაძლებლობის არსებობამდე. პირობითი აქტივი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აისახება, მაგრამ წარმოდგენილია იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური მოვების მიღებაა ნავარაუდები.

საპენსიო და სხვა ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ

2013 და 2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს არ გააჩნდა რაიმე მოქმედი საპენსიო გეგმა, ან პენსიაზე გასვლის შემდგომი კომპენსაცია. 2013 და 2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს შესაბამისად გააჩნდა საპენსიო სქემის მიხედვით ვალდებულებები 411 და 523 ათასი ლარის ოდენობით (შენიშვნა 19), რაც წარმოადგენს 2009 წლის 29 მაისს გაუქმებული საპენსიო პროექტის მიხედვით გადასახდელ ვალდებულებებს. ამ საპენსიო პროექტის ფარგლებში ბანკი საკუთარი თანამშრომლებისაგან იღებდა საპენსიო შენატანებს და საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ დაგროვილი თანხიდან უხდიდა თანამშრომლებს პენსიას წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით.

4. ხელმძღვანელობის ბანჯის სფეროები და შეფასებების არასარწმუნოების წყარო

ბანკის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესი მოითხოვს ხელმძღვანელობის შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებსაც გაეგნა აქვს ანგარიშგების თარიღისათვის აქტივებისა და ვალდებულებების წარმოდგენილ თანხებზე და აღიარებულ მოგებასა და ზარალზე პერიოდის ბოლოსათვის. დაშვებები და განსჯითი შეფასებები მუდმივად განიხილება ხელმძღვანელობის მიერ. ხელმძღვანელობის შეფასება ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც მართებულად ითვლება მოცემულ გარემოებებში. ბანკის ფაქტიური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ დაშვებებისაგან სხვადასხვა პირობებში.

შეფასებები და შესაბამისი დაშვებები ფასდება საწარმოს უწყვეტობის დაშვების პრინციპით. ბუღალტრული შეფასებების შესწორება აღიარებას ექვემდებარება იმ პერიოდისათვის, როდესაც ხდება შესწორება, თუ შესწორება ეხება მხოლოდ ამ პერიოდს, ხოლო იმ შემთხვევაში თუ იგი ეხება მიმდინარე და მომავალ პერიოდებს, შესაბამისად შესწორება მოხდება მიმდინარე და შემდგომ პერიოდებში.

ბანკის ფინანსური მდგომარეობის წარმოდგენისათვის მნიშვნელოვნად ითვლება შემდეგი დაშვებები და შეფასებები.

ბუღალტრული პოლიტიკების განსაზღვრის კრიტიკული განსჯა

შემდეგი საკითხები წარმოადგენს კრიტიკული განსჯის საგანს, იმ შეფასებების გარდა, რომლებიც ხელმძღვანელობამ გააკეთა ბანკის ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკების განსაზღვრის პროცესში და რომელთაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებზე.

დაფარვის ვადაძდე ფლობილი ინვესტიციები

ხელმძღვანელობამ განიხილა ბანკის დაფარვის ვადაძდე ფლობილი ინვესტიციები კაპიტალის შენარჩუნებისა და ლიკვიდობის მოთხოვნების ჭრილში და დაადასტურეს, რომ ბანკს გააჩნია განზრახვა და უნარი, ფლობდეს მათ დაფარვის ვადაძდე. დაფარვის ვადაძდე ფლობილი ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება 482,207 ათას ლარს შეადგენს. ამ აქტივების შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია მე-15 შენიშვნაში.

შეფასებების არასარწმუნოების უმთავრესი წყაროები

ქვემოთ წარმოდგენილია მომავალთან და სხვა შეფასების არასარწმუნოების ძირითად წყაროებთან დაკავშირებული უმთავრესი დაშვებები, რომლებიც ატარებენ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების არსებითი კორექტირების მნიშვნელოვან რისკს მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში.

ფინანსური ინსტრუმენტების შეფასება

მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით ასახული გასაყიდად არსებული ინვესტიციები და ყველა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი ასახულია რეალური ღირებულებით. ამ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება წარმოადგენს დადგენილ თანხას, რომლითაც იგი გაიცვლება მოსურვე მხარეებს შორის გარდა იძულებითი, ან სალიკვიდაციო გაყიდვისა. თუ კოტირებული ინსტრუმენტის საბაზრო ღირებულება არსებობს, რეალური ღირებულება იანგარიშება საბაზრო ღირებულებაზე დაყრდნობით. როდესაც შეფასების პარამეტრები არ ჩანს ბაზრის მონაცემებიდან, ან მათი განსაზღვრა შეუძლებელია საბაზრო ფასებზე დაყრდნობით, რეალური ღირებულება დგინდება სხვა არსებულ საბაზრო მონაცემებზე დაყრდნობით, რომელიც შეესაბამება თითოეული პროდუქტისა და ფასის დადგენის მოდელს და იყენებს ფინანსურ თეორიებზე დაფუძნებულ მათემატიკურ მეთოდოლოგიას. ფასის დადგენის მოდელები ითვალისწინებს ფასიანი ქაღალდების კონტრაქტის პირობებს და შეფასების საბაზრო პარამეტრებს, როგორცაა საპროცენტო განაკვეთები, ცვალებადობა, გაცვლითი კურსები და კონტრაგენტის საკრედიტო რეიტინგი. იქ სადაც არ არსებობს ბაზარზე დაფუძნებული პარამეტრები, ხელმძღვანელობა ადგენს ამ პარამეტრის შეფასების საუკეთესო შედეგს იმის გათვალისწინებით, თუ ინსტრუმენტის რა ფასი დადგინდებოდა ბაზარზე. ამ მიდგომის განხორციელებისას გამოიყენება სხვადასხვა ინსტრუმენტები, რომლებიც მოიცავს: სარწმუნო განსახილველ მონაცემებს, ისტორიულ მონაცემებს და ექსტრაპოლაციის მეთოდებს. თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების საუკეთესო დასაბუთება არის გარიგების ფასი, თუ ინსტრუმენტი დასაბუთებულია საბაზრო მონაცემებთან შედარების საფუძველზე. ნებისმიერი სხვაობა გარიგების ფასსა და ღირებულებას შორის, რომელიც შეფასების ტექნიკას ეფუძნება არ

აისახება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარებისას.

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების საუკეთესო დასაბუთება არის გარიგების ფასი, თუ ინსტრუმენტი დასაბუთებულია საბაზრო მონაცემებთან შედარების საფუძველზე.

ბანკი მიიჩნევს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის შეფასებასთან დაკავშირებული ბუღალტრული დაშვება, იმ შემთხვევაში როდესაც კოტირებული საბაზრო ფასები არ არის ხელმისაწვდომი, წარმოადგენს შეფასების არასაწარმოების მთავარ წყაროს, რადგან (I) არსებობს დიდი ალბათობა მისი პერიოდული ცვლილებისა, რადგანაც იგი საჭიროებს ხელმძღვანელობის შეფასებებს საპროცენტო განაკვეთებთან, ცვალებადობასთან, გაცვლით კურსებთან, კონტრაგენტის საკრედიტო რეიტინგთან, შეფასების კორექტირებასა და გარიგების სპეციფიურ მახასიათებლებთან მიმართებაში; და (II) შეფასების ცვლილების აღიარების ეფექტი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს აქტივებსა და ასევე მოგებას ან ზარალზე, რომელიც შეიძლება არსებითი აღმოჩნდეს.

ხელმძღვანელობას რომ გამოეყენებინა სხვა დაშვებები საპროცენტო განაკვეთებთან, ცვალებადობასთან, გაცვლით კურსებთან, კონტრაგენტის საკრედიტო რეიტინგთან და შეფასების კორექტირებასთან მიმართებაში, იმ ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებისას, რომელთათვისაც არ არსებობს კოტირებული საბაზრო ფასები, შეფასების როგორც დიდ ასევე პატარა ცვლილებას არსებითი გავლენა ექნებოდა ბანკის წარმოდგენილ წმინდა მოგებაზე.

გაუფასურების დანაკარგების რეზერვი

ბანკი გაუფასურების შეფასების მიზნით რეგულარულად განიხილავს საკუთარ სესხებსა და ავანსებს. გაუფასურების დანაკარგების აღიარების მიზნით ბანკი საკუთარი სესხებისა და ავანსების პორტფელში ადგენს სესხების გაუფასურების რეზერვს. ბანკი სესხების გაუფასურების რეზერვთან დაკავშირებულ ბუღალტრულ დაშვებებს მიიჩნევს შეფასების არასაწარმოების მთავარ წყაროდ, რადგან (I) არსებობს დიდი ალბათობა მათი პერიოდული ცვლილებისა, რადგანაც მომავალი გადაუხდელობის შეფასება და გაუფასურებულ სესხებთან და ავანსებთან დაკავშირებული დანაკარგების განსაზღვრა დაფუძნებულია იმ პერიოდისათვის არსებულ ინფორმაციაზე, და (II) ბანკის მიერ განსაზღვრულ დანაკარგებსა და რეალურ დანაკარგებს შორის ნებისმიერი მნიშვნელოვანი სხვაობა გამოიწვევს ბანკის რეზერვების ისეთ კორექტირებას, რომელმაც შეიძლება არსებითი გავლენა იქონიოს მის ფინანსურ ანგარიშგებაზე მომავალში.

ბანკი ეყრდნობა ხელმძღვანელობის პროფესიულ განსჯას ნებისმიერი გაუფასურების დანაკარგების დასადგენად იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი ფინანსური პრობლემების წინაშე აღმოჩნდა და თუ ისტორიული გამოცდილების მონაცემები მსგავსი მსესხებლების შესახებ მწირია. ბანკი ფულადი სახსრების მოძრაობაში ცვლილებებს განსაზღვრავს წინა პერიოდის გამოცდილებაზე და ხელმისაწვდომ მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებიც მიუთითებს უარყოფით ცვლილებებზე ჯგუფში შემავალი მსესხებლის გადახდისუნარიანობის და ადგილობრივი ეკონომიკური პირობების თვალსაზრისით, რაც უკავშირდება ბანკის აქტივების ამოღების შესაძლებლობის არ არსებობას. ხელმძღვანელობა იყენებს დაშვებებს იმ აქტივების ისტორიულ დანაკარგებზე დაყრდნობით, რომელთა საკრედიტო რისკების მახასიათებლები და გაუფასურების ობიექტური მაჩვენებლები მსგავსია სესხების მოცემული ჯგუფისათვის. ბანკი მიმართავს ხელმძღვანელობის პროფესიულ განსჯას და აკორექტირებს სესხების ჯგუფის შესახებ არსებულ მონაცემებს მიმდინარე გარემოებების გათვალისწინებით, რომლებიც აქამდე არ ასახულა ისტორიულ მონაცემებში.

ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვი ფინანსურ ანგარიშგებაში განისაზღვრა არსებული ეკონომიკური და პოლიტიკური პირობების გათვალისწინების საფუძველზე.

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მოხმარების ვადა

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები წარმოდგენილია ისტორიული ღირებულებით დაგროვილი ცვეთის/ამორტიზაციის და დაგროვილი გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით. ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მოხმარების ვადის დადგენა წარმოადგენს ხელმძღვანელობის მსჯელობის საგანს მსგავს აქტივებთან არსებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით. აქტივების სასარგებლო მოხმარების ვადის დადგენისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელ გამოყენებას, ტექნიკურ და იურიდიულ მოქველებას, ფიზიკურ მოხმარებასა და ცვეთას და აქტივის საოპერაციო გარემოს პარამეტრებს. ცვლილება მომელიმე ერთ პირობაში ან შეფასებაში შეიძლება გამოიწვიოს მომავალში ცვეთისა და ამორტიზაციის განაკვეთის კორექტირება.

5. ახალი და შესწორებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) მიღება

ცვლილებები ფასს-ში, რაც აისახა ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ თანხებზე

შესწორებები ფასს 7-ში *“ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები”*. მიღებული შესწორება ზრდის განმარტებითი შენიშვნების ვალდებულებას ისეთი ტრანზაქციებისათვის, რომლებიც ფინანსური აქტივების გადაცემას ეხება. განახლებული სტანდარტის მიზანია მეტი გამჭვირვალობის შექმნა ფინანსური აქტივების გადაცემის შემთხვევაში რისკის ზემოქმედების საკითხში.

მიმდინარე წელს ბანკს სხვა პირისათვის არ გადაუცია ისეთი ფინანსური აქტივები, რომლებიც შედეგად ახალი შესწორებისა და, შესაბამისად, მეტი განმარტებითი შენიშვნების ვალდებულების ამოქმედებას გამოიწვევდა.

შესწორება ბასს 1-ში *“ფინანსური ანგარიშგების წარდგენა” (2011 წლის ივნისის რედაქცია)*. ბანკი ბასს 1-ის შესწორებას (“სხვა სრული შემოსავლების კომპონენტების წარდგენა“) ძალაში შესვლამდე (2012 წლის 1 ივლისს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდები), წინასწარ იყენებს. შესწორებით მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში განმარტების სავალდებულო ხარისხი გაიზარდა.

ამ შესწორების შედეგად, შესაძლებელი ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში მოხდეს ერთმანეთისგან განსხვავება და განცალკავება იმ კომპონენტების, რომელთა შემდგომი რეკლასიფიცირება მოგება-ზარალში არ მოხდება და იმ კომპონენტების, რომლებიც შემდგომში, შესაბამისი ფასს-ის მიხედვით, მოგება-ზარალში რეკლასიფიცირებას ექვემდებარება. ბასს 1-ის შესწორების გამოყენება მოგებაზე ან ზარალზე, სხვა სრულ შემოსავლებსა და სულ სრულ შემოსავლებზე ზეგავლენას არ ახდენს.

ფასს 13 “რეალური ღირებულების შეფასება”. ბანკმა ფასს 13 პირველად მიმდინარე წელს გამოიყენა. ფასს 13 ადგენს რეალური ღირებულების გაზომვისა და მისი შეფასების ერთიან ინსტრუქციებს. ფასს 13-ის მოქმედების სპექტრი ფართოა და მისი მოთხოვნები რეალური ღირებულების თვალსაზრისით ვრცელდება როგორც ფინანსურ ინსტრუმენტებზე, აგრეთვე არაფინანსურ ინსტრუმენტებზე, რომლებზეც სხვა ფასს-ების მიხედვით, რეალური ღირებულების გაზომვა და შეფასება საჭირო და ნებადართულია.

ფასს 13 რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს, როგორც ფასს, რომელსაც პირი მიიღებდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების გადასაცემად ჩვეულებრივ ტრანზაქციაში ძირითად (ან საუკეთესო) ბაზარზე გაზომვის დღეს მიმდინარე საბაზრო პირობებში. ფასს 13-ის მიხედვით, რეალური ღირებულება არის გასვლის ფასი იმის მიუხედავად, მასზე დაკვირვება პირდაპირ შეიძლება თუ იგი შეფასების სხვა ტექნიკით დგინდება. გარდა ამისა, ფასს 13 განმარტებითი შენიშვნების ვრცელ მოთხოვნებსაც მოიცავს.

დამატებითი განმარტებებითი შენიშვნების გარდა ფასს 13-ის ამოქმედებას ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე არსებითი ზეგავლენა არ მოუხდენია.

ახალი და რედაქტირებული, გამოქვეყნებული, მაგრამ ძალაში ჯერ არშესული ფასს-ები

ბანკი არ იყენებს შემდეგ ახალ და რედაქტირებულ, გამოქვეყნებულ მაგრამ ძალაში ჯერ არშესულ ფასს-ებს:

ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“

შესწორება ფასს 9-ში და ფასს 7-ში: “ფასს 9-ის ძალაში სავალდებულო შესვლის თარიღი და გარდამავალი განმარტებები”.²

შესწორება ბასს 32-ში “ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ურთიერთთანხვევა”¹

შესწორება ბასს 36-ში: “აქტივების გაუფასურება”¹

შესწორება ბასს 39-ში “ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება”¹

შესწორება ფასს 21 “გადასახდლებები”¹

ფასს 9 “ფინანსური ინსტრუმენტები”. 2009 წლის ნოემბერში გამოქვეყნებული ფასს 9 ახალ მოთხოვნებს აწესებს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის თვალსაზრისით. 2010 წლის ოქტომბერში ფასს-ში 9 შევიდა შესწორება, რომელიც ითვალისწინებს მოთხოვნებს ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციის, გაზომვისა და აღიარების გაუქმების თვალსაზრისით.

ფასს 9-ის ძირითადი მოთხოვნები:

- ყველა აღიარებული ფინანსური აქტივი, რომელსაც ბასს 39-ის “ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება” მოიცავს, აღიარების შემდგომ შეფასდება ამორტიზებული ან რეალური ღირებულებით. კერძოდ, სავალო ინვესტიციები, რომლებსაც საწარმო ფლობს ისეთი ბიზნეს მოდელით, რომლის მიზანი საკონტრაქტო ფულადი სახსრების შეკრებაა და რომელთა საკონტრაქტო ფულადი სახსრები მხოლოდ ძირითადი თანხისა და მის დარჩენილ ნაწილზე დარიცხულ პროცენტს მოიცავს, შემდგომი საანგარიშო პერიოდების ბოლოს შეფასდეს ამორტიზებული ღირებულებით. ყველა სხვა სავალო ინვესტიცია და ინვესტიცია კაპიტალში შემდგომი საანგარიშო პერიოდის ბოლოს იზომება რეალური ღირებულებით. გარდა ამისა, ფასს 9-ის მიხედვით, საწარმოს შეუძლია შეუქცევადად წარმოადგინოს კაპიტალში ინვესტიციის (არა სავაჭროდ გამიზნული) რეალური ღირებულების რეტროსპექტიული ცვლილებები სხვა სრულ შემოსავლებში, მხოლოდ დივიდენდის მოგებაში ან ზარალში აღიარებით.
- მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით დაფიქსირებული ფინანსური ვალდებულებების გაზომვასთან დაკავშირებით, ფასს 9 ითხოვს, რომ ამ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებით გამოწვეული რეალური ღირებულების ცვლილების ოდენობა წარმოდგენილი იქნეს სხვა სრულ შემოსავლებში, თუ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილების შედეგების აღიარება სხვა სრულ შემოსავლებში საბუღალტრო შეუსაბამობას შექმნის ან გაზრდის მოგება-ზარალში. ფინანსური ვალდებულების საკრედიტო რისკით გამოწვეული რეალური ღირებულების ცვლილება შემდგომში მოგება-ზარალში არ რეკლასიფიცირდება. ბასს 39-ის მიხედვით, ფინანსური ვალდებულების მოგება-ზარალში დაფიქსირებული რეალური ღირებულების ცვლილების მთლიანი ოდენობა მოგება-ზარალში არის ასახული.

ბანკის ხელმძღვანელობის პროგნოზით, მომავალში ფასს 9-ის გამოყენებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს ბანკის ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებზე. თუმცა, დეტალური შემოწმების გარეშე ფასს 9-ის ეფექტზე ადეკვატური მსჯელობა არაგონივრული იქნებოდა.

¹ ძალაშია 2014 წლის 1 იანვრიდან ან მანამდე დაწყებული წლიური პერიოდისათვის, ადრეული გამოყენება დაშვებულია.

² ძალაშია 2015 წლის 1 იანვრიდან და მანამდე დაწყებული წლიური პერიოდისათვის, ადრეული გამოყენება დაშვებულია.

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები (ბაზრქველვა)
2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

შესწორებები ბასს 32-ში “ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ურთიერთნათვლა”. ბასს 32-ის შესწორება განმარტავს ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ურთიერთნათვლასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. კერძოდ, შესწორება გეისსნის, თუ რა იგულისხმება ფრაზებში “ამჟამად გააჩნია ურთიერთნათვლის სამართლებრივად აღსრულებადი უფლება” და “ერთდროული რეალიზაცია და ანგარიშსწორება”.

ბანკის ხელმძღვანელობის აზრით, ბასს 32-ის ამ შესწორებების ამოქმედება არ იქონიებს მნიშვნელოვან ზეგავლენას ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე, რადგან ბანკს ურთიერთნათვლელი ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები არ გააჩნია.

6. საკომისიო შემოსავლები და ხარჯები

საკომისიო შემოსავლები და ხარჯები მოიცავს:

	2013	2012
საკომისიო შემოსავლები:		
ფულადი სახსრების გადარიცხვა	1,232	1,049
სხვა	17	27
სულ საკომისიო შემოსავლები	1,249	1,076
საკომისიო ხარჯები:		
გარე მენეჯერისათვის გადახდილი საკომისიო	(650)	(494)
ანგარიშსწორების ოპერაციები	(336)	(202)
ნაღდ ფულთან დაკავშირებული ოპერაციები	(71)	(131)
სულ საკომისიო ხარჯები	(1,057)	(827)

7. სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავლები მოიცავს:

	2013	2012
შემოსავალი მიღებული გრანტიდან	1,123	1,102
სამახსოვრო მონეტების გაყიდვიდან მიღებული მოგება	524	633
შემოსავალი ჯარიმებიდან	183	882
სხვა	71	392
სხვა შემოსავლები	1,901	3,009

8. საოპერაციო ხარჯები

საოპერაციო ხარჯები მოიცავს:

	2013	2012
ხელფასები და პრემიები	11,482	10,721
ანაზღაურებადი შევსება და ბიულეტენი	687	596
სულ თანამშრომლებზე გაწეული ხარჯები	12,169	11,317

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდაართული შენიშვნები (გაბრძანება)
2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

	2013	2012
საჯარო სამართლის იურიდიული პირების დაფინანსებასთან დაკავშირებული ხარჯები	1,092	1,233
საინფორმაციო მომსახურება	929	822
კომუნალური ხარჯები	765	589
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი	619	205
დაცვის ხარჯები	448	633
პროფესიული მომსახურება	446	170
სოციალური დახმარება	438	408
საწვავის ხარჯები	226	259
რემონტი და შეკეთება	214	28
პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება	159	73
წარმომადგენლობითი ხარჯები	144	79
მივლინება და მასთან დაკავშირებული ხარჯები	136	145
დაზღვევის ხარჯები	75	48
კომუნიკაციის ხარჯები	69	106
საოფისე ხარჯი	22	26
სარეკლამო ხარჯები	13	179
სხვა	551	451
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6,346	5,454
ცვეთის ხარჯი (შენიშვნა 17)	4,634	2,459
ამორტიზაციის ხარჯი (შენიშვნა 18)	1,331	1,294
სულ ცვეთა და ამორტიზაცია	5,965	3,753

ბანკის მიერ დაფინანსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხარჯები მოიცავს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურთან დაკავშირებულ ხარჯებს.

9. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი, 2013	31 დეკემბერი, 2012
ნაღდი ფული უცხოური ვალუტით	250,157	237,730
90 დღემდე ვადის მქონე დეპოზიტები ფინანსურ ინსტიტუტებში	1,203,651	1,087,192
მიმდინარე ანგარიშები	60,373	149,450
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	1,514,181	1,474,372

2013 და 2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად 851,737 და 1,102,981 ათასი ლარი განთავსებული იყო საერთაშორისო აღიარებული ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეგთო) ოცდაერთ (2012: ცხრა) კომერციულ და ცენტრალურ ბანკში მიმდინარე ანგარიშებსა და ოთხმოცდაათ დღემდე დაფარვის ვადის მქონე დეპოზიტებზე.

2013 და 2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ინსტიტუტების ოთხმოცდაათ დღემდე საწყისი ვადის მქონე დეპოზიტებზე წლიური საპროცენტო განაკვეთის დიაპაზონი შესაბამისად შეადგენდა 0.05-2.42 და 0.16-3 პროცენტს.

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული ფინიშნები (ბაზრქმეზა)
2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

10. მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ

2013 და 2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ მოიცავს:

	31 დეკემბერი 2013	31 დეკემბერი 2012
მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ უცხოური ვალუტით:		
მოთხოვნები არარეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ დეპოზიტები	58	355
სულ მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ უცხოური ვალუტით	58	355
მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ ეროვნული ვალუტით		
მოთხოვნები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ რეფინანსირების სესხები	370,200	364,410
ერთდღიანი სესხი	30,000	-
კომერციულ ბანკებზე გაცემული ბოლო ინსტანციის სესხი	-	26,666
სულ მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ ეროვნული ვალუტით	400,200	391,076

2013 და 2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ინსტიტუტების ოთხმოცდაათ დღეზე მეტი ვადის მქონე დეპოზიტებზე წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენდა 0 პროცენტს.

2013 და 2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს გააჩნდა რეფინანსირების სესხები გაცემული ორ კომერციულ ბანკზე 330,179 ათასი ლარის ოდენობით და სამ კომერციულ ბანკზე 364,410 ათასი ლარის ოდენობით, შესაბამისად 3.75-4.75 და 5.25-5.3 წლიური საპროცენტო განაკვეთის დიაპაზონით.

სესხის უზრუნველყოფა

სესხის უზრუნველყოფის ტიპი და კრიტერიუმები თითოეული უზრუნველყოფის ტიპისთვის განისაზღვრება ბანკის საბჭოს მიერ. უზრუნველყოფისთვის მიღებული ტიპებია ა) საქართველოს მთავრობასა და ბანკის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდები, ბ) საერთაშორისო ბანკის გარანტიები; გ) კომერციული ბანკებისგან სესხის აქტივების მოთხოვნა. ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტი პერიოდულად განსაზღვრავს თითოეული ტიპის უზრუნველყოფის დასაკავებელ თანხას. კანონით განსაზღვრულ განსაკუთრებულ შემთხვევებში, ბანკის საბჭო უფლებამოსილია უზრუნველყოფის გარეშე გასცეს ბოლო ინსტანციის სესხი. კანონის თანახმად საქართველოს ეროვნულ ბანკს გააჩნია მსესხებლის აქტივების დაყადაღების პირველადი უფლება.

რეფინანსირების სესხებზე მიღებული უზრუნველყოფის ძირითადი ტიპებია ბანკის მიერ გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები, კომერციული ბანკების სასესხო პორტფელი და სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები.

ბანკის საბჭო მონიტორინგს უწევს უზრუნველყოფის საბაზრო ღირებულებას, შესაბამისი ხელშეკრულების თანახმად ითხოვს დამატებით უზრუნველყოფას და განიხილავს უზრუნველყოფის საბაზრო ღირებულებას სესხის გაუფასურების რეზერვის ადეკვატურობის განხილვისას.

საქართველოს ეროვნული ბანკი

ზინანსურ ანგარიშგებასთან თანდაართული შინაშენები (ბაბრქელებ)
2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

11. ნაშთები საერთაშორისო სავალუტო ფონდის (“სსფ”) მიმართ

ნაშთები საერთაშორისო სავალუტო ფონდის (“სსფ”) მიმართ მოიცავს:

	31 დეკემბერი 2013	31 დეკემბერი 2012
SDR-ის ანგარიში საერთაშორისო სავალუტო ფონდში	<u>385,345</u>	<u>366,645</u>
მოთხოვნები საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ		
მიმდინარე ანგარიშები		
მიმდინარე ანგარიში № 1	936	948
მიმდინარე ანგარიში № 2	<u>25</u>	<u>25</u>
	961	973
საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან მიღებული სახსრები		
“სთენდ-ბაი” შეთანხმება (SBA)	72,805	420,452
სიღარიბის დაძლევა და ეკონომიკური ზრდა (PRGF)	126,414	169,567
ზოგადი SDR-ის სახსრების განაწილება	297,976	283,797
სპეციალური SDR-ის სახსრების განაწილება	<u>87,025</u>	<u>82,796</u>
	584,220	956,612
სულ ვალდებულებები საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ	<u>585,181</u>	<u>957,585</u>
გარე-საბალანსო ნაშთები:		
საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვოტა	<u>373,445</u>	<u>338,511</u>
საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვოტისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან მიღებული სახსრების უზრუნველსაყოფად ფლობილი ფასიანი ქაღალდები	<u>(835,225)</u>	<u>(1,429,718)</u>

SDR-ის ანგარიში საერთაშორისო სავალუტო ფონდში

SDR-ის ანგარიში წარმოადგენს ბანკის მიმდინარე ანგარიშს საერთაშორისო სავალუტო ფონდში, რომელიც გამოიყენება სესხებთან დაკავშირებული ოპერაციებისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ანგარიშსწორებისათვის. SDR-ის ანგარიში ძირითადად შეადგენს საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან ხელშეკრულების თანახმად მიღებულ SDR სახსრების ზოგად და სპეციალურ განაწილებას. SDR-ის ანგარიშზე დარიცხული პროცენტის გაანგარიშება ხდება საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ყოველკვირეულად დადგენილი განაკვეთით, რომელიც ეფუძნება ძირითად ფულად ბაზრებზე არსებულ მოკლევადიან საბაზრო განაკვეთებს. 2013 და 2012 წლების განმავლობაში საშუალო წლიურმა საპროცენტო განაკვეთმა შესაბამისად შეადგინა 0.84 და 0.1 პროცენტი.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმდინარე ანგარიშები

ბანკს მოეთხოვება საერთაშორისო სავალუტო ფონდის ორი ანგარიშის ფლობა: მიმდინარე ანგარიში №1 და მიმდინარე ანგარიში №2. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ანგარიში №1 გამოიყენება საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ საოპერაციო ანგარიშსწორებისათვის, ხოლო მიმდინარე ანგარიში №2 განკუთვნილია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ლარში წარმოშობილი საოპერაციო ხარჯების დასაფარად.

საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან მიღებული სახსრები

საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან მიღებული სახსრები წარმოადგენს 0.5 წლიური საპროცენტო განაკვეთის მქონე ათ წლიან PRGF სესხს, რომელიც მიღებულ იქნა სიღარიბის დაძლევისა და მაკროეკონომიკური სტაბილურობის ხელშეწყობისათვის. PRGF-ECF (“Extended Credit Facility”) ტრასტი სახსრებს ცენტრალური ბანკებისაგან, სამთავრობო და სხვა

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდაართული შინიშნები (ბაბრქელება)

2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათასი ლარი)

ოფიციალური დაწესებულებებისგან სესხულობს ძირითადად საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და გასცემს PRGF-ზე უფლების მქონე ქვეყნებზე. საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან მიღებული სხვა სახსრებისათვის ამგვარი ტრასტი არ არსებობს. 2010 წლის 7 იანვრიდან პროცენტი PRGF-ECF სესხებზე დროებით გაუქმდა 2011 წლის 31 დეკემბრამდე. 2012 წლის 21 დეკემბერს საერთაშორისო სავალუტო ფონდის საბჭომ 2014 წლის 31 დეკემბრამდე გადაავადა 2010 წლის 7 იანვარს შემოღებული პროცენტის გაუქმება PRGF სესხზე. 2014 წლის ბოლოს საერთაშორისო სავალუტო ფონდი გადახედავს საპროცენტო განაკვეთებს PRGF-ECF სახსრებისთვის და ამ თარიღიდან ყოველ ორ წელიწადში განიხილავს მათ. 2014 წლის შემდეგ PRGF-ECF სესხებზე მოსალოდნელი წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 0.25 პროცენტს.

ხუთ წლიანი დაფარვის ვადისა და ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე SBA სახსრები გაცემულ იქნა ერთიანი საერთაშორისო რეზერვებისა და ინვესტორების ნდობის აღდგენის მიზნით. 2013 და 2012 წლების განმავლობაში წლიური საპროცენტო განაკვეთის დიაპაზონი SBA სახსრებზე შესაბამისად შეადგენს 1.03-1.13 და 1.05-1.15 პროცენტს. SBA სესხის დაფარვა დაიწყო 2011 წელს.

საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან მიღებული სახსრები მთლიანად დენომინირებულია SDR-ში. PRGF სესხის სრულად დაფარვა მოსალოდნელია 2017 წელს, ხოლო SBA სესხის – 2014 წელს.

SDR სახსრების განაწილება

SDR სახსრების განაწილება წარმოადგენს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ უზრუნველყოფის გარეშე. საპროცენტო განაკვეთის მქონე SDR სახსრების განაწილებას ზოგადი და სპეციალური სახსრების სახით. სახსრების ზოგადი განაწილება საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ხელშეკრულების თანახმად ხორციელდება SDR განყოფილების ყველა წევრისათვის კოტის პროპორციულად. 2009 წლის 10 აგვისტოთი დათარიღებული საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელშეკრულების მეოთხე ცვლილება, რომელიც განსაზღვრავს SDR სახსრების სპეციალურ, ერთჯერად განაწილებას, უკავშირდება გლობალური ლიკვიდობის ხელშეწყობას. ცვლილების თანახმად სახსრების სპეციალური განაწილება შეეხო საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრებს, მათ შორის საქართველოს, 2009 წლის 9 სექტემბერს. წევრები და განსაზღვრული მფლობელები უფლებამოსილი არიან SDR სახსრები გამოიყენონ საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ოპერაციების განსახორციელებლად. ბანკი სახსრების განაწილებას მიიწვევს საერთაშორისო სავალუტო ფონდის წინაშე უცხოურ ვალუტაში არსებულ ვალდებულებად.

საქართველო, როგორც საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრი და სახსრების მიმღები ქვეყანა, ვალდებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის წინაშე იმ თანხით, რომელიც უტოლდება მასზე განაწილებულ წმინდა აკუმულირებულ სახსრებს და ნებისმიერ სხვა თანხას, რომელიც ექვემდებარება გადახდას წევრობის შეწყვეტის, ან საერთაშორისო სავალუტო ფონდის SDR განყოფილების გაუქმების შემთხვევაში. SDR სახსრების განაწილების საპროცენტო განაკვეთის დიაპაზონი 2013 და 2012 წლებში შესაბამისად შეადგენდა წლიურ 1.03-1.13 და 0.03-0.15 პროცენტს.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის კოტა

საერთაშორისო სავალუტო ფონდის კოტა წარმოადგენს საქართველოს საწევრო შენატანს საერთაშორისო სავალუტო ფონდში, რომელსაც არ ერიცხება საპროცენტო განაკვეთი.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის კოტისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან მიღებული სახსრების უზრუნველსაყოფად ფლობილი ფასიანი ქაღალდები

ფასიანი ქაღალდი შედგება საერთაშორისო სავალუტო ფონდის კოტის უზრუნველსაყოფად ფლობილი 373,445 ათასი ლარისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან მიღებული

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები (გაბრკელება)
2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარით)

სახსრების უზრუნველსაყოფად ფლობილი 835,225 ათასი ლარისაგან, ფასიანი ქაღალდი საქართველოს მთავრობის მიერ გამოშვებულ იქნა 1992 წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდის კოტასთან მიმართებაში. უზრუნველყოფის სახით არსებული ფასიანი ქაღალდი მოიცავს საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან საქართველოს მთავრობისა და ბანკის მიერ მიღებული სახსრების მთლიან ნომინალურ ღირებულებას. ფასიანი ქაღალდის ნომინალური ღირებულება იცვლება ყოველწლიური გადაფასებისას და ბანკის მიერ საერთაშორისო სავალუტო ფონდის საერთო რესურსების ანგარიშიდან სახსრების მიღებისას. ფასიანი ქაღალდს ბანკი ფლობს შენახვის მიზნით, შედეგად მისი აღრიცხვა ხდება გარე-საბალანსო ანგარიშზე და წარმოდგენილია ნომინალური ღირებულებით.

12. წარმოებული ფინანსური აქტივები

	<u>31 დეკემბერი 2013</u>		<u>31 დეკემბერი 2012</u>	
ფიუნერის მარჟა	600		191	
	<u>საბალანსო ღირებულება</u>	<u>პირობითი ღირებულება</u>	<u>საბალანსო ღირებულება</u>	<u>პირობითი ღირებულება</u>
საპროცენტო განაკვეთის ფიუნერის:				
საპროცენტო განაკვეთზე ფიუნერსთან დაკავშირებული აქტივი	92	177,103	-	-
საპროცენტო განაკვეთზე ფიუნერსთან დაკავშირებული ვალდებულება	(23)	(612,053)	(5)	73,889
წმინდა პოზიცია ფიუნერსზე	69	(434,950)	(5)	73,889
წარმოებული ფინანსური აქტივები	669	(434,950)	186	73,889

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების გამოშვებისას მხარეები ხშირად ცვლიან მოლოდინებს გადახდის გარეშე ან მცირე გადახდით. ეს ფინანსური ინსტრუმენტები ხშირად მოიცავს დიდ რისკს და არის ძალიან მერყევი. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტის კონტრაქტის საფუძველად არსებული აქტივის ღირებულებაში, საპროცენტო განაკვეთისა ან ინდექსის ზომაში მომხდარმა მცირე ცვლილებამ შესაძლოა დიდი გავლენა იქონიოს ბანკის მოგებაზე ან ზარალზე.

13. სავაჭრო ფასიანი ქაღალდები

სავაჭრო ფასიანი ქაღალდები მოიცავს:

	<u>31 დეკემბერი 2013</u>	<u>31 დეკემბერი 2012</u>
სახელმწიფო სავალო ფასიანი ქაღალდები:		
French Treasury Bills	120,574	-
US Treasury Notes	99,411	125,651
Bundesrepublik Deutschland	39,316	-
Government of the Netherlands	18,313	-
Republic of Austria	17,516	-
Kingdom of Belgium	11,943	-
	<u>307,073</u>	<u>125,651</u>
სუპრანაციონალური სავალო ფასიანი ქაღალდები:		
African Development Bank	-	3,446
	-	<u>3,446</u>

საქართველოს ეროვნული ბანკი

ზინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები (გაგრძელება)
2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

სააგენტოს სახელი ფასიანი ქაღალდები:		
Kreditanstalt fuer Wiederaufbau	39,277	-
Svensk Exportkredit AB	16,060	-
FMS Wertmanagement	12,121	-
Kommunalbanken AS	6,081	-
Erste Abwicklungsanstalt	5,923	-
Municipality Finance PLC	5,237	-
Province of Ontario	3,518	1,749
Federal Home Loan	3,473	6,645
Caisse Des Depots et Consignations	3,458	-
Japan Bank for International Cooperation	3,437	-
Bank Nederlandse Gemeenten	3,044	-
Federal Home Loan Bank	1,739	-
Kommunekredit	1,738	-
Kommunalbanken AS, Oslo	1,737	7,461
Canadian Regional Authority	-	-
Federal Home Loan Mortgage	-	4,970
Kreditanstalt fuer Wiederaufbau, Frankfurt	-	16,578
	<u>106,843</u>	<u>37,403</u>
სულ სავაჭრო ფასიანი ქაღალდები	<u>413,916</u>	<u>166,500</u>

ქვემოთ ცხრილში მოცემულია სავაჭრო ფასიანი ქაღალდების საპროცენტო განაკვეთები და დაფარვის ვადები:

	31 დეკემბერი 2013		31 დეკემბერი 2012	
	წლიური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის ვადა	წლიური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის ვადა
სახელმწიფო სავალო ფასიანი ქაღალდები	0.04%-4.3%	2014-2018	0.125%-3.375%	2013-2014
სუპრანაციონალური სავალო ფასიანი ქაღალდები	-	-	3.00%	2014
სააგენტოს სავალო ფასიანი ქაღალდები	0.166%-4.1%	2014-2018	0.375%-4.1%	2013-2014

2009 წლის 10 ივლისს ბანკმა გააფორმა შეთანხმება რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკთან, რომლის მიხედვით ბანკი ინვესტიციების მენეჯერს ნიშნავს თავის აგენტად და წარმომადგენლად ფასიანი ქაღალდებში ინვესტირებისა და რეინვესტირებისთვის და ინარჩუნებს მას ტექნიკური საკონსულტაციო სერვისების მიწოდების მიზნით. ბანკი უფლებამოსილია დროდადრო განახორციელოს ინვესტიციების რაოდენობის გაზრდა ან შემცირება ინვესტიციების მენეჯერის ინფორმირების შემდეგ.

14. გასაყიდად არსებული ინვესტიციები

	31 დეკემბერი 2013	31 დეკემბერი 2012
გასაყიდად არსებული ინვესტიციები უცხოური ვალუტით:		
სახელმწიფო სავალო ფასიანი ქაღალდები		
US Treasury Notes	1,311,239	961,022
French Treasury Notes	135,031	380,256
Australian Treasury Bonds	109,017	64,210
German Government Bonds	69,388	70,966
Austria Government Bonds	40,093	71,167
Luxembourg Government Bonds	30,548	31,998
Netherlands Government Bonds	19,386	24,111
Australian Treasury Bills	4,614	117,235
French Treasury Bills	-	99,293

საქართველოს ეროვნული ბანკი

შინაგარეო ანგარიშგებასთან თანდაართული შენიშვნები (გაბრკელება)
 2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 (ათასი ლარი)

Finland Government Bonds	3,746	30,140
	<u>1,723,062</u>	<u>1,850,398</u>
სუბრანაციონალური საგალო ფასიანი ქაღალდები		
European Stability Mechanism	93,127	-
IBRD World Bank	81,160	41,179
European Investment Bank	64,981	394,800
European Financial Stability Facility	51,087	-
EUROFIMA, Basel	46,403	-
International Finance Corporation	37,030	-
European Union	22,160	-
Inter-American Development Bank	20,117	53,949
Nordic Investment Bank	15,759	11,548
Asian Development Bank	8,679	7,849
Council of Europe Development Bank	6,236	-
Bank for International Settlements	-	54,645
	<u>446,739</u>	<u>563,970</u>
სააგენტოს საგალო ფასიანი ქაღალდები		
Kreditanstalt fuer Wiederaufbau	87,891	67,918
Kommuninvest I Sverige AB	71,165	-
Landeskreditbank Baden-Wuerttemberg Foerderbank	43,795	-
Federal Home Loan Mortgage Corporation	33,876	90,169
Kommunalbanken AS	33,027	-
Svensk Exportkredit AB	22,048	-
Bank Nederlandse Gemeenten	22,014	25,719
Province of Ontario Canada	20,129	13,981
Neder Waterschapsbank	19,153	-
NRW Bank	14,464	-
Kommunekredit	12,181	-
Oesterreichische Kontrollbank AG	8,738	9,986
Federal National Mortgage Association	8,734	41,763
Federal Home Loan Mortgage Corporation	8,697	33,252
Export Development Canada	8,623	-
Landwirtschaftliche Rentenbank	4,505	-
Queensland Treasury Corporation	-	31,359
New South Wales Treasury Corporation	-	12,156
	<u>419,040</u>	<u>326,303</u>
სულ გასაყიდად არსებული ინვესტიციები უცხოური ვალუტით	<u>2,588,841</u>	<u>2,740,671</u>
გასაყიდად არსებული ინვესტიციები ეროვნული ვალუტით		
სახელმწიფო საგალო ფასიანი ქაღალდები		
საქართველოს მთავრობის ობლიგაციები	<u>42,735</u>	<u>8,159</u>
სულ გასაყიდად არსებული ინვესტიციები ეროვნული ვალუტით	<u>42,735</u>	<u>8,159</u>

საქართველოს ეროვნული ბანკი

ზინანსურ ანგარიშგებასთან თანდაართული შენიშვნები (გაბრძელება)

2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათასი ლარი)

გასაყიდად არსებული ინვესტიციების საპროცენტო განაკვეთები და დაფარვის ვადები იხილეთ ქვემოთ ცხრილში:

	31 დეკემბერი 2013		31 დეკემბერი 2012	
	წლიური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის ვადა	წლიური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის ვადა
US Treasury Notes	0.12%-4.75%	31/01/2014 -30/11/2016	0.12%-4.25%	31/03/2013 -15/11/2014
European Investment Bank	3.12%	15/04/2014 -15/04/2014	1.25%-6.00%	15/03/2013 -20/05/2014
European Stability Mechanism	-	23/01/2014 -24/04/2014	-	-
Australia Government Bonds	4.5%-6.25%	15/06/2014 -15/06/2016	4.50%-6.50%	15/05/2013 -21/10/2014
IBRD World Bank	6.00%	21/10/2014 -15/12/2016	0.50%-3.50%	15/07/2013 -26/11/2013
French Treasury Notes	0.25%-4.00%	25/04/2014 -25/04/2016	0.75%-4.50%	12/01/2013 25/09/2014
European Financial Stability Facility	1.00%-1.62%	12/03/2014 -04/02/2015	-	-
Austria Government Bonds	3.40%-4.00%	20/10/2014 -15/09/2016	3.40%-4.30%	20/10/2013 -20/10/2014
Kreditanstalt fuer Wiederaufbau	5.75%	25/02/2014 -15/12/2015	1.37%-5.50%	16/05/2013 -21/10/2014
Federal Home Loan Mortgage Corporation	4.37%	15/01/2014 -05/12/2014	0.01%-1.00%	28/10/2013 -05/12/2014
German Government Bonds	2.00%	14/03/2014 -26/02/2016	0.25%-4.25%	12/04/2013 -12/09/2014
European Union	3.25%	07/11/2014	-	-
EUROFIMA, Basel	6.00%	28/01/2014 -10/06/2016	-	-
Province of Ontario Canada	4.10%	27/01/2014 -16/06/2014	1.37%-4.10%	15/07/2013 -16/06/2014
International Finance Corporation	5.75%	24/06/2014 -01/08/2016	-	-
Landeskreditbank Baden-Wuerttemberg Foerderbank	3.25%	29/01/2014 -14/09/2015	-	-
Kommuninvest I Sverige AB	0.50%	12/09/2014 -15/06/2016	-	-
Luxembourg Government Bonds	0.37%-3.12%	07/05/2014 -15/11/2016	3.75%	04/12/2013
Kommunalbanken AS	0.87%	26/01/2015 -03/10/2016	-	-
Nordic Investment Bank	0.50%-3.00%	08/04/2014 -14/04/2016	3.00%	08/04/2014
Bank Nederlandse Gemeenten	4.00%	15/07/2014 -18/07/2016	3.75%-4.37%	04/07/2013 -15/07/2014
Netherlands Government Bonds	2.75%	15/01/2015 -15/04/2016	1.00%-4.25%	15/07/2013 -15/07/2014
Government of Georgia Bonds	8.50%	15/12/2015 -15/03/2018	13.0%	15/03/2013
Inter-American Development Bank	5.37%-6.00%	27/05/2014 -25/05/2016	0.37%-5.50%	29/05/2013 -08/11/2013
Svensk Exportkredit AB	3.62%	27/05/2014 -31/05/2016	-	-
Oesterreichische Kontrollbank AG	1.37%	21/01/2014	1.37%-3.62%	10/12/2013 -21/01/2014
Federal National Mortgage Association	1.25%	27/02/2014	0.75%-1.25%	18/12/2013 27/02/2014
Federal Home Loan Mortgage Corporation	0.37%	29/01/2014	0.37%	29/01/2014
Neder Waterschapsbank	1.37%	16/05/2014 -29/03/2016	-	-
Asian Development Bank	-	29/05/2015	1.62%-7.12%	19/03/2013 -05/09/2013
Export Development Canada	0.62%	15/12/2016	-	-
NRW Bank	1.62%-3.37%	17/01/2014 -15/04/2014	-	-
Kommunekredit	0.87%	23/05/2016 -29/07/2016	-	-
Australian Treasury Bills	-	24/01/2014	3.05%-3.11%	25/01/2013 -12/04/2013
Council of Europe Development Bank	4.50%-5.00%	29/01/2014 -30/06/2014	-	-
Landwirtschaftliche Rentenbank	6.00%	27/01/2016	-	-
Finland Government Bonds	1.75%	15/04/2016	3.12%-5.37%	04/07/2013 -15/09/2014

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები (ბაბრქელვა)
 2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 (ათასი ლარი)

15. დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები

	31 დეკემბერი 2013		31 დეკემბერი 2012	
	საბალანსო ღირებულება	ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება	ნომინალური ღირებულება
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები უცხოური ვალუტით:				
სუპრანაციონალური სავალო ფასიანი ქაღალდები				
საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი	-	-	11,443	10,913
სულ დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები უცხოური ვალუტით	-	-	11,443	10,913
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები ეროვნული ვალუტით:				
საქართველოს მთავრობის ობლიგაციები	482,207	480,846	522,321	520,846
სულ დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები ეროვნული ვალუტით	482,207	480,846	522,321	520,846

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციების საპროცენტო განაკვეთები და დაფარვის ვადები იხილეთ ქვემოთ ცხრილში:

	31 დეკემბერი 2013		31 დეკემბერი 2012	
	წლიური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის ვადა	წლიური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის ვადა
სუპრანაციონალური სავალო ფასიანი ქაღალდები	-	-	3.8%	2014
საქართველოს მთავრობის ობლიგაციები	6%	2025	6%	2025

საქართველოს მთავრობის ობლიგაციები ეროვნულ ვალუტაში წარმოადგენს საქართველოს მთავრობასა და ბანკს შორის 2006 წლის მარტში გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად სამთავრობო სესხის სავალო ფასიან ქაღალდებად გარდაქმნის შედეგად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებულ ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფასიან ქაღალდებს. საქართველოს მთავრობის ობლიგაციების გადახდა ხდება გასაყიდად არსებული ფინანსური ინსტრუმენტების გამოშვების გზით 40,000 ათასი ლარის ოდენობით ყოველწლიურად მარტის თვეში დაფარვის ვადამდე. საპროცენტო განაკვეთი ექვემდებარება ყოველწლიურ გადახედვას არსებული საბაზრო განაკვეთების გათვალისწინებით.

16. საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება მოიცავს:

	2013	2012
1 იანვარი	-	-
გადმოტანა გასაყიდად გამიზნული აქტივებიდან (შენიშვნა 20)	2,618	-
31 დეკემბერი	2,618	-

საინვესტიციო ქონება მოიცავს უზურფრუქტის ხელშეკრულების საფუძველზე სახელმწიფო სააგენტოს მიერ გამოყენებულ მიწასა და შენობა-ნაგებობებს და ასევე მიწას, ჯერ განუსაზღვრელი გამოყენების ფუნქციით. ორივე ქონების ფლობა განპირობებულია კაპიტალის აფასების მიზნით. საინვესტიციო ქონების გადმოტანა მოხდა გასაყიდად გამიზნული აქტივებიდან 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რადგან არ იყო მოსალოდნელი მათი რეალიზაცია აღნიშნული თარიღიდან 12 თვის განმავლობაში.

17. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები მოიცავს:

	მიწა და შენობა- ნაგებობები	კომპიუტერები საოფისე მოწყობილობა და ავეჯი	დაუმთავრე- ბელი მშენებლობა	სატრანს- პორტო საშუალებები და სხვა	სულ
თავდაპირველი ღირებულებით:					
1 იანვარი 2012	17,745	5,268	7,238	14,839	45,090
შესყიდვა	48,512	2,300	14	1,745	52,571
გასვლა	(9)	(1,014)	(67)	(2,613)	(3,703)
გადატანა გასაყიდად გამიზნულ აქტივებში (შენიშვნა 20)	(2,361)	-	-	-	(2,361)
აღატანა	7,171	-	(7,171)	-	-
31 დეკემბერი 2012	71,058	6,554	14	13,971	91,597
შესყიდვა	174	494	-	1,518	2,186
გასვლა	(19,688)	(1,563)	-	-	(21,251)
გადატანა გასაყიდად გამიზნულ აქტივებში (შენიშვნა 20)	209	-	-	-	209
31 დეკემბერი 2013	51,753	5,485	14	15,489	72,741

საქართველოს ეროვნული ბანკი

ზინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები (გაბრძელება)
 2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 (ათასი ლარი)

დაგროვილი ცვეთა:

1 იანვარი 2012	(3,720)	(3,529)	-	(10,822)	(18,071)
ცვეთის დარიცხვა გასაყიდად გამიზნულ აქტივებში რეკლასიფიცირების გამო ელიმინირებული (შენიშვნა 20)	(351)	(620)	-	(1,488)	(2,459)
გასვლის შედეგად ელიმინირებული	141	-	-	-	141
	4	1,004	-	2,556	3,564
31 დეკემბერი 2012	(3,926)	(3,145)	-	(9,754)	(16,825)
ცვეთის დარიცხვა გასვლის შედეგად ელიმინირებული	(1,330)	(883)	-	(2,421)	(4,634)
	4,170	1,379	-	4,503	10,052
31 დეკემბერი 2013	(1,086)	(2,649)	-	(7,672)	(11,407)
ნარჩენი საბალანსო ღირებულება:					
31 დეკემბერი 2013	50,667	2,836	14	7,817	61,334
31 დეკემბერი 2012	67,132	3,409	14	4,217	74,772

2013 და 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითადი საშუალებები მოიცავს შესაბამისად, 2,941 ათასი და 8,080 ათასი ლარის სრულად გაცვეთილ ძირითად საშუალებებს.

18. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მოიცავს:

	არამატერიალური აქტივები
თავდაპირველი ღირებულებით:	
1 იანვარი 2012	6,776
შესყიდვა	218
გასვლა	(42)
31 დეკემბერი 2012	6,952
შესყიდვა	346
გასვლა	(385)
31 დეკემბერი 2013	6,913

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები (ბაბრქველი)
2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

დაგროვილი ამორტიზაცია:

1 იანვარი 2012	(1,074)
წლის დარიცხვა	(1,294)
გასვლის შედეგად ელიმინირებული	41
31 დეკემბერი 2012	(2,327)
წლის დარიცხვა	(1,331)
გასვლის შედეგად ელიმინირებული	385
31 დეკემბერი 2013	(3,273)
ნარჩენი საბალანსო ღირებულება	
31 დეკემბერი 2013	3,640
31 დეკემბერი 2012	4,625

არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფას და ლიცენზიებს.

2013 და 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არამატერიალური აქტივები მოიცავს შესაბამისად, 71 ათასი და 439 ათასი ლარის სრულად ამორტიზირებულ აქტივებს.

19. სხვა აქტივები და ვალდებულებები

სხვა აქტივები მოიცავს:

	<u>31 დეკემბერი 2013</u>	<u>31 დეკემბერი 2012</u>
სხვა აქტივები უცხოური ვალუტით:		
წინასწარი გადახდები	762	775
სხვა მოთხოვნები	4	4
სულ სხვა აქტივები უცხოური ვალუტით	766	779
სხვა აქტივები ეროვნული ვალუტით:		
სამახსოვრო ოქროს მონეტები	3,836	4,632
თანამშრომლებზე გაცემული სესხები	1,341	2,063
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	410	776
წინასწარი გადახდები	840	160
სხვა მოთხოვნები	940	939
	7,367	8,570
სხვა აქტივების გაუფასურების რეზერვი	(637)	(1,148)
სულ სხვა აქტივები ეროვნული ვალუტით	6,730	7,422

2013 და 2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით სხვა ფინანსური აქტივები შესაბამისად შეადგენს 2,410 ათას და 2,633 ათას ლარს.

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდაართული ფინიშნები (ბაბოქელებ)
2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

სხვა ვალდებულებები მოიცავს:

	<u>31 დეკემბერი 2013</u>	<u>31 დეკემბერი 2012</u>
სხვა ვალდებულებები უცხოური ვალუტით:		
ვალდებულებები მომწოდებლების მიმართ	797	659
სულ სხვა ვალდებულებები უცხოური ვალუტით	797	659
სხვა ვალდებულებები ეროვნული ვალუტით:		
ვალდებულებები მომწოდებლების მიმართ	5,906	6,502
გადავადებული შემოსავლები	2,841	3,932
ვალდებულება რეალიზებულ ბანკნოტებსა და მონეტებზე	1,398	1,354
საკენისო სქემის ვალდებულებები	411	523
სხვა ვალდებულებები	234	156
სულ სხვა ვალდებულებები ეროვნული ვალუტით	10,790	12,467

2013 და 2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით სხვა ფინანსური ვალდებულებები შესაბამისად შეადგენს 8,937 ათას და 9,194 ათას ლარს.

სხვა აქტივების გაუფასურების დანაკარგების რეზერვის მოძრაობა მოიცავს:

	<u>სხვა აქტივების გაუფასურების რეზერვი</u>
1 იანვარი 2012	(1,492)
გაუფასურების აღდგენა	344
31 დეკემბერი 2012	(1,148)
გაუფასურების აღდგენა	275
აქტივების ჩამოწერა	236
31 დეკემბერი 2013	(637)

სხვა აქტივების გაუფასურების დანაკარგების რეზერვი წარმოადგენს თანამშრომლებზე გაცემული სესხების გაუფასურების დანაკარგების რეზერვს.

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდაართული ფინიშნები (ბაბრქელებ)
2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

20. ბასაჟიდალ ბამიზნული აქტივები

	<u>2013</u>	<u>2012</u>
1 იანვარი	2,818	3,160
შესყიდვა	-	426
რეკლასიფიცირებული როგორც ძირითადი საშუალებები (შენიშვნა 17)	(209)	-
რეკლასიფიცირებული როგორც საინვესტიციო ქონება (შენიშვნა 16)	(2,618)	-
გადმოტანილი ძირითადი საშუალებებიდან (შენიშვნა 17)	-	2,220
გასელა	-	(2,831)
შეფასების მოგება/(ზარალი)	9	(157)
დეკემბერი 31	<u>-</u>	<u>2,818</u>

21. ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ

ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ მოიცავს:

	<u>31 დეკემბერი 2013</u>	<u>31 დეკემბერი 2012</u>
ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ უცხოური ვალუტით:		
საკორესპონდენტო ანგარიშები	141,947	70,788
მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები	992,621	874,358
სულ ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ უცხოური ვალუტით	<u>1,134,568</u>	<u>945,146</u>
ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ ეროვნული ვალუტით:		
საკორესპონდენტო ანგარიშები	213,463	207,108
ერთდღიანი დეპოზიტები	289,499	185,000
სულ ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ ეროვნული ვალუტით	<u>502,962</u>	<u>392,108</u>

2013 და 2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ ვალდებულებებში შედის 1,024,538 ათასი ლარის და 925,451 ათასი ლარის ოდენობის სამი უმსხვილესი რეზიდენტი კომერციული ბანკის ნაშთები, რომლებიც აღემატება ფინანსური ინსტიტუტების მიმართ მოთხოვნილი ვალდებულებების 15 პროცენტს. რეზიდენტ კომერციულ ბანკებს მოეთხოვებათ საქართველოს ეროვნულ ბანკში განათავსონ მინიმალური სარეზერვო ნაშთები. 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავალდებულო რეზერვები წარმოადგენს რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიერ ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული მოზიდული სახსრების 10 პროცენტს და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მოზიდული სახსრების 15 პროცენტს. უცხოური ვალუტის ვალდებულებების შემთხვევაში დარჩენილი ვადით 1-2 წელი მინიმალური სარეზერვო ნაშთები შეადგენს 5 პროცენტს.

სავალდებულო რეზერვებზე 2013 და 2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წლიური საპროცენტო განაკვეთი ლარში დენომინირებულ მინიმალურ სარეზერვო მოთხოვნებზე შესაბამისად შეადგენს 3.75 და 5.25 პროცენტს, ხოლო აშშ დოლარში და ევროში დენომინირებულ მინიმალურ სარეზერვო მოთხოვნებზე 0 პროცენტს.

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდაართული ფინიშნები (ბაბრქელებ) 2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

22. ვალდებულებები ფინანსთა სამინისტროს მიმართ

	31 დეკემბერი 2013	31 დეკემბერი 2012
ვალდებულებები ფინანსთა სამინისტროს მიმართ უცხოური ვალუტით:		
მიმდინარე ანგარიშები	146,834	202,630
შეზღუდული დეპოზიტები აკრედიტივების დასაფარად	58	6,598
სულ ვალდებულებები ფინანსთა სამინისტროს მიმართ უცხოური ვალუტით	146,892	209,228
ვალდებულებები ფინანსთა სამინისტროს მიმართ ეროვნული ვალუტით:		
მიმდინარე ანგარიშები	341,443	744,628
სულ ვალდებულებები ფინანსთა სამინისტროს მიმართ ეროვნული ვალუტით	341,443	744,628

23. მიმოქცევაში გაშვებული ფული

მიმოქცევაში გაშვებული ფული წარმოადგენს ბანკის მიერ გამოშვებულ საქართველოს ეროვნულ ვალუტას. 2013 და 2012 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის მიმოქცევაში გაშვებული ფულის ანგარიშზე მოძრაობა არის შემდეგი:

	2013	2012
1 იანვარი	1,918,059	1,753,584
მიმოქცევაში გაშვებული ბანკნოტები	4,033,807	1,531,520
მიმოქცევაში გაშვებული მონეტები	77,483	18,791
გამოკლებული: ნაღდი ფული საღაროში ეროვნული ვალუტით	(936)	(65)
მიმოქცევიდან ამოღებული ბანკნოტები	(3,607,619)	(1,372,906)
მიმოქცევიდან ამოღებული მონეტები	(69,242)	(12,865)
31 დეკემბერი	2,351,552	1,918,059

24. ვალდებულებები კლიენტების მიმართ

კლიენტების მიმართ ვალდებულებები მოიცავს:

	31 დეკემბერი 2013	31 დეკემბერი 2012
საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები	1,135	1,166
სხვა	-	2
სულ ვალდებულებები კლიენტების მიმართ	1,135	1,168

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები (ბაზრქმეობა)
 2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 (ათასი ლარი)

25. ბამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები

	დაფარვის ვადა	წლიური საპროცენტო განაკვეთი	ნომინალური ღირებულება 31 დეკემბერი 2013	საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2013
სადეპოზიტო სერთიფიკატები	9 იანვარი – 26 ივნისი 2014	3.84%-4.71%	690,000	684,635
სულ გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები			690,000	684,635
	დაფარვის ვადა	წლიური საპროცენტო განაკვეთი	ნომინალური ღირებულება 31 დეკემბერი 2013	საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2013
სადეპოზიტო სერთიფიკატები	3 იანვარი – 23 ივნისი 2013	5.82%-6.34%	570,000	562,844
სულ გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები			570,000	562,844

26. კაპიტალი

კანონის შესაბამისად, ბანკის კაპიტალი შეიცავს ბანკის საწესდებო კაპიტალსა და სარეზერვო ფონდს.

საწესდებო კაპიტალი

2013 და 2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის საწესდებო კაპიტალი სრულად არის შეტანილი და შეადგენს 15,000 ათას ლარს.

სარეზერვო ფონდი

